


**თონა
გალათალი**



ოთარ ბალატონია

ნოდარ ბალატონია სახელმწიფო
მუზეუმის მუზეუმური განყოფილი

თბილისი
2013

პემზაგენელი-რეფაქტორი
კოტე ნინიკაშვილი

გამოწევის რეფაქტორი
ეფუძნდ უგულავა

ლიზანი
გიორგი მალხაშვილი

კორექტორი
მარინე ვახაძე

* * *

ოთარ ბალათურია — მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი. ამ მრავალსახეობის ერთობლიობით იგი გენიალურ ხელოვანს ედუარდო დე ფილიპოს ჰგავს.

შემოქმედებითი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე მოზარდ მაყურებელთა თეატრში განსახიერებული მისი სცენიური სახეები გამოირჩეოდა უანრობროვი მრავალფეროვნებითა და გარდასახვის ოსტატობით, ხოლო რეჟისორული ნამუშევრები კი საკუთარი ჩანაფიქრის სცენაზე ზედმიწევნით წარმოსახვით (პრიორიტეტი ენიჭებოდა აქტიორს).

უყვარს ფოლულორისა და ხალხური პოეზიის ნიმუშების სცენიური შტრიხებით წარმოჩენა. მისი შემოქმედების წყარო ვაჟა-ფშაველას მხატვრულ-ფილოსოფიური სამყაროა. მისი პიესების წარმატება განპირობებულია წაწარმოებში წამოჭრილი პრობლემატიკის თანადროულობით.

ქართულ თეატრში იშვიათია ანალოგი ხელოვანის ამგვარი მრავალსახეობისა.

ეს სიტყვები რედაქტორის წინათქმაა და ოთარ ბალათურიას შემოქმედების საფუძვლიან ანალიზს არ ისახავს, მხოლოდ წიგნის შინაარსსა და სტრუქტურაზე მიგვანიშნებს.

კრებული სასიქადულო ქართველ თეატრალურ მოღვაწეს ოთარ ბალათურიას ეძღვნება. გამოცემა ემთხვევა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ ოთარ ბალათურიას ვარსკვლავის გახსნის ფაქტს.


მრავალმხრივია მისი შემოქმედებითი ასპარეზი. რეჟისორული ხელოვნების დაუფლების შემდეგ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საავტორო სპექტაკლებმა: „ამიკო“ და „მეფე ლირი თავშესაფარში“.

მისი პიესები და ინსცენირებები განხორციელებული თბილისის ახმეტელის თეატრში, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, ქუთაისის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, ოზურგეთის, თელავის, ჭიათურის, ფოთის, მესხეთის თეატრებში, დღემდე წარმატებით სარგებლობს საზოგადოებაში. ეს პიესები აგრეთვე დაიდგა: ლატვიაში, სანქტრანცისკოში, სლოვაკეთში.

კრებულში ამ დადგმების სცენიური ისტორიაც არის წარმოჩენილი. აგრეთვე შესულია ოთარ ბალათურიას კოლეგებისა და მეგობრების მოსაზრებები, ხოლო ბიოგრაფიას თავად ავტორი მოგვითხრობს.

წიგნის გამოცემის საკითხი მე წამოვიწყე. იდეა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელობამ აიტაცა და განახორციელა.

პოზე ნინიკაშვილი



ჩვენი გვარის ფესვები სამეგრელოშია, ნოქალაქევიდან ვყოფილვართ. ბაბუაჩე-
მის ბაბუა გამოქცეულა რატომღაც სამეგრელოდან და გურიელისთვის შეუფარებია
თავი... მერე, როგორც გადმოცემით ვიცი, დადიანი სწვევია გურიელს, დიდი ნადიმის
შემდეგ მხლებლები გაუჯიბრებიათ ერთმანეთისთვის. ამ ახალგაზრდა კაცს თავი
გამოუჩინია და უსახელებია გურიელი... გახარებულ გურიელს სოფელ ნატანებში
მიწა უჩიუქებია მისთვის. ამ უბანს სამხთო ჰქვია... დასახლებულა ეს ჩემი დალოცვილი
ნინაპარი სამხთოში, შეურთავს გურული ქალი და გამრავლებულან ამ ნაყოფიერ და
დალოცვილ მიწაზე. სამხთოში დღესაც ცხოვრობენ ჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილები.
ჩემთვის იქ ჩასვლა ყოველთვის დიდი ზეიმია... ასე რომ „გურული“ ბალათურიები
ვართ.

ჩემი მშობლები, შოთა ივანეს-ძე ბალათურია და დედა ვალიდა მოსეს ასული გორ-
გოშიძე, ერთმანეთს უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე შეხვედრიან, შეყვა-
რებიათ ერთმანეთი და დაქორწინებულან. სამი ვაჟი ეყოლათ: ჯემალი, მე და გოგლა.
სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდათ. ჩვენთან ყოველთვის ცხოვრობდნენ ჩვენი ახ-
ლობლები, ნათესავები... ტევა არ იყო, ხან „ლეჟანკაზე“ მეძინა, ხან მაგიდაზე, ხან
მაგიდის ქვეშ... წლები გრძელდებოდა ასე... პურმარილიანი ოჯახი იყო... არაჩვეუ-
ლებრივი მეგობრები ჰყავდა მამას, თითქმის ყოველდღე სუფრა იყო გაშლილი ჩვენს
ოჯახში. მამას და მის ძმას ილიას ფუნქციები ასე ჰქონდათ განაწილებული, — თბი-
ლისში მამა ეხმარებოდა ნათესავებს, დასავლეთში ბიძაჩემი ილია...


მე 1941 წლის 21 დეკემბერს დავბადებულვარ სოფელ ლიხაურში, ცოტა ეჭვი კი
მეპარება, ხომ არ გადააჩოჩეს ან გადმოაჩოჩეს ჩემი დაბადების თარიღი სტალინის
დაბადების დღეს რომ დამთხვეოდა... ასეა თუ ისე დაბადების დღეს 21 დეკემბერს
აღვნიშნავ ხოლმე, არავის ვეპატიუები, ახლობლები ყოველთვის მოდიან და
მხიარულად ვატარებთ დროს... სხვათა შორის ჩემს ოჯახშიც ბევრ ახლობელ-
მეგობარს თუ ნათესავს უცხოვრიაკარგა ხანს...

რატომ დავიბადე სოფელში?.. ომი იყო, მამა თავის ორ ძმასთან ერთად ფრონტზე
იბრძოდა, (უფროსი გიორგი ამ ომში დაიკარგა, უმცროსმა, ჩემმა საყვარელმა ბიძამ
ილიამ, ცალი ფეხი დაკარგა, მამა მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა სახლში). დედას
გადაუწყვეტია თავის სოფელში დაბრუნებულიყო (ჯემალი წლინახევრის იყო),
სადაც მშობლები და უფროსი ძმა პორფილე ეგულებოდა. დედას ოთხი ძმა ჰყავდა,
თვითონ ყველაზე უმცროსი იყო, ძმებიდან მხოლოდ უფროსი ძმა პორფილე შემორჩა,
რომელიც მასზე 23 წლით უფროსი იყო და მზე და მთვარე ამოსდიოდა თავის „პატარა
დაიაზე“.

პორფილე ბიძაზე საგანგებოდ მინდა შევჩერდე, გიორგის ჯვრის ორგზის
კავალერი, ფიზიკურად ძლიერი, უშიშარი, საოცრად კეთილი და თავმდაბალი კაცი
იყო. 7 წელი ფრონტზე გაატარა რუსეთ-თურქეთის ომში, ბოლოს ცნობილ ეროვნულ
გმირ ვალოდია გოგუაძესთან ერთად ჯავშნოსანით ებრძოდა თურქებს და კიდევ
ერთი ქართული უცნაურობა, მენშევიკი პორფილე და მისი მომდევნო ძმა ბოლშევიკი
ალექსანდრე მხარდამხარ ებრძოდნენ მტერს.

ერთხელ კინოში წაგვიყვანა პორფილე ბიძამ ბავშვები. მეზობელს დიდი, საშიძი
ძალლი ჰყავდა, ჯაჭვით იყო დაბმული, იმ ეზოსთან ყოველთვის ფეხაკრეფით დავ-
დიოდით... სწორედ იმ ეზოს ვუახლოვდებოდით და ამ დროს ეს ძალლი, რომელსაც

დედა - ვალიძა მოსეს ასული გორგოშიძე
მამა - შოთა ივანეს-ძე ჩაღათურია
ეტყობა აზალდაპორცინებულები არიან.



მამა, მე, ჯემალი, დედა.
გუშინდელივით მახსოვრე
ამ ფოტოს გადაღება.



მთელი სოფელი დაშინებული ჰყავდა, გადმოხტა ღობეზე. ჯაჭვი აუწყვეტია და გამოქანდა ჩვენსკენ, დაზაფრულები გავიყინეთ ერთ ადგილზე... მორბის ძალლი ჩვენსკენ, ამ დროს პორფილები დაიღრიალა ჰეპეეე... და გაიქცა ძაღლისკენ... იქიდან ძაღლი მორბის ღრიალით, აქედან – პორფილე ბიძია... გარბიან ერთმანეთისკენ, ბოლო წამს ძაღლს უმტყუნა გამბედაობამ, კუდი ამოიძუა და კივილ-კივილით გაიქცა სახლისკენ. ჩვენ კი ამაყად ცხვირანეულებმა გავაგრძელეთ გზა... როცა ბოლოს ვნახე ბიძაჩემი, მეუღლესთან ერთად ვიყავი ლიახურში 2 დღით, მეორე დღეს მოვდივართ უკვე, ბიძაჩემს ვემშვიდობებოდით, პორფილე ამ დროს ფეხზე ვეღარ დგებოდა. ეზოში ჩაყავდათ და იქ სკამზე იჯდა, როცა ლილი მივიდა გამოსამშვიდობებლად, მეიცაო – პორფილემ, ტანი გააქანა, — ეჰეჰეჰე!.. — შესძახა, წამოდგა ფეხზე, ასე დაგვემშვიდობა, არ იკადრა ქალს დამჯდარი დამშვიდობებოდა.

ორი სოფელი მქონდა, ნატანები — მამის სოფელი და ლიხაური — დედის. (მეცოდება ის ხალხი, ვისაც სოფელი არა აქვს). კარგახანს ვცხოვრობდი სოფელში, მამა გურიაში ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო და სოფლიდან სოფელში გადაჰყავდათ სამუშაოდ, ოჯახიც თან დაჰყავდა.

სოფელმა ბევრი რამ მასწავლა, მინა შემაყვარა, შრომას მიმაჩვია... ბიძაჩემის ეზოს ლიხაურში პატარა ლელე ჩაუდიოდა, იქ ვთევზაობდით, ხელით ვიჭერდით ღორჯოებს, ხანდახან კალმახსაც თუ მივიმწყვდევდით ქვის ქვეშ და დავიჭერდით, ჩვენზე ბედნიერი არავინ იყო ქვეყანაზე. ფათერაკებიც ბევრი გვქონდა – ერთხელ ღორჯოს ვეპარებოდი, უცებ საიდანლაც გველი გამოსრიალდა და მომტაცა ღორჯო, შეშინებული როგორ აღმოვჩნდი ორი მეტრის სიმაღლის ნაპირზე ახლაც ვერ ვხვდები... რამდენიმე წლის მერე, რომ ჩავედი ლიხაურში, ჩემი ბიძაშვილის შვილებს ვეკითხები – ამ ლელეში კალმახი თუ არის კიდევ-მეთქი? – თერთმეტი ცალიაო (?!) დათვლილი ჰყავდათ.

მახსოვს ერთხელ, ბიძაშვილებს წავყევი სათოხარში, ვეჯიბრები ჩემზე ბევრად უფროს ბიძაშვილებს, ვასწრებ და მიხარია. „ნელა, ბიჭო, ნელა!.. დაიღლები...“ მეძახიან ბიძაშვილები... აპა, არ ვუგდებ ყურს და ისევ ვჩქარობ... უცებ, ვხედავ დიდი გურული კეცის ჭადი მოფრინავს ჩემსკენ, დამეჯახა თავში და გულწასული დავეცი... მომასულიერეს და ამ დროს ჩემი ბიძაშვილი მერიკოც გამოჩნდა, სწორედ ისეთი მჭადი და ყველი მოგვიტანა, მანამდე, რომ მომეჩვენა, ეტყობა მაგრად მომშივდა და გემრიელად შევექცი... დღესაც ჩემთვის ყველაზე გემრიელი საჭმელი მჭადი და ყველია.

მელექედურში ვცხოვრობდით, მაშინ – მე მეორე კლასში ვიყავი, ჩემი ძმა ჯემალი – მესამეში, სკოლის გზაზე მეწისქვილე პარმენა ცხოვრობდა, ერთი თხა ჰყავდა „პარმენას თხას“



**ძმები - პოლოვიკი ალექსანდრე
და მენშევიკი პორფილე
გორგოშიძეები ერთად
ეპრაზენ თურქებს**




ვგავარ ახლა მე
კოლეგურნეობის
თავდაჯდომარის შვილს?

ამ სურათზე 11 წლისა ვარ.
ოზურგეთშია გადაღებული...
შინელი და ეუდი
ფოტოგრაფისაა, მათსოვა.
ჩემს უკან თვითმფრინავი
იყო დახატული... მასთვის
კლასელებს ვაჟაშვილი —
გვირინავი ვიყავი-მეთქი...

ჯემალი, გოგლა და მე.
დედაწევს ისე უცდოდა მესამე
შვილი გოგო ყოფილიყო,
რომ გოგლას გოგოსავით
აცხავდნენ... ჩოხები აქაც
ფოტოგრაფისაა, ჯემალი
ქალიან გახარებულია, ალჩათ
იმიტომ, რომ ხანჯალი
უჭირავს — მე კი არა...



ჩემი ქადა
ჯოგალი



1966 წელი — ჰარში ვარ...
ოოთა ხნით, მაგრამ მანც
ვაფიქსირებდი „პრესტის“...
ვარჯიში ძღვემზე არ
შემიყვანდი...

სხვათა შორის ჰარში
გვიან წამიყვანეს, მაშინ
უკვე თეატრში ვაუგაობდი,
უცყენება რომ მომივიდა
დირექტორს (ცხოველულ
ვაცტანგ ვაცუტაშვილს)

ვუთხარი, რომელიც
კომისარიაზე ცამოხვა...

თვითონ შევიდა... მე
გარეთ ველოდეპოდი...
გამოვიდა და მითხრა —
ჩემო მთარიკა, კარგად
გამოგილანდე კომისარი
(?..)

მეორე დილას
უკვე ჰარში ვიყავი.

ეძახდა ყველა... უცნაური ის იყო, რომ მე და ჩემ ძმას დაგვინახავდა თუ არა გამოგვედევნებოდა... თავქუდმოგლეჯილები გავრბოდით და სანამ უფროსები არ გადაუდგებოდნენ არ გვეშვებოდა. ერთხელ სოფლის მაღაზიას შევაფარე თავი, იქაც შემომყვა, დამეჯახა, წამაქცია და დამადგა თავზე... ერთი სიტყვით, ამოჩემებულები და დაბრივებულები ვყავდით. ერთხელაც ჩვენი უფროსი ბიძაშვილი გენო გვესტუმრა და მას შევჩივლეთ ჩვენი გასაჭირი, გენო გვეკითხება – ახლა, რომ დაენახოთ, გამოგეკიდებათ? აბა რას იზამს-თქო, წადით, დაენახეთ და აქეთ გამოიქცითო, გენო მოწნულ სალორესთან დარჩა... მივდივართ კანკალით, ვხედავთ „პარმენას თხა“ მშვიდად ძოვს ბალახს, დაგვინახა და გამოენთო ჩვენსკენ, გავრბივართ მე და ჩემი ძმა ჯემალი (გენო სალორესთან გველოდება) და შევვარდით სალორეში, თხაც შემოვარდა, მე და ჯემალი ლობეზე გადავხტით, გენომ კარები ჩაკეტა და ჩვენი მოსისხლე მტერი ჩავიგდეთ ტყვედ. მოვტეხეთ წკელები და უმოწყალოდ გავუსწორდით... ის დღე იყო და „პარმენას თხა“ დაგვინახავდა თუ არა უკან მოუხედავად გარბოდა, ჩვენ კი ყიუინით მივდევდით.

ნატანები მამაჩემის სოფელი იყო, იქ რომ ჩავდიოდი, უკვე ბიჭობაში, ილია ბიძია-სთან ხელშეკრულებას ვდებდი – რასაც გამოვიმუშავებდი ჩაის კრეფით, ან გზის მოხრეშვით – ამინაზღაურებდა, ამ ფულით ძმებთან და მეგობრებთან ერთად ზღვაზე მივდიოდით, დასასვენებლად...

ჩაის კრეფა ძნელი საქმეა, ერთი კილოს მოკრეფას საათები სჭირდება, თან კარგი ხარისხის უნდა იყოს, იმას აქვს ფასი. მეზობლის გოგოებს დაველაპარაკებოდი, ისინი კრეფდნენ და მე მიმქონდა ჩასაპარებლად. ჩაის მიმღებ პუნქტზე წასვლა ცალკე სიამოვნება იყო, გურულები იქ იკრიბებოდნენ, იყო ერთი სიცილ-ხარხარი, სასაცილო ამბებს უკიდურესად სერიოზული სახეებით ყვებიან გურულები... მახსოვს, ერთხელ, ერთი გლეხი შემოვიდა პუნქტში, პატარა კალათით ჩაი შემოიტანა. ამ კაცს შვილი ჰყავდა ახალგარდაცვლილი... ყველა გაჩუმდა... თვითონ დაიწყო საუბარი, უხერხულობა რომ გაეფანტა, ყვება რაღაც ამბებს და ორ წუთში ყველა აახარხარა... ის კაცი ჩვენს გასაცინებლად კი არ ყვებოდა რამეს, მხოლოდ უხერხულობის გაფანტვას ცდილობდა.

სატვირთო მანქანით მივდივართ, თავსხმა წვიმა წამოვიდა, ძაფი არ შეგვრჩა მშრალი, ამ დროს ხანშიშესული კაცი სერიოზული სახით მეკითხება – რაფერ ატყობ, განვიმდება?.. ვხედავთ, გზაზე მიდის ვიღაც, ისეთი მთვრალია, ბარბაცით მიდის გზის გარდიგარდმო, წაიქცევა, ადგება და ისევ მიბარბაცებს, ისევ ის კაცი მეკითხება, - დაუკვირდი ერთი, აი კაცი ნასვამია?.. და ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ხუმრობა მომისმენია მათგან... იუმორის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინათ. რაღა დაგიმალოთ და არც მე არ შემიძლია იუმორის გარეშე, ყოველთვის, როცა სპექტაკლს ვდგამ, ვცდილობ იუმორი ანაცვლებდეს დრამას და პირიქით, ასე უფრო ადვილად აღსაქმელი მგონია სპექტაკლი...

კვლავ თბილისში გადმოიყვანეს მამა სამუშაოდ და, ცხადია, ჩვენც წამოგვიყვანა. მთაწმინდაზე ვცხოვრობდით, არსენას ქუჩაზე 23 ნომერში. პირველ სკოლაში გავაგრძელე სწავლა. მეშვიდეში, რომ გადავედი, ქალთა და ვაჟთა სკოლები გააერთიანეს და 42-ე სკოლაში გადამიყვანეს. ახლა უნდა დავიტრაბახო, არაჩვეულებრივი მეგობრები შევიძინე, დღესაც ვხვდებით ერთმანეთს. გოგოებო, ბიჭებო, ძალიან მიყვარხართ ყველანი...

ბევრი გამომაკლდა და მოურჩენელი ტკივილი დამიტოვა... პირველი მტკივნეული დარტყმა მაშინ მივიღე, როცა ჩემი უახლოესი მეგობარი თამაზი დაიღუპა. 18 წლის ბიჭს უზარმაზარი გული ჰქონდა. უშიშარი ბიჭი იყო, არავის წინაშე არ დაიხევდა უკან, დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, აუცილებლად ჩემს გვერდით იქნებოდა... ჩხუბის დროს ესროლეს...

თამაზის დალუპვამ სერიოზული კვალი დაატყო ჩემს ცხოვრებას, შინაგანად ავიჭერი, ხმირად ჩხუბში დაუფიქრებლად ვერთვებოდი.

დავიწყე ვარჯიში, შევიკრიბეთ ბიჭები, ვქირაობდით სკოლის სპორტდარბაზს და თავდაუზოგავად ვვარჯიშობდით, კრივზე დავიწყეთ სიარული - „დინამოში“, უორა

ვართანოვი იყო მწვრთნელი, ევროპის ჩემპიონს გაგხდიო მპირდებოდა, რა ვიცი, შეიძლება სხვასაც ასე ეუბნებოდა... ჩვენ ჩემპიონობა არ გვაინტერესებდა, ჩხები კი ვისწავლეთ... ის, რასაც „ქუჩის აკადემიას“ ეძახდნენ, გავიარე. უსამართლოდ არასოდეს მიჩხუბია. ვარჯიში კი მოთხოვნილებად მექცა, დღემდე ვვარჯიშობ ფიზიკურად...

ერთხელ მამამ ახალშექმნილ „თბილისის ზღვაზე“ წაგვიყვანა, მამამ იცოდა, რომ ვვარჯიშობდი და ვერ წარმოედგინა, რომ ცურვა არ მეცოდინებოდა, აბა, ოთარ, გადახტიო!.. მამას უარი ვერ ვუთხარი და გადავხტი წყალში... კინალამ დავიხრჩე, დავყვინთე და ბალახებზე, რომელიც კიდევ იყო ფსკერზე, მოვეჭიდე და ასე გამოვედი ნაპირზე... მამა ვერ მიხვდა რა მოხდა... ამის შემდეგ ცურვა ვისწავლე და ცურვა გახდა ჩემი ოჯახის საყვარელი სპორტი... შვილები სპორტულად გავზარდე, უფროსი შოთა სახელოვანი წყალბურთელი გახდა, ბრნებინვალე კარიერა ჰქონდა, 17 წლისა „დინამოში“ თამაშობდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მიიწვიეს, ყველასგან განსხვავებული ტექნიკა ჰქონდა. სამწუხაროდ, მისი კარიერა ნაადრევად შეწყდა, საქართველოდამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, რამაც დიდი კატაკლიზმები გამოიწვია და წყალბურთისთვის არავის ეცალა... სამაგიეროდ თავისი შვილი მიშიკო გაზარდა წყალბურთელად, მამას არ ჩამოუვარდება, თამაშის მამა მამას ჰქონდა... ახლა დროზე უნდა შევჩერდე თორემ ეს ჩემი სუსტი ადგილია და გაუთავებლად შემიძლია ამაზე საუბარი. ბაჩი და ირაკლიც დადიოდნენ წყალბურთზე, მაგრამ ადრე დაანებეს თავი. სხვა შვილიშვილებმაც იციან ცურვა, მაგრამ გოგოები არიან და წყალბურთს ვერ გაყვებოდნენ, პატარა კატო ჯერ 9 თვისაა და ხელში რომ ავიყვან ჰაერში ცურავს...

თეატრალურ ინსტიტუტში ორი წელი ვაბარებდი, პირველ წელს არ მიმიღეს და იქვე დავიწყე მუშაობა სცენის მუშად, ასე რომ თეატრი შიგნიდან ვისწავლე... მეორე წელს მოვხვდი და დაინწყო სხვა ცხოვრება. ძალიან კარგი პედაგოგები მყავდნენ, მსახიობის ოსტატობაში — ბატონები გივი სარჩიმელიძე, შალვა განერელია, აკაკი ხორავა, ნუგზარ გაჩავა და კოტე სურმავა, მეტყველებას არაჩვეულებრივი ქალბატონი — ბაბულია ნიკოლაიშვილი გვასწავლიდა. ჯგუფის ხელმძღვანელი აკაკი ხორავა იყო. ერთი სცექტაკლი თვითონ დადგა. „სიძაყით“ მინდა განვაცხადო — მე, როცა დამბაჩას ავწევდი სცენაზე, აკაკი ხორავა „სტარტოვკით“ კულისებში მახმოვანებდა!.. როგორია?.. დაიტრაბახოს ასეთი რამ ვინმემ...

მახსენდება, ერთ სცენაში რენე აბესაძე მთვრალი უნდა შემოსულიყო და ტრაგიკული მონოლოგი წაეკითხა, არ გამოსდიოდა... წამოვარდა აკაკი, მთელი ხმითა და ტემპერამენტით წაიკითხა ის მონოლოგი... დაზაფრულები შევყურებდით ამ ბუმბერაზს.

... და მაინც შალვა განერელია — მუმუშა იყო ის პიროვნება, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია ჩემზე და არა მარტო ჩემზე, მსახიობთა თაობები გაზარდა, თავისი განსაკუთრებული სკოლა შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტში მხოლოდ ერთი წელი გვასწავლიდა, თუკი რამე ვიცი ეს პირადად მუმუშას დამსახურებაა. იყო ძალიან მკაცრი, მომთხოვნი, არაორდინალური, ძალიან ნიჭიერი, იუმორით სავსე. თან გვეშინოდა მისი და თან საოცრად საინტერესო იყო მასთან მუშაობა. მოხდა ისე, რომ შემომატრიალა თეატრისკენ, შემაყვარა თეატრი. მუმუშა რომ არა, ვინ იცის, როგორ გაგრძელდებოდა ჩემი ცხოვრება, ძალიან აჭრილი ვიყავი იმ დროს. მუმუშა (ისე უხდებოდა ეს მეტსახელი, რომ სხვაგვარად ვერ ვიხსენიებ) დისიდენტი იყო, არა ფორმალურად, არა დეკლარირებულად, არამედ თავისი ცხოვრების წესითა და შემოქმედებით. ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი ამ ადამიანს. ინსტიტუტში ჩემი პედაგოგი, შემდეგ „მოზარდში“ ჩემი რეზისორი, მეგობარი და „საბუტილნიკი“ იყო. თუკი რამე დადგა „მოზარდში“, (სხვა თეატრში კი იგი არ წასულა) ყველგან ვიყავი დაკავებული, როგორც მსახიობი და ასისტენტი. მან მიმიყვანა ინსტიტუტში პედაგოგად და ბოლოს ჩამაბარა თავისი ჯგუფი. ის ხანგრძლივი დრო, როცა მუმუშა მუშაობდა „მოზარდში“ ოქროს ხანა იყო თეატრისთვის, ეს იყო წლები, როცა მოზარდი კონკურენციას უწევდა უმაღლესი რანგის თეატრებს. არაჩვეულებრივი

სპექტაკლები ჰქონდა დადგმული: „ქამუშაძის გაჭირვება“, „ირინეს ბედნიერება“, „რღვევა“, „ჩვენებურები“, „მე ვხედავ მზეს“, „სიმონა მაშარის სიზმრები“, „ბედნიერი ბილეთი“, „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“, „კუკარაჩა“... სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება... თავისებური, განსაკუთრებული ხელწერა ჰქონდა, ყველასგან გამორჩეული — მძაფრი სათქმელით და განსაკუთრებული ფორმით. კიდევ იმითაც იყო მისი სპექტაკლები გამორჩეული, რომ სახეების მთელი გალერეა შექმნეს მსახიობებმა. ამ მხრივ გამორჩეული იყო „ქამუშაძის გაჭირვება“. ეს იყო ნამდვილი შედევრი, ეს სპექტაკლი მუმუშას ჯგუფის საფიპლომო ნამუშევარი იყო, თეატრის მსახიობებით გაძლიერებული, ყველანი კარგები იყვნენ, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო ლემურა ჯაყელის მიერ არაჩვეულებრივად შესრულებული „ეკვირინეს“ სრულყოფილი სახე. ლემურასნაირი მართალი მსახიობი ცხოვრებაში არ შემხვედრია...

ბედნიერი კაცი იყო მუმუშა, ყველა სტუდენტს სიგიურმდე უყვარდა... ბოლო წლები როდესაც წავიდა თეატრიდან, სტუდენტების აღზრდას მოახმარა და უაღრესად ნაყოფიერად იმუშავა მათთან.. მისი წასვლის შემდეგ, სცენაზე, როგორც მსახიობი აღარ ავსულვარ... ამის შემდეგ წავიდა „მოზარდის“ საქმე ცუდად...

კონფლიქტიც გვქონია... მახსოვს „კუკარაჩაზე“ მუშაობისას, სადაც მურტალოს როლს ვასრულებდი, მუმუშა რაღაცაზე გაბრაზებული იყო ჩემზე... ასეთი რამ მოიფიქრა — ინგამ უნდა გაარტყას მურტალოს (?)! ვინწყებდით რეპეტიციას, ინგა — მარინა აბაშიძე გამეტებით მირტყამს სახეში... არ ვარგა, ამბობს მუმუშა — მეტი დამაჯერებლობაა საჭირო... ინგა — მარინა ისევ მირტყამს, ახლა უფრო ძლიერად!.. სახეზე ხელი ვიტაცე — არა! არა! მურტალო არ უნდა გაინძრეს!.. და ასე 15-ჯერ „გავიარეთ“ ეს სცენა. მარინა და მუმუშა კმაყოფილები არიან, მე სახე მიხურს და ყურებში გუგუნი მაქვს. — ეს სცენა სპექტაკლში არ შესულა (?!) ხო კაია?..

„კუკარაჩა“ გახდასაშუალება, რათაერთხელ კიდევმეთქვამადლობა მუმუშასთვის. დადგმიდან 27 წლის შემდეგ (!) გადაწყდა აღგვედგინა „კუკარაჩა“. აღდგენა მე დამევალა. რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, რათა სპექტაკლს არ დაეკარგა ის სახე, ის სული, მძაფრი სათქმელი და იუმორი, რაც მასში მუმუშამ ჩადო, ვფიქრობ, დასთან ერთად მოვახერხეთ ეს და „კუკარაჩა“ აღდგა ცოცხალი სახით...

„მოზარდი“ გახდა ჩემთვის ის თეატრი, რომლისთვისაც არასოდეს მიღალატია, 1963 წლიდან დღემდე აქ ვმუშაობ. განაწილებით მოვხვდი ამ თეატრში და სხვაგან გადასვლაზე არც მიფიქრია, აქ შევიძინე მეგობრები, აქ მქონდა წარმატებები თუ ჩავარდნები... „მოზარდი“ ჩემი სახლია, ჩემი ცხოვრება... არაჩვეულებრივი დასი დამხვდა — ვახტანგ არეშიძე, ივანე ნინუა, გიორგი დეისაძე, რეზო თავართქილაძე, გელა რევაზიშვილი, შოთა ქრისტესაშვილი, ნოდარ ცერცვაძე, იამზე ტყავაძე, იზოლდა ელისაშვილი, ბელა ჯაფარიძე, ლეილა ძიგრაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, ოთარ სეთურიძე... შემდეგ შემოგვემატნენ — ლადო მევაბიშვილი, მანონ აბაშიძე, ჯოყოლა ფილფანი, ტარიელ გიორგაძე, ომარ გაბელია, სოსო მოლოდინაშვილი, ბერტა ხაფავა, ნელი ჯავახიშვილი, ნათელა მაჭავარიანი, მაკა გოგიჩაიშვილი, დარეჯან ხარშილაძე, მერაბ შირაქაძე, ალექსო მახარობლიშვილი, ამირან შარმანაშვილი, გიული მახათაძე, გია ძნელაძე და სხვები და სხვები... სამწუხაროდ, ბევრი მათგანი აღარაა ცოცხალი...

აქ მუშაობდნენ რეჟისორები: შალვა განერელია, სერგო ჭელიძე, თენგიზ მალალაშვილი, ნანა ხატისკაცი, თემურ ჩხეიძე, კოტე სურმავა... თემურ ჩხეიძესთან ჯერ კიდევ ინსტიტუტის პერიოდში ვმეგობრობდი. თავისი პირველი დადგმები თბილისში სწორედ მოზარდში განახორციელა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მის მიერ დადგმული „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“, დავით კლდიაშვილის ეს ორი პიესა ერთ სპექტაკლად დადგა. არაჩვეულებრივი სპექტაკლი გამოვიდა, საოცარი მუშაობა იცის თემურმა, ისე თავისუფლად ძალდაუტანებლად გაკეთებინებდა როლს, გეგონებოდა ეს ყველაფერი შენ გააკეთე და რეჟისორი არაფერ შუაშია, ბოლოს კი ხვდები, რომ ძალიან ძლიერ და მნიშვნელოვან რეჟისორთან გაქვს საქმე. ამას მე მისი შემოქმედების დასაწყისზე ვამბობ, მერე კი როგორი რეჟისორი დადგა

ეს საყოველთაოდაა ცნობილი... თემურთან 5 სპექტაკლზე ვიმუშავე – პირველი იყო საბავშვო სპექტაკლი „შეიდფერა ყვავილი“, შემდეგ „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“, „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“ და სატელევიზიო სპექტაკლი „მარადისობის კანონი“.

მანამდე რატომძაც ლირიკულ გმირებს მათამაშებდნენ, თემურმა კი „დარისპანის გასაჭირში“ - ოსიკო, ხოლო „მარადისობის კანონში“ - ბულიკა მკვეთრად სახასიათო როლებში მათამაშა, შეეძლო ასეთი ექსპერიმენტის ჩატარება – ვფიქრობ, არ გავუნდილე იმედი...

გული დამწყდა, როცა „მოზარდიდან“ წავიდა, მაგრამ ეს ძალიან ნიჭიერი, დახვენილი გემოვნების მქონე, იუმორით სავსე რეჟისორი ისეთ მწვერვალებზე ავიდა, რომ რაღა მეთქმის ერთი რამის გარდა – მენატრება შენთან მუშაობა თემურ...


ბატონი თენგიზ მაღალაშვილი მინდა გავიხსენო, წლების მანძილზე ვიმუშავეთ ერთად, განსაკუთრებით მინდა გამოვყო მისი სავტორო სპექტაკლი „სადა ხარ, სოფიკო!“, მაშინ ის სპექტაკლი დიდი წარმატებით მიდიოდა, მე და ნათელა მაჭავარიანი ვთამაშობდით მთავარ როლებს... ამ სპექტაკლში გურამის როლისთვის პრემიაც მივიღე...

„მოზარდში“ მუშაობდნენ მხატვრები, მიშა ჭავჭავაძე, კაკი რამიშვილი, შემდეგ აივენგო ჭელიძე და სხვები... მიშა და კაკი ჩემი უახლოესი მეგობრები იყვნენ, გამორჩეულებითავიანთი ნიჭიერებითა და ადამიანური თვისებებით... სამწუხაროდ, ძალიან ადრე წავიდნენ ამქვეყნიდან... ისევ ტკივილი... აივენგო ჭელიძესთან პირადი მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთობა მაქვს დღემდე. ჩემი სპექტაკლების მხატვარი, უმეტესად რაც საქართველოში განვახორციელე, აივენგო ჭელიძეა, ძალიან კარგად უუგებთ ერთმანეთს, შემიძლია ვთქვა, რომ იგი არა მარტო კარგი მხატვარია, არამედ ძალიან კარგი მრჩეველიც, ხშირად, როცა რეპეტიციებზე გვერდით ზის, ცალი ყური მისკენ მაქვს, ისეთ ზუსტ რჩევას იძლევა, რომ იქვე ვითვალისწინებ. აივენგო ძალიან ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს სხვადასხვა თეატრებში და ევროპაში. მადლობელი ვარ, რომ ჩემთან მუშაობისთვის დროს ყოველთვის პოულობს. ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება, ამის დიდი იმედი მაქვს...

... და კიდევ ერთი ჯგუფია თეატრში — „ტექნიკური პერსონალი“. ძალიან დასაფასებელი ხალხი. ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა მათთან. ეს ადამიანები ფაქტიურად უანგაროდ ემსახურებიან თეატრს, ერთგული და თავდაუზოგავები არიან, პრემიერას შენთან ერთად ზემობენ... ძალიან მიყვარს ეს ადამიანები, ახლაც ჩემს გვერდით არიან თამაზი, მამუკა, გიორგი, ბექა, ზურა, მარინა და სხვები და სხვები. სადაც კი დამიდგამს სპექტაკლი, „ტექნიკური პერსონალი“ ყველგან ასეთია — ძალიან დასაფასებელი და თავდაუზოგავი...

ჩემი სტუდენტები დღემდე მეგობრობენ ჩემთან. მიხარია, როცა მათი წარმატების შესახებ ვგებულობ. – ახალგაზრდებთან ურთიერთობა ყოველთვის გაძლევს რაღაც ისეთს, რაც მანამდე არ იცოდი. ახალგაზრდებს ყოველთვის მოაქვთ რაღაც ახალი, თუ მათთან მჭიდრო კავშირი არ გაქვს, ჩერდები, ვერ ვითარდები და სიახლეს ვერ ეზიარები... ასე რომ მთლად დარწმუნებული არა ვარ მე ვასწავლე მეტი, თუ მათგან მივიღე... ჩვენი ურთიერთობა საქმიანი, მეგობრული იყო ყოველთვის... საქმეში არავის არ ვპატიობდი, კიდეც ვხალისობდით, ის კი არა ერთად ვვიჩეუბია კიდეც... მართლა განსაკუთრებული მეგობრობა მქონდა და მაქვს მათთან. არ მინდა სენტიმენტალობაში ჩამომერთვას, მაგრამ ვალიარებ თითოეული მათგანის დანახვაზე სხეულში სითბო მეღვრება. მათგანაც დიდ სიყვარულს ვგრძნობ და ეს დიდად მახარებს.

დაკარგული ახლობლები ძალიან ბევრი მყავს... ჩემი პირველი ტკივილი თამაზბაბალოვის (კლასელის) ტრაგიკულად დაღუპვა იყო... მას შემდეგ ბევრი მეგობარი და უახლოესი ნათესავი გამომაკლდა... ადამიანი სამოცდაათ წელს რომ გადასცდები, გამოგაკლდება ახლობლები აბა რა იქნება?!.. მაგრამ მაინც არიან ადამიანები, რომელთა დაკარგვას დღემდე ვერ ვეგუები... ბებიები, ბაბუები – რამდენი სითბო



ჩემი ღილი ტკივილი, ჩემი იამზე ფყავაპე, ჩემი კაკი
რამიშვილი და ჩემი მისა ჭავავაპე. უნიჭიორესი აღამიანები...
რა სევდიანი თვალები აქვთ...

მახსოვს მათგან. ჩემი მშობლები – მშრომელი, პატიოსანი, მრავალტკივილგადატანილი ადამიანები, როგორ ზრუნავდნენ ჩვენზე, როგორ ცდილობდნენ პატიოსანი, წესიერი ადამიანები გამოვსულიყავით... ჩემი ძმა ჯემალი, უნიჭიერესი კაცი – რით შეიძლება შევავსო ეს დანაკლისი?! მეგობრები, კოლეგები... იამზე ტყავაძე – ჩემი უახლოესი ადამიანი, მეგობარი, რომელიც ისე იყო გადაფორილი ჩემზე, როგორც არავინ! რა სისულელეც არ უნდა ჩამედინა, ყოველთვის მამართლებდა... იამზეს მამასთანაც ვმეგობრობდი (ბატონ შალვა ტყავაძესთან), მისმა დაკარგვამაც მატკინა გული. იამზე ჩემი შვილის ნათლია იყო... ხშირად ვიხსენებთ და ძალიან გვაკლია... და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი ახლობელი მაკლია... მიშიკო, კაკი, ტარიელი, მანონი, გელა, პეტრე, ნოდარი და სხვები და სხვები... და კიდევ ქართული თეატრიდან წასული დიდი თაობა, რომლებმაც არა მარტო მე, საქართველოს ატკინა გული.

ოტია იოსელიანი შემახვედრა განგებამ, გამაცნო, დამამეგობრა და ბოლოს ისე განვითარდა ჩვენი მეგობრობა, რომ ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი ჩემი შვილის ნათლია გახდა. ყველაფრით გამორჩეული — ჩაცმულობით, შემოქმედებით და ცხოვრების წესით... მეზობლები ვიყავით... ახალშესახლებულებს რემონტი გვქონდა, (ისე მოხდა, რომ მშენებლებმა ცარიელი კედლები ჩაგვაბარეს და ყველაფერი ჩვენი და ჩვენი მეგობრების გასაკეთებელი შეიქნა)... ლილი დაუნახია, ჩექმებით და ხელთათმანებით აღჭურვილი აგურებს ეზიდებოდა (!)... ოტიას გამოუკითხავს – ვინ არის ეს მშრომელი ქალიო?.. გაგვეცნო და ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

მრავალმხრივ განათლებული, მშრომელი, ყველანაირი კაცური საქმის ზედმიწევნით მცოდნე, „თორმეტი სპეციალობა მაქვსო – მწერლობა ბოლოაო“ - ამბობდა, იუმორით სავსე, თეატრის ძალიან კარგი მცოდნე და მოყვარული და რაც მთავარია, სიმართლის პირში მთქმელი კაცი იყო... რა ძნელია, ოტიაზე თქვა – იყო...

ჩვენი გაცნობის შემდეგ, რაც დაწერა ყველაფერი დაბეჭდვამდე გვქონდა წაკითხული, ან ჩვენთან ჩამოვიდოდა II სართულზე, ან ჩვენ დაგვიძახებდა თავისთან IX-ზე, გვიკითხავდა ახალ მოთხოვნებს, იგავებს, ლექსებს და პიესებს. ყურადღებით ისმენდა შენიშვნებს და ითვალისწინებდა კიდეც. თავდაუზოგავი კაცი იყო და ასეთივე თავდაუზოგავ შრომას ითხოვდა სხვისგანაც... ისე, სხვათა შორის არაფერს აკეთებდა და არც შენ გაპატიებდა ამას. საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა, სპექტაკლის ნახვის შემდეგ ისეთ ზუსტ შენიშვნას მოგცემდა, ისეთ მნიშვნელოვან ნიუანსს ან დეტალს შემოგთავაზებდა გაოცდებოდი.

ერთ რამედ ღირდა მასთან ერთად გასვლა ხალხში, უაღრესად პოპულარული იყო, ყველას უყვარდა, ყველას უნდოდა გამოლაპარაკებოდა – ისიც ყველას უსმენდა, პასუხს აძლევდა, ეკამათებოდა...

დიდი იუმორის პატრონი იყო. ერთხელ გალში ვიყავით სტუმრად ძალიან კარგ მეგობრულ ოჯახში. სუფრა გაიშალა, მასპინძლები თავს ევლებოდნენ და უცებ მასპინძელს ხელი მოუხვდა სავსე ბოკალზე და შამპანური ოტიას გადაესხა, მასპინძელი გაშრა, ყველა დაიძაბა... სიჩუმე ჩამოვარდა და ამ დროს ოტია ამბობს – რას ერჩი კარგად გოუციებიათ შამპანიურიო... ატყდა ხარხარი... ერთ წამში მოხსნა დაძაბულობა.

ბევრს მოგზაურობდა, ხშირად ვახლდი ხოლმე, ზედმიწევნით იცოდა ყველა კუთხის ისტორია და ტრადიციები. სულ საქმეში იყო. წერას რომ მორჩებოდა, ბარავდა ან თოხნიდა. მიწის სამუშაოებს მთვარის კალენდრის მიხედვით ასრულებდა. ყოველთვის მოუცლელი, მაინც ახერხებდა სკოლებში ბავშვებთან შეხვედრებზე სიარულს, ამაზე უარს ავადმყოფიც ვერ ამბობდა – უარი არ შეიძლება, ბავშვები გველოდებიანო... ხშირად ვახლდი ასეთ შეხვედრებზე და ვხედავდი, რომ ყველა ეს შეხვედრა დღესასწაული იყო ბავშვებისთვის...


... და კიდევ ერთი, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი შტრიხი მისი ხასიათის – ალალი, გულლია სიცილი იცოდა!.. ეს სიცილი საოცრად ამშვენებდა, სიცილი ხომ შინაგანი სიკეთის გამოხატულებაა... ძალიან დამაკლდა!.. სრულიად საქართველოს დააკლდა!..

... და კვლავ მეგობრებთან ვარ, უმეგობროდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. გან-

პეტრელები:

ილაპლი ხიზანიშვილი, პერდია ინცილველი
რენა აბესაძე, მთარ გაღათურია

იცსტიტუტიდან შემორჩენილი უახლოესი
მეგობრები. რენა გამოგვაკლდა...



რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი.
სცენა საღიალომო სპექტაკლიდან „ერთი ლამის შაცელობი“
რეჟისორი კოტე სურიავა
მა — ტომი, ტომის დედა — ნელი თოდაძე





მხატვარ
ლევან მანოიძის
ჩანასაფი

მოზარდ მაყურებელთა
თეატრის ერთი ჯგუფი საცლავეთში



საკუთრებით ძველი მეგობრების მიმართ მიძღვნილი... შეიძლება ეს ასაკის ბრალია... არა აქვს მნიშვნელობა ხშირად ვხვდები თუ არა მათ, მაგრამ მათი არსებობა მამხნევებს და ძალას მმატებს, ჩემი უახლოესი მეგობარი მსახიობი ბერდია ინწკირველი ბათუმშია. ირაკლი ხიზანიშვილი უკვე წლებია ამერიკაშია... ბადრი ცინაძე — ბელგიაში, ჯემალ ჭანკოტაძე — ზესტაფონში, ვანო გოგნაძე — ძირულაში, ფრიდონი (ჩემი ბიძაშვილი) — ბათუმში... რა მოხდა მერე... ჩვენ მაინც ვგრძნობთ ერთმანეთს და გვიყვარს ერთმანეთი. ისინი ჩემები არიან, უიმათოდ არ შემიძლია, არ მინდა... ჩემები არიან შოთა ქრისტესაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი, სოსო მოლოდინაშვილი, აივენგო ჭელიძე, „თამუნინკა“, „ნაგაზა“... ჩემები არიან ჩემი დასის უმეტესობა... ჩემი ყოფილი სტუდენტები, ჩემი შემორჩენილი კლასელები, ის ადამიანები, ვისთანაც მიმუშავია სხვადასხვა თეატრებში — თბილისში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში თუ საზღვარგარეთ...

ვფიქრობ, ერთი კარგი უნარი მაქვს, შემიძლია მეგობრების შეძენა, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ორი ათეული წლის ნინ დავიმეგობრეთ უნივერსიტეტში არსებული „პრეს-კლუბის“ წევრები... ამ ახალგაზრდებმა პრესაში გამოაქვეყნეს წერილი სათაურით — „მამებო, გაგვიძეხით, ნინ!“ ლილის ვინ დაასწრებდა, დაუკავშირდა, გავიცანით ისინი და აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა... ჩვენ ბინაში იკრიბებოდნენ, კამათობდნენ, გეგმებს აწყობდნენ... საოცრად ჭკვიანი, გულწრფელი, გულანთებული, სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები იყვნენ ჩემს წინაშე... ფიქრია, დათო, ბაია, ნიკო, თედო, ნანა, ლელა... შეუძლებელი იყო არ აღტაცებულიყავი მათით. არასოდეს არ ყოფილვარ არც ერთ პარტიაში, მათ მიმართ საოცარი თანაგრძნობა და ნდობა გამიჩნდა. ისეთი სწორი და ზომიერი კურსი ჰქონდათ, მათვის, რომ დაეჯერებინათ, ბევრი რამ სხვანაირად იქნებოდა საქართველოში, ამაში დარწმუნებული ვარ. ... და კიდევ შალვა პეტრიაშვილი „პრეს-კლუბის“ და ჩვენი მეგობარი, ჩვენი არაჩვეულებრივი ექიმი და იმედი, თეატრის დიდი მოყვარული.

ბოლოს ჩემი მეგობარი ჩემი ძმა, გოგლა. ჭკვიანი, ენერგიული, უკიდეგანოდ განათლებული, დაუღალავი... ვეხუმრები ხოლმე — საქართველოში უმუშევრობა იმიტომაა, ყველგან შენ მუშაობ-მეთქი... ძალიან თბილი და საყვარელი ოჯახი აქვს... ძალიან ლამაზი და სათნო მეუღლე, ჩემი ძვირფასი მარინა, შვილები და შვილიშვილები... და კიდევ იდეები, იდეები, გეგმები, გეგმები... იმედი მაქვს ხორცს შეასხამს ამ იდეებს და შეასრულებს დასახულ გეგმებს... წარმატებას ვუსურვებ.

ოჯახი — პირველ მეუღლეს, ადრე დავშორდი... ამ ქორწინებამ უზარმაზარი სიხარული მომანიჭა — ჩემი პირველი ვაჟი... ჩემი შოთა. ულამაზესი ოჯახი აქვს, არაჩვეულებრივი მეუღლე უუჟუ, შვილები — მიშიკო და ვიკა, ძალიან ლამაზები და საყვარლები... მიყვარან და მეამაყებიან!..

მეორედ მოგვიანებით დავოჯახდი... აქაც დიდი სიხარული... ჩემი ირაკლი... და კიდევ ბაჩი მოყვა ლილის... ბაჩის სათნო, დიდი სითბოს მატარებელი მეუღლე ჰყავს ჩემი ნათია. შემდეგ შვილიშვილები დაგვესიენ — თეონა, ლილიკო, ბარბარე... ჩემი საყვარელი გოგოები... ირაკლი ახლახან დაქორწინდა თავის მშვენიერ მეუღლე — სალომეზე, 9 თვის სასწაული ჰყავთ კატო... ერთი სიტყვით, მიშიკოს გარდა სულ გოგოები... თუმცა!.. ოქტომბრის ბოლოს ბიჭს ველოდებით (!) ირაკლის და სალომეს ბიჭს! და ბოლოს ჩემი ერთგული მეგობარია — ჩემი მეუღლე ლილი ბურბუთაშვილი. მსახიობი და რეჟისორი... ოთხ ათეულ წელზე მეტია ერთად ვეწევით უღელს, რომელსაც ოჯახი ჰქვია. როგორც კი დავქორწინდით — „ცოლ-ქმარი ერთ თეატრში არ შეიძლებაო“ — თქვა ლილიმ და რუსთაველის თეატრში გადავიდა... არც არაფერი წაუგია... შემდეგ რეჟისისურაში გადაერთო, ვფიქრობ რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი დადგა... ერთი შტრიხი — თავზე ხელაღებული მძღოლია, როცა დავთვრებოდი ლილი ჯდებოდა საჭესთან და ისე ატარებდა მანქანას სახლში ფხიზელი ვბრუნდებოდი... ენერგიული, დაუღალავი და მიზანდასახულია... ბოლოს ისე გათავხედდა პიესაც კი დაწერა — „ქალი“, მისი ხასიათი რომ ვიცი დადგამს კიდეც... ცხარედაც გვიკამათია... ერთხელ ვუთხარი — ჩვენ, რა თქმა უნდა,

გავიყრებით და ბოლოს მოხუცთა თავშესაფარში შევხვდებით ერთმანეთს-მეთქი!.. სწორედ ამ დროს გამიჩნდა იდეა პიესისა „მეფე ლირი თავშესაფარში“... ოჯახზე ბევრს ვეღარ ვილაპარაკებ, ეს ძალიან ჩემია, ძალიან ჩემი...

ბოლოს — ამ ხუთი წლის წინ ძლივს ფეხზე დამდგარ, ახალგარემონტებულ თე-ატრში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, რომელმაც დაანგრია „მოზარდი“, გაივსო თეატრი არაპროფესიონალებით, მდარე ხარისხის სპექტაკლების ნიაღვარი წამოვიდა... როცა უმსგავსობას შევეწინააღმდეგეთ, მე და ჩემთან ერთად დიდი ჯგუფი მსახიობებისა უცერემონიოდ გამოგვყარეს თეატრიდან... სამართალს ვერსად მივაგენით... ყრუ კედელი აღიმართა ჩვენს წინ. 3 წელი გავატარე ჩემი თეატრის გარეთ, დრო უქმად არ დამიკარგავს, მქონდა მოწვევები ახმეტელის, ქუთაისის, თელავის თეატრებიდან... ახლა აღგვადგინეს თეატრში და თავიდან ვიწყებთ თეატრის შემოქმედებითი ხარისხის ამაღლებას... საქმე ძალიან ბევრია... ძალიან ბევრი!..

როცა გადავხედე, ყველაფერს რაც დავწერე გამოდის, რომ ტკივილიანი და სიხარულიანი ცხოვრება გამივლია. ეს მართალია, მაგრამ ვფიქრობ ძალიან დადებითად წარმოვაჩინე ჩემი თავი... მთლად ასეც არ არის, ცოდვები ბევრი მაქვს, ათასი სისულელეც ჩამიდენია, მაგრამ აქ აღსარებას ხომ არ ვამბობ... ამისთვის მოძღვარი მყავს წარიყალას წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამდღვარი, დეკანოზი, ჩემი ძვირფასი მამა გიორგი თევდორაშვილი, ძალიან მიყვარს და ვფიქრობ, მასაც ვუყვარვარ... მადლობა მინდა ვუთხრა მას.

სულ ბოლოს უღრმესი მადლობა ჩემს ძვირფას ადამიანს, კოტე ნინიკაშვილს, რომლის ინიციატივით და დიდი შრომის წყალობით გამოვიდა ეს წიგნი — მადლობა, ჩემო კოტე!!!....

**მოზარდ მაჟურებელთა თეატრი.
სპექტაკლის „ქამუშაპის გაშირვება“ პრემიერის შემდეგ**



„რა პარგი დროა, რა პარგი ხანა“...

გორგაშვილის თეატრი

მანანა თევზაპცი

ყოველი ადამიანი თავისებური გამოცანაა — ზოგი უფრო მარტივი, თავიდანვე რომ ამოხსნი, ზოგს კი ძნელად გაუგებ რამეს. ასეთები უფრო მეტად ხელოვანთა შორის გვხვდებიან.

ოთარ ბალათურიას გარეგნობა, მისი ახალგაზრდული ქურთუკი, ბიჭურად ჩქარი ნაბიჯი და რაც მთავარია, გეგმებისა და საქმეების სიუხვე და სიმრავლე, ხშირად იწვევს გაოცებას. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სიყმანვილიდან ვარჯიშობს, თავგადაკლული ფეხბურთელია, მოცურავე და ეს სიყვარული შვილსა და შვილიშვილსაც გადასდო, არც არაფერი იქნება გასაკვირი. მაგრამ მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, იგი მაინც, შემოქმედი პიროვნებაა — ორმოც წელზე მეტხანს იმსახურა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში. ამ სცენაზე იდგა, როგორც მსახიობი, ასისტენტობას უწევდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს — შალვა განერელიას, სპექტაკლები დადგა, როგორც რეჟისორმა, დაწერა რამდენიმე პიესა, საზოგადოების ყურადღების მიღმა რომ არ დარჩენილა და, რომლებიც თბილისის, ქუთაისის, გორის, ახალციხის, ფოთის, ოზურგეთის თეატრებში დაიდგა. საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახელმწიფო, ახმეტელის სახელობის, რუსთავის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალ „ოქროს ნიღბის“, ასევე საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სხვადასხვა წლების ჯილდოე-

ბის ლაურეატი, დღესაც ბევრს დგამს, თუმცა სცენაზე თითქმის აღარ თამაშობს.

საერთოდ, მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი თავის პატივისცემა ყოველ დროს შეინარჩუნო და შენი საქმე პატიოსნად, პროფესიონალურად აკეთო, საზოგადოებას გონიერებისა და ადამიანურობისაკენ მოუწოდო. დღეს, როდესაც ტელევიზიის თითქმის ყველა არხზე სისხლი ღვარად მოედინება, ერთი ძალადობა მეორეს ენაცვლება და ეს სურათი მყარად აღიბეჭდება ადამიანთა მახსოვრობაში, ყველაზე სავალალო ის არის, რომ ბავშვები უფროსების სასტიკ გამოცდილებას უერთდებიან. კაცობრიობის საუკეთესო გონი საზოგადოებას ყოველთვის კეთილშობილი ადამიანური საწყისებისკენ მოუწოდებდა, რომ სიკეთე სიყვარულსა ზრდის და აფხვიერებს, მაგრამ, როდესაც სიკეთე და ხელგაშლილობა სამყაროში საკმარისად აღარ მოიპოვება, როგორლაც უნდა ეცადო და საკუთარ თავში უარყოფითი ენერგია კი არა, არამედ თანაგრძნობის, სიყვარულის ენერგია დააგროვო. ხელოვნებაში ნებისმიერი გზაა შესაძლებელი, ოლონდ ამ გზაზე პატარა სანთელი მაინც უნდა გენოს და თუ ერთხელ მოგნათლეს, ეს არ დაივინყო. მხოლოდ გონიერებით, გულითა და რწმენით გავარკვევთ რისთვის მოვევლინეთ ამ დედამინას.

ყველაფერი, რასაც ახლა ვამბობ, სულაც არ ნიშნავს ოთარ ბალათურიას ბუნების იდეალურობას. იგი ისწრაფვის მისკენ, ანუ უბრალოდ მიდის გზაზე, მაგრამ — არ მიხოხავს. სწორედ ამაშია მისი პირვენების საიდუმლოს გასაღები, მისი ნიჭისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის გამოცანა — იგი პასუხისმგებელია საკუთარი ოჯახის წინაშე, საკუთარი საქმის წინაშე, პროფესიის, მეგობრებისა და კოლეგების წინაშე.

შემოქმედებითი პორტრეტი წლების განმავლობაში ყალიბდება — მსახიობის სცენური არსებობის ყოველი წამის, საოცრად რთული, ათასგვარი წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების შეცნობა ძნელია, რადგან არტისტის რეალური ცხოვრება და თეატრი უცნაური, ფანტასტიკური ძალით ერწყმის ერთმანეთს. ამ ადამიანთა ბედს მიღმა მოსჩანს ის დრო და მოვლენები, რომლებიც მათ აყალიბებენ.

ოთარ ბალათურიას მექსიერებაში უამრავი ადამიანის ხსოვნაა დალექილი, რომლებთანაც ურთიერთობა, შრომა და მეგობრობა მოუნია. ეს ის ხალხია, რომელთან ერთადაც იგი თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის გარკვეულ ეტაპს ქმნიდა. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ყმაწვილთა გულს სამყაროს ბევრი სიკეთის შეგრძნების საშუალებას აძლევდა და ცხოვრების შესახებ მათ ნათელ შეხედულებებს განსაზღვრავდა. ბატონ ოთართან საუბრისას ხვდები თუ რატომ შემორჩია ადამიანთა მახსოვრობას ეს თეატრი ლეგენდად. ხელოვანთა დიდი დასი მას არა სახელისა და დიდებისათვის, არა მხოლოდ წარმატებისათვის ქმნიდა, არამედ მაყურებელთან იმ უმთავრესზე სასაუბროდ, რაც საზოგადოებას იმ დროს აღელვებდა. დღეს, როდესაც საოცარი სისწრაფით ქრება ნამდვილი ინტელიგენტის სახე და მხოლოდ სევდა გვრჩება გარდასულ დროსა და ამბებზე, შესანიშნავად აღზრდილ ადამიანებზე, როდესაც ღმერთისგან ბოძებული ინტელექტი რაღაც მოქმედების მოლოდინში კი არ თვლემდა, არამედ სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა... როდესაც წიგნი საცხოვრებელი სახლის მოსართავი ატრიბუტი კი არ იყო, არამედ სულიერი საზრდო, როდესაც ადამიანებს არ ავინყდებოდათ სიყვარული, მეგობრობა და საერთოდ, განცდები, მოზარდ მაყურებელთა თეატრი მსგავსად საზოგადოებისა, სახეცვლილებებს განიცდის. თეატრის კედლებში, მის ატმოსფეროში რაღაც უხილავი თვისებები ჩაიბუდებს ხოლმე და თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ თეატრს არასოდეს ახასიათებდა ხმაური, რეკლამის სიყვარული, დღეს კი საკუთარი თავის ქებაა მოღური.

ოთარ ბალათურიაც იმ დროიდანაა, თუმცა სრულიად თანამედროვე, მხიარული, ხანაც — ბრაზიანი მოკამათე. მან შეძლო იმ იდეალებთან დარჩენა, რომლებთან ერთადაც ცხოვრება დაიწყო. ფაქტობრივად, მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება მოზარდ მაყურებელთა თეატრთანაა დაკავშირებული. უამრავ სპექტაკლში აქვს როლები ნათამაშები. ჩემი აზრით, მისთვის ყოველთვის მთავარი იყო ადამიანის საკუთარ თავთან, ახლობლებთან ურთიერთობა და მის შემოქმედებაშიც პირველ

პლანზე სწორედ ადამიანთა ურთიერთობები, მათი ბედი მოდიოდა. დღეს ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც თაობათა შორის უფსკრულია გათხოვილი, თითქოს ორი პლანეტის მაცხოვრებელი ვიყოთ — ისინი, ვისაც ჯერ კიდევ რაღაც ახსოვს და ისინი, ვინც წარსულის გარეშე გაიზარდა. არადა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს — ხედავდე, გიყვარდეს და იცავდე იმას, რაც გიყვარს. ათეული წლების მანძილზე, სხვადასხვა რეჟისორებთან შემოქმედებითი ურთიერთობისას, გამოიკვეთა ოთარ ბალათურიას ნიჭიერი, თავისებური სამსახიობო ინდივიდუალობა. არაერთი წერილიც დაინტერა მის მიერ სცენაზე, კინოსა თუ ტელევიზიაში განხორციელებული როლების შესახებ. 40 წლის მანძილზე მოზარდ მაყურებელთა თეატრში მის მიერ შესრულებული როლებიდან არც ისე ცოტა იყო მთავარი, გავიხსენოთ გურამი — „სადა ხარ, სოფიკოში!“, ჩონთა — „მოკვეთილიდან“, გოდუნი — „რღვევაში“, უფლისწული — „კონკიაში“, ქალაქის მერი — „სიმონა მაშარის სიზმრებში“, მაგრამ ოთარ ბალათურიას შესრულებით, ყოველი მეორე პლანის როლიც მთელი სპექტაკლის კონტექსტში ჩანერილ მნიშვნელობას და წონას იძენდა. მას შეეძლო მაყურებელთა დარბაზი ანთებული თვალებით, თავისებური ხმის ინტონაციებით მოეხიბლა. ტექსტში აღმოეჩინა ღრმა აზრი და ეს აზრი თეატრში მოსულ მაყურებელთან, ასაკისა და ინტელექტუალური სიმაღლის მიუხედავად, გასაგებად მიეტანა. როგორიც არ უნდა ყოფილიყო სპექტაკლი ან როლი, როგორადაც არ უნდა ემუშავათ პარტნიორებს, ოთარ ბალათურია ყოველთვის ყურადღებამოკრებილი იყო, თითქოს რაღაც იმდაგვარს უფრთხილდებოდა, რაც მხოლოდ მან იცოდა, რაც როლს ზევით იდგა. ყველაფერი საკუთარ ტყავზე უნდა გამოეცადა, საკუთარ სულში დაეძებნა, საკუთარი გონებით შეემეცნა და გამოეთქვა.

თეატრსა და ინსტიტუტში მოღვაწეობისას გამოიკვეთა მისი დრამატურგიული ნიჭი, უნარი — სიტყვის ბუნების ზუსტად შეგრძნებისა. მას, სწორედ რომ ფილოლოგის სიყვარულით უყვარს სიტყვა და მისი მთავარი საიდუმლოც ალბათ ესაა — ერთი ცხოვრება აქვს, რომელსაც არ ყოფს წარსულად და აწმყოდ, იგი მთლიანია მთელი თავისი მდინარებით, სამყაროში საკუთარი ადგილის მოძიებითა და სამყაროს საკუთარ თავში აღმოჩენით.

პიესამ „ამიკო“, რომელმაც ოთარ ბალათურიას დრამატურგის სახელი გაუთქვა, გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწერა. თავდაპირველად სწორედ მოზარდ მაყურებელთა თეატრში დაიდგა, შემდეგ საქართველოს სხვა თეატრებში გადაინაცვლა. სპექტაკლის რეჟისორი თავად ოთარ ბალათურია იყო და მუშაობა თავიდანვე საინტერესოდ წარმართა. მსახიობები თანაბრად, მწყობრი ნაბიჯით მიდიოდნენ პიესის ავტორისა და დამდგმელი რეჟისორის ჩანაფიქრისაკენ. დარწმუნებული ვარ, ამ სპექტაკლზე მუშაობა ნათელ ეტაპად დარჩა ამიკოს — ნუგზარ ყურაშვილის მეხსიერებაში. ოთარ ბალათურიას მსახიობური ინტელიგენტობა, თეატრალური ინტუიცია ხელისშემშლელი კი არ აღმოჩნდა არტისტებისთვის, არამედ ორგანულად შეერწყა სპექტაკლის იმპროვიზაციულ რეჟისურას.

პიესის პერსონაჟთა ხასიათების მრავალფეროვნება, მძლავრი ირონია, სიტყვებს მიღმა დარჩენილი იუმორი და რაც მთავარია, თვითონ თემა, რომელსაც ერთ პიროვნებაში გაერთიანებული დრამატურგი და რეჟისორი სრული სისავსით ფლობდა — სამყაროში ადამიანის მარტოობის თემა, დღემდე ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის. ოთარ ბალათურიამ იმგვარი სიზუსტით, გრძნობიერებით გაშალა ეს თემა პიესაში, რომ ყველა ეჭვი და ილუზია, რაც სპექტაკლის ცქერისას იბადებოდა, მოახლოებულ ფინალთან ერთად ძალაუნებურად ქრებოდა. დღევანდელი გადასახედიდან, პიესა „ამიკო“ ავტორის შემდგომდროინდელი წანარმოებების ერთგვარ პრელუდიად აღიქმება.

„...პიესის ავტორმა, ოთარ ბალათურიამ, თითქმის შეუძლებელი შეძლო: შექმნა სასტიკი და ამავე დროს თბილი, ნაღვლიანი და თან ძალიან სასაცილო წარმოდგენა...“

...მან ზუსტად მიაგნო დღევანდელობის ერთ-ერთ საგანგაშო სენს (მისი „თეატრი — თეატრში“ ხომ ჩვენი საზოგადოების ერთი პატარა წვეთია), თავად საზოგადოება ნელ-ნელა მართლაც დიდი აბსურდის თეატრს ემსგავსება...“

...იქნებ ავტორმა ეს ხერხი იმიტომ მოიშველია, რომ როგორმე სპექტაკლის ჩარჩოებში მოექცია ჩვენი მდუღარე, მოუთოკავი ცხოვრება? თუ უბრალოდ მაყურებელს გაუფრთხილდა, მოერიდა ჩვენი სასტიკი რეალობის პირდაპირ ჩვენებას?..

...შემთხვევითი არ არის, რომ თავიდან ამიკო, ხმლით ხელში, სირანო დე ბერუერაკის როლში გვევლინება... სწორედ ეს გახდავთ მისი ტრაგედიის მიზეზი. არაფრის შემემნელ საზოგადოებას სხვა გმირი სჭირდება...“ ამგვარად წერდა 1997 წელს სპექტაკლის რეცენზენტი მ. ბარბაქაძე.

გარე სამყაროს ტემპერამენტულმა ალქმამ და აქტიორული ენერგიის გამოვლინებებმა თავი იჩინა, როდესაც ოთარ ბალათურიამ ზღაპარი-კომედია „ავი ლომისგან დღეს, ვინ გადაარჩენს ტყეს?..“ შეთხზა და რომელიც 1999 წელს, ასევე თავად დადგა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

მაგრამ მთავარი პიესა, ალბათ, მაინც სევდიანი კომედია — „მეფე ლირი თავშესაფარში“, რომელიც 2001 წლის საუკეთესო პიესად აღიარეს, თითქმის ერთდროულად დადგეს ახმეტელისა და მესხეთის, ოდნავ მოგვიანებით კი ბათუმის, ქუთაისის, გორის, ოზურგეთის, ფოთის სახელმწიფო თეატრებმა, ასევე დაიდგა ზესტაფონის სახალხო თეატრში.

პიესაში დასმული აქტუალური პრობლემები, სოციალური რეალობა მხოლოდ ფონია ადამიანის შინაგანი სამყაროსა და ბუნების ნარმოსაჩენად. პიესის გმირთა საოცარი, თითქმის კოსმიური მარტოობა მათ მიმართ საოცარ თანაგრძნობას იწვევს. ოთარ ბალათურიას თითქოს უფრო მკვეთრი, წინააღმდეგობებით სავსე ხასიათები იზიდავს, არტისტულ შესაძლებლობებს მაქსიმალურად რომ ამჟღავნებს. მაგრამ პიესის დატანჯული, თავისი არსებობის ტვირთით, განცდებითა და ეჭვებით დახუნდლული გმირები ამ სამყაროში ავტორთან ერთად მოგზაურობისას, ჭკვიანურად, ემოციურად და ამავდროულად, ირონიულად შესცეკრიან სამყაროსაც და თავის თავსაც.

ოთარ ბალათურია ნახევარტონებით ხატავს ხასიათებს, რომლებიც არ გვავიწყდება. მის ახალ ნამუშევარს მსახიობებთან ერთად განვიცდით და რადგან ისინი სპექტაკლის შემდეგაც არ გვანებებენ თავს, დიდხანს ვფიქრობთ მათზე. ამ პიესაში ვლინდება დრამატურგის არა მხოლოდ პროფესიონალური ოსტატობა, არამედ პიროვნული კულტურა, რაც ჩვენს დროში ასე დასაფასებელია.

პიესა „მეფე ლირი თავშესაფარში“, 2004 წელს, კონკურსმა „თანამედროვე დრამატურგია“, საუკეთესო დრამატურგიულ ნაწარმოებად აღიარა და ახმეტელის სახელობის თეატრში დაიდგა. ორიგინალური იყო სპექტაკლის საერთო გადაწყვეტა, შეიქმნა საინტერესო სახეები, საზოგადოებაში კი იმდენად დიდი იყო რეზონანსი, რომ მის შესახებ ცნობილი გახდა ბალტიისპირეთის ქვეყნის — ლატვიის, ქალაქ ვალმიერის თეატრისათვის და 2009 წლის აგვისტოს თვეში, თავად ოთარ ბალათურიას რეზისურით, ფესტივალ „ცესისი 2009“-ის ფარგლებში, კიდეც შედგა მისი პრემიერა. სპექტაკლი სამი ნომინაციითაა წარდგენილი ლატვიის თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიურ ჯილდოზე, მას ლატვიური საზოგადოების დიდი ყურადღება ხვდა წილად, არა ერთი რეცენზიაც მიეძღვნა.

არტისტებთან, ამ უჩვეულო ადამიანებთან გამუდმებული კონტაქტისას, მთავარი ის კი არ არის, რამდენი წლისაა ესა თუ ის მსახიობი, არამედ ის, თუ რას გამოხატავს მისი სული თვალებიდან, ცხოვრების მანძილზე რა ენერგიის დაზოგვა შეძლო, მოქმედების და დასახული მიზნის მიღწევის რა სიმძლავრის სურვილები გააჩნია. ამ დროს, ალბათ, მნიშვნელოვანია იფიქრო, უფრო კი იგრძნო თუ რა განუხებს, რაზე გწყდება გული? — ახლობლებთან ერთად სულიერი თუ ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტით მონიჭებულ სიხარულს კი არაფერი შეედრება. არის დრო, როცა ნაკლებად ფიქრობ ცხოვრების თანმდევ შეცდომებზე, მაგრამ ის დროც დგება, როდესაც არა მხოლოდ ფიქრობ მათ შესახებ, არამედ კიდეც განიცდი მათ, რომ ყველაფერი არ არის ისე ადვილი...

ოთარ ბალათურიას პიესაში „მეფე ლირი თავშესაფარში“, თითქოს ყველაფერმა იმან მოიყარა თავი, რაც ამ არტისტში დიდი ხნის მანძილზე არსებობდა, ცხოვრობდა

— არაჩვეულებრივმა გრძნობებმა, ემოციებმა, სულის მოძრაობამ, ქვეყნისა და მისი ცხოვრების, კონკრეტული პიროვნებებისა და ზოგადად, ადამიანთა სევდამ... მისი ნიჭი, პროფესიონალიზმი, სერიოზული და წესიერი დამოკიდებულება სამუშაოსად-მი, შრომისმოყვარეობა და ხელოვნებისადმი ერთგულება უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ოთარ ბალათურიას — შემოქმედის პოტენციალი არ ამონურულა და წინ ახალი შემოქმედებითი ნარმატებები აქვს. ვიცი, რომ სულ ახლახანს ქუთაისის თეატრში ვაჟა-ფშაველას მოთხოვობის „სათაგურის“ მიხედვით საკუთრივ გაკეთებული ინსცენირება დადგა — არაჩვეულებრივი, საყვარელი გმირებით დასახლებული ნაწარმოები.

და რახან, ქუთაისი ვახსენე, ბატონი ოტია იოსელიანის მიერ 2002 წელს ნათქვამ სიტყვასაც გავიხსენებ: „...პორტრეტს შუქ-ჩრდილები ხატავს. ოთარ ბალათურიას მკვეთრი, მუქი ჩრდილი არა აქვს. თუ აქვს, ნაცრისფერი, ნათელი ბევრი: კეთილი, ერთგული, შემნდობი, მომსმენი, გამგები, მშრომელი არა მარტო შემოქმედებაში, არამედ ყოფა-ცხოვრებაში. ასფალტზე კი დადის, მაგრამ არც ოღონილრო, ორნოხებში ბორძიკობს. რაც იცის, ხომ იცის, რაც არ იცის, ისიც იცის. ან რომ დაინახავს, უკეთესად მქნელ-მკეთებელს გაცნობიერება, აღქმა მოსწყინდება, სწავლა შეუძლია...“

ახლა საშუალება არ მაქვს სრულყოფილად შევაფასო ოთარ ბალათურიას სამსახიობო ნამუშევრები, მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ იგი ერთნაირად საინტერესო იყო ჩინთას როლშიც და ქალაქის მერის როლშიც. ჩემთვის რომ ეთხოვათ მსახიობის შემოქმედებითი მეთოდის ერთი სიტყვით განსაზღვრა, ალბათ ვერც შევძლებდი, უბრალოდ, მას ყოველთვის ჰქონდა მეორე პლანი, რაღაც გამოცანა, თამაშობდა კეთილსა და კარგ ადამიანს, თუ ცუდსა და უნებისყოფოს. მან მართლაც ბევრი როლი ითამაშა, დიდიც და პატარაც, თუმცა თითქმის ყველა კარგ პიესაში. ძველ სპექტაკლშიც „შეუგდიათ“ და ძალიან მშვიდად შესულა, რადგან სამუშაო — სამუშაო. ამ შემთხვევაში მისი პრინციპი იყო — თუკი არ გაქვს საშუალება გააკეთო ის, რაც მოვნოს, მაშინ უნდა მოიწონო ის, რასაც აკეთებ. ბოლოს და ბოლოს, სურვილის შემთხვევაში, მსახიობს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა რაღაცას მოეჭიდოს, თუნდაც პანაწუნა ეპიზოდს. მით უმეტეს, რომ რეჟისორებს ხშირად სულაც არ მოსწონთ ის მსახიობები, რომელთაც მხოლოდ პამლეტის ან ოტელოს თამაში უნდათ, მათ უფრო ისინი ხიბლავთ, ვინც ოსრიეშიც ბოულობს სასიხარულოსა და საინტერესოს. შეიძლება მას ის როლებიც არ უთამაშია, რომლებიც მისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ გრძელი შემოქმედებითი გზა შრომითა და მოთმინებით გადალახა და ხელოვნების ყოველ სარბიელზე საკუთარი ღირსების შეგრძნებით იყო აღსავსე.

და ბოლოს, ვფიქრობ, რომ სცენის დატოვება შემოქმედისათვის, რომელმაც თეატრს არა ერთი ათეული წელი უძღვნა, არც ისე ადვილია. არ დავაკონკრეტებ ჩემს ნათქვამს, არც დამნაშავეთ დავუწყებ ძიებას. მე მგონია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ქალაქის ერთ თეატრში გათამაშებულ ამბავსა და არტისტების საქციელში მთავარი მიზეზია დაფარული, რომელიც უნდა ითქვას — მთავარი მიზეზი შემოქმედებითი დაუკმაყოფილებლობაა!..



ეს, ქალბატონი ლილი იოსელიანის ჯგუფის სადიალომ საექტაკლი იყო, „ქამუშაპის გაშირვება“. ორი ცელი ვიმუშავა ქალბატონ ლილისთან და ეს ორი ცელი დაუვიცხვარია ჩიმთვის. ქალბატონ ლილისთან შემოქმედებითი მუშაობა კი არა — უპრალო ურთიერთობაც დიდი სკოლაა.

ქალბატონი ლილი ავად გახდა და საექტაკლი მე დავღირ. მუსიკალურად უნიჭირესობა და არაჩვეულებრივია აღამიანია, ტრაგიკულად დაღუპულია ეჭიშვილ გარაზანიშვილ გააფორმა. მესამე რიგში დგას მარცხილან მირვე.

ეს უკვე ჩიმი ჯგუფია, მუმუშამ დამითოო. ჩიმი ქუთაისის სალეპი, ახალციხეს ლეპი და ჭიათურლეპი. მეტყველებას ქალბატონი ნატო ჩიტაია ასცავლიდა. აქ პირველა ურსელეპი არიან, კარგი გამოცდა გვერდი...


მოზარდის დასი. მგონი, 1968 ცელია... იმ დროს მთავარი რეზისორი თანამდებობა მაღლავილი იყო. კარგი ხანს ვიმუშავოთ ერთად, განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი საავტორო საექტაკლი „სადა ხარ, სოფიკო!“. მაშინ ეს საექტაკლი დიდი ცარმატებით გადიოდა. ნათელა მაჭავარიანი და მი ვთავავობდით მთავარ როლებს... ამ საექტაკლში მი და ნათელამ პრემიერიც მივიღეთ...

ახლა სურათს დავხედე და... ღმერთო, რამდენი აღარჩა ამავეყნად...

განსახიერავული სერენი სასეაზო მოზარე გაყარაბეთა ქართულ თეატრში

თორიჩელი - „გალილეო გალილეი“, სცენები საეპთაკლიდან

ერთ-ერთი პირველი საეპთაკლი
მოზარდში, ჩემს ძვირფას
პარტიონრეპთან ერთად. რაზო
თავართებილაძე, იამზე ჟყავაძე,
ვაცტანგ არეშიძე, ნოდარ
ცერცვაძე.




ლეონო - ფ. შილერი „ორლიანელი ეპლული“



ირვი - „რომეო, ჯულიეტა და ცყვდიაფი“






სცენები
საექტაკლიდან
„რომეო,
ჯულიეტა და
ცყვდიალი“


ესთორი -
გარინე გზალავა

თამურთან
მუშაობა
ყოველთვის
საინჟინერო
იყო... ასეა აქაც,
ის მისი პირველი
ნაბიჯები იყო
თბილისში.

უფლისწელი - „კონკია“



ლევანი - „ტარიელ გოლუა“



სცენა
სპექტაკლიდან
„პოლეგები“

ჩემი ტარიელ გიორგიძე... რეზო
თავასთავილაძე, თემურ ჩხეიძე, მა და
რუსლან მიეაჩერიძე. რა „სასტავია“?!.

ოსიპო - „დარისპანის გასაშირი“


ჩემი პირველი სახასიათო
როლი, დიდი მადლობა თემურს






სოენები საექტაკლიდან „დარისპანის გასაჭირი“

დარისპანი - ნოდარ ცერცვაძე,
ონისიმე - გელა რევაზიშვილი



გურამი - „საღა ხარ, სოფიკო!“

ჩემთვის ეს როლი ახალი
ეტაპი იყო, სხვანაირი,
ჩემთვის ცოტა უჩვეულო
მანერით ნათამაშები...



სოფიკო - ნათელა მაჭავალიანი



ჩოხა - „მოკვეთილი“

ყველაზე ზუსტად
გაგებული ვაზას
სათქმელი თქვე
შალვა განერელიამ.



ლევანი - „ძამუშაპის გაზირვება“


ეფრემისინი - ეთერ გალოვანი



როლი — რომელიც დიდი სიცარული მომიტანა, იმიტომ
რომ მუშაქას განიაღუნ საეჭიაკლში ვითაგაშვ.

დათილო - „მე ვხედავ მზეს“

ხატია — თამარ ლოლაშვილი





კასიუს კოლექტური - „უთავო მხედარი“.
სცენები საექტაპლიზან

რა ფორმაში ვიყავით!!!






ჯოურნლა ფილმანი, გია ქელაძე,
ლემურა ჯაყელი და მაკა გოგიჩაშვილი

ქალაქის მერი - „სიმონა მაშარის სიზმრები“. სცენები საექტაკლიდან






ზურნალისტი -
„შეაჩერეთ მალახოვი“.
სცენა საექტაკლიდან

შვილი - ივიპო მახარაძე

ივიპო მახარაძე,
ჩემთვის ქალიან
ქვირფასი აღამიანი,
უაღრესად
კეთილშობილი და
ცესიერი კაცი.


გოდუნი - „რევევა“.

საბჭოთა პიესიდან
გაყითებული
ანტისაბჭოთა
საექტაკლი...



სცენა საექტაკლიდან
ტატიანა - მარინა აბაშიძე

მურათელი - „პუპბრაჩა“





„ხალხი პრბოა ინგა“...


სცენები საექტაკლიდან - „პუპარაჩა“. ინგა - მარინა აბაშიძე



„მოვიდაა“...


მუროვანი - „პუპერაჩა“

„ჯვარს ეცვით თუ გიცდა, საჭველი
არ არის... არ არის... არ არის!..“




გიორგი - „ალექსანდრე გაუემიგულ სასაფლაოზე“

ამ პიესით გავიცანი უაღნესად
საინტერესო მწერალი და პიროვნება
ირაკლი სამსონაძე...



გიორგი - „ალდგომა გაუძინებულ სასაფლაოზე“

ძალიან მიყვარდა ეს როლი...



სოენა საეპთაკლიდან -
„ აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე “

პატიკო - რაჟდენ კერვალიშვილი

ჩემს სტუდენტთანაც მომილია პარტიონობა...



მინაგო — „ჩვენიგურიგი“



არქეოგი — ლადო გეგვაბიშვილი



მოცენილებას ფილმის დასრულების შემდეგ



„სამცენარე“



სცენა სპექტაკლიდან - „ჩვენებურები“

ზენარა - ნანა მამულაიშვილი




ხეირარი

სცენა ტელესაექტაკლიდან - „ჩვენებურები“




მისამილ ვაშაკე

„მდგმურები“



„ვერსათრიელა“



შოთა ქრისტესაშვილი, ჩემი ქვირზასი მეგობარი, იუმორით სავსე ადამიანი. როცა მასთან ვარ ხმას არ ვიღებ, მინდა სულ მან იჭაპარაკოს, იხუმროს, ამჩენდ მოყვეს... ფანტასტიკურად ეხერხება ეს ყველაფერი.

ამონერილები პრესი ფუნქციები

„თბილისი“ — გულსუნდა კაკაბაძე, 31 მარტი, 1975 წელი.

ფ. შილერი „ორლეანელი ქალწული“ — დადგმა თ. მაღალაშვილის, ლიონელი — ოთარ ბალათურია.

„რეჟისორული გადაწყვეტისა და აქტიორული ხორცების მხრივ განსაკუთრებით ძლიერია მეორე მოქმედება, სადაც ყველა სცენა თანაბარი ძალით მიმდინარეობს. აღსანიშნავია ნ. მაჭავარიანის უანას შეხვედრა ლიონელთან — ი. ბალათურია მსახიობების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს რთული სიტუაციის დამაჯერებლად წარმოსახვა“.

სტუმრად სამი დადგმით — მარინე სხირტლაძე
„თბილისი“ 1987 წ. 18/02. მოზარდ მაყურებელთა გასტროლები რიგაში.

„— ჩემს ცხოვრებაში არის სპექტაკლები, რომელთაც ვერ დავივიწყებ. ასეთია „კუკარაჩა“, როგორ შესანიშნავად თამაშობენ მსახიობები... თქვა ლუციბაუმანემ „ერთხმად აღნიშნეს, რომ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს აქვს საკუთარი ხელწერა, აფასებს სიმართლეს და ამ სიმართლისთვის იბრძვის კიდეც. გმირთა ცხოვრებაში ღრმა წვდომით გამოარჩიეს მსახიობები ოთარ ბალათურია, იოსებ მოლოდინაშვილი, მარინე აბაშიძე, ალექს მახარობლიშვილი, შოთა ქრისტესაშვილი...“

... რაც მთავარია, ლატვიელმა მაყურებელმა გაიცნო და შეიყვარა ჩვენი თეატრი. ეს წარმატება მეტ რწმენას შემატებს მის სამომავლო მოღვაწეობას.

სტუმრების ორი სპექტაკლი — მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლები ბათუმში. მერაბ ხინიკაძე, საქართველოს სახალხო არტისტი „საბჭოთა აჭარა“, 1982 წელი 30/X. (რეჟ. შ. განერელია).

„შემსრულებელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს დამსახურებული არტისტი ოთარ ბალათურია არტემ გოდუნის როლში. გოდუნი ურყევი რწმენის ბოლშევიკია, გამოირჩევა ნებისყოფის სიმტკიცით, სიყვარულით, მტრის ზიზღითა და გონიერებით, რევოლუციის ღრმა შეგრძნებით. გმირის ყველა ამ თვისებას შესანიშნავად გადმოგვცემს მსახიობი“.

თბილისური პრემიერები — ის გამვლელი შეაჩერეთ!
მარინე ვაშაყმაძე. „თბილისი“ 7/II - 1980 წელი.
(ა. აგრანოვსკის „შეაჩერეთ მალახოვი“).

„ეს დადგმა რეჟისორმა ქეთევან ხარშილაძემ განახორციელა. მთავარ როლებში ცნობილი მსახიობები: საქართველოს სახალხო არტისტი რეზო თავართქილაძე და რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ოთარ ბალათურია და სხვები გამოდიან. ეს რა თქმა უნდა, შესაბამისად განაპირობებს წარმოდგენის დონეს“.

„მარტო ვიცი რამ“ — ავტორი ვ. ძიგუა. („ქამუშაძის გაჭირვება“)

„ლევან ქამუშაძის საინტერესო სცენური სახე შექმნა ნორჩი მაყურებლისთვის კარგად ცნობილმა მსახიობმა ო. ბალათურიამ. იგი სავსებით განსხვავებულ ამპლუ-აში წარმოგვიდგა — გამოძერნა მეტად თბილი, სათნო, ცხოვრებისგან განამებული მოხუცის შთამბეჭდავი პორტრეტი. ო. ბალათურიას კარგ პარტნიორობას უწევს დ. ხარშილაძე (ეფროსინე), რომელმაც საბრალო, ტანჯული ხალხისგან უმიზეზოდ შერისხული, დამცირებული დედაკაცის ტრაგიკული იერსახე დაგვიხატა“.

ძიების და ჩაღრმავების შედეგი — „ირინეს ბედნიერება“
ვ. ბრეგაძე. ვაჟა ძიგუა. „თბილისი“ 18/XII - 1982 წელი.

„დამდგმელი რეჟისორის შალვა განერელიას მოღვაწეობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია დამდგმელი ჯგუფის ისე შერჩევა, რომ მის მიერ გამიზნულ ანსამბლურ სპექტაკლს ყველა მონაწილის მადლიანი ხელი აჩნდეს. „ირინეს ბედნიერების“ წარმატებაში უთუოდ ნიშნეული წვლილი შეიტანეს რეჟისორმა ოთარ ბალათურიამ, ქორეოგრაფმა ო. ზარეცკიმ და მსახიობებმა“.

„თბილისი“ 14 ივნისი 1986 წელი.

„კუკარაჩა“ მურტალო — ოთარი

წერილი რედაქციას — რას უდრის ერთს მივუმატოთ ერთი — ეთერ გალუსტოვა. მეა მელაძე, ვაჟა ბრეგაძე, ზურაბ ბახტაძე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების სამმართველოს თანამშრომლები.

„გ. პეტრიაშვილი კატეგორიულად მიიჩნევს, რომ „უცნაურად არის შეცვლილი მათდამი (იგულისხმება პერსონაჟები) მწერლის დამოკიდებულება... სიმპათიები, რატომძაც მურტალოს მხარეს არის და მე არ გამკვირვებია, პირიქით, ლოგიკურად ჩავთვალე, როცა სპექტაკლის შემდეგ ყვავილები სწორედ ამ პერსონაჟის განმასახიერებელს მიართვეს“. „რაც შეეხება მურტალოს სახეს, რეჟისორმა, სრულიად შეგნებულად, სახის გააზრებისას გამოიყენა ცნობილი პედაგოგიური მეთოდი — უარყოფითი მაგალითის უარყოფითი გზა, რომლის ყველაზე სახიერი ნიმუშია სწორედ მორფის გაკეთების სცენა. ვინ იკეთებს მორფს? ვინ არის მურტალო თეატრის გააზრებით? — ერთი დაკნინებული, შემზარავი და ყოველგვარი ადამიანური მომხიბვლელობისგან დაცლილი პიროვნება. შეიძლება შეედავო

კიდეც რეუისორს მურტალოს სახის ესოდენ მძაფრ გაკილვაში, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ბრალი დასდო თეატრს მისადმი სიმპათიის გამომულავნებაში. იმდენად საშიში და ამაზრზენია მურტალოს ყოველი საქციელი და გარეგნული იერი, რომ მაყურებელში მხოლოდ უარყოფით ემოციებს თუ გამოიწვევს. და თუ რომელიმე მაყურებელმა მურტალოს როლის შემსრულებელს, მსახიობს ოთარ ბალათურიას სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყვავილები მიართვა, განა ეს იმის მაუწყებელია, რომ იგი თანაუგრძნობს მურტალოს? დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც მაყურებელი უკვე ალარ აიგივებს მხატვრულ სახეს მის შემსრულებელთან“.

ხვალ სეზონი იხსნება 18/IX -81წ. „სახალხო განათლება“ მაყვალა ცხომარია

„19 სექტემბერს ქართველი ბავშვების საყვარელ მოზარდ მაყურებელთა თეატრში 54-ე სეზონი იხსნება“... ...თეატრის მეორე პრემიერა იქნება პოლონელი დრამატურგის კშიშტოვ ხოინსკის „ლამის ამბავი“... „ვიყოთ უფრო პატიოსნები, უფრო გამბედავები, უფრო კეთილშობილები, უფრო სამართლიანები, უფრო კაცომოყვარენი, ვიდრე ვართ! განა ეს საინტერესო არ არის?“

აი რამ ააღელვა თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი, როცა ამ თემას შეეჭიდა. სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა ოთარ ბალათურიამ. ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს ამ მსახიობს, და აი, მან რეუისურას მიჰყო ხელი. ეს სპექტაკლი ოთარ ბალათურიას დებიუტია რეუისურაში და ჩვენ ყველამ წარმატებული დებიუტი ვუსურვოთ მას.“

* * *

„ხელოვნება“ — ჟურნალი (შენიშვნები მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის გასტროლების გამო) — ედმუნდ ზაბი. ლიტვურიდან თარგმნა უშანები სახლთუხუცესმა.

(„რღვევა“) „სახეთა გაგების მოულოდნელი შედეგი მოგვცა ამ მიახლოებამ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტში, აღმოაჩინა რა ბერსენიევის და გოდუნის ურთიერთობების სულ სხვა აზრი რევოლუციის ამ გადამწყვეტ მომენტში. რა ხდება ნამდვილად? ეტყობა, ასეთი იყო კი კითხვა, რაზეც პასუხის გაცემა მოვალეობად ჩათვალეს შ. განერელიამ და მსახიობებმა (რ. თავართქილაძე — ბერსენიევი, ოთარ ბალათურია — გოდუნი) ვფიქრობ ნინასნარ იცოდნენ ან, სულ ცოტა, გრძნობდნენ მაინც, რომ პასუხი გადააყირავებდა ყველა აქამომდე სტერეოტიპულ გაგებას. „ვინ ჩატება მათ შორის ხიდი? დადგმაში ეს ყველაზე არსებითი კითხვაა. რეუისორი და მსახიობები რ. თავართქილაძე და ო. ბალათურია ამ კითხვაზე იძლევიან პასუხს და თანაც დაუნდობელი სიმკაცრით....“

ოფია იოსელიანთან და ნოდარ ცულეისაილთან



მე, ოთარი, ბაზი და თეატრი

ოფია იოსელიანი

იქნებ კანტი-კუნტად, მაგრამ ჩვენს თეატრალურ სამყაროში მაინც იციან, მე ბატონ სერგო ზაქარიაძის მიერ ძალისძალათი გადრამატურგებულ-გათეატრალებული ვარ. თეატრში ნამყოფიც არ ვიყავი, პირველი პიესა („ადამიანი იბადება ერთხელ“) რომ დამაწერინა.

ოთარ ბალათურია მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი იყო და არის. მე რომ ავტორობა-მაყურებლობას ერთად ვიწყებდი, უკვე „მოზარდის“ ასაკს კარგა ხნის გადაშორებული ვიყავი. მაგრამ ამ თეატრს იმდენად ვიცნობ, რამდენადაც ჩემი (გურამ კლდიაშვილთან ერთად) პიესა „ოქროთი სავსე ქვეყანა“ დადგა, რომელიც კარგა ხანს (რამოდენიმე წელინადი) იყო რეპერტუარში. მერეც მინახავს შალვა განერელიას რეჟისორობით დადგმული დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები ოთარ ბალათურიას მონაწილეობით, მაგრამ ოთარს მე მაინც ოჯახით ვიცნობ (ლილი ბურბუთაშვილთან ერთად, რა თქმა უნდა). ვიცნობ კი არა, ერთ სახლში ვცხოვრობდით და ხშირად ლუკმასაც ვიყოფდით და ეს სიახლოვე ნათელმირონით დაგვირგვინდა.

ამ დროს, ვისზეც ვწერთ, პორტრეტი უნდა ვხატოთ. ოთარ ბალათურია ცნობილი მსახიობია (დღეს რეჟისორიც, პიესების ავტორიც), მაგრამ ასე რომ არ იყოს, ისე უნდა ითქვას, ვინც არ იცნობს და არ იცის, უნდა გააცნო რითაა ის, ვინცაა და ამის შემდეგ იცოდეს, რა კაცთან და ვისთან ექნება საქმე.

პორტრეტს შუქ-ჩრდილები ხატავს. ოთარ ბალათურიას მკვეთრი, მუქი ჩრდილი არა აქვს. თუ აქვს, ბნდუ, ნაცრისფერი, ნათელი ბევრი: კეთილი, ერთგული, შემნდობი, მომსმენი, გამგები, მშრომელი არა მარტო შემოქმედებაში, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიც. ასფალტზე კი დადის, მაგრამ არც ოღროჩოღრო, ორწოხებში ბორ-ძიკობს. რაც იცის, ხომ იცის, რაც არ იცის, ისიც იცის. ან რომ დაინახავს, უკეთესად მქმნელ-მკეთებელს გაცნობიერება აღქმა მოსწყინდება, სწავლა შეუძლია.

ახლა იტყვით, მსახიობზე ლაპარაკობ და არა გეორღობგეტალახებაო, მაგრამ თე-ატრზე თეატრალებმა ილაპარაკონ (ამისთანები ბევრია!) მე მიწისას ვეტყვი.

ჩვენ ერთმანეთთან სტუმარი არ გვეთქმის.

დილაუთენიასაბარავიმაქვს, მჭადისნატეხითუარმოვინიე, ჩვენსმთავრობასავით სასესხებლად და სამათხოვროდ ხომ ვერ ვივლი. ოთარიც ჩემთანაა. მე შენ გეტყვი, დაგზარდება და ვეკითხები:

— კი, მაგრამ მიწისა და ბარვისა თუ რაიმე გაგეგება?

— ბარვისა — ღიმილი იცის, შენს საუხერხულოს რომ თვითონ იუხერხულებს. ჰო, ჰო, ბარვისა... ბარვისა... ბარვა იცი?

ის ჩემს მაგივრად ნაუხერხულევი ღიმილით პირზე შეაშრა.

— წამოდი, წამოდი! კიბეზე ჩაირბინე. — წამოდი და ვნახოთ. რა იცი და არა. თქვენ გგონიათ მიწას ცოდნა არ უნდა.

უყს, ყამირს ვტეხავთ. ამას მარტო ბარზე ფეხის დაკვრა და ბელტებად ქცევა არ შველის. ბარით ისე თანაბრად უნდა მოჭრა და ამოატრიალო, ბალახიანი ქვევით მოექცეს და ქვედა — ზევით, თან ისე უნდა მიაწყო ერთმანეთზე და მიამაგისო, სარეველამ თავი ვერსად ამოჰყოს.

ვიბარეთ ერთხანს, მიყურა, მიყურა და ამჯერად თავისი საუხერხულო ღიმილით თქვა:

— რაც მართალია, მართალია, არ მცოდნიაო.

მარა, სანამ იმჯერად საქმეს მოვრჩებოდით, ისწავლა, ისწავლა, რაკი იცის, რაც არ იცის და ისიც, რომ თეატრიც არ ვარგა უმიწოდ და წვრთნის ნიჭი და ძალისხმევა გააჩნია. დარწმუნებული ვარ, თუ მანამდე არა, მის შემდეგ, როცა გლეხის თუ მუშის როლის დაწერა თუ თამაში დასჭირდებოდა, ბოლომდე გახსნიდა და მრავალმხრივ სახეს შექმნიდა და შექმნის.

აგაშენა ღმერთმა, ეს სამოცი წელი ქე გაგიჯახირებია და დღევანდელი თეატრისა და ხელოვნების შემყურეს, მამაზეციერმა მოთმინება და გამძლეობა მოგცეს.



ოთია იოსელიანთან ერთად მოგზაურობა მთა-თუშეთში. 1981 წელი.

საცდრო ახმეტილის თვალრის აფიშა



ოთარ პალათურია

პ ა ი კ ო

(პიესა ორ მოქმედებად)

მოქმედი პირნი:
ავტორი
ამიკო
ნინო – ამიკოს მეუღლე
ტარიელი
ავთანდილი – მათი შვილები
ფრიდონი
თათია

თბილისი, 1994 წელი

მოქმედება პირველი

(სცენაზე დგას საწოლი, საბეჭდი მანქანა, ტელეფონი, უწესრიგოდაა მიმოფანტული წიგნები. პატარა მაგიდაზე დგას არყის ბოთლი, პატარა ჭიქა, ნამწვავებით სავსე საფერფლე. ყავის მოსადუღებელი „ჯეზვე“ და ყავის პატარა ჭიქა. კედელზე პლაკატები და ფოტოებია გაკრული. ისმის ტელეფონის ზარი. საწოლიდან დგება ახალგაზრდა კაცი, ეძებს ტელეფონს, საწოლის ქვეშაც იხედება, შეამჩნევს, რომ ტელეფონი მოშორებითაა, ზანტად დგება – ზარი არ წყდება, ეტყობა ვინც რეკავს იცის, რომ სახლში არიან – ახალგაზრდა, დავარქვათ მას ჯერჯერობით ავტორი - მიდის ტელეფონთან, იღებს ყურმილს).

ავტორი – დიახ! ისმის წყვეტილი ზუმერი. ავტორი დებს ყურმილს, პირზე წყალი შეისხა – ნაბახუსევია? არ ვიცი – შეიძლება. ზანტად მიდის პატარა მაგიდისკენ, იღებს თაბახის ქალალდების დასტას, ათვალიერებს – რეკავს ტელეფონი, ავტორი იატაკზე დაახეთქებს ქალალდებს და იღებს ყურმილს)

გისმენ!

გოგოს ხმა – მე ვარ.

ავტორი – რომელი საათია?

გოგოს ხმა – თორმეტის ნახევარია.

ავტორი – დილის?

ხმა – ლამის.

ავტორი – ლამის? რატომ დარეკე?

ხმა – ცუდ ხასიათზე ხარ?

ავტორი – (უხეშად) ჰო.

ხმა – რატომ?

ავტორი – არ იცი, რატომ?

ხმა – ვიცი.

ავტორი – აბა, რას მეკითხები.

ხმა – არ მინდა, რომ ცუდ ხასიათზე იყო.

ავტორი – მართლა?

ხმა – მართლა.

ავტორი – რატომ დარეკე?

ხმა – არ შეიძლება?

ავტორი – მე უკვე ყველაფერი გითხარი და დავამთავრე.

ხმა – მე არ მითქვამს ყველაფერი.

ავტორი – თქვი... (ავტორი არაყს ისხამს).

გოგოს ხმა – არ დალიო რა, (ავტორი გაოცებული დგამს არყიან ჭიქას). მიყვარხარ! (პაუზა) გესმის?

ავტორი – არა!

გოგოს ხმა – მარტო ხარ? (პაუზა) მარტო ხარ? (პაუზა) მოვიდე?

ავტორი – არა!

გოგოს ხმა – (პაუზის შემდეგ) რა გითხრეს?

ავტორი – ვინ?

გოგოს ხმა – სამხატვრო საბჭოზე?

ავტორი – არ მოეწონათ!

გოგოს ხმა – მე მომწონს. (პაუზა) მაინც რა არ მოეწონათ?

ავტორი – რა ვიცი, რა არ მოეწონათ, ბებერი კრიტიკოსები, რა ესმით მაგათ თანამედროვე დრამატურგიის, უკან ეპარებათ. დადებითი პერსონაჟები გვინდაო.

მე რა არ მინდა დადებითი პერსონაჟები?..

გოგოს ხმა – ახლა რას აპირებ?

ავტორი – არ ვიცი, გადავხედავ, შეიძლება რაღაცები ჩავასწორო, ფინალი არც მე არ მომწონს... ფინალი გადასაკეთებელია.

გოგოს ხმა – მოვიდე?..

ავტორი – შენ თავმოყვარეობა არა გაქვს? (წყვეტილი ზუმერი) ავტორმა გადადო ყურმილი, დალია არაყი, სიგარეტი ჩაიდო პირში. ეძებს ასანთს, იპოვა საწოლის ქვეშ. ეწევა, კრეფს იატაკზე გაფანტულ ფურცლებს, ალაგებს, ჯდება და იწყებს კითხვას).

ავტორი – ამიკო! პირსა ორ მოქმედებად. მოქმედი პირნი: ამიკო, ნინო, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, გენო, თათია (ჩაფიქრდა, ჩასწორა) თათია, გენო. ლებრე - ასეთი კაცი ასე უაზროდ უნდა გათავდეს?

ამიკო – რატომ უაზროდ? (ავტორმა, ამიკოს ხმის გაგონებაზე არაყი კინაღამ ფილტვებში გადაუშვა, შემდეგ ჩუმად კითხულობს და იმას რასაც კითხულობს ავტორი, ვხედავთ ჩვენ).

მე ვკვდები ისე, როგორც შეჰქორის

ჭეშმარიტ პოეტს, ნუ გავიწყდება,

მე მომკლეს, ლე-ბრე, მაშასადამე, ვერ დამამარცხეს,

ეს იმას ნიშნავს, მაინც მე დავრჩი გამარჯვებული!

აა, მობრძანდი?! ვერ ელირსები დაჩაგვრას ჩემსას...

ფეხზე დამდგარი დაგხვდები...

მოდი, თუ გული გერჩის!

მოდი! გაინით! იქით! დაგვტოვეთ მარტო...

რას მიცერ, რას? ჩემი ცხვირი არ მოგწონს?

ჰაიტ, შე უცხვირპიროვ! (დაშნას იქნევს)

მიიღე! ესეც შენ, კიდევ ერთი!

ეს რაა? მარტო არა ყოფილხარ?

მაშ, ათნი ერთზე მოდიხართ? კარგი...

მომხდარა – ასსაც გავმკლავებივარ!

ვნახოთ... რამხელა ამალა გახლავს! (დაშნას იქნევს)

ეს შენ – სიცრუევ! შენ – ორპირობავ!

შენც საკადრისი მიიღე შურო!

შენც – ანგარებავ! შენც – დიდკაცურო გაბლენძილობავ, გაუმაძლარო!

ჯერ არ მოვმკვდარვარ... ხომ ხედავთ, ვიბრძვი.

ვიბრძვი, კვლავ ვიბრძვი და არ გნებდებით

და ამ ბრძოლაში ამომდის სული (ეცემა).

მორჩა, გათავდა... თუმცა რა, (როქსანას) წელან

როქსანა... ახალ ამბებს ვყვებოდი,

ვერ დავამთავრე, ვერ გავიხსენე,

რა მოხდა შაბათს, ჩვენ პარასკევზე შევჩერდით.

ახლა მსურს დავამთავრო, დავიწყე რაკი,

მაშ ასე შაბათს... შაბათს საღამოს

მოჰკლეს პოეტი დე ბერჟერაკი... (დაეცა იატაკზე)

(შემოდის ნინო)

ნინო – ამიკო! ადექი გაცივდები. (ამიკო გაუნძრევლად წევს), წნევა გაისინჯე დღეს? ამიკო... ხმას რატომ არ იღებ, ბიჭო, ამიკო... (შეშინებული ნინო უახლოვდება ქმარს) ამიკო... (ამიკომ წინ დაჩოქილ ნინოს ხელი სტაცა და მოეხვია). ვაიმე!

ამიკო – (იცინის) შეგაშინე ნინო?

ნინო – რა სულელი ხარ, ამხელა კაცი.

ამიკო – შეგეშინდა ნინო? (იცინის) გყვარებივარ, კარგია. რა ხდება გარეთ?

ნინო – ისეთი არაფერი, სიწყნარეა. ტარიელი ხომ არ მოსულა? (ამიკო იღებს სცენარს და დაშნას).

ამიკო – არა! „ასე იწყება ჩემი ბალადა და ჩემი ბრძოლაც იწყება ასე“..

ნინო – ამიკო!

ამიკო – გისმენ, (ამიკო აგრძელებს სცენარის კითხვას) მე უკვე მზად ვარ, შეიშრეთ ოფლი...

ნინო – ამიკო!

ამიკო – გისმენ, ნინო, რა იყო?

ნინო – არაფერი.

ამიკო – რა არაფერი? რაღაცის თქმა გინდოდა... თქვი...

ნინო – არაფრის თქმა არ მინდოდა (ნინო გადის).

ამიკო – ნინო, მოდი აქ, ნინო!

ნინო – (სამზარეულოდან) არ მცალია.

ამიკო – ნინო! მოდი აქ, საქმე მაქეს.

ნინო – (შემოდის ჯამით და დანით ხელში, ჯამში ხახვი უწყვია, არჩევს ხახვს, თან იცრემლება) არ მცალია, ამიკო, საცაა ტარიელი მოვა.

ამიკო – (მაგიდაზე დაუდებს სცენარს) აი აქედან მიკარნახე, (თვითონ დაშნას იმარჯვებს, ცდილობს მოხდენილად იხმაროს დაშნა).

ნინო – (ყოველგვარი ინტონაციის გარეშე კითხულობს) ნუ ცხარობთ, მესმის, ო კარგად მესმის, რომ თქვენი რისხვა უნაპიროა.

ამიკო – ცოტა ნელა.

ნინო – (კარნახობს ნელა) ნუ ცხარობთ, მესმის, ო, კარგად მესმის, რომ თქვენი რისხვა უნაპიროა. (ამიკო ცდილობს ტექსტი და საბრძოლო მოძრაობები ერთმანეთს შეათანხმოს) რა გაეწყობა, თავდება ლექსი.

ამიკო – რა თავდება, საიდან მკარნახობ, (აჩვენებს) აი აქედან მიკარნახე.

ნინო – ასე იწყება ჩემი ბალადა და ჩემი ბრძოლა იწყება ასე. მაშ ასე, ვიხდი ქუდს და ლაპადას – სირანო რასაც ამბობს, იმას აკეთებს (ამიკო იმეორებს).

ამიკო – რემარკებს ნუ მკარნახობ!..

ნინო – ბოდიში (აგრძელებს) დინჯად, ყვინჩილავ, ნუ ხტით ცეტივით (ნინოს სიცილი აუტყდა) ამიკო! ეს არის საქმე? ამიტომ დამიძახე?

ამიკო – ჰო, რა თქმა უნდა, შენთვის ეს საქმე არ არის... ერთი რამე გამაგებინე, შენ ვერ გრძნობ ვერაფერს?

ნინო – რას? რას უნდა ვგრძნობდე?

ამიკო – რაღაცა დაემართათ ბიჭებს. გამოიცვალნენ, ცუდად გამოიცვალნენ. ტარიელმა ფული იშოვა და სხვა არაფერი აინტერესებს....

ნინო – რა არ აინტერესებს?! გადაყოლილია ჩვენზე! ცუდად ყოველ შემთხვევაში არ შეცვლილა. მაგას რომ ფული არ ეშოვა, რა უნდა გვექნა?

ამიკო – ავთო რა საქმეში გაერია, რა მაგის საქმეა პოლიტიკა. კარგი მომავალი ჰქონდა, ასპირანტურა დაამთავრა, კათედრაზე შეეძლო დარჩენა, თან ვისთანა აქვს საქმე, რა ტიპები არიან?! პოლიტიკოსების გარდა, ყველაფერს გვანან – კლინიკური გიჟები.

ნინო – კარგი რა... ნუ იცი გადაჭარბება! გადასარევი ბავშვები არიან!..

ამიკო – ბავშვები... (ამიკო კვლავ სცენარს მოუბრუნდა, ჩუმად კითხულობს).

ნინო – სამშობლოზე შეყვარებულები, აგერ ნახავთ, თუ მოვესნარით, სად წავა ჩვენი ავთო... ბიჭო?

ამიკო – რა იყო?

ნინო – იქნებ დაგენტო ტარიელთან ფირმაში მუშაობა – გაერთობოდი, ცოტა ფულსაც იშოვიდი...

ამიკო – ჩემი შვილის ქვეშევრდომი გავხდე?! ხომ გადამიარა თავზე?!..

ნინო – ტარიელთან თუ არა, სხვაგან გეცადა...

ამიკო – რა ვქნა? – დილით „ბუტკაში“ ვიდგე და საღამოს სცენაზე გამოვიდე?

ნინო – სცენაზე მაინც აღარ გამოდიხარ...

ამიკო – რატომ მელაპარაკები ასე? შენ გგონია აღარაფრის გაკეთება აღარ შემიძლია? გგონია დამთავრდა ყველაფერი? მე კიდევ ვიტყვი ჩემს სიტყვას! (უცებ შეამჩნია, ყურმილი გადადებულია, ყვირის) ვინ გადადო ყურმილი? ვინ გადადო...

რა ვიცი, იქნებ რეკავდნენ და მე კი იდიოტივით ველოდები ზარს! (დიდხანს ვერ წყნარდება) ფრიდონი სად დადის? რას აკეთებს? იცი რამე?.. მე არ მინდა ასე პირდაპირ დავუწყო დაკითხვა. შენ დედა ხარ და გამოკითხე ქალურად, რა უნდა, რას აპირებს, მე მგონი ცუდ ხალხთან აქვს საქმე, სულ რაღაც ჩანთებით დადის, რაღაცა მიაქვს, რაღაცა მოაქვს. ძმაკაცისააო იძახის, მაგის რომ არ არის ფაქტია, ფული არასოდეს არა აქვს ჯიბეში, ძმაკაცი თავისთან რატომ ვერ შეინახავს? რაშია საქმე? რაღაცა უბედურებას არ გადაეყაროს, სანამ სახლში მოვა გული მისკდება შიშით. შეყვარებული ხომ არ არის, გეკითხები ადამიანო?!

ნინო – რა გაყვირებს კაცო? არ ვიცი, შეიძლება დაძვრება ვინმესთან, ვიღაც გოგო ურეკავს დღეში ოცჯერ, არ ვიცი!

ავტორი – (ავტორმა როგორც კი ხმა ამოილო, მოქმედება შეწყდა) არა, არა, არა... რა ამბავია ამხელა ექსპოზიცია, გავიგე ეს მსახიობია, ეს დიასახლისი, ამან ფული იშმვა, ამან ვერა, ეს პოლიტიკოსია, ამის შემდეგ ეს ლაი-ლაი ალარ გვინდა (ერთ ფურცელს ხევს) საქმე, საქმე!.. მოქმედება...

ნინო – ამიკო...

ამიკო – ჰო...

ნინო – ტარიელს ცოლის შერთვა უნდა...

ამიკო – (პაუზა) მერე?

ნინო – სახლის გაყიდვაზე ჩამომიგდო სიტყვა (ტელეფონის ზარი).

ამიკო – გისმენთ?! ხო, რიმა, მე ვარ! რა არი ახალი?! რიმა ხმამაღლა მელაპარაკე, ცუდად ისმის! (ნინოს ანიშნებს წამალი მომიტანეო, ნინოს ვალიდოლი მოაქვს. ამიკო ენის ქვეშ იდებს ვალიდოლს) ხო, მესმის, მესმის, რაო, მაინც როდის გადაწყდებაო, რას ამბობს?.. რიმა, რა არის იცი?!.. მე პასუხი უნდა ვუთხრა ცინცაძეს, მელოდება, ალარ ვიცი წვერი მოვუშვა, თუ არა... ცინცაძესთან წვერი მჭირდება, თქვენთან არა, ჰო... ჰოდა, რიმა გამიგე თვითონ რას ფიქრობს პირადად... ასაკზე ხომ არაფერი უთქვამს? არა?.. რიმა! რატომ გეუბნები, იცი? სირანო ამბობს – მე მოგცემ სიტყვებს, შენგან კი... შენგან იმას ვისესხებ, რაც მე არა მაქვს ლამაზ გარეგნობას და ახალგაზრდობას! გაიგე რიმა? ესე იგი სირანო ახალგაზრდა არ არის... რა?.. ხო ვიცი, რომ იცის, მაგრამ შენ მაინც შენებურად შეახსენე... ვიცი, სინჯების ფირი რომ გაფუჭდა, დებილია თქვენი ოპერატორი... კარგი სახე მქონდა, კმაყოფილი ვიყავი... თეატრიდან თავისუფალი ვარ... ჰო, გენაცვალე, ჰო... აბა, კარგად... (დებს ყურმილს). თქვენი აფერისტი დედა ვატირე...

ნინო – რაო, რა გითხრა?

ამიკო – რიმამ რა უნდა მითხრას, თვითონაც აზრზე არ არი...

ნინო – ან სიგარეტი გამოიღე პირიდან ან ვალიდოლი.

ამიკო – თფუ... (აფურთხებს ვალიდოლს) არ მიკვირდა, რა გემო მაქვს პირში-თქო.

ნინო – ნუ ნერვიულობ, გაგისკდება ერთხელ გული და ჯანდაბას! ნაულია კინოსტუდიაც და ყველაფერი...

ამიკო – მოდი ჩემთან... (ხელს მოხვევს).

ნინო – რა დროს ეგ არის, ქვეყნის საქმე მაქვს... მოგვისწრებს ვინმე... ცხოველები ხომ არა ვართ? დალამდება და...

ამიკო – დალამდება და დაგეწყება თავის ტკივილი... ჰო, კარგი, კარგი. არაფერი არ მინდა... (ავტორმა, რომელიც აქამდე მოუსვენრად და უკმაყოფილოდ უყურებდა ყველაფერს, ვეღარ მოითმინა და...).

ავტორი – მოიცა... მოიცა... მოიცა... რა უნდა აქ ამ სცენას? არა, ეს კარგი სცენაა, ეროტიკა საჭიროა, მაგრამ ასე ადრე რა ამბავია, ამ სცენას მერე ჩავრთავ სადმე... ეროტიკა უყვარს მაყურებელს. (ასწორებს) ესე იგი ასე იქნება. ნინო – ჯანდაბას წაულია კინოსტუდიაც და ყველაფერი. ამიკო...

ამიკო – ესროლიჩემთვის რაარის იცი? ან ახლა უნდა მოხდეს რაღაც, ან დამთავრდა ყველაფერი... თეატრში რა ხანია აღარაფერი მაინტერესებს, თეატრს კი, მგონი საერთოდ დავავინყდი, ერთხელ არავინ დაგირეკავს, ცოცხალი ხარ, მკვდარი ხარ... არა? ისე, რიმა დავასიაბანდე... იქნებ რამე გადაწყვიტონ. აუ რა -----ია რეჟისორი! კი

არ გეტყვის გილებს თუ არა! (ავტორი კვლავ ერევა საქმეში).

ავტორი – მოიცათ, მოიცათ! რა არის რეჟისორი? სად წერია ეგ სიტყვა? გეკითხებით, სად წერია სიტყვა -----ია?

ამიკო – არ წერია, მაგრამ ეგრეა.

ავტორი – რა არის ეგრე?

ამიკო -----ია რეჟისორი... აბა, რა ვთქვა? – რა უხასიათო ადამიანია ეს რეჟისორი? თუ, რა უსიამოვნო პიროვნებაა ეს რეჟისორი?

ავტორი – რაც წერია, ის უნდა სთქვათ! მორჩია და გათავდა, სცენაზე ასე არ ლაპარაკობენ.

ამიკო – სცენაზე არა – ცხოვრებაში კი!

ავტორი – შეწყვიტეთ კამათი, გააგრძელეთ... შემდეგ...
(კითხვა – ქმედება გრძელდება).

ამიკო – რაო, რა თქვი წელან ტარიელზე, რა მინდაო?

ნინო – ცოლის შერთვა მინდაო... ცალკე მინდა ცხოვრებაო...

ამიკო – შენ რა უთხარი მერე?

ნინო – რა უნდა მეთქვა, აქ მოიყვანე-მეთქი... შენი ოთახი გაქვს და იქ იცხოვრეთ... თუ გინდა ჩვენს საძინებელს დაგითმობთ-მეთქი.

ამიკო – რაო მერე?

ნინო – არაო! (შემოდის ტარიელი; ახალგაზრდა, ენერგიული).

ტარიელი – მამი! აი შენი პრესა (აწვდის გაზეთებს) რა ხდება! გადაწყდა შენი გადაღების საქმე?

ამიკო – ახლა დამირეკა რიმამ, აქეთ დამირეკა, ამ დღეებში გადაწყდებაო.

ტარიელი – ჩემთვის ხომ არავის დაურეკავს?

ამიკო – დარეკა, ზურა ვარო, თუ გამოჩნდეს დამირეკოსო, რა ხდება ქალაქში?

ტარიელი – სიწყნარეა, მამი, ეგ გაზეთი მათხოვე რა (ართმევს ერთ გაზეთს) თან რეკავს და თან კაიფვორდს ავსებს. მამი, რუსის დასაჯდომი ადგილი ოპერაში – რა არი?

ამიკო – რა?

ნინო – რამდენი ასოა?

ტარიელი – ექვსი.

ნინო – იარუსი.

ტარიელი – ყოჩალ დე! დე! დაბალი კაცის შესადარი მწვანილი?

ნინო – ქონდარი.

ტარიელი – დედა, მშია!

ნინო – ახლავე იქნება, ვერ მოვასწარი.

ტარიელი – რა ვერ მოასწარი? ათი წუთით შემოვირბინე საჭმელად, ერთ რამეს გთხოვთ, სადილი დამახვედროთ!.. (მამას) შენ არ შეგეძლო გაგეკეთებინა? მთელი დღე უსაქმოდ ზიხარ სახლში, გაერთობოდი მაინც.

ამიკო – რას ჰქვია, უსაქმოდ ვზივარ?

ტარიელი – (ნომერს კრეფს) რა გენყინა? რა გითხარი ამისთანა? მთელი დღე სახლში ხარ – გაერთობოდი მაინც-მეთქი.

ამიკო – მდივნად ხომ დამიყენეთ – ამან თუ დამირეკა ის უთხარი, იმან თუ დარეკა, ეს უთხარი. ახლა მზარეულობაც გინდათ დამაწყებინოთ? და სხვათა შორის, მე უსაქმოდ კი არ ვზივარ... ვფიქრობ!..

ნინო – ჩააქრე, ჩააქრე სიგარეტი!

ტარიელი – ჩუმად.. ალო, ზურას თხოვეთ, თუ შეიძლება?! მისმენ კი არა, შე ნაბიჭვარო, სადა ხარ? ორი დღეა გელოდებით, რა უნდა მოგისმინო... ახლა შენ მომისმინე... ეგ ფული მარტო ჩემი კი არ არის, ის ხალხი წერვიულობს, თავისას ითხოვენ, ეგეთი დებილი როგორა ხარ, მანქანა ხომ გაგაყიდინეს, ახლა სახლ-კარსაც დაკარგავ... რაა? არ მაინტერესებს ვისი ბრალია, ჩვენ შენთან გვაქვს საქმე. მოკლედ, ხვალ ორ საათზე ფული ადგილზე იყოს, თორემ მ----ვ კარგის ტ----ს!

ავტორი – აბა, აბა, აბა... გინების გარეშე... გინების გარეშე. გინება მე არ მიწერია.

ტარიელი – ზურა, გაიგე, რა გითხარი? ჰოდა, ეგრე, მიხედე საქმეს!
(ნინოს საჭმელი მოაქვს. ტარიელი ჭამს).

ამიკო – ბიჭო, ეგ ზურა შენი მეგობარი არ არი?

ტარიელი – ჰო.

ამიკო – მერე?

ტარიელი – რა მერე?

ამიკო – ეგ ზურა შენი ბავშვობის მეგობარი არ არის, საბავშვო ბალიდან ერთად
რომ მოდიხართ?

ტარიელი – ჰო, ეგ არი.

ამიკო – მერე?

ტარიელი – რა მერე?

ამიკო – როგორ ელაპარაკები ბავშვობის მეგობარს?

ტარიელი – რა შუაშია მეგობრობა, შენ იცი აქ რა ფულზეა ლაპარაკი?

ამიკო – ტარიელ...

ტარიელი – ბატონო?!

ამიკო – რა დაგემართა, ბიჭო, რანაირი გახდი?!?

ტარიელი – რანაირი გავხდი?

ამიკო – მარტო ფულზე არ უნდა იფიქროს ადამიანმა...

ტარიელი – ფულში არ არის ბედნიერება, არა?

ამიკო – ეგრეა, ბევრი დალუპა ფულმა...

ტარიელი – უფულობამ?..

ამიკო – უფულობაარ ლუპავს ადამიანს, აი ნახე, სირანორას ამბობს – ტანისამოსით
ვერ დავიკვეხნი.

ნინო – ნამდვილად (ტარიელი და ნინო იცინიან).

ამიკო – ის რაც მაცვია, ვინ მოსთვლის რამდენჯერ არის გადაბრუნებულ
დაკერებული, სამაგიეროდ მე ზნეობრივად ვარ მოკაზმული, კამეჩის ტყავში
გამოხვეული, სული მაქვს სწორი და შემართული, როგორც მახვილი და მე ამაყად
თავაწეული დავალ მიწაზე, ჩემს ცხოვრებაში კაპიკი არ მომიპარავს, ბევრი რამე
მაკლდა, მაგრამ სამაგიეროდ მშვიდად მეძინა.

ტარიელი – გულზე ხელი დაიდე და მითხარი: გქონდა ოდესმე რაიმე მოსაპარი?
გქონდა და არ მოიპარე? ა?

ნინო – რა უნდა მოეპარა, ტარიელ, გმირს ხომ არ მოიპარავდა, ან როლებს?!

ტარიელი – ნუ ბრაზდებირა, გეხუმრები... რა იყო? სულ დაჲკარგე იუმორი? კარგი
რა, მამი რა... მე კი არ გავხდი სხვანაირი, ცხოვრება შეიცვალა, ცხოვრება! ნერვები
დაწყვეტაზე მაქვს; მგლებთან მაქვს საქმე, მგლებთან ერთი რომ შეგეშალოს,
დედას...

ავტორი – არ შეიგინო!

ტარიელი – დედიკოს გი-ტი-რე-ბენ! ჰო, მართლა, მამი, შენთან სერიოზული საქმე
მაქვს, დედაჩემმა გითხრა რამე? (შემოდის ავთო) ვაა! ჩემი ძმა! გამარჯობა.

ავთო – მამი, რა ხდება ქართულ ფილმში გიღებენ?

ამიკო – ახლა დამირეკა რიმამ. აქეთ დამირეკა.

ნინო – გშია?

ავთო – არა, ყავას დავლევ, მერე მამი?

ამიკო – მე შენ გითხარი კარგი სინჯები რომ მქონდა.

ავთო – დედა, აქ ჩემი სტატიაა ნაიკითხე, მერე მამი?

ამიკო – ხოდა ის ფირები გაუფუჭებიათ!..

ტარიელი – ავთო მოდი რა, ერთი დღე დავთქვათ და შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს, თორემ მარტო ტელევიზორში გხედავ და შენს ამბებს გაზეთებით ვიგებ; ამის
დედა ვატირე, რა ჩეარ-ჩეარა გეცვლებათ პოზიციები?! დღეს ერთს ამბობთ, ხვალ
საწინააღმდეგოს!

ავთო – შეეშვი პოლიტიკას, ბაიბურში არა ხარ, ტაქტიკა შეიძლება შეიცვალოს,
მაგრამ სტრატეგიულად ჩვენ ერთი გეზი გვაქვს აღებული და არ გადაგვიხვევია.

შენთან საქმე მაქვს, ფირმაში მითხრეს, სახლში წავიდაო, მამა, მიკითხა ვინმემ?
ამიკო – კი, რა გვარია ის თქვენი საორგანიზაციო განყოფილების უფროსი?
დოპორჯგინიძე! იმან გიკითხა...

ავთო – რა მინდაო?

ამიკო – ეგ არ უთქვამს.

ავთო – ვერ კითხე?

ამიკო – ვკითხე, ვკითხე, მაგრამ არ მითხრა.

ავთო – ჰო, კარგი, კარგი, რა განერვიულებს?!

ნინო – არ მოწიო, არ მოწიო...

ტარიელი – აუ.. მამი, რას ეწევი, აჟა, გამომართვი, ეს მაინც მოწიე. (ამიკო არ იღებს ტარიელის სიგარეტს და რთავს ტელევიზორს) ცოტა ჩაუწიე, რა! (ამიკომ გამორთო ტელევიზორი). რატომ გამორთე? ჩაუწიე-მეთქი გთხოვე, მეტი ხომ არაფერი...

ავთო – (ტარიელს) თქვენი ფირმის დახმარება გვჭირდება...

ტარიელი – დახმარება კი არა, ფული გჭირდებათ.

ავთო – ჰო, ფული გვჭირდება, მაგრამ ოფიციალური გაფორმებების გარეშე, ხელიდან ხელში.

ტარიელი – რაზე გჭირდებათ?

ნინო – ფრიდონა ხომ არ შეგხვედრიათ?

ტარიელი, ავთო – არა!

ტარიელი – რაზე გჭირდებათ ფული?

ავთო – არჩევნების ხარჯებია და კიდევ არის რაღაც დეტალები.

ტარიელი – არჩევნები კი არა, იარაღისთვის და რესტორნისათვის გინდათ. შანსი არ არის სადმე რესტორანში შევიდე და თქვენი ქაჯი თავმჯდომარე და მისი ბოზი არ გამეჩითონ, ამაში გაძლიოთ ფული?

ავთო – რა ლაპარაკია ეს?

ტარიელი – მოვიდეს თქვენი თავმჯდომარე ფირმაში და იქ დაგველაპარაკოს ოფიციალურ დონეზე, შენ რას გაგზავნის? ამ საქმეში ნათესაობა და ძმობა არაფერ შუაში არ არის. ეს არის „სდელკა“, ჩვენ გეხმარებით ფულით, თქვენ... ისე, კაცმა თქვას, რას გაგვიკეთებთ თქვენ?..

ავთო – ჯერ რა უნდა გაგიკეთოთ? აი, რომ მოვალთ...

ტარიელი – ჰოდა, რომ მოხვალთ, მაშინ გველაპარაკეთ...

ავთო – რომ მოვალთ, მაშინ თქვენი დახმარება აღარ დაგვჭირდება.

ამიკო – ეე!.. ეე! რა ამბავია? რა დღეში ხართ!

ტარიელი – ან მოხვალთ, ან არა.

ავთო – მოვალთ, მოვალთ!

ნინო – ფრიდონი, სად არის, თუ იცით რომელიმე?

ტარიელი – (ყვირის) არ ვიცი, არა! რა გაახურე საქმე ამ ფრიდონათი!

ამიკო – როგორ ელაპარაკები დედაშენს?!

ტარიელი – როგორ ველაპარაკები?!

ამიკო – როგორ ბედავ ყვირილს? როგორ?

ტარიელი – ვინ ყვირის ახლა? მე თუ შენ?

ამიკო – როგორ მელაპარაკები შე ლანირაკო, გაგხეთქავ ცემით.

ტარიელი – ცემა მორევაზეა.

ამიკო – რაო? რა თქვი? მორევაზეაო? ჰოდა, მორევაზე როა, იმიტომ გაგხეთქავ ცემით. იშოვა ორი კაპიცი და კაცი ჰერინია თავი.

ავთო – კარგი რა, მამა, დაწყნარდი.

ამიკო – შენც კაი...

ავთო – ჩემთან რა გინდა?

ტარიელი – ჩემთან რა უნდა რო? ფრიდონაზე გაბრაზებულები მე მეჩეუბებიან. არა რა! ამ სახლში ცხოვრება აღარ შეიძლება! მომეცით ჩემი წილი და წავალ.

ამიკო – შენი ააშენე და გექნება.

ტარიელი – ეს შენ ააშენე, არა?

ნინო – არ მოუკიდო, არ მოუკიდო. (ავტორი ტარიელს ანიშნებს შერიგდითო).

ტარიელი – ჰა, ეს მაინც მოწიე. კარგი, ჰო, კარგი შევრიგდეთ. ბოდიშს მოგიხდი, თუ გინდა, მოგიხადო ბოდიში? (ამიკოს სიგარეტი ხელიდან უვარდება) რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარ? დედა!

ნინო – რა მოგივიდა ამიკო! ამიკო, რას სვამს ასეთ დროს, რას სვამს დამავიწყდა... (მიმართავს ავტორს) რა უნდა დავალევინო?

ავტორი – ნიტროგლიცერინი, მაგრამ რატოა ცუდად? აქ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ყავა ვერ დამიღევია, რა... (იწყებს პიესის ჩასწორებას).

ავთო – დედა! დავრეკო?.. (ცდილობს სასწრაფოსთან დაკავშირებას) როგორ არის?

ნინო – ჩვენ კარგად ვართ. (შემოდის ფრიდონი, ზურგზე ჩანთა აქვს მოკიდებული, ხელში ქოთანში ჩარგული მცენარე უჭირავს, საეჭვოდ იღიმება).

ფრიდონი – ტარო, ათი დოლარი მასესხე რა?!..

ტარიელი – სად დადიხარ? შეგვჭამეს შენს გამო, მოდი აქ (გვერდზე გაიყვანა) რას გავხარ ბიჭო...

ფრიდონი – შენ რას გავხარ (იცინის).

ტარიელი – კიდევ დაბოლილი ხარ? რა არის ეს „კანაპლია“ მოათრიე სახლში?

ფრიდონი – სუუ...

ტარიელი – (ავთოს) შენ არ გეხება ეს ამბავი?

ფრიდონი – შენ არ გეხება ეს ამბავი? (იცინის).

ავთო – (აქამდე გაზეთში სტატიას კითხულობდა და წითელი ფანჯრით კომენტარებს უკეთებდა... ბიჭო, ალარ მოწიო რა?!

ფრიდონი – ალარ ვენევი (ცდილობს შეიკავოს სიცილი).

ამიკო – (ჯერ კიდევ ვერ არის კარგად) ფრიდონ!

ფრიდონი – რა არი, მამი, ცუდადა ხარ? გაგაბრაზეს მამი? გინდა ორივე ვცემო? (იცინის) როგორ არი კინოსტუდიის საქმე, გილებენ?

ამიკო – ახლა დამირეკა რიმამ, აქეთ დამირეკა მალე გადაწყდებაო, შენთვის ნათქვამი მაქვს, კარგი სინჯები რომ მქონდა?

ფრიდონი – (იღიმება) ჰო.

ამიკო – გააფუჭეს ის ფირები, წარმოგიდგენია?

ფრიდონი – (საეჭვოდ იღიმება) მანქანას მიყიდი მამი?

ამიკო – მთვრალი ხარ ბიჭო?

ფრიდონი – მთვრალი კი არა, მშიერი ვარ!

ამიკო – აბა, ამოისუნთქე!

ფრიდონი – ჰუუ...

ამიკო – სუნი არა გაქვს... ეს რა არის?

ფრიდონი – რა ჰევია, არ ვიცი, ლამაზი ყვავილები აქვსო, ძმაკაცმა მაჩუქა... ხანდახან მე რო არ ვიქნე, ერთი ჭიქა წყალი დაუსხით რა... ხარაშო?

ამიკო – ხარაშო! ვისია ეგ ჩანთები?!

ფრიდონი – ძმაკაცისაა...

ამიკო – ძმაკაცს სახლი არა აქვს?..

ფრიდონი – პროსტა არ უნდოდა სახლში მიტანა.

ამიკო – რატომ?

ფრიდონი – კარგი რა, მამი რა... რა ვიცი, რატომ... არ უნდა და მორჩა!

ნინო – ფრიდონ! მოდი აქ! (სახეში გაარტყა და სამზარეულოში გავიდა).

ავთო – მოკლედ, გვეხმარებით თუ არა?

ტარიელი – მე გითხარი, ანიოს კოზლა თქვენმა თავმჯდომარემ და იკადროს ჩვენთან ფირმაში მოსვლა, იქდაგველაპარაკოს, ისე შენ არ გინდა თავმჯდომარეობა? ჰა, გინდა თუ არა?

ფრიდონი – არ გინდა თავმჯდომარეობა? (იღიმება).

ავთო – არა, ჯერ არა!

ფრიდონი – არ გინდა ავთო? (იცინის).

ტარიელი – იფიქრე, რაღაცის გაკეთება შეგვიძლია!
(ტელეფონის ზარი).

ფრიდონი – თუ გოგოა, მე არა ვარ!

ამიკო – გისმენთ... არ არის სახლში. ვინ კითხულობს?.. გადავცე რამე? კი, ბატონო, დარეკეთ!

ფრიდონი – გოგო იყო?

ამიკო – ჰო.

ფრიდონი – რაო? (იღიმება).

ამიკო – კიდევ დავრეკავო. მთვრალი ხარ, ბიჭო?

ფრიდონი – ჰუუ... (ზარი კარზე) (ნინო გადის და შემოდის და მოჰყვება გენო).

გენო – გამარჯობათ! (ათვალიერებს ბინას) საერთო ფართი რამდენია? 180 არა?

ამიკო – დიახ!

გენო – ძალიან კარგი. სარდაფი გაქვთ?

ამიკო – დიახ!

გენო – კიდევ უკეთესი (ნაბიჯებით ზომავს ბინას) ესე იგი, ორი სართული, საერთო ფართი 180 კვ. მეტრი. ახლა მითხარით, რა გნებავთ თქვენ?

ამიკო – უკაცრავად, მე კი არა, თქვენ მითხარით, რა გნებავთ.

გენო – მე? მე აქ ალბათ კაზინოს გავხსნი.

ამიკო – რას?

გენო – კაზინოს! აქ იქნება მთავარი დარბაზი, იქ რულეტკა დაიდგმება. ამ კუთხეში ბარი ჩადგება, აქ პოკერის მაგიდა და რამე...

ამიკო – გამაგებინეთ, ვინ ხართ თქვენ და რა გნებავთ?

გენო – გენო ჩიგოგიძე, ფირმა გენო და კომპანიის პრეზიდენტი. თქვენი სახელი?

ამიკო – ამიკო... ამირანი!

გენო – სასიამოვნოა, ესე იგი, თქვენ გინდათ ოთხი ერთოთახიანი ბინა და?..

ამიკო – რა ბრძანეთ?

გენო – თქვენ გინდათ ოთხი ერთოთახიანი ბინა და? პრინციპში მე მგონი, შევთანხმდებით. ეს ადგილი მე მაწყობს.

ამიკო – გამაგებინეთ, რა უნდა ამ კაცს?

გენო – რა არის გაუგებარი, განცხადებაში ხომ წერდით, რომ გინდათ ამ სახლის გაყიდვა ან გადაცვლა ოთხ ერთოთახიან ბინაზე?

ამიკო – რა განცხადებაში? მე არავითარი განცხადება არ დამიწერია...

გენო – ესე იგი, თქვენმა მეუღლემ დაწერა.

ამიკო – ნინო!

ნინო – მე არაფერი არ ვიცი.

ამიკო – ტარიელ! შენ დაწერე განცხადება?

ტარიელი – რა განცხადება?

ამიკო – თავს ნუ ისულელებ, კარგად იცი, რა განცხადება... როგორ დაწერე განცხადება ჩემთან შეთანხმების გარეშე? თქვენთან დიდი ბოლიში, ბატონო გენო, მაგრამ აქ რაღაც შეცდომა მოხდა, ჩვენ ამ სახლის გაყიდვას არ ვაპირებთ. ასე რომ...

გენო – თქვენ თუ ფასის გაზრდას აპირებთ, მითხარით. მე მგონი შევთანხმდებით, მართალია, სახლი სარემონტოა, მაგრამ...

ამიკო – მე გასაგებად გითხარით, ეს სახლი არ გაიყიდება, არც გაიცვლება. კარგად ბრძანდებოდეთ.

გენო – მომისმინეთ! მე ცუდ ვარიანტს არ შემოგთავაზებთ.

ამიკო – არაფრის მოსმენა არ მინდა.

ნინო – თუ შეიძლება, თავი დაგვანებეთ!

ფრიდონი – წადი რა, ძმაო!.. შეაყოლე...

გენო – კი ბატონო! ყოველი შემთხვევისათვის, აი, ჩემი სავიზიტო ბარათი! ისე, მე მგონი, შევთანხმდებოდით. (გენო გადის).

ნინო – არ მონიო!

ამიკო – დაჯექი!

ნინო – დაწყნარდი!

ამიკო – დაჯექი! დაჯექით სუყველა!

ტარიელი – მეჩქარება რა?!

ნინო – ტარიელ!

ამიკო – სად გეჩქარება! ამაზე უფრო მნიშვნელოვანი რა საქმე გაქვს? (პაუზა) ვინ დაწერა განცხადება? (პაუზა) ვინ დაწერა განცხადება? ტარიელ?

ტარიელი – არ ვიცი!

ამიკო – ავთო! (ავთო მხრებს იჩეჩავს). ფრიდონ!

ფრიდონი – დედა მომიკვდეს... იღადავა ვიღაცამ.

ამიკო – ტარიელ! და თქვენც იცოდეთ: ამ სახლის გაყიდვა ჩვენი ოჯახის დაშლას ნიშნავს...

ტარიელი – რატომ ნიშნავს? მე რომ ცალკე ვიცხოვრო, ეს თქვენს დაკარგვას რატომ ნიშნავს?

ამიკო – ნიშნავს. ეს სახლი მარტო კედლები ხომ არ არის... ეს არის... სახლი... ეს არის ჩვენი ფუძე... ჩვენი ერთად ყოფნის სიმბოლო, ეს არის ჩვენი სამშობლო თუ გნებავს... მოდის ვიღაც ახვარი და ამას ყველაფერს გართმევს... რა ვქნათ, მივყიდოთ?

ფრიდონი – მამი ახლა შენ არ ხარ მართალი.

ამიკო – რატომ არა ვარ მართალი? რატომ?

ფრიდონი – მერე რა, რომ მოდის...

ამიკო – ამ სახლის შენება ბაბუაჩემმა დაიწყო, იმან პირველი სართული ააშენა, მამაჩემმა მეორე სართული დაადგა და გადახურა, მე რემონტიც არ გამიკეთებია და გავყიდო? ამ სახლში მამაჩემის და ბაბუაჩემის სული ტრიალებს და სანამ ცოცხალი ვარ, მათი ნაშიერი აქ იცხოვრებს...

ტარიელი – ამ სახლში ცოლის მოყვანა არ შეიძლება.

ფრიდონი – ტარო, ახლა შენ არა ხარ მართალი...

ნინო – რატომ არ შეიძლება, ყველას გაქვთ საკუთარი ოთახი...

ტარიელი – არ შეიძლება, დილიდან საღამომდე ჩხუბია, ჩემი კუთხე მინდა მქონდეს, არ შეიძლება? არა მაქვს უფლება? ვიცი, რატომ არ გინდათ ჩემი გადასვლა...

ფრიდონი – ტარიელ, მიქარვას თავი დაანებე.

ტარიელი – რამე მითხოვია ოდესმე? რამე მითხოვია? ერთი ოთახი აღარ მეკუთვნის? არ მინდა არაფერი...

(ავტორი გამწარებული აფრიალებს ფურცლებს, მგონი ერთი გვერდი დაკარგა).

ტარიელი – წადი რა, საქმე ნახე... აღარ შემიძლია, აღარ მინდა თქვენი რჩენა! ჩემდა თავად აქ მომსვლელის...

ფრიდონი – გაჩერდი...

ტარიელი – ხელი გამიშვი...

ამიკო – გაუშვი, გაუშვი... წავიდეს...

ავტორი – სად უნდა წავიდეს? მაშინ მთელი სცენა უნდა გადავაკეთო.

ტარიელი – (ფრიდონს) შენი ბრალია ყველაფერი... შენს გამო ხდება ყველაფერი...

ფრიდონი – გააფრინე?

ტარიელი – შენთვის უნდათ ეს სახლი და იმიტომაა ეს ბაზარი, ტარიელი თვითონ იყიდის ბინასო – ფიქრობენ.

ფრიდონი – აზრზე მოდი, ბიჭო!

ავტორი – არ გაარტყა, მოიცათ, არ გაარტყა, თქვენ გიჟები ხართ? სად მიწერია მე ასეთი რამე?

ტარიელი – წადი შენი... (არტყამს ფრიდონს).

ავტორი – (ზის გაოგნებული). რა არის ეს... დავკარგე ერთი გვერდი, ამიტომ უნდა დაჭამონ ერთმანეთი? ამ სცენას მშვენივრად ებმებოდა აი ეს ეროტიული სცენა. ახლა ამხელა „დირკა“ გაჩნდა, რითი შევავსო? დეგენერატები...

(ამიკო და ავთო აშველებენ).

ამიკო – (ტელეფონის ზარი), გისმენთ?!

ხმა – სანდროს თხოვეთ....

ამიკო – (ავტორს) სანდრო ვინ არი?

ავტორი – მე ვარ, გისმენ! (ხელით ანიშნებს ამიკოს, წადიო).

ამიკო – ვინ არი?!

ავტორი – არი რა... გისმენ.

ხმა – რომელი საათია?

ავტორი – ორის ნახევარია.

ხმა – რას აკეთებ?

ავტორი – ვმუშაობ...

ხმა – მერე?

ავტორი – რა მერე?

ხმა – გამოდის რამე?

ავტორი – არ ვიცი... მე სხვა რამე მინდა და სულ სხვა გამოდის... მაგარი დეგენერატები არიან... დაჭამეს ერთმანეთი...

ხმა – რა ადგილზე ხარ?

ავტორი – პირველი დიდი სცენა დავამთავრე. ტარიელმა და ფრიდონმა იჩხუბეს...

ხმა – პირველ ვარიანტში რომ არ ჩხუბობდნენ?

ფრიდონი – არ ჩხუბობდნენ. ახლა ჩხუბობენ... დეგენერატები არიან!

ხმა – ახლა რა უნდა ქნა?

ავტორი – გავიჭედე... უნდა შევარიგო როგორმე... მაგას ვიწყებ ახლა...

ხმა – მოვიდე?

ავტორი – არა.

ხმა – სანდრო, მე ბავშვს ველოდები... (პაუზა) გენტინა თუ გაგეხარდა?

ავტორი – როდის ელოდები?

ხმა – ხვალ... დებილო, საერთოდ ველოდები. რატომ არაფერს ამბობ, გენტინა? თუ გინდა, ხვალ წავალ ექიმთან და მოვიცილებ. (პაუზა. წყვეტილი ზუმერი).

ავტორი – (უყურებს ხან ტელეფონს ხან ფურცლებს, შემდეგ დებს ტელეფონს მაგიდაზე და არჩევს ფურცლებს) აი ჩემი ბავშვი... (გრძნობს ამიკოს მზერას).

ეგრე ნუ მიყურებ... ძალიან გთხოვ, ეგრე ნუ მიყურებ. მე ახლა რაღაცას მოვიფიქრებ... ახლა ტარიელი მოვა.

ამიკო – ტარიელი არ მოვა...

ავტორი – მოვა, მოვა.

ამიკო – არ მოვა, შენ ტარიელს არ იცნობ.

ავტორი – რაა? შენ მე არ მიცნობ (ჯდება საბეჭდ მანქანასთან). ახალ წელს არ მოვა?

ამიკო – რა?

ავტორი – ახალ წელს კაცი არ უნდა მოვიდეს ოჯახში?.. მამასთან?

ამიკო – ახალ წელს ალბათ მოვა... მაგრამ, ჯერ რა დროს ახალი წელია.

ავტორი – დღეს არი ახალი წელი.

ამიკო – როგორ?

ავტორი – ეგრე! ახალი წელია, ოცდათერთმეტი დეკემბერი.

ამიკო – (ალელდა, აწრიალდა) ჴო, მაგრამ... არაფერი არა მაქვს ოჯახში.

ავტორი – შენ მაგაზე არ ინერვიულო, ყველაფერი გექნება, გოჭები, შამპანიურები, ხაჭაპურები, მიდი (ამიკო გარბის. ავტორი პეჭდავს).

ამიკო – (შემოდის ჩიჩილაკით ხელში) ეე! სადა ხართ?.. (შემოდის ნინო) რა ხდება გარეთ?

ნინო – თოვს!

ამიკო – თოვს?

ავტორი – თოვს, თოვს!..

ნინო – ტარიელი ხომ არ გამოჩენილა?

ამიკო – არა, ჯერ არა. ნინო მე სარდაფში ჩავალ, ღვინოს ამოვიტან, რიმამ თუ დარეკა დამიძახე.

ნინო – (საქმიანობს, სუფრას შლის. შემოდის ავთო) რაო, ნახე?

ავთო – ვნახე, მოვა!

ნინო – ფრიდონი არ ჩანს მთელი დღე.

ავთო – მერე რა?

ნინო – მთელი დღე ვიღაცები რეკავენ, გული მისკდება, რამე ხომ არ მოხდა...

ავთო – რა უნდა მომხდარიყო?..

ნინო – არ ვიცი... წუხელ სახლში არ ყოფილა, მამაშენმა არ იცის, არ წამოგცდეს.

ავთო – მამა სადაა?

ნინო – ღვინოს ამოსატანად ჩავიდა.

ავთო – რა ლამაზია ჩიჩილაკი... ბავშვობა გამახსენდა.

ნინო – სხვანაირები იყავით მაშინ.

ავთო – ჰატარები ვიყავით.

ნინო – ჰატარები იყავით, გულწრფელები და კეთილები.

ავტორი – აკოცეთ ერთმანეთს.

ავთო – რატო?..

ავტორი – რა კითხვაა? დედაა შენი! (უხერხულად კოცნიან ერთმანეთს).

ამიკო – (შემოდის სათამაშოებით ხელში) ნინო, ნორა გეძახის (ნინო გადის) ნახე ტარიელი?

ავთო – ვნახე, მოვა.

ავტორი – (ამიკოს) აკოცე!

ამიკო – რატო?..

ავტორი – აქ წერია „კოცნის“ (მამა-შვილი კოცნიან ერთმანეთს).

ამიკო – ფრიდონი ხომ არ გინახავთ დღეს?

ავთო – არა!

ამიკო – წუხელ სახლში არ ყოფილა, დედაშენმა არ იცის, არ წამოგცდეს... გული მისკდება... სად არის აქამდე. (რეკავს ტელეფონი). ბატონი... არა, არ არის სახლში... ვინ კითხულობს? ზალი, შენთან არ ყოფილა წუხელი? აბა, სად იყო. ზალიკო, რამე ხომ არ მოხდა ბიჭი? არ დამიმალო... კარგი, თუ რამე გაიგო, დამიკავშირდი...

ავთო – ნუ ნერვიულობ, გამოჩნდება. ცუდი ამბავი რომ მომხდარიყო აქამდე გაიგებდი.

ამიკო – მართალი ხარ! ცუდ ამბავს მალე იგებ ხოლმე.

ავთო – მამა!..

ამიკო – რა იყო? (რეკავს ტელეფონი) გისმენთ! ხო, რიმა, მე ვარ. რა არის ახალი? (ნინო ბრუნდება) ხოო? რაო, მერე რა თქვა? რიმა, სიტყვა-სიტყვით მითხარი რა თქვა... ხოო? ესე იგი, ვუთხრა ცინცაძეს უარი გადალებაზე? ჯერ არა? რატომ? მესმის, მესმის! შენ რას ატყობ, გადაწყვიტა უკვე? ვის სინჯავს ახლა? არ გამაგიურ... (იცინის) ხო, რიმა, ყველა მონოლოგი მზად მაქვს. კარგი, გენაცვალე. კარგი მახარობელი ხარ, აბა წინასწარ გილოცავ ახალ წელს.

ნინო – რაო?

ამიკო – ვერ გავიგე. მოიცა, გავიხსენო, ესე იგი, მაგრა მაწვებიან, მაგრამ მაინც ამიკოს ავიყვანო, მაგის როლიაო... მე არ ვიცი, რომ ჩემი როლია? მომისმინე — „ეს შენ სიცრუე, შენ პირფერობავ! შენც საკადრისი მიიღე შურო, შენც ანგარებავ! შენც დიდკაცურო გაბლენძილობავ, გაუმაძღარო! ჯერ არ მოვმკვდარვარ, ხომ ხედავთ ვიბრძვი, ვიბრძვი, კვლავ ვიბრძვი და არ გნებდებით და ამ პრძოლაში ამომდის სული“. (ეცემა) როგორია?! გადაწყვიტონ რამე: ან ჰო, ან არა, დამაგლიჯეს ნერვები. (რეკავს ტელეფონი) გისმენთ... (ავთოს ანიშნებს შენ გეძახიანო), არა, არ არის სახლში. გადავცე რამე?.. კი, ბატონო.

ავთო – ვინ იყო?

ამიკო – დობორჯგინიძე! რატომ არ დაელაპარაკე? რა მოხდა?

ავთო – ისეთი არაფერი.

ამიკო – დაანებე ავთო, მაგათ თავი. ათას სიბინძურეს ყვებიან მაგ თქვენს პარტიაზე. არ არის ეგ შენი საქმე.

ავთო – ჭორებია.

ამიკო – ვიცი, რომ ჭორებია, მაგრამ ეს ჭორები, ისე, ცარიელ ადგილზე არ ჩნდება, რა მიკვირს, იცი? როგორ პოულობ მაგათან საერთო ენას?

ავთო – ვპოულობ რო?!..

ნინო – ჰოდა, თუ საერთო ენას ვერ პოულობ, რა გინდა მაშინ მაგათან, დაანებე თავი და მიხედე შენს საქმეს.

ავთო – ახლა რა დროსია?!

ამიკო – რას ჰქვია რა დროსია?! რა იყო, გამოჭერილი ყავხართ?

ავთო – მაგათ ბინძურ საქმეებში მე არ ვერევი.

ამიკო – როგორ არ ერევი, ეგენი შენი სახელით აგვარებენ საქმეებს, გაილანდლები, ავთო, და მარტო გალანდლვასაც არ გაკმარებენ იცოდე.

ნინო – კარგი რა, ნუ იცი გაზვიადება, რას ჰქვია გაილანდლება.

ამიკო – გაჩუმდი, შენ გაჩუმდი...

ავთო – მამა...

ამიკო – ჰო... თქვი...

ავთო – არა, არაფერი...

ამიკო – რაღაცის თქმა თუ გინდა, თქვი, გულზე მაინც მოგეშვება.

ავთო – არა, მამა, არაფერი ისეთი არ ხდება, ნუ გეშინია.

ამიკო – მეშინია, ძალიან მეშინია. რა ქაღალდები იყო ამას წინათ რომ დაწვი?

ავთო – არაფერი. ძველი საბუთები იყო.

ამიკო – რატომ დაწვი?

ნინო – კარგით რა, ნუ გადამრევთ (რეკავს ტელეფონი).

ამიკო – გისმენთ, არა, არ მოსულა, რომელი ხარ? ზალიკო, რა იყო? გაიგე რამე? არ მესმის! რა?.. ხო, სახლში ვართ. თუ რამე გაიგო, დარეკე.

ნინო – რაო, ზალიკომ რა თქვა?

ამიკო – თუ რამე გავიგე დავრეკავო. მე თვითონ ვეძებო.

ავთო – ნუ ნერვიულობთ. პირველი შემთხვევა ხომ არ არის. მოვა!

ნინო – არ მოწიო რა?! ხომ დაანებე თავი.

ავთო – მამა, ნუ მოწევ რა?!

ამიკო – ავთო, მეტყვი თუ არა, რაშია საქმე?

ავთო – არაფერი, მამა. უბრალოდ არც მე არ მომწონს ის, რაც ჩვენთან ხდება, მე არაფერი არ ვიცოდი, რაღაც საბანკო ოპერაციები ჩაუტარებიათ, ახლა, მგონი, იხსნება ეს საქმე...

ამიკო – შენ რა შუაში ხარ?

ავთო – ერთ საბუთზე მაქვს ხელი მოწერილი...

ამიკო – მერე?

ავთო – მერე, არაფერი. მაგათ გონიათ, რომ გამოჭერილი ვყავართ, ფულს თხოულობენ, ტარიელს ველაპარაკე, ნუ გეშინია, ეგ საბუთი არაფერს არ ნიშნავს. ეგ საბუთი მართლა არაფერს არ ნიშნავს!

ნინო – დაწყნარდი ავთო, დაწყნარდი.

ამიკო – რამდენს თხოულობენ?

ავთო – რამდენსაც არ უნდა თხოულობდნენ ვინ არის გადამხდელი?! რა ნაძირა-ლები არიან, რომ იცოდე... მომკლავენ... არა, არა... მე უნდა წავიდე აქედან...

ნინო – სად, სად უნდა წახვიდე?

ავთო – საზღვარგარეთ...

ნინო – სა-ა-დ?!

ავთო – ავსტრალიაში! დათო და თემო იქ არიან, ვიზა გამომიგზავნეს. მარტო გზის ფული მჭირდება.

ნინო – გაგიუდი?

ავთო – რატომ გავგიუდი? რატომ? აბა, რა უნდა ვაკეთო აქ, რა? წავალ ერთი-ორი წლით... სამუდამოდ ხომ არ მივდივარ... რაღაც ფულსაც ვიშოვი... თქვენც დაგეხმარებით.

ამიკო – გასაქცევად გაქვს საქმე?

ავთო – გაქცევა რა შუაშია? აღარ შემიძლია აქ ცხოვრება.

ამიკო – შენ დაწერე განცხადება? ავთო, შენ დაწერე განცხადება?

ავთო – არა! მე არ დამინერია. რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაწერა განცხადება, ეს პრობლემა ადრე თუ გვიან მაინც დადგება, მე მგონი, უკვე დადგა კიდეც. ყველას ჟალე უნდა ცხოვრება.

ნინო – ავთო! არ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი...

ავთო – კი ბატონი! არ გინდათ და ნუ გინდათ.

ამიკო – ავთო. დამიგდე ყური, ამოიგდე თავიდან აქედან გაქცევა. ყველაფერი მოგვარდება. ყველაფერი მოგვარდება თუ ერთად ვიქნებით. (ზარი კარზე. ავთო პანიკაშია), გააღე, ტარიელია ალბათ.

ტარიელი – გამარჯობათ. რას თოვს. ვაი, ნაძვის ხე? მამი, რა ხდება, გადაწყდა შენი გადაღების საქმე?

ამიკო – არ ვიცი, მგონი, ახლა დამირეკეს, იმ კვირაში ბოლო სინჯი მექნება.

ტარიელი – ფრიდონი გვაკლია, სად არის?

ნინო – მოვა, დღეს ყველა ერთად ვიქნებით. (ტელეფონის ზარი).

ავთო – გისმენთ! ავთო ვარ. რა? როდის? ვინ? სად?

ნინო – რა მოხდა, ავთო! რა მოხდა?!

ავთო – ფრიდონი მოკლეს. (ნინომ ერთი შეჰკივლა და გული წაუვიდა).

ამიკო – ვიცოდი, ვიცოდი... (ავთო დედას მივარდა, ტარიელი ავტორს).

ტარიელი – ბიჭო შენ ნორმალური ხარ?

ავტორი – რა არ შეიძლება რომ მოკლან?

ავთო – ტარო არ ეჩხუბო რა?..

ავტორი – ეს, ძმაო, დრამატურგის კანონია, ერთი ბომბი ხომ უნდა გასკდეს, ხოდა გასკდა კიდეც...

ტარიელი – რა ბომბი, შენ სულელი ხო არა ხარ.

ავტორი – ნახევარი ქალაქი დახოცეს, ერთი ფრიდონი რა გახდა.

(ტარიელს ავთოც წამოეშველა).

ავთო – შეგიძლია, რომ არ მოკლა.

ავტორი – მე ყველაფერი შემიძლია...

ტარიელი – მიდი...

ავტორი – სულ ამათ ჭუუზე უნდა ვიარო?.. (ბეჭდავს ახალ ვარიანტს და ეს ვარიანტი თამაშდება). (ტელეფონის ზარი).

ავთო – გისმენთ! ავთო ვარ?!.. რა? როდის? ვინ? სად?

ნინო – რა მოხდა! ავთო, რა მოხდა?!

ავთო – ფრიდონი დაჭრეს... (ნინომ ერთი შეჰკივლა და გული წაუვიდა).

ამიკო – ვიცოდი, ვიცოდი... (ტარიელი და ავთო კვლავ ავტორს მიაჩერდნენ).

(ავტორს დედა, ტარიელი და ავთო გამოეკიდნენ).

ნინო – რა გინდა ჩემგან, შე დეგენერატო, რა?

ტარიელი – შენ რა, გინდა სხვანაირად დაგელაპარაკო?

ავტორი – რა გინდათ? დაჭრეს ხომ არ მოკლეს. ძველით ახალ წელს ერთად იქნებით, ნუ ერევით შემოქმედის საქმეში, მე ეს მჭირდება ამიკოს ხასიათის გასახსნელად...

ტარიელი – სხვა ვარიანტები არა გაქვს?

ავტორი – ვარიანტების მეტი რა მაქვს, მაგრამ მე ეს ვარიანტი მაწყობს.

ტარიელი – ჩვენ არ გვაწყობს...

ავთო – შეგიძლია, რომ არც მოკლან და არც დაჭრან.

ავტორი – მაქვს ეგეთი ვარიანტი... მერე არ ინანოთ.

ტარიელი – მიდი!

ავტორი – აუ, რა ცივა აქ (გარბის, არჩევს ერთ-ერთ ვარიანტს). კარები გააღეთ. (შემოდის ფრიდონი ჩემოდნებით ხელში, ვიღაც გოგოსთან ერთად, გოგო ფეხმძიმედაა, თავს უხერხულად გრძნობს).

ფრიდონი – გამარჯობათ....

თათია – გამარჯობათ...

ფრიდონი – გაიცანით, ეს ჩემი სიცოცხლეა... თათია, ეს მამაჩემია.

ამიკო – გამარჯობათ...

ფრიდონი – ეს დედაჩემია.

თათია – სასიამოვნოა.

ფრიდონი – ეს ჩემი ძმები: ავთო... ტარიელი...

თათია – სასიამოვნოა... (უხერხული პაუზა).

ამიკო – ფრიდონ, შეიყვანე შენს ოთახში, მოეწყვეთ, დალაგდით. (ფრიდონი და თა-
თია გადიან).

ტარიელი – ეს ნორმალურია? ა?

ამიკო – ტარიელ, არ გინდა...

ნინო – (ტირილი აუვარდა) რატომ გააკეთა ასე? რატომ?

ამიკო – კარგი, დაწყნარდი. გაიგონებენ... დაწყნარდი... (პაუზა) თქვით რამე...

ტარიელი – რა უნდა ვთქვა... დებილია, ნალდი დებილი...

ამიკო – ტარიელ! ყველაფერი კარგად იქნება! ასე ჯობია კიდეც, იქნებ ჭკუაზე
მოიყვანოს ფრიდონი... ისე მაღალი გოგოა, არა? ტანი... ფეხი... თუმცა, ახლა რას
გაიგებ, ფეხმძიმედაა. (შემოდის ფრიდონი).

ფრიდონი – რას იტყვით? ა? (პაუზა) თათიას ძალიან მოეწყონეთ ყველანი... არ მინ-
დოდა ასე რომ მომხდარიყო, მაგრამ... ეს ერთი რამე მაპატიეთ...

ამიკო – მთვრალი ხარ, ბიჭო?

ფრიდონი – ჰუუ...

ამიკო – მოეწონა შენი ოთახი?

ფრიდონი – ვაიმე, ძალიან... არაფერზე არ ინერვიულოთ, მაგარი უპრეტენზიო
გოგოა.

ნინო – ბავშვს როდის ელოდება?

ფრიდონი – ორ თვეში... ზუსტად არ ვიცი... შევალ, მივხედავ...

ტარიელი – გაგვაგებინე ვინ არის? დედა... მამა...

ფრიდონი – მშობლები სოფელში არიან, ზესტაფონში, დილიკაურში, ზღაპარი
სოფელია!

სოფელი ხომ არ გვქონდა არა? ახლა გვექნება. (იცინის).

ფრიდონი – ჭურაძე... არა, ჭურაძე მაგის დეიდაშვილია... ვისთანაც ცხოვრობდა...
თათია ებანოძეა. შევალ რა?! მივხედავ, უხერხულია...

ამიკო – მთვრალი ხარ, ბიჭო?

ფრიდონი – ჰუუ...

ამიკო – გამოიყვანე, მოშინაურდეს...

ფრიდონი – ყველაფერი ეხერხება... სადილის კეთება... მოგეხმარებათ ოჯახში...
მაგარი უპრეტენზიოა... ახლოს რომ გაიცნობთ, მაგრად მოგეწყონებათ.
(გადის. ნინო ტირის).

ტარიელი – დებილია, ნალდი დებილი...

ამიკო – კარგით, მორჩა ამაზე ლაპარაკი... ვნახოთ.

(შემოდიან თათია, ფრიდონი, ორნი).

თათია – მოგეხმარებით ნინო დეიდა... (ამიკომ სიგარეტი ამოილო) ამიკო ბიძია,
დიდი ბოდიში, მარა, ნუ მოწევთ თუ შეიძლება...

ამიკო – (აქრობს სიგარეტს) რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ცხელი წყალი არა
გაქვთ? (ზარი კარზე).

გენო – (შემოდის) გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ გამრავლებას და
გახარებას... (შეამჩნევს ფეხმძიმე თათიას), თქვენ მგონი უკვე მრავლდებით... ძალიან
გამეხარდა, რომ გავიგე გადაგიფიქრებიათ და ახლა უკვე ყიდით სახლს. წელან
ეს განცხადება რომ წავიკითხე, ეგრევე გამოვქანდი. კარგია, რომ ამ წელინადში
გადაწყდება ეს საქმე. არ დაგიმალავთ, ძალიან მომწონს ეს სახლი და ეს ადგილი.

ფრიდონი – ჩვენც...

ამიკო – რა განცხადება წაიკითხეთ?

გენო – აი ეს, დღევანდელ გაზეთში...

ამიკო – (კითხულობს) იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი, პატარა ხე-ხილიანი ეზოთი, დიდი სარდაფით, საერთო ფართი 180 კვადრატული მეტრი, ფასი შეთანხმებით...

გენო – მითხარი ფასი.

ნინო – ვინ აკეთებს ამას, ვინ?

ამიკო – თუ ძმა ხარ, თავი დამანებე რა?.. გითხარით, ეს სახლი არ გაიყიდება!

გენო – ჰო, მაგრამ მე ვითიქრე...

ამიკო – არ მაინტერესებს, თქვენ რა იფიქრეთ... სახლი არ იყიდება! მიბრძანდით!

გენო – ფასს უწევთ არა? ფასს უწევთ... მითხარით მაინც რამდენი გინდათ? ოთხ-ოთახიანი ბინა და? რამდენი?... მაგით თქვენ მე ფასს ვერ გამაზრდევინებთ, მე რამ-დენიც მაქვს ჩაფიქრებული, იმაზე მეტს მაინც არ მოგცემთ...

ამიკო – გაეთრიე... გაეთრიე... შე ნაძირალა... გაყიდვა რომ გადავწყვიტო, შენ მაინც არ მოგყიდი ამ სახლს.

(გენო გადის).

თათია – ვაიმე, ამიკო ბიძია, ნუ მოსწევთ რა?.. (ამიკო აქრობს სიგარეტს).

ნინო – ხუთი წუთი დარჩა... ამიკო ღვინო ჩამოასხი... (ყველანი საქმით არიან დაკავებულები, ბოლო წუთზე ავსებენ ჭიქებს, უჭახუნებენ ერთმანეთს, გოზინაყს ანოდებენ „ასე ტკბილად დამიბერდი“; ისმის სროლა, აფეთქებები, შუშეუნები. ვიღაც ძალიან ახლოს დაზგის ტყვიამფრქვევს ისვრის).

თათია – ვაიმე!

ფრიდონი – რა იყო?

თათია – ფეხი მომარტყა... ნახე...

ტარიელი – მამა... დედა... მე უნდა წავიდე რა, ბიჭები შევთანხმდით. ერთად უნდა გავათენოთ ახალი წელი...

ავტორი – სად უნდა წახვიდე... პიესის მიხედვით აქ უნდა დარჩე, ეს შერიგების სცენაა...

ტარიელი – შენ მშობლებთან გაათენებდი ახალ წელს?

ავთო – მეც, მეც უნდა წავიდე, მელოდებიან...

ავტორი – არ წახვიდე დარჩი, ცოდოები არიან.

ფრიდონი – მამი, არ გენყინოს რა? ჩვენც წავალთ. თათიას დაქალები ელოდებიან.

ავტორი – შენ მაინც დარჩი... სად გარბიხარ ფეხმიმე ცოლით.

ფრიდონი – ყველამ თავის ფეხმიმეს მოუაროს რა!..

თათია – შენ ვერა ხარ კარგად? (შუბლზე იჭერს თითს).

ამიკო – წადით, წადით... რა ბოდიშებს იხდით. (ყველანი გადიან, დედ-მამის გარდა, ნინო სუფრას ალაგებს. ამიკო სიგარეტს მოუკიდებს, მერე რაღაც გაახსენდა და ჩაერო. ავტორი და ამიკო მარტონი არიან, ამიკო უკმაყოფილოდ უყურებს ავტორს. დიდი პაუზის შემდეგ).

ავტორი – რა გინდა?

ამიკო – არ შეგიძლია ცოტა მოაწესრიგო ყველაფერი?

ავტორი – რანაირად მოვაწესრიგო? მიჯერებთ რამეს?

ამიკო – რო დაგიჯერო?

ავტორი – ვაჭრობაში რომ დაგაწყებინო მუშაობა, რას იტყვი? ბენზინში იცი რა ფული ტრიალებს? ეკონომიურად მაინც მოწესრიგდება ყველაფერი... შეიძლება ეს სახლიც შეინარჩუნო.

ამიკო – არ გამოვა.

ავტორი – რატომ არ გამოვა?

ამიკო – არ არის ეგ ჩემი საქმე... „მსახიობი ამაყია“...

ავტორი – უცნაური ხალხი ხართ! – მშიერი და ამაყი?!

ამიკო – ეგრეა. (პაუზა) ერთი ეს გამიმხილე, როლზე დამამტკიცებენ?

ავტორი – არ ვიცი... ვნახოთ.

ამიკო – ისე, მართლა ჩემი როლია, არა?

ავტორი – კი!

ამიკო – სახლი გაიყიდება?

ავტორი – ეგ შენზეა დამოკიდებული. მაგრად უნდა დადგე.

(ამიკო ავტორის ფურცლებს ათვალიერებს).

ავტორი – რა გინდა? რას ეძებ ამქალალდებში? (უნდა წაართვას ქალალდები, ამიკო არ ანებებს). არ დამიხიო ერთი ეგზემპლიარი მაქვს, ხელი, ხელი გაუშვი.

ამიკო – ფინალი წამაკითხე და გავიგებ.

ავტორი – ვერაფერს ვერ გაიგებ, სწორედ ფინალი მაქვს გადასაკეთებელი, ხელი გაუშვი (ამიკო უშვებს ხელს). არ დამანებებ თავს? წადი რა?!..

ამიკო – სად უნდა წავიდე, მე ჩემს სახლში ვარ.

ავტორი – არ წახვალ?

ამიკო – არა!

ავტორი – ამიკო, არ გამაბრაზო.

ამიკო – გაბრაზდი რა...

ავტორი – მოდი, კარები გააღე.

ამიკო – დარეკა ვინმერ?

ავტორი – დარეკავს (ბეჭდავს, კარზე ზარია, ამიკო მიდის, კარს აღებს. შემოვარდა სამი ნიღაბაფარებული ბიჭი ერთი ფეხმძიმე გოგო და ერთიც ორმოცი წლის მამაკაცი).

ამიკო – ვინ გნებავთ?

I – მარტო ხარ?

ამიკო – ჰო, მაგრამ მალე მოვლენ.

II – ვინ მოვა, შენი გამოქლიავებული შვილები?

III – ნეტა მოვიდნენ, ჩვენც მაგათ ვეძებთ.

ამიკო – ვინა ხართ და რა გნებავთ, მიბრძანდით აქედან.

I – ამ ოჯახს ჩემი ვალი აქვს.

II – ჩემიც...

III – ჩემიც.

ამიკო – მე არავისი ვალი არა მაქვს.

I – ტარიელს აქვს ჩემი ვალი!

II – ჩემი ავთოს!

III – ჩემი ფრიდონს!

ამიკო – (ეძახის ავტორს) ეი, ბიჭო, ვინ არიან ესენი. ეი, მიშველე (ავტორი არ აქცევს ყურადღებას აგრძელებს ბეჭდვას). მიბრძანდით აქედან!

I – თუ შენი შვილების სიცოცხლე გინდა სახლი უნდა გაყიდო (მიაბჯენს პისტოლეტს).

ამიკო – (ეძახის ავტორს) ეი, ბიჭო!.. ეს სახლი არ გაიყიდება.

II – ხო გაძლევს ის კაცი ოთხ ერთოთახიან ბინას და ფულსაც გიმატებს... რატო არ ყიდი? რატო?..

(ურტყამს)

ამიკო – ეს სახლი არ იყიდება!

მამაკაცი – უთო მონახეთ, უთო.

ამიკო – ააა! მარტო არა ყოფილხარ? მაშ ათნი ერთზე მოდიხართ? კარგი, ყოფილა ასსაც გავმკლავებივარ. ეს შენ, სიცრუევ, შენ ორპირობავ! შენც საკადრისი მიიღე შურო (ამიკო დაშინით ხელში თავგანწირული იბრძვის) შენც დიდყაცურო გაბლენდილობავ, გაუმაძლარო...

III – მეტკინა შენი...

ამიკო – ხომ ხედავთ ვიბრძვი, ვიბრძვი, კვლავ ვიბრძვი – ვაი (ხელი ატკინეს) და არ გნებდებით და ამ ბრძოლაში ამომდის სული. (ამიკო დაიჭირეს, მაგიდაზე გადაწვინეს და დაუთოვებას უპირებენ) ეი, ბიჭო, მიშველე!!

გოგო – (წინ ფურცელს დაუდებს) ეს არის თანხმობის ფურცელი, მოაწერე ხელი, რომ თანახმა ხარ სახლის გაყიდვაზე!

ამიკო – არ მოვაწერ.

ავტორი – (აქამდე გულგრილად უყურებდა ყოველივეს). აბა, აბა მორჩით! დაუ-
თოება არ არის საჭირო, წადით ახლა აქედან.

III – დაგბრიდავ, შენი... (შეშინებული ავტორი, გარბის საბეჭდ მანქანასთან და ბე-
ჭდვას აგრძელებს. ამიკოს პერანგი აუწიეს და უთო დაადეს. ამიკო ყვირის, შემდეგ
ჩუმდება და სიცილი უტყდება).

III – რა გაცინებს, ტო?

I – დენი გაითიშა, ჩემი...

II – ეს არი ქვეყანა? კაცი ვერ დაგიუთოებია...
(კარზე ზარია)

I – ვინ არი?

ამიკო – ხომ გითხარით, მოვლენ-მეთქი.

I – იცოდე, არაფერი წამოგცდეს, თორემ ოჯახიანად აგაფეთქებ (ამიკოს ფეხზე
აყენებენ, თმებს უვარცხნიან, ტანსაცმელს უსწორებენ).

I – მოდი გააღე (ამიკო აღებს კარს, შემოდის ნინო).

ამიკო – ნინო, გაიცანი ჩემი ახალი მეგობრები არიან (ნინო ართმევს ხელს სათი-
თაოდ).

ნინო – ნინო...

მამაკაცი – სასიამოვნოა.

ნინო – ნინო...

ფეხმძიმე გოგო – სასიამოვნოა.

ნინო – ნინო.

I – სასიამოვნოა.

ნინო – ნინო.

II – სასიამოვნოა.

ნინო – ნინო.

III – კოკა – ვახ ჩემი, ტო, ესეც დათო.

ნინო – რეპეტიცია გაქვთ?

ამიკო – ჰო, რეპეტიცია გვაქვს, ახლა გვქონდა ფსიქოლოგიური სცენის რეპეტი-
ცია – ამიკოს დაუთოება.

მამაკაცი, I-II-III, გოგო – (ემშვიდობებიან) კარგად ბრძანდებოდეთ.

ამიკო – კარგად ბრძანდებოდეთ. ნინო, გააცილე სტუმრები (ნინო აცილებს, ავ-
ტორს) რა იყო ეს... ვინ იყვნენ ესენი?

ავტორი – არავინ, ეს ისე ვიხუმრე, ეს სცენა არ იქნება (ხევს ფურცელს).

ამიკო – ისე, ხო მაგრა დავდექი?

ავტორი – დენი არ გამომერთო, ვნახავდი, როგორ დადგებოდი. გენყინა?

ამიკო – მეტკინა.

(ტელეფონის ზარი).

ამიკო – გისმენთ?!

ხმა – სანდროს თხოვეთ?!

ამიკო – სანდრო ვინ არი?!

ავტორი – მე ვარ, მე... გისმენ...

ხმა – ხომ არ გაგალვიძე...

ავტორი – შენ რატომ არ გძინავს?

ხმა – არ მეძინება. იცი რა ვიფიქრე...

ავტორი – არ ვიცი.

ხმა – გადავწყვიტე, ხვალ მივდივარ ექიმთან, მოვიცილებ ბავშვს და დამთავრდება
ყველაფერი. შენც მოისვენებ და მეც.

ავტორი - რა უნდა ვთქვა?

ხმა – რა უნდა თქვა... დუმილი თანხმობის ნიშანია?

ავტორი – დუმილი საერთოდ არაფრის ნიშანი არ არის.

ხმა – წავიდე ექიმთან? (პაუზა) გასაგებია...

(წყვეტილი ზუმერი, ავტორი ამიკოს მიაჩერდა).

ავტორი – ამიკო, რა ვქნა?

ამიკო – მე მეკითხები? (ავტორი თავს უქნევს) გიყვარს?

ავტორი – არ ვიცი.

ამიკო – არ იცი? ვაი შენ პატრონს, შენ ვის ასწავლი ჭურას? დამიჯერე, დამიჯერე, შენ რა უნდა დაგიჯერო თვითონ აზრზე არა ხარ ცხოვრების... (ამიკო გადის, ავტორი მარტო რჩება. შუქი ნელ-ნელა ქრება).

ავტორი – ეე... ეე... რა არის ეს?.. ეს მინდოდა ახლა?..

პირველი მოქმედების დასასრული.

მეორე მოქმედება

ავტორი – (დგას, ხელში პიესის ფურცლები უჭირავს) არა, არა... ასე არ შეიძლება, რაღაც უნდა მოვიფიქრო. აქ ახლა რაღაც უნდა დაინგრეს ან უნდა აშენდეს... რა ჩავუსვა ახლა აქ? ეროტიული სცენა? არა... აქ რა უნდა ახლა ეროტიკას? (პაუზა. ეტყობა რაღაც მოიფიქრა) მე აქ ახლა სცენას გავაკეთებ!.. აი ბომბი!... აი აფეთქება!.. (მიდის საბეჭდ მანქანასთან) „აიდა პუშკინ“, „აიდა სუკინ სინ!“... (ბეჭდავს) აი ბომბი (ისმის მთვრალების სიმღერა, რას მღერიან? რაღაც რესტორნიდან გამოყოლილ სიმღერას. „მაკარინას“? შეიძლება) რა არი ეს? რა ხდება აქ? (სცენაზე მთვრალი ამიკო და გენო შემოდიან). სტოკპ, რა არის ეს? ამიკო, რას გავხარ?

ამიკო – რას ვგავარ?

ავტორი – რატომ დალიე? რატომ? ამ სცენაში ფხიზელი მჭირდებოდი (ამიკოს შერცხვა) რა ვქნა ახლა? იქ ნაძირალა რომ მოგაყვანინა, გენო ვონ ატსუდა!.. არა-ვითარი გენო აქ არ მჭირდება. ნადი გენო! (გენომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა).

ამიკო – ვინ არი ნაძირალა? გენადი არ წახვიდე! ნაძირალა შენ ხარ და იცი შენ რატომაც ხარ ნაძირალა! კაცი მეგონე, გენადი, მოდი აქ, მოდი! – სიგარეტი არ მოწიო, ჩააქრე შეჩემა... გენო, ჯიგარი ხარ, რომ წამომყევი, ახლავე რამე დასალევს გავაჩენ.

გენო – ამიკო, თუ ჩემი ძმა ხარ, არ გვინდა რა...

ამიკო – როგორ არ გვინდა.

ავტორი – კარგი, კარგი, იქეიფე... მიდი... მიდი... მეც მაქვს არაყი და დავლიოთ, ვიგრიალოთ, ვიგრიალოთ... ფხიზელი თქვენი ყურება მაინც აღარ შემიძლია (ასხამს არაყს, მაგრამ არ ჭამს, ეტყობა ამიკოს აშინებს).

ამიკო – რესტორანში ხომ შენ დამპატიუე, აქ მე გპატიუებ. (შემოაქვს სასმელი).

ავტორი – მიდი... მიდი... შეუბერე! (ამიკო ავსებს ჭიქებს). ეგრე რა? ხარაშო... რაც გინდა ის ქენი, ჩემდა თავად შენ საქმეში ჩამრევის და ხმის ამომღების დედაც.

ამიკო – აბა, დაახვიე აქედან.

ავტორი – რა ვქნა?

ამიკო – დაახვიე.

ავტორი – კარგი, კარგი აზრია (წვეპა საწოლზე და ბალიშს იხურავს თავზე. ამის შემდეგ, ავტორი ცდილობს შეასრულოს თავის სიტყვა და არაფერში არ ჩაერიოს. ვნახოთ, სანამდე შეიკავებს თავს).

ამიკო – დღეს რომ დაგინახე, რა ვიფიქრე იცი? თუ დამელაპარაკა ყბაში ვგლიჯავ-მეთქი... (იცინის) აუ, რა კაი ვიღაცა ხარ... მოდი, გაკოცო... სახლს არ მოგყიდი, ისე ვიძმაკაცოთ.

გენო – შენ როგორც გინდა, თუ გადაწყვეტ გაყიდვას, ჩემი ტელეფონი იცი.

ამიკო – იცი, რატომ გცემ პატივს? მაგარი იდეა გაქვს – შვილებისათვის ხსნი კაზი-ნოს... ერთად იქნებიან. ერთმანეთს გაიტანენ... რამდენი ბიჭი გყავს?

გენო – სამი... ანზორია, ემზარი და ჟორა.

ამიკო – მაგარი ხარ, მაგრამ სახლს მაინც არ მოგყიდი... შენი ბიჭები ერთად იქნებიან... ჩემები... ჩემები... (ტირის).

გენო – რა შენები? თუ გინდა შენებსაც ჩავაყენებ საქმეში. იცი, აქ რამდენი რამეა გასაკეთებელი? ეს კედლები უნდა მოიხსნას, ეზოში ხეები უნდა მოიჭრას და მაგიდები უნდა დაიდგას, მეორე სართულზე სამი ან ოთხი საძინებელი უნდა გაკეთდეს თავის აპაზანებით – განსაკუთრებით პატივსაცემი კლიენტებისათვის, თუ უნდათ თვითონ მოიყვანენ ქალებს, თუ უნდათ მე დავახვედრებ. შენთვის ერთი ნომერი ყოველთვის მექნება თავისუფალი, ახალგაზრდა კაცი ხარ... ხანდახან ესეც საჭიროა, სტრესებს მოიხსნი, დაწყნარდები და რამე...

ამიკო – შენ რაა? გენო ჩემი წინაპრების სახლში ბორდელი გინდა გახსნა? (ოდნავ გამოფხიზლდა) არა, გენო... არ გამოვა ეგ საქმე.

გენო – გამოვა, დამიჯერე. ბოლო-ბოლო ამ სახლს შენ მაინც გაყიდი ჩემზე უკეთეს ვარიანტს კი, ვერავინ შემოგთავაზებს.

ამიკო – გენო!.. გენო!.. გენო! შენი ნათლია, შენი... წადი აქედან! წადი გეენო! (ხელს კრავს) წაადიით!..

გენო – ხელი! ხელი გამიშვი!.. ხელი შენი... (სილას გაარტყამს და გადის).

ამიკო – (ცხვირიდან წამოსულ სისხლს იწმენდს) ჯერ არ მოვმკვდარვარ... ხომ ხედავთ ვიბრძვი! ვიბრძვი, კვლავ ვიბრძვი და არ გნებდებით. (ავტორი მიდის ამიკოსთან, სკამზე სვამს, ცხვირსახოცს ადებს ცხვირზე და უბრუნდება თავის სანოლს). (მიდი ტელეფონთან. ნომერს კრეფს) რიმა, გამარჯობა... დათო შენა ხარ? რიმას დაუძახე რა? რიმა! ხო, მე ვარ, შეგაწუხე არა? რაო, რას ამბობს ფედერიკო? ფელინი? გურული ფელინი? არაო? (პაუზა) ესე იგი მოვუშვა წვერი. ჯერ არა? აბა, მერე ორ დღეში ხომ არ ამომივა წვერი? ასაკი? დღეს გაიგო მაგ ჩემისამ ჩემი ასაკი? რიმა, მაგ შენ გამოსირებულ ფელინს უთხარი, მაკოცოს ერთ ადგილზე... გაიგე? რიმა! რიმა! მართლა არ უთხრა, გეხუმრე... ხო, რიმა, გისმენ... კიდევ არის იმედი? შენ დამირეკავ? კარგი, დაგელოდები!.. ეეი! სადა ხართ?!..

ტარიელი – (შემოდის) მთვრალი ხარ? რატომ დალიე, რატომ? შენთვის ხო არ შეიძლება დალევა. წამოდი, დაწექი.

ამიკო – ხელი!..

ტარიელი – წამოდი, დაიძინე (ამიკო არ მოყვება).

ამიკო – ხელი გამიშვი ბიჭო.

ტარიელი – მე მიკითხა ვინმემ?

ამიკო – არ ვიცი, მე თქვენი მდივანი ალარა ვარ.

ტარიელი – (რეკავს ტელეფონზე) ზურას თხოვეთ, თუ შეიძლება?! ნანი, შენ ხარ? რა გატირებ? რა მოხდა? რა? რა ზურამ? რა არ გამაგიურ... რატომ? რაა?.. მე რა შუაში ვარ? გოგო მე რა შუაში ვარ... ქალო შენ ნორმალური ხარ?.. ვახ ჩემი!..

ამიკო – მოკალი?

ტარიელი – რაა?

ამიკო – მოკალი?

ტარიელი – მეე! მე მოვკალი? ტყვია იგლიჯა შუბლში...

ამიკო – შენ მოკალი!

ტარიელი – მე რა შუაში ვარ? მე რა შუაში ვარ?!..

ამიკო – მგლებთან მაქვს საქმეო... შენც მგელი გახდი? (ტელეფონის ზარი) გისმენთ... ავთო? არ არის სახლში, ვინ კითხულობს? მეგობარი? არა ხარ შენ ავთოს მეგობარი... (დებს ყურმილს).

ავთო – (შემორბის აღელვებული) მე ხომ არ მიკითხა ვინმემ?

ამიკო – ეს წუთია დაგირეკა ვილაცამ... მეგობარი ვარო...

(ავთო ტანსაცმელს იცვლის, ტარიელი ტელეფონზე რეკავს, ნაწყვეტ-ნაწყვეტისმის ასეთი ფრაზები).

ტარიელი – თემო, ჩათვალე, რომ ოცდათხუთმეტი ათასი ალარ არსებობს, რატო? იმიტომ, იმიტომ, რომ ზურამ თავი მოიკლა, ხო, მართლა! გუგა გააფრთხილე (კარზე ზარია, ავთო მიდი რა, გააღე).

ავთო – არა რა, მე ვერ გავაღებ, მე სახლში არა ვარ.

ტარიელი – თემო არ დაკიდო, დამელოდე... (მიდის კარის გასაღებად).

ამიკო – რა მოხდა, ავთო?

ავთო – არაფერი, მამა, ყველაფერი კარგად არის!.. ყველაფერი ძალიან კარგად არის (გარბის თავის ოთახში).

ამიკო – შენ მე რა უნდა გამომაპარო, ერთი სხვას კლავს, მეორეს მოსაკლავად დასდევენ, მესამე... ეეჲ... (შემოდიან ნინო, თათია და ფრიდონი. ეტყობა ნაჩეუბრები არიან. ტარიელი ტელეფონზე აგრძელებს საუბარს). ხო, თემო გუგა გააფრთხილე ფაქსი აღარ გააგზავნოს!

ნინო – რატომ არ აღებთ კარს? გასაღები სახლში დამრჩენია. ტარიელ, სად დაიკარგე, სად ათევ ლამეს? ამათ ხომ თავი მომჭრეს, ექიმთან მთელი გზა ჩხუბობდნენ. (შეამჩნია, რომ ამიკო მთვრალია) ვაიმე, მთვრალი ხარ? რატომ დალიე? რატომ? შენთვის დალევა შეიძლება?

ამიკო – დღეს ერთი მაგარი ჯიგარი შემხვდა და დავლიეთ. მოდი, ჩემო სიცოცხლევ, ხელზე უნდა გაკოცო, შენი სიმშვიდისა და მოთმინებისათვის ბოდიში მინდა მოგიხადო.

ნინო – რატომ დალიე?! კინოსტუდიაში ხომ არ გითხრეს რამე?

ამიკო – მითხრეს... მგონი, ალარვჭირდები. რავუთხარი იცი? (იცინის) ერთადგილზე მაკოცე-მეთქი... (იცინის) ოლონდ ადგილი არ დამიზუსტებია... როგორ მიყვარხართ? მიყვარხართ ისე, რომ მინდა თქვენთვის დავიწვა ცეცხლში და გაგინათოთ გზა, ჩემო კარგო, დასაბამიდან დასასრულამდე!.. ამ წერილს როცა გადაიკითხავთ, მე შესაძლოა არ ვიყო ქვეყნად, მაგრამ ამაზე ნუ დალონდებით, გახედეთ ზეცას და თუ უეცრად შეგაურიალათ.... ტანში და უცებ სურვილი გაჩნდა მოულოდნელი, გადასარევი სურვილი: მთვარის წკრიალა ნამგლით ვარსკვლავებს მკიდეთ, ან მზის ნათელი დალიოთ პეშვით, მაშასადამე, მეც დავრჩი კიდევ, მაშასადამე, მეც ვცოცხლობ თქვენში.

- სად იყავით?

ფრიდონი – ექიმთან წაგვიყვანა დედამ...

ამიკო – მერე, რაო ექიმმა?

ფრიდონი – ყველაფერი კარგად იქნებაო. თუ ბიჭი გაჩნდა, მანქანას მიყიდი მამი?

ამიკო – გიყიდი, აბა, რას ვიზავ... მთვრალი ხარ ბიჭო?

ფრიდონი – ჰუუ... (გადის თათიასთან ერთად).

ნინო – დაიძინე. (გაყავს. ფრიდონი ბრუნდება).

ტარიელი – (ბლოკნოტი ამოილო, რალაცას ანგარიშობს) ავთო, ასე რამ შეგაშინა?

ავთო – ვიღაცები დამდევენ, ბიჭო, შეიძლება მომეჩვენა.

ფრიდონი – ვინ დაგდევს, ავთო, გინდა ჩემ ძმებს ვეტყვი, მიხედავენ.

ტარიელი – ვიცოდი, რა ნაგავიც იყო თქვენი თავმჯდომარე: თვითონ გაიპარა და თქვენ ჩაგიშვათ.

ავთო – არა რა, უნდა წავიდე აქედან...

ფრიდონი – მამამ იცის ავსტრალიაში რომ მიდიხარ?

ავთო – იცის, მაგრამ არ სჯერა.

ფრიდონი – როგორ მშერს შენი. ავთო ავსტრალიაში თოვლი ვააფშე არ მოდის, არა?.. (ავთო თავს უქნევს) პოლიციელები მართლა შორტებში დადიან?

ავტორი – ჰო, ჰოლიციელები შორტებში დადიან... თოვლი ვააფშე არ მოდის. დილაობით კენგურუ მოდის, ჩანთით მაწონი მოაქვს და კოვზით გაჭმევს... დეგენერატი...

ფრიდონი – რო ჩახვალ, ვიზა გამომიგზავნე, რა?

ავთო – წამოხვალ?

ფრიდონი – აბა რა ვაკეთო აქ?

ავთო – მერე ცოლი?

ფრიდონი – ერთი მაგის... (პაუზა).

ავტორი – შენ რალა გინდა, ავსტრალიაში, ვის რაში ჭირდები იქ. წადით, წადით!

ტარიელს ვის უტოვებთ, ეგეც წაიყვანეთ.

ტარიელი – თუ წაზვედი, ვიზა მეც გამომიგზავნე...

ავთო – შენც?

ტარიელი – თქვენ რა ჩემზე ჭკვიანები ხართ?

ავტორი – წადით, ყველანი წადით! თქვენს მშობლებს და თქვენს ქვეყანას მე მო-
ვუვლი.

ფრიდონი – დევი და ლაშა დაგხვდებიან არა?

ავთო – დამხვდებიან, მე თუ წავედი; ფული არა მაქვს.

თათია – (გარედან) ფრიდონ! მოდი აქ! (ფრიდონი უხერხულად იღიმება და გად-
ის).

ავთო – ზურა რას შვრება, გაძლევს ფულს?

ტარიელი – ზურამ თავი მოიკლა.

ავთო – სერიოზულად?

ტარიელი – ახლა სად ვიშოვო ეს ფული აღარ ვიცი (შემოდის ფრიდონი).

ფრიდონი – ამას რა დაემართა აზრზე არა ვარ, იცი, რა უპრეტენზიო იყო? ფეხმძი-
მობის ბრალია... მიზეზობს რა... გასკდა ტირილით...

თათია – (გარედან) ფრიდონ! მოდი აქ!

ფრიდონი – მოვდივარ! რა ვუყო, მაგის ნერვიულობა არ შეიძლება (გარბის).

ავთო – ესე იგი, შენი იმედი არ მქონდეს?

ტარიელი – თუ ძმა ხარ, შემეშვი რა?!

ავთო – მარტო შენი იმედი მქონდა. ესე იგი, არა?

ტარიელი – ზურას იმედი მქონდა, ბინა უნდა გაეყიდა. თავის მოკვლა არჩია.

ავთო – დეგენერატი...

ფრიდონი – (შემოდის) სახლში ბორჯომი არ გვაქვს?

ტარიელი – არ ვიცი, ნახე მაცივარში. (ფრიდონი გადის, მალე ჭიქით ხელში გარბის
თათიასთან). ერთი რამე გამაგებინე, შენთან რა უნდათ? შენთან რა პრეტენზია აქვთ,
აიღე რამე იმ ფულიდან? აიღე?.. აიღე არა, შე დეგენერატო? კი მაგრამ, რა უყავი ის
ფული? შენი დახარჯული კაპიკი არ მინახავს... რა უყავი?

ავთო – ბანკში მქონდა... პროცენტზე...

ტარიელი – მერე? გაკოტრდნენ? დაითესნენ?.. ახია შენზე...

ავთო – შენი იმედი არ მქონდეს?

ფრიდონი – (შემოდის) რა ვქნა? მირჩიეთ რამე? მალე სკანდალი ატყდება აქ... მა-
მაჩემს სახლის გაყიდვაზე რო დაველაპარაკო გული გაუსკდება, არა და?

თათია – (შემოვარდა ნამტირალევი) შენ არ გესმის, რომ გეძახი, არ გესმის?! მიპა-
სუხე! რა გინდა? რა? რატომ მაღიზიანებ? რატომ? დებილი შვილი გინდა გაგიჩნდეს?
დებილი შვილი გინდა გაგიჩნდეს არა?!

ფრიდონი – რა გინდა? რაა? (იცინის).

თათია – არაფერი არ მინდა, მომბეზრდა მარტო ჯდომა ოთახში.

ფრიდონი – მერე, გამოდი აქ, ვინ გიკრძალავს?

თათია – აქ სიგარეტის სუნია...

ნინო – (შემოდის) ცოტა ჩუმად... იქნებ დაიძინოს... (გადის).

თათია – წავიდეთ რა სადმე?

ფრიდონი – სად უნდა წავიდეთ?

თათია – სადმე! აქ ყოფნა არ შემიძლია...

ტარიელი – აქ რატომ არ შეგიძლია?

თათია – ტარიელ, გენაცვალე. შენ რა გენალვლება, შენს სახლში ხარ, მე კი...

ფრიდონი – კარგი ახლა, კარგი... ტირილი არ დაიწყო, თორემ გავგიუდები. (თათია
ტირის). რა გინდა? რა? შეიძლება სულ წუნუნი და ტირილი?! გამაგიუა რა! ყოველ-
დღე ერთი და იგივე, ერთი და იგივე – გავცვალოთ ეს სახლი, გავყიდოთ ეს სახლი...
რა არ მოგწონს აქ, შეჩემისა, რაა? მართლა დებილს გააჩენს ეს შობელძალლი, რა
გინდა დედაჩემთან, რა? რას გიშავებს, რას? რატომ ვერ იტან?

თათია – თვითონ ვერ მიტანს!..

ფრიდონი – მომაკვლევინებს თავს... (ეცემა თათიას, ანჯლრევს).

თათია – კრეტინო, დებილო!..

ნინო – (ყვირილზე გამოჩნდება) რა გაყვირებს? ფრიდონ, ხელი, ხელი გაუშვი... თა-
თია! რა გინდა? მითხარი. პირდაპირ მითხარი, რა გინდა?!

თათია – აქ ცხოვრება არ შეიძლება, გაყიდეთ ეს სახლი და მოგვეცით ჩვენ ერთი
ოთახი.

ნინო – შენ გგონია, ცალკე რომ იცხოვრებთ, უკეთესად იქნები?

თათია – თავისუფლად მაინც ვიქნები, არავინ არ დამამადლის არაფერს...

ნინო – აქ ვინ გამადლის რამეს? ვინ?

თათია – რაშია საქმე? არ ეკუთვნის ფრიდონას ერთი ოთახი? (ფრიდონას) არ გე-
კუთვნის? მითხარი, არ გეკუთვნის? თქვენ ხომ იცხოვრეთ თქვენს გემოზე, ახლა
გვაცალეთ ჩვენ.

ნინო – ჩვენ გემოზე ვიცხოვრეთ?

ტარიელი – დედა, დაანებე თავი!

თათია – ასეა, არავის არ უყვარს სიმართლის გაგება.

ავთო – გეყოფა თათია! გაჩუმდი!

თათია – არ გავჩუმდები, არა! რატომ არ გვაძლევთ ბინას, რატომ? ხომ ხედავ, რომ
ვერ მიტანს! პირველი დლიდან ვგრძნობ ამას...

ფრიდონი – თათია, გაჩუმდი...

თათია – შენ კაცი ხარ? თუ არ გქონდა ცოლის შერთვის თავი რა გინდოდა?

ფრიდონი – მე შინდოდა? მე?

თათია – კრეტინო!..

ფრიდონი – კრეტინი დედაშენია! შენი დედა, შენი... (თათია გარბის) რა ვქნა? ამის
დედა ვატირე, მოვკლა? დედა... იქნება მართლა გავყიდოთ ეს სახლი, ტარიელსაც
ცალკე უნდა ცხოვრება, ავთოს ფული სჭირდება, თქვენც მოისვენებთ...

ავთო – დედა, ახლა შენ ნერვებს ნუ აჰყვები და წყნარად მომისმინე...

ნინო – გისმენ...

ავთო – მამაჩემი თუ არა, შენ მაინც ხომ ხვდები, რომ ეს სახლი დღეს თუ არა, ხვალ
მაინც გაიყიდება. ის კაცი... რა ჰქვია?

ფრიდონი, ტარიელი – გენო, გენო!

ავთო – ხო, გენო, კარგ ვარიანტს გვთავაზობს... რა ვიცი, მე თუ მკითხავთ, უნდა
გავყიდოთ სახლი... შენიდა თათიას ერთად ცხოვრება შეიძლება? ტარიელსაც ცოლის
შერთვა უნდა.

ფრიდონი – ხო, რა... დედი რა... ავთოს საბუთები მზადა აქვს და ფული სჭირდება!

ტარიელი – მეც ეგრე მგონია, ცალ-ცალკე უფრო კარგად ვიქნებით, უფრო გვეყ-
ვარება ერთმანეთი...

ნინო – არ დათანხმდება მამათქვენი...

ტარიელი – არ დათანხმდება და... (ყვირის) აბა, რა ვქნათ, რა? დავჭამოთ ერთმანე-
თი? მაგას, თავის თავის გარდა, არავინ ახსოვს.

ნინო – მოკვდება ის კაცი, მოკვდება... იქნებ ცოტა მოგვეთმინა, ცოტა გაგვეძლო
კიდევ... ტარიელ, ავთო, ფრიდონ (ამიკო დგას ტრუსებში).

ამიკო – კამპანიას გაუმარჯოს! ძლივს არ გნახეთ ყველა ერთად?!

ავტორი – არ გინდა, ახლა არ არის მაგის დრო, ახლა ცუდის მეტი არაფერი გამო-
ვა.

ამიკო – თუ ძმა ხარ, შენს საქმეს მიხედე რა?!

ავტორი – აბა, ეს ვისი საქმეა?

ამიკო – თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი, ჩემო ლომებო. თათია, სად არის ჩემი თა-
თია?!

ავტორი – ამიკო, არ გინდა. (ამიკო ჩხირებს ანოდებს ბიჭებს).

ამიკო – აბა, გადატეხეთ, გადატეხეთ! (ბიჭები ტეხენ. ამიკო ერთ კონას ანოდებს
თათიას) აბა, შენ გადატეხე. (თათია მონდომებით ტეხავს კონას). ლონიერი ხარ, არა,
შენ შემოგევლე? ასეა! ჩვენ გვინდა ერთად ვიყოთ, გინდა ცალცალკე მაინც სუსტები

ვართ, გადაგვტეხა ცხოვრებამ, სულიერად არა ვართ ერთად... ერთი მთლიანი არა ვართ. (ზარი კარზე. თათია გარბის და ცოტა ხანში შემოჰყავს გენო).

გენო – ბოლო-ბოლო გადაწყვიტეთ არა? რად გინდათ ამ განცხადებების ბეჭდვა?

ხომ დაგიტოვეთ ჩემი „ვიზიტკა“, პირდაპირ დაგერეკათ.

ამიკო – კიდევ არის დაბეჭდილი განცხადება?

გენო – ა, ბატონო! დღევანდელ გაზეთში.

ამიკო – ვინ აკეთებს ამას? ვინ? ერთ-ერთი თქვენთაგანი თუ ყველა ცალ-ცალკე?

გენო – ესე იგი ყიდით?

თათია – დიახ!

ავტორი – ერთი წუთით შეჩერდით! გენო, მოდი აქ. მოკლედ, ეს ვარიანტი მე არ მანყობს, რას მიყურებ? არ მინდა, რომ ეს სახლი გაიყიდოს, შენ ახლა ზრდილობი-ანად დაემშვიდობები ამათ და წახვალ...

გენო – სად წავალ?

ავტორი – სახლში, სადაც გინდა...

გენო – წადი კარგია, მაშინ ფუნქცია რაშია? რა მინდა მაშინ მე ამ პიესაში?

ავტორი – სხვათა შორის, ეგ კარგი აზრია; შეიძლება საერთოდ ამოგილო პიესიდან.

გენო – მერე? მთავარი კონფლიქტი ჩემსა და ამიკოს შორის არის და რა პიესა იქნება ჩემს გარეშე?

ავტორი – შენიანად ხომ შექსპირის დონეა?!..

გენო – მით უმეტეს... ისე რას გეკამათები?! მიდი, აბა სცადე ჩემი ამოღება პიესიდან, სცადე რა!..

ავტორი – (ხევს ფურცლებს) აჲა!

გენო – (სამი თითის კომბინაციას უჩვენებს) აჲა! რა მოხდა, გავქრი? აღარა ვარ? (ოჯახის წევრებს) ჲა, რას შვრებით, ყიდით სახლს?

თათია, ტარიელი, ავთო, ფრიდონი – ვყიდით, ვყიდით!

გენო – ამირან! ბოლო სიტყვა შენზეა!

ამიკო – იცით, როგორი შეგრძნება მაქვს? ახლა მივხვდი, როგორ გადაშენდნენ დინოზავრები, ცოტა შეცივდათ, ცოტა შემინდნენ, ცოტა ნაწყენები და გაკვირვებულები იყვნენ...

გენო – ესე იგი შევთანხმდით, შევთანხმდით არა? ძალიან კარგი. აი, ბინების რამდენიმე ვარიანტი, აირჩიეთ თქვენი სურვილის მიხედვით.

ავთო – მე ბინა არ მინდა, თუ შეიძლება ფული გადამიხადეთ...

გენო – კი ბატონო! დღეს თოთხმეტია არა? თვრამეტში სამ საათზე მანქანები არ იქნება, გადასვლის ხარჯებს მე ვკისრულობ! (ავტორი წყვეტს კითხვას, წყდება მოქმედებაც. რეკავს ტელეფონზე).

სმა – გისმენთ?!

ავტორი – მე ვარ.

სმა – გისმენ.

ავტორი – ათ წუთში დაგირეკავ, არ დაიძინო. (მთელი ოჯახი სცენაზეა, ავტორი ნეიტრალურია ყველაფრის მიმართ, რაც ხდება).

ამიკო – ბარგი ჩატანილია, არა? ხომ არაფერი დაგრჩათ? (არავინ პასუხობს). რა თქვა გენომ, რომელზე მოვა მანქანებიო?

ტარიელი – სამზე...

ამიკო – ახლა რომელია?

ტარიელი – ხუთი აკლია სამს...

ამიკო – (ავთოს) შენ ზეგ მიემგზავრები, არა? დღეს და ხვალ სად იქნები?

ავთო – დათოსთან. ისიც ხომ მიდის. ზეგ ჩამოგივლით და დაგემშვიდობებით. ჲო, მართლა, მისამართები მომეცით რა... წერილებს მოგწერთ, დაგირეკავთ. (ყველა აფორიაქდა). ცვლიან მისამართებს. მანქანების სიგნალის ხმა. (შემოდის გენო).

გენო – აბა, წავედით, მანქანები გველოდება. (ყველანი გადიან ამიკოს გარდა).

ამიკო – ნუ გავიწყდება, მე მომკლეს ლე-ბრე,

მაშასადამე, ვერ დამამარცხეს, ეს იმას ნიშნავს
მაინც მე დავრჩი გამარჯვებული!
ეს შენ სიცრუევ! – შენ – პირფერობავ!
შენც საკადრისი მიიღე შურო!
შენც ანგარებავ! შენც დიდყაცურო
გაბლენძილობავ, გაუმაძლარო!
ჯერ არ მოვმკვდარვარ... ხომ ხედავთ ვიბრძვი,
და ამ ბრძოლაში ამომდის სული...

მორჩა, გათავდა... (ეცემა ძირს, ნინო ბრუნდება).

ნინო – ამიკო, ამიკო ადექი, წავიდეთ, მანქანა გველოდება, ამიკო, ამიკო... ტარი-
ელ... ავთო... ფრიდონ... სადა ხართ?! (დასტირის ამიკოს).

ავტორი – აბა მორჩი ახლა, ადექი ამიკო, დამთავრდა ყველაფერი, ამიკო ადექი!..
(ნინოს) რა მოუვიდა (ნინო ტირის). მოკვდა? მოკვდა არა... (ყელში ბურთი გაეჩხირა)
როგორ, მოკვდა... (ტირის) რატომ მოკვდა... ამიკო... (ტირის). აქ ყველაფერი სხვა-
ნაირად უნდა განვითარებულიყო... ახლა ბიჭები დაბრუნდებიან... ყველანი... ერთად
იქნებით და... და... (ვეღარ ლაპარაკობს, ცრემლი ახრჩობს) არა და... ასეთი არც პიესა
მინდა და არც ცხოვრება (ხევს ფურცლებს. მიდის ტელეფონთან, რეკავს).

ხმა – გისმენ!

ავტორი – მე ვარ! გამოდი გარეთ!

ხმა – რომელი საათია?

ავტორი – არ ვიცი, რომელი საათია, გამოდი რა... გთხოვ რა... მაპატიე რა... ყვე-
ლაფერი... გამოდი რა...

ხმა – რა უნდა ვაკეთოთ!

ავტორი – რა ვიცი, რა უნდა ვაკეთოთ, ვიაროთ ქუჩებში გათენებას შევხვდეთ.

ფ ა რ დ ა

მეფე ლირი თავშესაფარში

პიესა ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

დოდო
სანდრო
თორნიკე
ლაშა
შაკო
ანიკო
ქეთი
რუსიკო
გოგი
კაკო
ვანიკო
არკადი
სანდროს ყოფილი მეუღლე
დოდოს ყოფილი მეუღლე
მათი შვილები
თავშესაფრის დირექტორი
თავშესაფრის მოხუცი ბინადარნი
კლარა
მამა
შვილი
„ის“
„იმის“ მეუღლე
კორესპონდენტი
ოპერატორი
მომღერალი ბიჭი
მოცეკვავე გოგო
ქუჩის მუსიკოსი
ბავშვის ხმა
თავშესაფრის დიასახლისი, მზარეული, მგონი შაკოს საყვარელი, ყრუ-მუნჯი.

თბილისი, 2002 წელი

პირველი მოქმედება

სცენაზე მარტოხელა ქალის საძინებელია, ბოდიშს ვიხდით, აქ, რომ შემოვიხედეთ, მაგრამ არა უშავს, ამ საძინებელში კარგა ხანია „ისეთი“ არაფერი მომხდარა. ქალი, რომელსაც პრაქტიკულად არ ეტყობა ასაკი, ღამის პერანგში დგას, შეიძლება 63 წლისაა, იქნებ 47-ის. ქალს ვერ გადაუწყვეტია რა ქნას – დარეკოს სადმე, წიგნი წაიკითხოს, დაიძინოს თუ თავი ჩამოიხრჩოს – ამ უკანასკნელზე მგონი სერიოზულად ფიქრობს, ხელში თოკი უჭირავს, ყულფს აკეთებს, შემდეგ თოკი ცოტა ხნით მიატოვა, წიგნი აიღო, ზერელედ გადაფურცლა, გვერდზე მიაგდო. ყურმილი აიღო, კრეფს წომერს, არ აცალა ვიღაცას – (ნეტა ვის დაურეკა?) – ყურმილის აღება, დადო ყურმილი. ისევ თოკს მიუბრუნდა, ყულფი ჩამოიცვა, სარკეში ჩაიხედა, თოკი ზევით ასწია, ენა გადმოაგდო, თვალები დაჭყიტა... არ მოეწონა თავის თავი... სიგარეტს მოუკიდა, რეკავს ტელეფონი, დოდო – ასე ჰქვია ქალს – (იღებს ყურმილს)

დოდო – გისმენ!... ჴო, მე ვარ... არა მიშავს, არაფერს, რას უნდა ვაკეთებდე (ათვალიერებს ოთახს, ეძებს რაიმე კაუჭს, რაზეც შეიძლება თოკის ჩაბმა), რომელი საათია, მართლა? საათი გამიჩერდა... რა ვიცი, არ მეძინება... შენ რატომ არ გძინავს? მეც. სანდრო? (ინტონაციაში მალავს, მაგრამ სახეზე ეტყობა დაინტერესება) სად შეგვხდა? მერე?... გამოგელაპარაკა? მომიკითხა?... (ესიამოვნა). რა თავხედია!... დაბერებულა? არა?... სიმპათიური ყოველთვის იყო... არ მინდა სანდროზე ლაპარაკი... (კიდევ ერთხელ იხედება სარკეში, ამონმებს, როგორი იქნება ჩამოხრჩობილი, აშკარად არ მოსწონს) არა!... მაგას ვერ გაბედავს... კარგი, შეწყვიტე სანდროზე ლაპარაკი... ერთი წუთით გაჩუმდი!... (დაძაბული რაღაცას უგდებს ყურს) არაფერი, წყალი წვეთავს აბაზანაში... მგონი, ვგიჟდები. თეატრში რა ხდება? ხვეტავს ახალი ცოცხი? შენც ხომ არ გაგდებს? ჯერ არა? მე რა?... მე მაგას კი არ გავუგდივარ... თვითონ წამოვედი, არა ბიჭო, მაგას გავაგდებინებდი თავს... ბიჭები? როგორ არა მნახულობენ... (ათვალიერებს ცარიელ ოთახს) ახლაც აქ არიან (მაგიდიდან ფოტოებს იღებს) მოკითხვას გითვლიან (ფოტოებს ეუბნება) მაკა დეიდამ მოგიკითხათ. რაო? სად? რას ამბობ, გოგო, რა მინდა მოხუცთა თავშესაფარში?... გაგიჟდი? (იცინის) რას ამბობ, ერთი წუთით რომ წარმოვიდგინო შევიშლები, ვიცი, ვიცი, რომ ნორმალური პირობებია, მაგრამ... რა გინდა, გოგო, რას შემომიჩნდი?!... გამორიცხულია! რა სპექტაკლი?... რა „მეფე ლირი“ გოგო?... (იცინის) აუ, შენ რა კარგად ხარ... მოხუცთა თავშესაფარში „მეფე ლირი“ დავდგა? (იცინის) ვის რაში სჭირდება... კი, როგორ არა, აქტუალურია, შექსპირია ბოლოს და ბოლოს, მინდოდა, როგორ არა, თეატრში მინდოდა, თავშესაფარში კი არა. კარგი ახლა ნუ გადამიყვან ჭუიდან, აბა კარგად იყავი, კარგი გოგო ხარ, რომ დამირეკე, გამომიარე როგორმე... მშვიდობით... წახვამდის (მარტოდ დარჩენილი დოდო ისევ თოკს მიუბრუნდა, გადაიცვა ყულფი, სარკეში იყურება, გადანყვიტა მაკიაჟის განახლება) თავშესაფარში?... რა სისულელეა – მე მოხუცთა თავშესაფარში (მაკიაჟი დაამთავრა, კმაყოფილია საკუთარი გარევნობით, თოკიც თითქოს მოუხდა, მოკლე წერილი დაწერა... სკამზე შედგა... უცებ ჭექა-ჭუხილი გაისმა, ოთახში ქარი შემოიჭრა, ქალალდები ააფრიალა, ეტყობა ფანჯარა გაიღო და... ისმის ბავშვის ხმა. ბავშვი არ ჩანს, ხმა კი სხვადასხვა მხრიდან ისმის, ხან თითქოს ვიღაც გვერდით მოუჯდა დოდოს და თავზე ხელი გადაუსვა).

ბავშვის ხმა – რატომ გინდა თავის მოკვლა?

დოდო – ვინა ხარ?...

ბავშვის ხმა – ჯოჯოხეთში გინდა მოხვდე?

დოდო – არა.

ბავშვის ხმა – რატომ იკლავდი თავს? არ მოგწონს აქაურობა?

დოდო – შენ მოგწონს?

ბავშვის ხმა – ზევიდან ლამაზი ჩანდა.

დოდო – ზევიდან?

ბავშვის ხმა – დოდო!

დოდო – ჩემი სახელი საიდან იცი?

ბავშვის ხმა – დოდო!

დოდო – შეუძლებელია...

ბავშვის ხმა – შეუძლებელი? რა არის შეუძლებელი?

დოდო – არა, არაფერი, ე.ი. ზევიდან ლამაზია?

ბავშვის ხმა – მე მომენონა!

დოდო – გაზაფხულზე უფრო ლამაზია, როცა ბუნება იღვიძებს.

ბავშვის ხმა – რატომ არ გინდა თავშესაფარში?

დოდო – რა ვიცი, მერიდება.

ბავშვის ხმა – მეც წამოვალ შენთან ერთად, შენთან ვიქნები.

დოდო – მოდი ახლა და დაუწყე ხვეწნა – გთხოვთ მიმილოთ, ქმარი გამექცა,

შვილებმა მიმატოვეს...

ბავშვის ხმა – მაგ უხერხულობას აგაცილებ, უკვე სამი თვეა აქა ხარ.

დგამ შექსპირის „მეფე ლირს“, კარგი პიესაა?

დოდო – ძალიან.

(სადღაც გაქრა საძინებელი და ჩვენ მოხუცთა თავშესაფარში ვართ. სცენა წარმოადგენს მოხუცთა თავშესაფრის ეზოს, ეზოში სცენა „ნიჟარა“ დგას, სცენის „სცენაზე“ დეკორაციის დეტალებია, ეს არის ის, რაც მოახერხეს მოხუცმა „მსახიობებმა“).

შემოდის ქუჩის მუსიკოსი, გახსნა ვიოლინოს ბუდე, ძირს დადო, რამდენიმე მონეტა ჩააგდო და დაკვრა დაიწყო. მუსიკოსი მთელი სპექტაკლის განმავლობაში სცენაზეა. იგი ხან თავისითვის უკრავს, ხან თავისებურ აკომპანიმენტს უკეთებს სცენაზე მიმდინარე მოქმედებას.

(შემოდიან შაკო და კლარა)

შაკო – გამარჯობათ, ქალბატონო დოდო.

დოდო – გამარჯობა, (გაკვირვებულია იმით, რომ იცნობს შაკოს) თქვენი სახელი შაკოა, ხომ?

შაკო – მეგობრებისთვის შაკო, სხვებისთვის შავლეგ.

დოდო – ჩვენ მეგობრები ვართ?

შაკო – რა თქმა უნდა.

დოდო - (ფრთხილად) შაკო ეს მოხუცთა თავშესაფარია?

შაკო – მეკაიფებით, ქალბატონო დოდო?

დოდო – (იცინის) გეკაიფებით... შაკო!

შაკო – დიახ!

დოდო - (დაბნეულობა უფრო შესამჩნევი გახდა) დღეს რეპეტიცია გვაქვს?

შაკო – როგორ არა, როგორ არა... ოლონდ... (გაკვირვებული უყურებს

დოდოს) არ გცივათ, ქალბატონო დოდო?

დოდო – (ახლალა შეამჩნია, რომ ღამის პერანგის ამარა დგას) ვაიმე!...

უკაცრავად, ეს როგორ მომივიდა...

შაკო – არა უშავს, რა მოხდა მერე... ასაკი...

დოდო – რა შეუძია ასაკი, რამდენი წლის გგონივარ? უყურე ამას?!...

(გარბის გადასაცმელად, უცებ შეჩერდა, თითქოს რაღაცას მიხვდა)

ტყუილია!

შაკო – რა არის ტყუილი?

დოდო – (მიუახლოვდა) აბა ხელი ჩამომართვი!

შაკო – რატომ? (ხელი გაუწოდა) აპა! (დოდო ფრთხილად ართმევს ხელს,

იმედი აქვს, რომ ახლა გამოეღვიძება, მაგრამ არაფერი არ შეიცვალა)

დოდო - მაპატიეთ.

(გარბის გადასაცმელად. დოდო შემობრუნდა. შაკოსა და კლარას შორის მუნჯური დიალოგი გაიმართა, კლარა მხოლოდ მუნჯურად ლაპარაკობს, ხოლო შაკო მუნჯურის გარდა ტექსტის ნაწილს ხმამაღლაც ამბობს).

შაკო - დღეს სადილად კატლეტები შეწვი!

კლარა (უკმაყოფილოდ) - რატომ? დღესასწაულია?

შაკო - ასეა საჭირო, მე მგონი დღეს მოდის ის.

კლარა - ხორცი არ მიყიდია.

შაკო - (აძლევს ფულს) აპა ფული და იყიდე (შაკო მიდის ტელეფონ-ავტომატთან, ხსნის ავტომატს, შიგ ფული არ არის, მიმართავს კლარას) - რა ხდება, არავინ არ ხმარობს ტელეფონს?

კლარა - რეკავენ, ფული რატომ არ არის არ ვიცი.

შაკო - რას შვრებიან მოხუცები, რამეს ხომ არ აპირებენ?

კლარა - არ უნდათ გადასვლა.

შაკო - მაგათ შევეკითხები...

კლარა - ამაღამ მოხვალ ჩემთან?

შაკო - ჰო. (კლარა გადის, შემოდის ანიკო ცოცხით და ვედროთი) ანიკო!

ანიკო - ბატონი!

შაკო - ალაგებ ხომ? ხო არ გიჭირს?

ანიკო - არა, რას ბრძანებთ.

შაკო - ჰოდა ეგრე, დაალაგე, დღეს სტუმარს ველოდები, თუ მოიცალა (პაუზა), შენ არსად არ გაგიშვებ, ხო გინდა აქ დარჩენა? (ანიკო თავს უქნევს) ჰოდა, შენ აქ დაგტოვებ, არ ინერვიულო (შაკო გადის, შემოდის გოგი, სიგარეტს ეწევა, ანიკო ეზოს ალაგებს).

გოგი - გამარჯობა.

ანიკო - (შეერთა) როგორ შემაშინე, როდის შემოხვედი?...

გოგი - გამარჯობა გითხარი.

ანიკო - გაგიმარჯოს ...

გოგი - ანიკო ... რა მინდა გკითხო, მოიხედე აქეთ (ანიკომ შეხედა, გოგი დაუინებით უყურებს), ადრე, იქ .. გარეთ, ხო არ ვიცნობდით ერთმანეთს?

ანიკო - (განაგრძობს ეზოს დაგვას) არა.

გოგი - არა? აბა რატომ მეცნობი?...

ანიკო - რა ვიცი?!

გოგი - მე სახეები არ მავიწყდება... კარგად მახსოვს შენი სახე, ოღონდ საიდან მახსოვს ვერ გავიხსენე...

ანიკო - (გოგის დაუინებული მზერის გამო დაიძაბა) რა ვიცი, აბა?!

გოგი - ანიკო, აბა გაიღიმე!.. გაიღიმე რა?! გთხოვ (ანიკო ცდილობს გაიღიმოს) არა, ის სხვა იყო... არა უშავს გავიხსენებ ... იქ, გარეთ, რას აკეთებდი? ვინ იყავი?

ანიკო - გარეთ? დამლაგებელი ვიყავი... შენ?

გოგი - რა მე?

ანიკო - შენ ვინ იყავი იქ, გარეთ?

გოგი - (დაიბნა) მე? მე ისა... (ხმას აუნია) რაში გაინტერესებს? გეტყვი.. .

ბუღალტერი ვიყავი... ჰო, ბუღალტერი ვიყავი ... ქარხანაში,

რატომ მკითხე?

ანიკო - ისე. რატომ ანერვიულდი?

გოგი - მე? ავნერვიულდი? ეგლა მაკლია... რა მაქვს სანერვიულო.

ავნერვიულდი კი არა... რაღაცნაირად მკითხე, გეგონება რაღაცას ეჭვობდე ... (პაუზა) ანიკო, დღეს მოდიანო, ხო არაფერი გაგიგია?

ანიკო - რა ვიცი, აბა?!

გოგი - დღეს არის რეპეტიცია?

ანიკო – არის.

გოგი – რათ უნდათ რეპეტიციები? მაინც უნდა გაგვყარონ აქედან. კაბარეს სხინძიან და იმას, ეროტიკულ თეატრსო...

ანიკო – (დარწმუნებით) ვერ გაგვყრიანო...

გოგი – ვინ ამბობს მაგას? დოდო? მაგას თუ შეეკითხებიან... რა უნდა, ვერ გავი-გე, გაჭმევენ, გასმევენ, გივლიან, გირეცხავენ, ხანდახან საჩუქრებსაც გჩუქნიან, ეგ კიდე რაღაც ინტრიგებს აწყობს, ეს სპექტაკლიც მაგიტომ მოიგონა, საინტრიგანოდ, ბომბებს ვისვრითო... რა ბომბებს ვისვრითო?!

ანიკო – მართლა ბომბებს კი არ ვისვრით...

გოგი – ვიცი! (პაუზა). შაკო რას გეუბნებოდა წელან, დაგტოვებო?

ანიკო – ჰო!

გოგი – ჰო?... ძალიან კარგი, (სიგარეტი გადააგდო) მე ჯერ არაფერს არ მეუბნება

(შემოდის კლარა)

კლარა – (რასაკვირველია, მუნჯურად) – აბა აიღე სიგარეტი! ვერ ხედავ ქალი ალაგებს?...

გოგი – წეტა ერთი შენ ვინ გკითხავს, (იღებს სიგარეტს) ანიკო, კლარა მართლა შაკოს ბოზია?

ანიკო – (უხერხულად იშმუშნება) რა ვიცი, აბა?!

გოგი - (კლარას) კლარა, შაკოს ბოზი ხარ? (იცინის)

კლარა – წამოდი, მომეხმარე, კარტოფილია გასათლელი.

გოგი – მოვდივარ, ანიკო, თუ გამიხსენო – გამახსენე, კარგი?!

ანიკო – გაგახსენებ.

(ანიკო მიდის იქვე მდგომ ტელეფონ-ავტომატთან, აქეთ-იქით მიიხედავ-მოიხე-დავს, შემდეგ ჩაუშვებს მონეტას, რომელსაც ძაფი აქვს გამობმული, კრეფს ნომერს, ისმის ზუმერის ხმა, ვიღაცამ ყურმილი აიღო, ანიკომ სწრაფად ამოაძრო ჩაყლაპული მონეტა)

ქალის ხმა – გისმენთ! ალო?!!... გისმენ!!!... ვინა ხარ, ხმა ამოიღე... მაგიუებ

არა? მაეჭვიანებ ხო? ვაი შენს პატრონს...

(წყვეტილი ზუმერი, ანიკომ ყურმილი დაკიდა, დაგვა განაგრძო, შემოდის ქეთი)

ქეთი – ანიკო, მე არავის ვუკითხივარ?

ანიკო – არა.

ქეთი – (გაოცებული) რატომ? (რეკავს ტელეფონზე) ანიკო ჩემების ნომერი არ გახსოვს?... 34-41... და?...

ანიკო – არ მახსოვს.

ქეთი - აბა, როგორ დავრეკო? (სატირლად მოემზადა, შემოდის

აფორიაქებული რუსიკო, რომელიც ქეთის ეძებს)

რუსიკო - (დაინახა ქეთი. როგორც ბავშვს ისე ტუქსავს) სად გაიპარე?

ნახევარი საათია გეძებ... შენ ისა გაქვს... რა ქვია?... ისა... გამახსენე...

ქეთი – (ელიმება) სკლეროზი?

რუსიკო - ხო, სკლეროზი, ტაკ შტო ფრთხილად იყავი, ერთხელაც დაიკარგები და მორჩა...

ქეთი – რუსიკო, აბა თქვი აა!

რუსიკო – აა!

ქეთი – ტლაკში ქვაა!... (იცინის, ძალიან კმაყოფილია).

რუსიკო – სულელი, უზრდელი... თინიკო!

ქეთი – (უსწორებს) ქეთი!

რუსიკო – შტო ქეთი?

ქეთი - ქეთი, თინიკო ვინ არის?

რუსიკო – ბალშაია რაზნიცა, შტო ქეთი, შტო თინიკო. (ჩაფიქრდა) რა

მინდოდა? ხო... .ქეთი, ფისი გინდა?

ქეთი – (ჩაფიქრდა) არ ვიცი.

რუსიო – ნამოდი. (გადიან, ანიკომ უცებ შენიშნა სანდრო, რომელიც

როდის შემოვიდა არ ვიცი, სანდრო ცოტა დაბნეული იხედება აქეთ-იქეთ. ასაკზე
მეტად გამოიყურება, ხელები უკანკალებს, უხერხულად გრძნობს თავს ახალ
გარემოში).

ანიკო – გამარჯობა!

სანდრო - (ჩახლეჩილი ხმით) გაგიმარჯოთ...

ანიკო – (იცნო, გაუხარდა) მაპატიეთ, თქვენ ის არა ხართ? ისა... სანდრო
ისა ხართ?

სანდრო- ისა ვარ.

ანიკო – (გაკვირვებული) მერე?... აქ რატომ?... საიდან?... როდის მობრძანდით?

სანდრო - (ვერ ვიტყვი, რომ სიამოვნებს ეს საუბარი) დღეს... ახლა
მომიყვანეს...

ანიკო – ძალიან კარგი, ძალიან სასიამოვნოა... აბა ვხურავთო... (ხელს
უწვდის) ანიკო.

სანდრო - სანდრო. (პაუზა) 25-ე ოთახი სად არის?

ანიკო – მე-2 სართულზე, ხელმარცხნივ მესამე ოთახია, 27-ე ანერია, მაგრამ

სინამდვილეში 25-ეა... რა კარგია, რომ აქა ხართ, ჩვენ აქ სპექტაკლს ვდგამთ, მი-
ღებთ მონაწილეობას? მალე პრემიერა გვექნება... თუ მანამდე არ გაგვყარეს აქე-
დან.

სანდრო - ვინ უნდა გაგვყაროს?

ანიკო – (საიდუმლოდ) ყიდიან ამ სახლს, ყიდიან თუ ყიდულობენ კარგად
ვერ გავიგე... კაბარედ უნდათ გადააკეთონ თუ ეროტიკულ თეატრად.

სანდრო - ე.ი. მეორე სართულზე, არა?

ანიკო – დიახ, მეორეზე, ხელმარცხნივ მესამე კარია, 27-ე ანერია, მაგრამ
სინამდვილეში 25-ეა. (სანდრო გადის, ანიკომ თვალი გააყოლა, ამოიოხრა) როგორ
დაბერებულა?!? (შემოდის ელეგანტურად ჩაცმული დოდო).

დოდო - ანიკო! (ანიკომ ცოცხი ხელიდან გააგდო), ანიკო მე რა გითხარი?
გამაგებინე, რატომ აკეთებ ამას, რატომ?

ბავშვის ხმა – რატომ უყვირი?

დოდო – (ტონი შეიცვალა) შენ აქ დამლაგებელი აღარა ხარ, შენ როლზე
იფიქრე, თავშესაფარს ყავს დამლაგებელი და ის მიხედავს ამ საქმეს.

ანიკო – აღარ ყავს.

დოდო - აღარ ყავს?

ანიკო – გაუშვა შაკომ...

დოდო – რატომ გაუშვა?

ანიკო – არ ვიცი, მითხრა შენ დაალაგეო...

დოდო – შენც ალაგებ.

ანიკო – ვალაგებ, რა მოხდა მერე, ორმოცი წელი ვალაგებდი, რაღა
დამრჩა, ერთი ორი წელიც დავალაგებ და... რომ არ დავალაგო
გამიშვებს... სად ნავიდე?

დოდო – გითხრა გაგიშვებო?

ანიკო – არ უთქვამს, ვიცი. დოდო, დღეს მოდიანო, მართალია?

დოდო – არ ვიცი, ვნახოთ.

(შემოდის არკადი, მე მგონი რუსია, მაგრამ მაინცდამაინც არ ჰგავს რუსს, აქცენ-
ტიც ისეთი აქვს, ცოტა ქართული)

არკადი – **Добрый день Додо Николаевна!** გამარდჟობა ანიკო!

დოდო – გამარჯობა, არკადი.

ანიკო – გამარჯობა.

არკადი – (უკმაყოფილოდ) Значит все – таки Лира ставим да?... Не лучше
Ричарда поставить или Макбета?.... Полетели бы головы направо и налево.

დოდო – **Чьи головы?**

არკადი – Вы мне дайте Ричарда, головы я сам найду! (ლელავს) Додо Николаевна,

Нельзя мне тоже участвовать в нашем спектакле?

დოდო – Ну как ты Аркадий у нас будешь играть? Мы по грузинский, ты по русский?

არკადი – Додо Николаевна...

ანიკო – (აწყვეტინებს) Не приставай, Аркадий...

არკადი – შენ არ გევითხები... Додо Николаевна, а не может быть так, чтобы один из этих князей был русским?

დოდო – Нельзя Аркадий!

ანიკო – Аркадий уйди.

არკადი – დაცხენარდი ანიკო, Додо Николаевна, этот князь – как его, Глостер, он не может быть русским?

დოდო – (კატეგორიულად) Нет!

არკადი – (ნავიდა, უცებ მობრუბდა) Ну ладно, пусть будет так – Глостер не русский, а русскоязычный!

დოდო – Ар-ка-дий!!!

ანიკო – Аркадий уйди.

არკადი – А Кент?

ანიკო – არკადი, таэვი დაანებე. აქ დაიბადე, აქ გაიზარდე, გესწავლა ქართული.

არკადი – დუერ ერტი, აკ არ დაიბადე. В 21-м когда отец вас освобождал

ანიკო – От кого освобождал?

არკადი – От меньшевиков, мне тогда три года было. Ему на Татьяновской дали квартиру, потом эту улицу переименовали на 25 февраля, потом на 26 мая, а сейчас Товстоногова да мე და დედაჩემი ჩამიგვიკვანა, მერე რუსული სკოლა, ეზოში კურდები, სომხები, ვერც კარტული ისცავლე და რუსულიც. Почти დაგავიცხდა (იმ-ეფექტურული) Нельзя значит?

დოდო – Нельзя!

არკადი – რომ გვიტხოვთ у нас демократия!

დოდო – При чем демократия! ეს ინგლისია Средние века! რა უნდა იქ რუსს, რა?...

არკადი – (გაოცებული) Что за страна, ни одного русского! (გადის ერთობ ნაწყენი, შემორბის რუსიკო).

რუსიკო – тибიკო არ გინახავთ?

ანიკო – тибიკო თუ ქეთი?

რუსიკო – ჰო ქეთი, ქეთი... არ გინახავს?

ანიკო – არა.

რუსიკო – მაგას ისა აქვს... რა ქვია? ისა... ეტო ნუ... სკლეროზი!... საშინელებაა... (გაიქცა, ისევ მობრუნდა) დღეს მოდიანო, მართალია? ეროტიკულ თეატრს ხსნიანო, მართალია?

ანიკო – არ ვიცი.

რუსიკო – რა ვქნა, შინაურულად ვიყო თუ გამოვიცვალო? ქეთი არ გინახავს? ა, ჰო გკითხე... (მიდის, ბრუნდება) რა მიპასუხე არ მახსოვს.

ანიკო – არ მინახავს. (რუსიკო გადის) დოდო, იცი ვინ მოიყვანეს აქ?

დოდო – ვინ?

ანიკო – ის... ბევრ კინოშია გადაღებული, ქალები გიჟდებოდნენ, სანდრო ისა... გვარი დამავიწყდა.

დოდო – მსახიობია?

ანიკო – ჰო, მსახიობი, როგორ დაბერებულა, (პაუზა) დოდო!

დოდო – რა იყო ანიკო?

ანიკო – (საიდუმლოდ) გუშინ შაკოს სტუმრები ჰყავდა, გადაწყვეტილია ამ

სახლის საქმე, გაყიდეს... თუ იყიდეს... საბუთებს აფორმებენ.
დოდო – ვინ გითხრა?

ანიკო – (აქეთ-იქით იხედება) შაკოს კაბინეტს ვალაგებდი, შემოვიდნენ,
გადიო... მისალებში ველოდებოდი... მესმოდა... შაკომ დამიძახა, შამპანიურები მო-
მატანინა, იქეიცეს. თვის ბოლოს გავიყვან ამათ აქედანო, დაპირდა.

დოდო – სად გაყიდებან?

ანიკო – ერთანმინდაში, იქო, პიონერთა ბანაკი რო იყო. ესენი ეუბნებიან,
ის ბანაკი თითქმის აღარ არსებობს, დანგრეულიაო, შაკო ეუბნება – ნიჩევო, მივხე-
დავთო, გაყიდეს თუ იყიდეს ვერ გავიგე.

ბავშვი - (დოდოს) ნუ გეშინია, ვერსად ვერ გაგყრიან.

დოდო – ნუ გეშინია, ვერსად ვერ გაგყრიან, ჩალით აღარ არის დახურული
ქვეყანა.

(შემოდიან მოხუცი „მსახიობები“, რუსიკოს ქეთი უპოვია და ახლა ხელი-ხელჩაკ-
იდებულები დადიან, ზოგი ტექსტს, ზოგი მიზანსცენებს იხსენებს).

ვანიკო – დოდო! მართალია ეროტიკულ თეატრს ხსნიან? მაგის დედა

ვატირე, თუ თეატრს ხსნიან, ჩვენ რათ უნდა გაგვყარონ, ჩვენ რა ვერ ვითამაშებთ
თუ რა.

არკადი – Да, да შენ იტამაშებ, იტამაშებ, ტიტველი. იცინის **Ну, дает деревня,**
გომი!

ვანიკო – ტიტველი რათა კაცო... დოდო, (დოდო პიესას ათვალიერებს, არ
აქცევს ვანიკოს ყურადღებას) დოდო შეიძლება რო, კონცერტში მე
რო ლექსები წავიკითხო.

დოდო – ეს კონცერტი არ არის.

ვანიკო – რაც არი, შეიძლება? შენ რო ამბობ ბომბიო, აი ნახე – „მამას
ვუყვარვართ შვილები, მამა არ გვახსოვს შვილებსა...“

ქეთი - (პანიკაში) დოდო მართალია?

დოდო – რა არის მართალი?

ქეთი – დღეს მოდიანო... მალე გავყრით ამათ აქედანო.

დოდო – ვინ გითხრა?

ქეთი – ამბობენ.

დოდო – (ბავშვის გადახედა, რომელსაც ვერავინ ამჩნევს) ვერავინ ვერსად
ვერ გაგვიყვანს.

ქეთი – ჩემებს უნდა დავურეკო, ბოლო ორი ციფრი არ გახსოვთ? 34-41 და?

ვანიკო – (მორიდებით) დოდო, პასუხი ვერ გავიგე, შეიძლება რო, მე რო
ბომბები წავიკითხო?

დოდო – არ შეიძლება!

ვანიკო – (უკმაყოფილოდ) რატო?

დოდო – იმიტომ! დამაცადე თუ კაცი ხარ.

გოგი – რატომ არ ვიწყებთ?

დოდო – დავიწყებთ.

გოგი – ჩვენ მზად ვართ, მუსიკით გავდივართ?

დოდო – ჰო.

რუსიკო – დოდო, რა ვქნა „რესნიცებს“ არ მოგვიტანენ? გრიმი არ გვინდა?

ცოტა არ უნდა გავახალგაზრდავდეთ?

დოდო – იქნება, ყველაფერი იქნება. ისე აქ ასაკი არაფერ შუაშია, ეს
პირობითობა კარგიც კია, აქ არის მთავარი ბომბი ჩადებული.

ვანიკო – რატო არ ვიწყებთ დოდო?

დოდო – კაკოს ველოდებით, ტექსტი გაიმეორეთ...

რუსიკო – დოდო მართალია? მართლა გვყრიან აქედან?

დოდო – არა, ნუ პანიკიორობ! ვერ გაგვყრიან.

ვანიკო – დოდო ყური დამიგდე, აი ამას რო ვამბობ – „იზუზუნე და

იქროლე ქარო“, ხო შეიძლება, რო აქ დავამატო – რაც მოგივა დავითაო, ყველა

შენი თავითაო! ხო მაგარია? ხო არი ბომბი?

დოდო – (ძლივს იკავებს თავს) ვინ უნდა თქვას ეგ?

ვანიკო – მეფემ... ლირმა... რო გააგდეს რა... მიხვდა რა... რო.... და რაც
მოგივა დავითაო...

დოდო – (აფეთქდა) ვანიკო! არ გამაგიურ! რა უნდა თქვას ლირმა? რა,

შექსპირს უსწორებ? იმას ვერ იმახსოვრებ რაც გინერია, არ ვიცი, როგორ შევა-
მოკლო ტექსტი და შენ ამატებ?

ვანიკო – (ნაწყენი) ბოდიში... დავიწყო?

დოდო – არა, მოვიდნენ ყველანი.

ვანიკო – (საიდუმლოდ) დოდო, თუ მართლა დაგვიპირეს გაყრა, ერთი აზრი
მაქვს... მერე გეტყვი. დღეს იზუზუნედან დავიწყოთ რა?!...

დოდო – (აენთო) არა, ეგ რეზულტატური სცენაა... მანამდე უნდა მივიდეს ლირი,
იქ უკვე გიურია, მანამდე დიდი გზაა... რამ გააგიურა, გასცა, გაიღო ყველაფერი რაც
გააჩნდა, ბედს ეთამაშება, ბედისნერას ინვევს დუელში, მარცხდება, გვიან აეხილა
თვალები, გვიან მიხვდა... დააგვიანა.

ვანიკო – მეც მაგას ვამბობ, მიხვდა და... რაც მოგივა დავითაო...

დოდო – (ყვირის) სად არის კაკო?

ვანიკო – რად გვინდა კაკო? აქ არა ვარ?

დოდო – გვინდა, მერე იმას ცალკე ხომ არ ავუხსნი ყველაფერს.

ვანიკო – დოდო, მაინც არაფერს ვაკეთებ და აბა ეს ბომბი ნახე რა?!

ქეთი – (ტელეფონზე რეკავდა) ჩემიანების ტელეფონის ხომერი ხომ არ გახსოვთ
ვინმეს? 34-41 და?... ბოლო ორი ციფრი აღარ მახსოვს.

(შემოდის კაკო)

დოდო – რატომ ვაგვიანებთ?

ქეთი – (აღშფოთებული) სულ შენ უნდა გელოდოთ?

რუსიკო – კარგი რა, კაკო, კარგი რა?

ვანიკო – რა არი, ძმაო, ეგრე შეიძლება? (ვანიკო გაკვირვებულია, რატომ არ ეჩი-
უბება დოდო კაკოს).

გოგი – (შეშინებულს გამოელვიძა) ააა!... არა!... არ მინდა!... რა გინდათ ჩემგან,
რა!... მე რა შუაში ვარ... მე ვინ მეკითხებოდა... (მოხუცები გარს შემოეხვივნენ, აწყ-
ნარებენ, გოგი მიხვდა, რომ ეს კოშმარი სიზმარში იყო) ვეღარ დამიძინია... სულ ერთი
და იგივე სიზმარი მესიზმრება.

კაკო – მეც, კაცო, სულ ვერ ვიძინებ... ათი წუთი, რომ ჩამეძინოს, ვიღაცა ჩამჩურ-
ჩულებს – ფისი-ფისი, ფისი-ფისი... და შეიძლება გამეპაროს... აბა! შენ რა დაგესიზმ-
რა?

გოგი – (მთლად გამოფხიზლდა) მე? არაფერი, რა გინდა, რას შემომიჩნდი?...
არაფერი არ დამსიზმრებია...

კაკო – დაჯექი, დაისვენე (გოგი ჯდება, მაგრამ ისევ წამოვარდება).

გოგი – არა, არა!... რომ დავჯდე, ჩამეძინება და მერე...

კაკო – მე მელოდებოდით? შაკო შემხვდა, რეპეტიცია არ იქნებაო.

დოდო – რატომო?

კაკო – მეც ეგ ვკითხე, რატომ-მეთქი? არ არის შენი ტრაკის საქმეო.

ქეთი – უზრდელი.

რუსიკო – ვირი.

კაკო – დიახ, უზრდელი, ჯერ ვიფიქრე დავარტყამ-მეთქი, მერე ვიფიქრე ამ ვირს
ვერ მოვერევი-მეთქი, მერე ვიფიქრე, რაღაცას ისეთს ვეტყვი გული გაუსკდება-
მეთქი, ისეთი ვერაფერი ვერ მოვიფიქრე და... (მრისხანე სახე მიიღო) აი ასე შევხედე
და წამოვედი. იქნება რეპეტიცია? მე ვითამაშო?

ვანიკო – (აყვირდა) რათა კაცო, ყოველდღე შენ ხომ არ უნდა ითამაშო, ჩემი რიგი
აღარ არი? ხო ვთქვით არა?! ჯერ შენ, მერე მე, ჯერ შენ, მერე მე... კარგი რა?

კაკო – (ყასიდად) კი ბატონო, კი ბატონო, შენ ითამაშე. მიდი დაიწყე..

დოდო – არა, ვანიკო, შენ ჯერ უყურე და ტექსტი დაიმახსოვრე, კაკო, შენ

დაიწყე.

ვანიკო – სულ ეგრეა რა... ვიცი უკვე ტექსტი... აჲა – „იზუზუნე და იქროლე ქარო...“

არკადი – **Каждый раз одно и то-же, кარги რა, ванико.**

ვანიკო – ნეტაი ერთი შენ ვინა გვითხავს?

არკადი – მეც არ მატამაშებენ... **Что стреляется из-за этого? მიდი კაკო, დაიცხე.**

ვანიკო – არკადი, შენ ცოტა ჭკვიანად იყავი თორე... (კაკოს) ბიჭო, კი არა მწყინს, მაგრამ ეგრე ძმაო არ შეიძლება, კი არა მწყინს, ისე რა... რო... არ შეიძლება ეგრე. (ვერ წყნარდება).

დოდო – დავიწყოთ!

კაკო – დავიწყოთ, მაგრამ, ვანიკო მე არაფერ შუაში არა ვარ... ეგ რასა გავს იცი? ის ანეგდოტი როა, გურული და სვანი ხეზე რო სხედან და ქეთი – ვაიმე, დაიწყეთ რა.

(შემოდის კლარა)

დოდო – რა გინდა კლარა?

კლარა (მუნჯურად) არაფერი, გააგრძელეთ...

კაკო – ვანიკო!

ვანიკო – (ნაწყენი) რა გინდა ძმაო? ჰო გინდოდა თამაში არა? მიდი ითამაშე... არა მწყინს, არა.

კაკო – (შემრიგებლურად) ვანიკო, თუ შემეშალოს, მიკარნახე, ხო?!

ვანიკო – სხვაგან რო შეგეშალოს, იქაც მე გიკარნახო?

რუსიკო – (ლამის ატირდეს) ვაიმე, დაიწყეთ რა.

კაკო – რა გინდა ვანიკო? ხო გითხარი, თუ გინდა შენ ითამაშე, მე არ მეწყინება.

ქეთი – კარგით რა, დავიღალე დავიწყოთ რა?!

გოგი – დოდო, გაყარე ორივე, სულაც მე ვითამაშებ მეფეს.

ვანიკო – მე რა, მწყინს რო, მე ეგ კი არა მწყინს.

არკადი – **Да не интересно нам** გცხინს თუ არ გცხინს, ხელს გვიშლი, დაცხნარდი!

ვანიკო – ეე, მე რას მაწყნარებთ ვერ გავიგე, წყნარად არა ვარ?

დოდო – (სიგარეტს მოუკიდა) იდიოტი ვარ, ნამდვილი იდიოტი. რამ

მაფიქრებინა, რომ თქვენთან შეიძლება სპექტაკლის დადგმა („მსახიობები“ გაჩუმდნენ, მიხვდნენ, რომ დოდო სერიოზულად გაბრაზდა).

ბავშვის ხმა – დაწყნარდი.

დოდო - შენი ბრალია, რას მომათრიე აქ? (უცებ დოდოს კლარას იქ ყოფნამ შეუშალა ხელი) რა გინდა კლარა?

კლარა – (მუნჯურად) შაკომ რეპეტიცია არ დაიწყონო. ახლა

ახალგაზრდები მოვლენ, საღამოს დისკონტეკა აქვთო, სცენა უნდა მოაწყონო.

დოდო – (ვერ ხვდება რა თქვა კლარამ) გაიგეთ ვინმემ რა თქვა?

კაკო – მგონი, შეწყვიტეთ რეპეტიციაო.

დოდო – კლარა თავი დაგვანებე.

გოგი – იჩხუბებს შაკო.

ქეთი – შაკო ვინ არის, მე ვიცნობ?

ვანიკო – იჩხუბებს თორე, არავის არაფერი არ...

რუსიკო (აწყვეტინებს) ვანიკო!

დოდო – კაკო, დაიწყე, რას ელოდები?

კაკო – თქვენ გელოდებით, საიდან დავიწყო?

დოდო – ვიდრემდე მოვლენ... (პაუზა) კლარა რა გინდა? (გაბრაზებული კლარა გადის).

კაკო – ვიწყებ (პაუზა, კაკო ემზადება) ვიდრემდე მოვლენ...

დოდო – რატომ ვიდრემდე?

კაკო – აბა, როგორ?

დოდო – ვიდრემდე...

კაკო – ვიდრემდე მოვლენ... არა? ვიდრემდე მოვლენ...არა? ასე, რომ დავიწყო
- „სანამ აქ მოვლენ, ჩვენს დაფარულ განზრახვას ვიტყვით, მომართვით მე აქ სამე-
ფოსა ჩემისა რუქა“.

ვანიკო – (უსწორებს) ჩვენისა!

კაკო – რა ჩვენისა?

ვანიკო – ჰო ჩვენისა (კითხულობს) „მომართვით მე აქ სამეფოსა ჩვენისა

რუქა...“ მა ჩემისა რა თქმა არი, ხო არ გავაგრძელო დოდო?

კაკო – (სწრაფად აგრძელებს) ისმინეთ ჩემი, მე სამეფოს სამ ნაწილად ვყოფ... (ვან-
იკო ხმამაღლა კარნახობს) ვანიკო ჩუმად
რა!?

ვანიკო – მიკარნახეო, შენ არ მთხოვე?

კაკო – თუ შემეშალოს მეთქი, შემეშალა?

დოდო – ყავას ვერ მომიტანთ?

გოგი – დავამთავროთ რეპეტიცია.

დოდო – ჩუმად, ვაგრძელებთ.

კაკო – სად ვიყავი ვანიკო?

ვანიკო – სამად რო ყოფ სამეფოს, ვერ გავიგე რა... სულელია ეს ლირი?

ყველაფერს როგორ აძლევ შე ვირიშვილ? შენთვის არაფერი არ უნდა დაიტოვო?
არა და თუ სულელია, მეფე როგორ გახდა, თუმცა რა, რამდენი სულელია რო... მერა,
ეგრე არა ვქენი, რაც მქონდა ხო დავურიგე ვირიშვილებს.

დოდო – ვანიკო დაგვაცადე.

კაკო – ვაგრძელებ - მე სამეფოს სამ ნაწილად ვყოფ, რათა ყოველ მასზე
ზრუნვა, ფიქრი, მძიმე ნაღველი, სიბერის უამსა ჩვენსა თავსა ჩვენ
მოვაშოროთ... ვაი!... დოდო ერთი წუთით გავალ ხო?

დოდო – გადი, გადი, როგორ უნდა დავამთავროთ თვის ბოლომდე, როგორ.

გოგი – რეპეტიცია დამთავრდა, აბა ავალაგოთ.

ვანიკო – დოდო, მე ხო არ გავაგრძელო? ეგ როდის მოვა, არც კარნახი.

მინდა, დავიწყო? სად გაჩერდა?... ჰო, სამად რო გაყო სამეფო, სულელია რა, ვირო,
შენთვის არაფერი არ უნდა დაიტოვო?... ვაგრძელებ: (კითხულობს) - სიბერის უამსა
ჩვენსა თავსა ჩვენ მოვაშოროთ და კისრად დავდვათ უფრო ჭაბუქს ძალსა და ღონეს,
ჩვენ კი მოხუცნი, ტვირთახსნილნი, ნელ-ნელა გოგვით ვივლით ვიდრემდე ქვეყნის
უამთაცვლა სიკვდილს შეგვყრიდეს... დოდო, ე.ი. ჩვენ პენსიაზე გავალთ და თქვენ
იმუშავეთო არა?.

კაკო – (სწრაფად შემოვარდა) რა მოხდა, ერთი წუთით არ შეიძლება.

გასვლა? ვანიკო თუ გინდოდა თამაში, ხო გითხარი, მე არ მეწყინება-მეთქი... მიდი,
მიდი გააგრძელე.

(რეპეტიცია კვლავ შეწყდა, მოხუცების ყურადღება შემოსულმა ახალგაზრდამ და
ხანშიშესულმა მამაკაცმა მიიქცია).

შვილი – აბა რას იტყვი, მამი? ხო მოგწონს აქაურობა? რას იტყვი, მამი? ა?

მამა - ...

შვილი – რა თქვი? რა არი მამი, ნერვიულობ? რა განერვიულებს, კარგი
რა, რა მოგივიდა? დაწყნარდი... თუ არ გინდა აქ დარჩენა, წავიდეთ,
წავიდეთ?

მამა - ...

შვილი – მამი თქვი რამე რა?... (მამამ ხელი ჩავლო ხელში) ხელი გამიშვი... რა
მოგივიდა კაცო, კი არ გავრბივარ, გამიშვი რა... მოდი აქ დაჯექი... ხელი გამიშვი,
გამიშვი ხელი... ხალხი გვიყურებს სირცხვილია, რა გინდა მამი?

მამა - ...

შვილი – ხო შევთანხმდით არა? მე წავალ ოთხი-ხუთი წლით... თვით, შენ აქ დარ-
ჩები, დირექტორს უკვე მოველაპარაკე, ყურადღება, ჭამა, სმა, სითბო, არ მოგაკლ-

დება. ჩამოვალ და იმ დღესვე გაგიყვან აქედან, რა არ მოგწონს აქაურობა?

მამა - ...

შვილი - რა ვქნა? მითხარი, რა ვქნა? შენ რომ აქ დარჩენაზე თანხმობა არ გეთქვა, არ მოვაწერდი კონტრაქტს ხელს, არც ბინას გაყიდდი, რა შეიცვალა? ხო იცი, ბინა გაყიდულია, თინიკო და ბავშვები სიმამრს შევტენე, წახვალ იმათთან? – არა! ახლა რა ვქნა, ბინას ხო ვეღარ დავიბრუნებ, ნახვარი ფული ვალებში წავიდა... არა უშავს, ორ-სამ წელიწადში მაგაზე უკეთეს ბინას ვიყიდი.

მამა - ...

შვილი - კარგი ახლა გამიშვი, აღარ მაქვს ამდენი დრო, ოთხ საათზე აეროპორტში უნდა ვიყო, კაცო, გამიშვი ხელი... აბა, კარგად იყავი, უნდა წავიდე... პატარა ხო არა ხარ? კარგი რა, მამი რა, კარგი რა... მე რა?... მინდა აქ რო გტოვებ? წახე რა კარგი ხალხია, ხო წახე რა პირობებია, წეტა მე დამტოვებდეს აქ ვინმე...

მამა - ...

შვილი - ჰო მართლა, კინალამ დამავიწყდა, ფულს დაგიტოვებ, გამიშვი ხელი... გამიშვი ფული ამოვილო, აჲა ასე (ხელი გააშვებინა, ჯიბებში ფული ჩაუდო), გქონდეს დაგჭირდება, დირექტორს რაც გინდა მოსთხოვე, დავალებულია ჩემგან, უარს ვერაფერზე ვერ გეტყვის. აქ თავი სამადლოდ და სამოწყალოდ არ იგრძნო... აბა, წავედი, წახვამდის, ხუთ თვეში აქა ვარ... აეროპორტიდან პირდაპირ აქ მოვალ (შვილი მიდის).

ბავშვის ხმა – მოიცადე, არ წახვიდე!... ეი!... შენ გეუბნები!... სად მიდიხარ, საად?... (შვილი, რომელსაც არ გაუგია ბავშვის ხმა, გადის)

(მოხუცები შემოეხვივნენ მამას)

გოგი - (მამას) რომელ ოთახში გაგანაწილეს? ჩვენ ადრე იქ, გარეთ ხომ არ ვიცნობდით ერთმანეთს?

მამა - ...

კაკო – დაანებე თავი, თქვენი სახელი?

მამა - ...

ვანიკო – არ ინერვიულო, იცი რა კარგადა ვართ აქა?...

მამა - ...

რუსიკო – აქ ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, აქ რომ არ მოვეყვანეთ, მარტოობაში ამომხდებოდა სული.

მამა - ...

ქეთი – აქ ძალიან მოგეწონებათ, იცით რა კარგი ხალხი ვართ?

გოგი – აგ! შაკო მოდის! იმას ეხლა თქვენ გაეცით პასუხი.

არკადი – ჩე სტიდნო თებე გოგი თაქი ბოლში და თაქი კურდგელი.

გოგი – Заткнись.

ქეთი – (შეწუბდა) რატომ არ მეუბნებით ვინ არის შაკო, მე ვიცნობ?

რუსიკო – თინიკო...

ქეთი – (უსწორებს) ქეთი.

რუსიკო – ეგ სულერთია, შენ ისა გაქვს... რა ქვია იმას? ისა... ამას წინათ, რომ გითხარი, ფრთხილად იყავი.

(შემოდის შაკო)

ქეთი – (გახარებული) აა, ამას ხომ ვიცნობ, ეს არის შაკო.

შაკო – გამარჯვობათ მეგობრებო, ჩემო კარგებო, ჩემო ძვირფასებო.

არკადი – Здравствуйте ბატონო შავლეგ!

შაკო – (რატომლაც გაღიზიანდა) არკადი, ჩემს კაბინეტში ტელეფონი რომ ითიშება, რატომ არ აკეთებ, თუ შენ ეს არ გეხება?

არკადი – Сделаю ბატონო შავლეგ!

ქეთი – შაკო, აბა თქვი აა.

შაკო – აა!

ქეთი – ტლაკში ქვაა... (იცინის)

შაკო – ქეთი ბებო, ქეთი ბებო, რა ცელქი ბავშვი იქნებოდით. უკვე გაიცანით ერთ-

მანეთი? ძალიან კარგი. (მამას) რა საქმიანობა გეხერხებათ?

მამა - ...

შაკო - კარგი, კარგი მოგინახავთ რამე საქმეს, თქვენთვის სასიამოვნოს და ჩვენთვის სასარგებლოს. (მხიარულად) აბა, როგორ არის საქმე? რამე პრობლემა ხომ არა გაქვთ? სულმოუთქმელად გელოდებით, რამე ხომ არ გჭირდებათ?

გოგი - არაფერი, ყველაფერი გვაქვს...

ქეთი - როგორ არ გვჭირდება, გრიმი არა მაქვს, კაბა არა მაქვს.

რუსიკო - „რუმიანა“ გვინდა, „რესნიცები“ გვინდა.

ანიკო - (ჩუმად) კაბა მეც არა მაქვს.

შაკო - ვაიმე, რა საყვარლები ხართ, თქვენ ხომ აზრზე არა ხართ. იქნება, ყველაფერი იქნება! მოდი ასე ვქნათ, ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც გჭირდებათ და გადმომეცით, სიტყვა თქვენი, საქმე ჩემი.

შაკო - ახლა კი გააგრძელეთ, მინდა გიყუროთ.

დოდო - შესვენება გვაქვს.

შაკო - რა დროს შესვენებაა, ხუთ წუთში ბავშვები მოვლენ, დღეს დისკოთეკაა.

გოგი - სტუმრები არ მოვლენ?

შაკო - ვინ სტუმრები? აჲ ისინი? დღეს არა.

დოდო - ხომ შევთანხმდით, რომ დღეს რეპეტიცია იქნებოდა.

შაკო - მართალი ხართ, ქალბატონო დოდო, შევთანხმდით, მაგრამ დამირეკეს, მთხოვეს, დამავალეს და რა ვქნა?

გოგი - თუ დაგავალეს, რა უნდა ქნათ.

დოდო - (აღმფოთებული) კი არ დაგავალეს, აქირავებთ სცენას. რატომ არ შეგიძლიათ, რომ ასე პირდაპირ გვითხრათ, რომ აქირავებთ, რომ ფულს გიხდიან.

შაკო - დიახ, ვაქირავებთ, დიახ, ფულს გვიხდიან. თქვენ ხომ არ გვითხროთ, რასაც ბიუჯეტიდან გვაძლევენ ის გვყოფნის, ან შემოწირულობები? სამი წელია შემოწირულობების ყუთი მიდგას ქუჩაში... იცით რამდენი შემოგვნირეს? 85 თეთრი... აქედან 20 თეთრი ჩემი იყო. იცით რა მიჯდება ამდენი ხალხის შენახვა, სასმელ-საჭმელი, გათბობა, დენის ფული, ნყლის ფული, მომვლელები, ექიმები, წამლები... რა ვქნა, უარი ვთქვა? აგერ ბატონი კაკო, ყოველდამე, რომ იფსავს, იმ თეთრეულს გარეცხვა ხომ უნდა? - უნდა. „პარაშოკი“ უნდა? - უნდა. თეთრეული რეცხვაში ცვდება? - ცვდება... აბა, როგორ გინდათ? კაკო ისე, სიტყვაზე ვთქვი.

კაკო - (ქალებს თვალს არიდებს) რა ყოველ ღამე... ერთხელ იყო ეგ ამბავი... დოდო - როცა შევთანხმდებით, პირობა აღარ უნდა დავარღვიოთ იმიტომ, რომ ვიღაცამ ვიღაცას ფული ჩაუდო ჯიბეში.

შაკო - მოიცა, მოიცა... ვინ ვიღაცამ ვის ჩაუდო ჯიბეში?... მე ვიდებ რამეს ჯიბეში? მე?

კაკო - რამდენს გიხდიან?

გოგი - (შაკოს გადახედა) შენ ვინ გეკითხება, რა შენი საქმეა.

შაკო - რა შენი ტრ... რა თქვენი საქმეა, რას ყოფთ ცხვირს სხვის ჯიბეში?

ისევ თქვენ არ გახარჯავთ მაგ ფულს?

არკადი - Говорите по русски... Мне тоже интерсно, по грузински я не все понимаю.

დოდო - ვაგრძელებთ რეპეტიციას.

შაკო - არა რა... ქალბატონო დოდო, გავიდა ხუთი წუთი, ახლა უკვე მოვლენ და... არ მინდა რა უსიამოვნება... დავამთავროთ და ხვალ გავაგრძელოთ, თუ ვერ ასწრებთ მომზადებას, გადავწიოთ იქით ერთი-ორი თვით, რა გვეჩარება? უკეთესი გამოგვივა.

კაკო - რა ყოველ ღამე? - ერთხელ იყო... ისიც...

ვანიკო - რა ვიცი, თვის ბოლოს გადადიხართო და...

შაკო - მართალია, გადადიხართ, იქ ითამაშებთ, ბუნების წიაღში, იქ არ

ჯობია?

დოდო – (კატეგორიულად) ეს ხალხი აქედან არ წავა!

შაკო – არ წავა კარგია. არ წავა და... ეგრე სად არი ძმაო... დაო... თქვენი კი არ არის ეს სახლი.

კაკო – არც შენია.

შაკო – მართალია, არც ჩემია, მერე მე ვამბობ ჩემია-მეთქი? ქალბატონო დოდო, თქვენთან ცალკე მინდა საუბარი, მერე მნახეთ თუ შეიძლება, ახლა კი მოვრჩეთ.

დოდო – თქვენთან ცალკე სალაპარაკო არაფერი მაქვს, თუ რამე გნებავთ, აქვე ვთქვათ.

შაკო – (მოთმინებას კარგავს, მაგრამ ცდილობს თავი შეიკავოს) არ გვინდა რა... ქალბატონო დოდო, არ გვინდა რა მიტინგები. ხო აზრზე ხართ რა პატივს გცემთ. თქვენს სპექტაკლებზე ვარ გაზრდილი, მაგრამ იცით რას გეტყვით... არავის, პი-რადად თქვენს გარდა, არავის არ სჭირდება ეს სპექტაკლი. თქვენ რომ გგონიათ, ბომბებს ამზადებთ აქ, ეგრე არ არი...

ბავშვი (დოდოს) – არ აყვე.

დოდო – (ბავშვს) დამაცადე... (მოხუცებს) მარტო მე მჭირდება? თქვენ არ გჭირდებათ? ამოიღეთ ხმა!...

(პაუზა, მოხუცები უხერხულად იშმუშნებიან).

ვანიკო – (გაბედა) რას ამბობ დოდო, როგორ არ გვჭირდება...

გოგი – რაში გჭირდება, რაში. გაგათბობს, გაგაძლობს თუ რა?

არკადი – (დოდოს, ისე, რომ შაკომ არ გაიგოს) **Я с Вами Додо Николаевна.**

შაკო – (შემოდის კლარა და ზარს აუდარუნებს) მეგობრებო, გთხოვთ სადილზე. კლარას დღეს კატლეტები დაუმზადებია თქვენთვის, აბა გთხოვთ... მობრძანდით (პაუზა) დროზე, ნუ გავაკივებთ სადილს (მოხუცები ნელ-ნელა გადიან, სცენაზე მხოლოდ დოდო და სანდროა, აგრეთვე მამა, რომელიც კუთხეში ზის და სივრცეში იმზირება, სამივე თავის ფიქრებშია წასული, მარტონი არიან).

ბავშვი – შეხედე ვინ დგას იქ? (დოდომ სანდრო შენიშნა)

დოდო – სანდრო!... სანდრო!... (სანდრომ მოხედა, დააკვირდა, სახეზე ეტყობა, რომ ვერ იცნო დოდო) გამარჯობა სანდრო!...

სანდრო – გამარჯობა?!...

დოდო – ვერ მიცანი?

სანდრო – როგორ არა, როგორ არა, გიცანით... თქვენ... (იცნო) შეენ?

დოდო – ჰო მე, მე... რას გავხარ შე საცოდავო?

ბავშვი – (დოდოს) რა შეხვედრაა?... ნუ ელაპარაკები ასე.

სანდრო – რას ვგავარ?

დოდო – მოდი აქ, დაჯექი, აქ ვინ მოგიყვანა?

სანდრო – მეზობლებმა.

(პაუზა)

დოდო – როგორ ხარ?

სანდრო – ვარ რა, ისე რა...

დოდო – სვამ?

სანდრო – არა...

ბავშვი (თავისთვის) – ტყუის.

სანდრო – რითი უნდა დავლიო? (პაუზა) შენ? შენ რა გინდა აქ?

დოდო (ბავშვი გადახედა) – მეე? მე აქ სამადლოდ კი არა ვარ, ფულს ვიხდი... როდის მოგიყვანეს?

სანდრო – დღეს, ხო გინდა არა?!... (იცინის) სად შევხვდით.

(შემოდის კლარა).

დოდო – რა გინდა კლარა?

კლარა – (კლარა ზარს დაუუჟღარუნებს) არ მოდიხარ?

სანდრო – ყურს გვიგდებს?

დოდო – არა, ყრუ-მუნჯია. (კლარა გადის, მოულოდნელად) „ლირს“

ვდგამ, ითამაშებ?

სანდრო – რაა?

დოდო – ლირს ითამაშებ? შენი ოცნების როლია, (ხმას აუწია) ითამაშებ? ბავშვის ხმა – ითამაშებს, ითამაშებს... ოღონდ ნუ ეცემი ასე უცებ ყელში.

სანდრო – თავი დამანებე რა?

დოდო – რა, არ გინდა? სანდრო!... შენ რომ ახლა ამ როლზე უარი თქვა?!...

სანდრო – დოდო თავი დამანებე...

დოდო – ასე, გადაწყვეტილია! თამაშობ ლირს, წარმოდგენა არა გაქვს რა მოხდება... ეს იქნება კივილი... ბომბი!... საზოგადოება გამოფხილდება, მიხვდება, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, არ შეიძლება თვალდახუჭულმა იცხოვრო. მაშ ასე, გადაწყვეტილია – თამაშობ ლირს, თუ სულ არ გამოშტერდი, ტექსტს ადვილად ისწავლი, ეს ერთი გქონდა დადებითი, ტექსტს ადვილად იმახსოვრებდი.

ბავშვის ხმა – ნუ ელაპარაკები ასე, გაგექცევა.

სანდრო – დოდო, ისე ნუ იზამ, აქედანაც გაგექცე.

ბავშვის ხმა – ხომ გითხარი.

დოდო – შენ ერთხელ უკვე გაიქეცი... მთელი ცხოვრება გადაგყევი შე ლოთო, შე ლოთო „დონ-ჟუანო“... შე „სამაიას“ ლოთო.

ბავშვის ხმა – არ შეიძლება ასე, ყველაფერს გააფუჭებ.

დოდო - დამაცადე... (სანდროს) ჭაობიდან ამოგათრიე, კაცად გაქციე, ვერ დააფასე და გაიქეცი... გაიქეცი და ხომ ხედავ რას დაემსგავსე.

სანდრო - (გაკვირვებული) რას დავემსგავსე?

დოდო - შენ სარკეში არ იყურები?

სანდრო – ვიყურები, მერე?

დოდო - მერე, ვერ ხედავ რას გავხარ? ხელები დიდი ხანია გიკანკალებს?

სანდრო – ხელები მიკანკალებს? (ხელებს წინ წევს) მართლა მიკანკალებს, არ შემიმჩნევია.

დოდო - ლიკა სად არის, მიგატოვა? არა ბიჭო, ჩემსავით მონად დაგიდგებოდა, შენ გგონია არ ვიცი შენი ამბები?

სანდრო – რა ამბები?

დოდო - ყველაფერი ვიცი, ყველაფერი... ვისთან გაიქეცი შე დეგენარატო...

ბავშვის ხმა – რა დროს ეჭვიანობაა.

დოდო - ბიჭები გნახულობენ?

სანდრო – ბოლოს წიკა იყო.

დოდო - როდის?

სანდრო – არ მახსოვს...

დოდო - არ გახსოვს? მაინც, დაახლოებით?

სანდრო – დოდო, მართალი მითხარი, შენ აქ რა გინდა?

ბავშვის ხმა – (სანდროს) რად გინდა ეს გამოძიება, აქ არის და მორჩა, შეირიგე თუ შეგიძლია. (სანდროს არ ესმის)

დოდო - (ხმას) დაანებე თავი. (სანდროს) შენი ბრალია... ყველაფერი შენი ბრალია!

სანდრო – ეგ ვიცი, თუ რამე ცუდი მოხდა, ყველაფერი ჩემი ბრალია...

დოდო - ეგრეა, ყველაფერი ცუდი შენი ბრალია. უსინდისო კაცი ხარ, ეგოისტი, დაუნახავი... ლოთი „დონ-ჟუანი“

სანდრო – „სამაიას“ ლოთი...

დოდო - ჰო „სამაიას“ ლოთი, „სამაიას“ ლოთი.

ბავშვის ხმა – უძახე ახლა ლოთი, ლოთი...

დოდო - „სამაიას“ თავზე „ზაბეგალოვკიდან“ გამოგათრიე, კაცად გაქციე, არასოდეს არავინ არ გაინტერესებდა, მარტო შენი თავით იყავი დაკავებული. ბიჭები ისე შემოგვეცალნენ არც კი გაგიგია (დოდო ატირდა, სანდრო შეწუხებულია).

ბავშვის ხმა – იტირე კარგია, შეხედე როგორ მოქმედებს (დოდომ ცრემლები მოინდა).

სანდრო – ეგეც ჩემი ბრალია?

დოდო – შენი ბრალია, ერთხელაც არ დაინტერესებულხარ, რითი
ცხოვრობენ შენი შვილები, ნიკამ როდის გნახა არ გახსოვს.

იდიოტო, ნიკა ათი თვეა ამერიკაშია.

სანდრო – საად?

დოდო - ამერიკაში.

სანდრო – რამდენი ხანია?

დოდო - ათი თვე, ათი თვე.

(პაუზა)

სანდრო – რატომ?

დოდო - იმიტომ! იმიტომ, რომ მისთვის არასოდეს არავის ეცალა.

(შემოდის ვანიკო, ხელში პურის ნაჭერი და კატლეტი უჭირავს)

ვანიკო – დოდო... ისა... მართლა კატლეტები იყო სადილზე... აი, მოგიტანე.

დოდო - ვანიკო, წადი აქედან.

ვანიკო – აიღე, დილიდან არაფერი გიჭამია...

დოდო – (ყვირის) ვანიკო წადი!

ვანიკო – წავედი. (სანდროს დააკვირდა) შენ ის არა ხარ?... ისა ხარ?...

(დოდოს შეხედა) წავედი (გადის)

(პაუზა)

დოდო – შენ რომ მარტო შენს თავზე არ გეფიქრა... სამჯერ დაჭრეს ნიკა,

ვერც ერთხელ ვერ გიპოვეთ, ხან ძმაკაცებმა, ხან გამვლელებმა

წაიყვანეს საავადმყოფოში.

სანდრო – დოდო, ეგ ხომ შემთხვევით მოხდა.

დოდო – რა მოხდა შემთხვევით? შემთხვევით დაჭრეს, თუ შემთხვევით ვერ
გიპოვეთ.

სანდრო – შემთხვევით ვერ მიპოვეთ.

დოდო – შემთხვევით არაფერი არ ხდება.

(შემოდის შაკო)

შაკო – გამარჯობათ, ქალბატონო დოდო.

დოდო – დღეს არ გვინახავს ერთმანეთი, არა?

შაკო (სანდროს) – ცოტა ხანს დაგვტოვე, რა (მიხვდა, რომ უცნობი სახეა)
თქვენ ვინ ბრძანდებით?

სანდრო – მეე?

შაკო – ჰო, თქვენ... შენ...

სანდრო – სანდრო.

შაკო – მერე?

სანდრო – რა მერე?

შაკო – აქ რას აკეთებ?

სანდრო – არაფერს.

შაკო – აა, შენ ისა ხარ, დათაშკამ რომ დამირეკა? რა პროფესია გაქვს?

სანდრო – რა მნიშვნელობა აქვს?

შაკო – დურგალი ხარ, მალიარი, ელექტრიკი, თუ?...

სანდრო – არც ერთი.

შაკო – არა უშავს, მოგინახავ საქმეს, შენთვის სასიამოვნოს და ჩვენთვის
სასარგებლოს.

დოდო – ამ კაცს თავი დაანებეთ, ამის მუშაობა არ შეიძლება.

შაკო - თქვენი ნაცნობია?

დოდო – დიახ.

შაკო – (თავაზიანად) კი ბატონო თქვენი ხათრით... (სანდროს) ოლონდ ახლა
ცოტა ხნით დაგვტოვე.

სანდრო – მე?!

შაკო – ჰო შენ, წადი რა გაიარ-გამოიარე.

სანდრო – რატომ უნდა გავიარ-გამოვიარო.

შაკო – საქმე მაქვს ქალბატონ დოდოსთან.

სანდრო – კი ბატონო, (შორიახლოს მიდი-მოდის).

შაკო – ქალბატონო დოდო, ჩემი ხასიათი იცით, გულახდილად და პირდაპირ მიყვარს ლაპარაკი, გულახდილად და პირდაპირ მინდა მოგელაპარაკოთ... ამ შენობის საკითხი, პრინციპში უკვე გადაწყვეტილია, ამ დღეებში უნდა გავიყვანო ეს ხალხი აქედან, თქვენი პრობლემა მინდა გადავწყვიტო.

დოდო – რა პრობლემა?

შაკო – ქალბატონო დოდო, ხო აზრზე ხართ, ამერიკელი ბიზნესმენები რა როჟები არიან, წესიერი, პატიოსანი და სანდო ხალხი სჭირდებათ... ამიტომ მე ასე ვიფიქრე, თქვენ აქ დაგტოვებთ, ჩემთან, რამე თანამდებობას მოვიფიქრებ, ჩემი მოადგილე იქნებით ან მენეჯერი, ან რამე, რა ვიცი... ოლონდ ეს ხალხი უნდა შემიკეროთ, რომ ექსცესების გარეშე წავიდნენ აქედან... ჰა?

დოდო – რა, ჰა?

შაკო – რას იტყვით?

დოდო – არ გამოვა.

შაკო – რატომ? რატომ არ გამოვა? გამოვა... ეგეთები გამოსულა?!

დოდო – გამოსულა, მაგრამ აღარ გამოვა. ჩალით აღარ არის დახურული ქვეყანა, არ წავა ეს ხალხი აქედან.

შაკო – (ღიზიანდება) არ წავა კარგია, ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე წყდება, გამიბაზრებთ, თორემ გეტყოდით ვისი ინტერესებია აქ ჩადებული.

დოდო – ვისი ინტერესებია?

შაკო – ვისი და... (კინაღამ წამოცდა) მერე გეტყვით ვისი.

დოდო – არ გამოვა ეგ საქმე, არა, ვერ იყიდით ამ სახლს, ხალხს ქუჩაში ვერ გაყრით.

შაკო – (აღშეფოთებული) ვინ ყრის ქუჩაში? ჩვენ მხეცები კი არა ვართ.

ბუნების წიაღში იცხოვრებენ. ერთაწმინდაში. ადრე პიონერთა

ბანაკი იყო, გადახვალთ იქ... არა, თქვენ აქ დარჩებით.. გადავლენ იქ, მიხედავენ შენობას, რაღაცას სახელმწიფო გაიღებს, რაღაცას ამერიკელები... ეგენი მაგრა უნდა მოვწველოთ, მაშ როგორ, მუქთად უნდათ ყველაფერი. ყოფილხართ ერთაწმინდაში? აქეთ მთები, იქით მდინარე, აქ ეკლესია, იქ სასაფლაო... პაატა მანდ არის დამარხული, სააკაძე, რა როჟა იყო არა? საიდან და რა დროს ჩამოატანინა პაატას სხეული!... რა მაგრები ვართ არა ქართველები?!... შევთანხმდით ხო ქალბატონო დოდო?... (სანდროს) ძმაო, შენ გითხარი გაიარ-გამოიარე-მეთქი.

სანდრო – დავდივარ.

შაკო – რა არი, ყურს გვიგდებ? (სანდრო გვერდზე გადგა).

დოდო – სანდრო მოდი აქ!

(სანდრო მოვიდა).

შაკო – ბიძაჩემო, თავი დაგვანებე რა?! (სანდრო ისევ გვერდზე გავიდა)

ახლა ქალბატონო დოდო, მთლად გულახდილი ვიქნები, სულ რომ

ყირაზე დადგეთ, მაინც გახვალო აქედან. ათიოდე მოხუცისთვის

ამხელა შენობას ქალაქის ცენტრში არავინ მოაცდენს, ხომ

მიგანიშნეთ ვისი ინტერესებია აქ ჩადებული, მაგას ენდობიან და ამერიკელებიც დებენ ფულს. ეს ფული მალე უნდა ამოვილოთ, ასე, რომ ჯობია თქვენს თავზე იფიქროთ.

(პაუზა)

დოდო – სანდრო, მოდი აქ! (სანდრო მორჩილად მოვიდა).

დოდო - სანდრო, ცემე ეს კაცი!

სანდრო – ვცემო?

დოდო – ჰო, ცემე!... ჩემი ხათრით...

შაკო – (იცინის) მცემოს? ამან როგორ უნდა მცემოს.

დოდო – მთელი ცხოვრება ვარჯიშობ, არ შეგიძლია, ერთხელ, ჩემი ხათრი ერთი ნაძირალა ცემო?

სანდრო – (დაიბნა) მიზეზი ხომ უნდა მქონდეს?... მერე აღარ მეკითხები – შემიძლია ვცემო?

შაკო – შენ მე უნდა მცემო? მოდი რა... მოდი, მოდი, შენ მე როგორ უნდა მცემო?

სანდრო – მე ვამბობ გცემ-მეთქი?

შაკო – ჩაიჯვი? მოდი რა, მოდი მცემე... მიზეზი გინდა არა, შე ფუნა...

(სანდრომ გაარტყა) ი!... ეს რა ქენი? დამარტყი? (სანდრომ ერთხელ

კიდევ გაარტყა) ი!... კიდევ? გაგხეთქო ცემით? არა ხარ ლირსი? (სწვდა საყელოში) რა გიყო? გცემო? რო დაგარტყა, ხო შემომაკვდები, ეგრე არა? ხარაშო. დღეის იქით თქვენთან არაფერი მაქვს სალაპარაკო, არ გინდათ, ნუ გინდათ.. აუ ჩემი, კბილი მომერყა, შენი... (გადის).

დოდო – დაჯექი, რა მოგივიდა, ძლივს სუნთქავ, სიგარეტის ბრალია, სისხლი რატომ მოგდის, დაგარტყა?

სანდრო – არა, წნევის ბრალია.

დოდო – გადაწიე თავი (მუხლებზე იდებს სანდროს თავს, სანდრო მოფერებას დააპირებს) ხელები გააჩერე შე გლახა დონ-უუანო (პაუზა) სანდრო სანდრო – ა?...

დოდო – გახსოვს ჩემი გულისთვის სამი ბიჭი, რომ სცემე?

სანდრო – მახსოვს. შენ ის არ იცი, მერე იმ სამმა მე როგორ მცემა.

დოდო – მართლა?

სანდრო – მართლა. (პაუზა) დოდო! ნიკა რას აკეთებს ამერიკაში?

დოდო – მუშაობს, ამერიკელებთან ერთად ფილმის გადაღებას აპირებენ, ჰოლივუდის ალტერნატიული კინო უნდათ... თან მუშაობს.

სანდრო – სად მუშაობს?

დოდო – ხან სად, ხან სად, ხან კაფეში, ხან მშენებლობაზე, ხატავს, ნახატებს ყიდის... გინდა დაგალაპარაკო?

სანდრო – დამალაპარაკე.

დოდო – რომელი საათია? სახლში აღარ იქნება, მობილურზე დავურეკოთ (რეკავს, ტელეფონს სანდროს აწვდის).

ნიკას ხმა – Yes! Nick is here! (სანდრო დაიბნა, ხმას ვერ იღებს) Hello! Who is speaking?

სანდრო - (დოდოს) ვინ არი?

დოდო – ნიკაა, ხმა გაეცი. (სანდრო ხმას ვერ იღებს, დოდომ გამოართვა აპარატი) ნიკა, გამარჯობა ნიკა!

ნიკას ხმა – ვაა!... დე!... შენა ხარ?... როგორა ხარ დეე?...

დოდო – (ცდილობ ემოცია არ გამოხატოს) არა მიშავს, ვარ

ჩვეულებრივად, შენი ამბავი მითხარი, საქმეები როგორ გაქვს?

ნიკას ხმა – რა ვი აპა?... ზურამ ფირმა უნდა დავაარსოთო... ოფისი

გავხსნათო, ადვოკატი დავიქირავეთ... მოკლედ რაღაცა გამოვა. თქვენი ამბები მაინტერესებს, ბიჭები რას შვრებიან?

დოდო – არა უშავს, კარგად არიან. ნიკა გინდა მამაშენი დაგალაპარაკო?

ნიკას ხმა – მამაჩემი? შენთან არის? რა შერიგდით?... შერიგდით?

დოდო - არა, ბიჭო, შევრიგდით კი არა... (უყურებს სანდროს) შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს კონცერტზე, ახლა ანტრაქტია და გირეკავ, აჲა დაელაპარ-

აკე.

სანდრო – (აღელვებულია, ცდილობს თავი შეიკავოს) ალო, გამარჯობა ნიკა!

ნიკას ხმა – მამი!... როგორა ხარ მამი?...

სანდრო – კარგად, შენ? შენ როგორა ხარ?

ნიკას ხმა – კარგად მამი, კარგად!...

სანდრო – (დოდოს) რა კარგად ისმის, მართლა ამერიკაშია?

ნიკას ხმა – მამი, როგორ გაასწორა რო ერთად ხართ, მოდი შერიგდით, გეხვეწები რა?!...

სანდრო – ჰო, რა ვიცი... (უყურებს დოდოს) ვნახოთ... ბიჭო! რატომ არ გამაგებინე ამერიკაში თუ მიდიოდი?

ნიკას ხმა – (იცინის) აუ შენ რა კარგადა ხარ მამი!... არ გახსოვს რომ გამოგემშვილობე, დათამეკასთან რო ქეიფობდი, არც ისეთი მთვრალი იყავი... შამპანურები მომატანინე, გზას დაგილოცავო, არ გახსოვს?

სანდრო – ჰომ? აბა რა ვიცი... მახსოვს, როგორ არა... ნიკა, ბიჭო, ამ სიშორეზე მე გაგიშვი? (ცრემლს იწმენდს) მანდ რას აკეთებ ბიჭო.

ნიკას ხმა – ხან რას, ხან რას... აქ ერთი ქუთაისელი ბორჯომს ასხამს, იმასთან ვმუშაობდი, ფული დამაკლო, ვიჩხუბე და წამოვედი. მამი,

ახლა სადა ვარ იცი? 67-ე სართულზე, შუშებს ვწმინდავ.

სანდრო – რომელზე?

ნიკას ხმა – 67-ზე.

სანდრო – (ძალაუნებურად ზევით გაექცა მზერა, მოზომა 67-ე სართული რა სიმაღლეზე იქნება, შეეშინდა) შიგნიდან ხომ?

ნიკას ხმა – (იცინის) არა გარედან, დედაჩემს არ უთხრა, იცი აქედან რა ხედია? ნახევარი მანჰეტენი ჩანს, იქით ოკეანე.

სანდრო – აბა კინოს ვაკეთებთო?

ნიკას ხმა – კინოს აქ ვინ გაგაკეთებინებს. მაგას დედაჩემს ვეუბნები, მაგას დედაჩემს ვეუბნები, არ ჩამიშვა მამი.

სანდრო – ფრთხილად იყავი, ხელი მაგრად გეჭიროს ბიჭო... რა გინდა ამ სიშორეზე... ან მაგ სიმაღლეზე (ატირდა).

დოდო – ჰო, კარგი, ნუ გააგიშებ ბავშვს (ართმევს ტელეფონის აპარატს) აბა კარგად იყავი ნიკა, თუ რამე ახალი მოხდეს, დამირეკე.

ნიკას ხმა – დეე!... შეურიგდი რა?!... გთხოვ რა?!... ეგ მარტო ცოდოა.

შეურიგდი ხო?...

დოდო – (უყურებს სანდროს) ჰო, კარგი, ვნახოთ... ნახვამდის (ცრემლებს ყლაპავს, სანდროს) რა გატირებს შე საცოდავო?... კარგად არის, თავის საქმეს აკეთებს... (პაუზა) სანდრო შენ რომ ამ როლზე უარი თქვა!...
სანდრო – რა, გამეყრები?

დოდო – ბიჭო, ყური დამიგდე, მე სპექტაკლს კი არ ვდგამ, ეს აქციაა, ბრძოლაა... ეს სპექტაკლი ბომბივით უნდა გასკდეს. პრესა, ტელევიზია ფეხზე დადგება, ამ შენობის გაყიდვა უნდათ, არასამთავროები ჩვენს გვერდით არიან, დაინიეთ და თქვენთან ვართო, ხალხს ქუჩაში ყრიან, დირექტორი ნაძირალაა.

სანდრო – მერე რა, მარტო ეგაა ნაძირალა?

დოდო – მარტო ეგ არა, შენც, მეც, ახია ჩვენზე, უარესად უნდა გვექცეოდნენ (სანდრომ რაღაცის თქმა დააპირა), შენი ხმა არ

გავიგონო!... თამამობ ლირს! მორჩა! ხომ არ შეიძლება მთელი ცხოვრება ბუჩქებში გაატარო კურდელივით. (შემოდიან მოხუცები)
მიირთვით კატლეტები? ძალიან კარგი, გავაგრძელოთ!

კაკო – დოდო, რა ვქნათ? უკვე გადაუწყვეტიათ ყველაფერი

დოდო – რა გადაუწყვეტიათ?

კაკო – გვყრიან აქედან.

გოგი – მერე რა?!

არკადი – Говорил я Вам Ричарда надо было ставить! Ричард нам нужен, Ричард!

Или Сталин.

ვანიკო – დოდო! ერთი კანისტრა ბენზინი მაქვს, რა ვი რაზე დამჭირდეს-მეთქი,

მოდი გადავისხათ და... ჰა? ყველას გვეყოფა (პაუზა) მა რა ვქნათ? მე სახლში ვერ დავბრუნდები, იქ არ ვიყავი, აქეთ რო გამომიშვეს?! ჰა? რას იტყვით?

ქეთი – (რუსიკოს) გადავისხათ? (რუსიკო მხრებს იჩეჩავს).

(პაუზა)

კაკო – ვანიკო.

ვანიკო – ჰო.

კაკო – ყველამ რატომ უნდა გადავისხათ?

ვანიკო – რა იყო, ბიჭო, გეშინია?

კაკო – კი არ მეშინია, აბა დაუკვირდი, ბენზინს რო გადაისხამ, ასანთი ხო

დასველდება, ვიღაცამ ცეცხლი ხო უნდა მოგიკიდოს, არა?!

ვანიკო – მა რა ვქნათ?

კაკო – ერთმა რო გადაისხას, ეყოფა, სკანდალი მაინც ატყდება.

სანდრო – დოდო, შემთხვევით ფსიქიატრიულში ხომ არა ვართ.

დოდო – რა უნდა გადაისხათ, პირდაპირ ჯოჯოხეთში გინდათ ამოყოთ თავი?...

ჩვენი ძალა ჩვენს ერთად ყოფნაშია, ერთად თუ ვიქებით, ვერავინ მოგვერევა... შენ-ყდეს პანიკა, ვიწყებთ რეპეტიციას, ლირზე დანიშნულია სანდრო, მიეცით როლი.

კაკო – რატომ?

ვანიკო – დოდო, რად გვინდა კიდე ერთი მეფე?

დოდო – არ არის ეს საკამათო. (ვანიკოს) შენ გლოსტერი იქნები. (კაკოს) შენ კენტი.

ეს არანაკლები როლებია, გლოსტერიც და კენტიც თავისებური ლირია ორივე.

ვანიკო – ეგ ხო ეგრეა, მაგრამ მეფე ხო ერთია, არა? კაკო თუ არ ვარგა, მე ვიქები რა?! (სანდროზე ანიშნებს) აბა ეგ რა მეფე უნდა იყოს, ლოთია, შეხედე ხელები უკანკალებს.

დოდო – არ არის ეგ შენი საქმე.

არკადი – Додо Николаевна, если Ванико не хочет, Глостером буду я. იკოს გლოსტერი რუსскоязычный.

დოდო – სანდრო, გამოართვი როლი. ვისა აქვს როლი, კაკოს თუ ვანიკოს?

(ვანიკომ ჩუმად კაკოს გადასცა როლი).

არკადი – (დაინახა) Вот, у Акакия роль! Точно, сам видел! აბა მომეცი როლი.

გოგი – მომეცი როლი კაკო (ხელებს უგრიხავს) გაუშვი ხელი, გაუშვი,

თორემ გაგიხვრიტავ კეფას.

კაკო – რა თქვი?! რას გამიხვრიტავ?...

გოგი – კეფას...

კაკო – კეფას რატომ?

გოგი – შენთვის რა მნიშვნელობა აქვს? თუ ძალიან გინდა, შუბლს. კეფა ისე, სიტყვაზე ვთქვი... თორემ რითი უნდა გაგიხვრიტო, თითით?

დოდო – კაკო, მომეცი როლი. გაუშვი ხელი... (მცირე ძიგილაობის შემდეგ წაართვეს როლი). ვიწყებთ.

(შემოდის შაკო)

შაკო – აბა, აბა, მორჩა. დამთავრდა რეპეტიცია, მოვიდნენ ბავშვები, დავცალოთ სცენა.

ვანიკო – რატო, კაცო? ეს სცენა ჩვენია.

შაკო – შენია, რო ბუთქავს უნია!... (იცინის) მორჩით რა, კარგით რა,

ყველაფერი თქვენ როგორ გინდათ? ახალგაზრდებს არაფერი არ უნდათ არა? რა ქნან, ქუჩაში იხტიალონ, თუ სადარბაზოში გაიჩირონ?! არაფერი მაგათთვის არ არის და დისკონტაც აღარ ეკუთვნით? კარგით რა!...

(შემოდიან ბიჭი და გოგო)

გოგი – მართალია, ცოდოები არიან ბავშვები.

დოდო – აღარ შემიძლია ამ დემაგოგიის მოსმენა.

შაკო – ჰო, ეგრეა. სიმართლის მოსმენა არ გინდათ. ამიტომ, აი ამიტომ

გარბიან ჩვენი შვილები საზღვარგარეთ, თქვენი ბრალია, ყველაფერი თქვენი ბრალია.

ქაკო – დღეს ჩვენი დღეა, დაგვაცადეთ...

შაკო – ვერ დაგაცდით... ქალბატონო დოდო, თქვენთან ცალკე მინდა
ლაპარაკი (გაახსენდა) თუმცა ხო გელაპარაკეთ...

ბიჭი – (შაკოს) ძმაო, ჩვენ როგორ შევთანხმდით, 5 საათიდან ჩვენია სცენა,
არა?

შაკო – თქვენია.

ბიჭი -ახლა რა ვქნათ, ვეჭიდაოთ ამ ხალხს?

დოდო – დავიწყოთ რეპეტიცია.

ბიჭი – რა უნდა დაიწყოთ (შაკოს) ეე, ძმაო, უთხარი რამე!...

შაკო – მეგობრებო, გთხოვთ დაცალოთ სცენა!

გოგი – ჩადით რა!

შაკო – არა გოგი ჩხუბი არ გვინდა. ვუთხრათ და გაგვიგებენ, არა,
ქალბატონო დოდო?

ბიჭი – (შაკოს) გადაგიხადეთ, ძმაო, დაგვიცალე რა სცენა.

შაკო – ახლავე. (მოხუცებს) აბა ჩავიდეთ ძირს. . .

ვანიკო – რამდენი გადაუხადე?

შაკო – რა შენი საქმეა, ისევ თქვენ არ გახმართ მაგ ფულს?!...

ვანიკო – შენ არ გეკითხები (ბიჭის) რამდენი გადაუხადე.

ბიჭი – გითხრეს, არ არის შენი საქმეო, ე.ი. არ არის.

(შაკომ, გოგიმ და ბიჭმა დააცლევინეს სცენა მოხუცებს).

ბიჭი – (გოგოს) ძიდი.

გოგო – ახლა არ გავიხდი რა ?!

ბიჭი – რატო?

გოგო – მიყურებენ. უხერხულია.

ბიჭი – საღამოს არ შემოგხედავენ?

გოგო – საღამოს სხვაა, მაშინ ჩვენი „სასტავი“ იქნება.
(ბიჭი რთავს ფონოგრამას, მღერის, გოგო ცეკვავს).

სანდრო – (მამას) უკაცრავად, თქვენ!... ისა... ცუდად ხომ არა ხართ?...
დოდო!

დოდო – რა მოხდა?

სანდრო – (მაჯას უსინჯავს) მე მგონი... მორჩა... მიაბარა სული.

შაკო – რა ქნა?... რა მიაბარა?...

სანდრო – გარდაიცვალა.

შაკო – როგორ გარდაიცვალა?! გარდაიცვალა კარგია... მე აღარ
მეკითხებით? რა ვქნა, ტო.? ეე, ბიძა!... რას მიშვრები, ტო?! რა ვქნა
ახლა, ტო?...

(პაუზა, უცებ კაკო მოწყდა ადგილს, მივარდა ტელეფონს, რეკავს)

კაცის ხმა – გისმენთ.

კაკო – ვფიცავ მე ღვთიურს, მზის შარავანდთ სხივოსნობასა...
კაცის ხმა – ბატონო?

კაკო – ვფიცავ წყვდიადსა და ჰეკათას საიდუმლოებს...

კაცის ხმა – რომელი ხარ, კაცო, რა გინდა?

კაკო – სიკვდილ-სიცოცხლის მომკვდინებელს სფერათა ბრუნვას, რომ
დღეის იქით აგვიყრია შენზედა გული.

კაცის ხმა – ეე!... ვინა ხარ, კაცო? ალო?!

კაკო – მამაშენი ვარ, მამაშენი, შე მამამიჯმულო!...

კაცის ხმა – ვინ მამაჩემი? შენ გიში ხო არა ხარ? მამაჩემი სახლშია,
სხვაგან მოხვდი ბიძა, სხვაგან, შე-გე-შა-ლა!

(ფ ა რ დ ა)

მეორე მოქმედება

(მოქმედების ადგილი არ იცვლება. ანიკო კვლავ რეკავს ტელეფონზე. იგივე პრო-ცედურა ძაფიანი მონეტით).

ქალის ხმა – გისმენთ... გისმენთ... ალო, ხმა ამოილე, რომელი ხარ? სუნთქვა მესმის (ანიკო პირზე ხელს იფარებს), ალო, რომელი ხარ? ვინა ხარ, გამაგებინე!... ეეე... შენ ვიღაცა ხარ, საქმე არა გაქვს? რა გინდა მითხარი, რამდენი ხანია რეკავ... შენი ჭკუით მაეჭვიანებ? მე და ნოდარის შენ ვერაფერს ვერ მოგვიხერხებ, გვიყვარს ერთმანეთი... შენ კი რეკე რამდენიც გინდა, ნერვებს მაინც ვერ ამიშლი (ყვირის) ხმა ამოილე ვიღაც ოხერი ხარ... ნოდარი! იქნებ შენ გაგცეს ხმა, მოდი დაელაპარაკე.

კაცის ხმა – ალო, გისმენთ, ეე... ხმა ამოილე შეჩემა, ალო?... ეეე!... (უცებ ხმა ეცვლება) ვაიმე!... დედა შენა ხარ? დეე... თუ შენა ხარ, ხმა ამოილე, რა?.. დეე... როგორმე მაგრძნობინე, რომ შენა ხარ, ყურმილზე დააკაკუნე. დედა სადა ხარ, სად დაიკარგე (ანიკო ყურმილის დადებას აპირებს), დე არ დაკიდორა?! 8 თვეა გეძებთ, რა გაწყენინეთ ასეთი? შეიძლება ასე?... ბავშვები მეკითხებიან – მოკვდაო? რა ვუთხრა, რა ვუპასუხო? დე, ერთი სიტყვა მაინც მითხარი, ერთი სიტყვა, დეე!...

(ანიკო ყურმილს დებს).

გოგი – გამარჯობა ანიკო.

ანიკო – (შეკრთა) რა კატასავით მომეპარე. გაგიმარჯოს.

გოგი – რას აკეთებ.

ანიკო – ვალაგებ.

გოგი – ე.ი. არ ვიცნობდით, არა, ერთმანეთს.

ანიკო – არა.

(შემოდის რუსიკო).

რუსიკო – ანიკო, თინიკო არ გინახავს?

ანიკო – ქეთი? არა, არ მინახავს. თინიკოს რატო ეძახი? თინიკო ვინ არი?

რუსიკო – თინიკო? (ჩაფიქრდა, რაღაცას იხსენებს, ვერ გაიხსენა) იყო...

ანერვიულდა სად დაიკარგა ეს გოგო, რა ვქნა, მაგას ისა აქვს, რა ქვია?... ისა, რომ დამეკარგოს, რა ვქნა. მაგას კი არა, მე მგონი მეცა მაქვს ის, რა ქვია?

გოგი – გამარჯობა რუსუდან.

რუსიკო – გაგიმარჯოს.

გოგი – რას აკეთებ?

რუსიკო – არაფერს (აკვირდება).

გოგი – ეგრე რატო მიყურებ?

რუსიკო – ძალიან ნაცნობი სახე გაქვს, ვიხსენებ და ვერ გავიხსენე.

გოგი – საიდან უნდა მიცნობდე, მე არ მახსოვხარ.

რუსიკო – შენ გოგი გქვია?

გოგი – გიორგი.

რუსიკო – იმას, იქ, რა ერქვა აღარ მახსოვს.

გოგი – ვის?

რუსიკო – იმას, იქ, ვორკუტაში... ზედამხედველი იყო, ყოფილხარ ვორკუტაში?...

გოგი – ვორკუტაში არა! შენ რა გინდოდა ვორკუტაში?

რუსიკო – აღარ მახსოვს, მგონი ბიძინას ჩავაკითხე.

გოგი – ბიძინა შენი ქმარია?

რუსიკო – იყო, სანამ მოკვდებოდა.

გოგი – რა მოუვიდა?

რუსიკო – (იხსენებს) ფორმალინი გადაასხეს... თუ კირი დააყარეს... არა, ჯერ დახვრიტეს და მერე დააყარეს კირი. შენ ხომ არ იცი, რა უქნეს?

გოგი – მეე? მე საიდან უნდა ვიცოდე. არ ვიცი!... არაფერი არ ვიცი!...
ვორკუტა თვალითაც არ მინახავს.

რუსიკო – თინიკოც არ გინახავს? (უცებ გონება გაუნათდა, გახარებული)
ააა! გამახსენდა... თინიკო აღარ არის, ვორკუტიდან, რო
დავბრუნდი... ტუბერკულოზით... (ტირის) სად დაიკარგა ეს გოგო...

გოგი – თინიკო?

რუსიკო – არა, ქეთი, თინიკო აღარ არის, გაფრინდა (გადის, შემოდის შაკო).
შაკო – გოგი, გამომართვი (პარკით რაღაც მიაწოდა). ესენი გაბერე და
ჩამოკიდე.

გოგი – (ბერავს, ბუშტი, უცნაურად, გრძლად იბერება) ეს რა არის?
შაკო – ფირმა ბუშტებია (იცინის), დღეს სტუმარს ველოდებით. საჩუქრებს
მოგვიტანს. კარგად უნდა შევხვდეთ. ანიკო!

ანიკო – ბატონო!

შაკო – შენ გითხარი, აქ დაგტოვებ მეთქი? (ანიკო თავს უქნევს) გითხარი? ჰოდა
ეგრე, შენ დაგტოვებ აქ. მე სიტყვის კაცი ვარ. გითხარი – დაგტოვებ! (პაუზა) ანიკო!
რაო, რა ხდება? მიხვდნენ, რო წყნარად გადასვლა სჯობია? რას ამბობენ?

ანიკო – რა უნდა თქვან... გვყრით აქედან?

შაკო – რატომ გყრით? კი არ გყრით, გადაგვყარხართ... გადაგვყავხართ...

გადაგვყართვართ... თფუ შენი... (აყვირდა) ხომ, გყრით, გყრით!!! ბიჭოს!... შენ არა,
შეჩემა, შენ გტოვებ... შენ ხო გითხარი, გტოვებ-მეთქი... ვაიმე, როგორ გავხარ დე-
დაჩემს... ეგეთი საცოდავი შემოხედვა იცოდა, ნუ მიყურებ ეგრე, მიიხედე იქეთ!... რა
ვქნა, ყველას ვერ დავეხმარები. მე თუ გავახურებ, მომისვრიან... ნოლზე დავრჩები,
გაიგე? მარტო მე კი არ ვყიდულობ ამ სახლს... ნუ მიყურებ ეგრე, ნუ მიყურებ. (ჭექა-
ქუხილი) რა ხდება? (შემორბიან მოხუცი მსახიობები, ვიღაც მაგნიტოფონს მოარბე-
ნინებს, ჭექა-ქუხილი ჩანერილია).

სანდრო -

იჭექ-იქუხე, წვიმა ღვარნე, ცეცხლი აფრქვიე...

წვიმა, გრიგალი, ქარი, ცეცხლი, ჭექა-ქუხილი

ჩემი სისხლ-ხორცნი, ჩემი შვილნი ხომ არ არიან!

თქვენ სტიქიონნო, მე არ გწამებთ ულმობელობას,
სამეფო ჩემი მე ხომ თქვენთვის არ მომიცია.

აპა, აქ ვდგევარ, თქვენს წინაშე ქედმოდრეკილი,
ლონემიხდილი, შესაბრალი, მოძულებული.

მე ბერიკაცი, განდევნილი, შვილთა ჩემთაგან!

(პაუზა)

დოდო – მერე?!... დამთავრდა სპექტაკლი? ვანიკო!... ამოიღე ხმა...

ვანიკო – უიმე!... როგორ მომენტია. სანდრო, მიდი ერთხელ კიდევ, რა?!

ქეთი – ვაიმე, რა კარგი იყო, ამეტირა.

რუსიკო – ასე მალე, როგორ დაიმახსოვრა ამდენი ტექსტი.

სანდრო – დოდო, აღარ შემიძლია, რაღაც სისულელეს ვაკეთებთ.

დოდო – კარგი, ეს სცენა აღარ გვინდა, დაისვენე.

კაკო – სანდრო ის მითხარი, რა.... „მოზიდულია მშვილდი, კენტო...“
მითხარი, რა?!

დოდო – კაკო, ისწავლე ტექსტი?

კაკო – კი, რომელი ტექსტი?

დოდო – „აღახვენ თვალნი“...

კაკო – კითხვით კარგად ვიცი. დავიწყო? „აღახვენ თვალნი! ლირო,
ლირო მიმოხედვენ და თვალთაგან ნუ იშორებ შენს ერთგულ ყმასა“..

სანდრო. აპოლონს ვფიცავ...

კაკო – (ყვირის) მეცა ვფიცავ იმავ აპოლონს, რომე ამაოდ იხსენიებ შენ
ღმერთთა შენთა...

დოდო – კაკო, ნუ ყვირი.

კაკო – აბა, ეგ რო მიყვირის?

დოდო – ეგ მეფე, მეფე. უნდა ჩამოგახრჩობს.

კაკო – ბებიამაგისამ, ჩამომახრჩობს... როლი ხო წამართვა, ახლა

ჩამომახრჩობს... რაა, ბნელა? (კაკოს წევამ აუნია, ცუდად გახდა, დასვეს სკამზე).

სანდრო – (სასონარკვეთილი) დოდო, რა ვქნა, გავიქცე?

დოდო – გაიქეცი... სულ როგორ უნდა გარბოდე. პატარა კაცი ხარ,

პატარა... გმირი არ ზის შენში, გმირი. პატარა წინააღმდეგობა და პრძოლა აღარ გინდა, სკუპ და ბუჩქებში ხარ... არ შეგიძლია, ერთხელ ცხოვრებაში რაღაცით გამაოცო, რამე ჩაიდინო ისეთი, გმირული?

სანდრო – ამ როლის თამაში არ იქნება გმირობა?

დოდო – ქეთი, რუსიკო, მოდით აქ (გაყავს გვერდზე, რაღაცას უხსნის,

ქეთი კმაყოფილი იცინის).

გოგი – არკადი!

არკადი – Чего?!

გოგი - Дуй сюда.

არკადი – Чего?

გოგი – გაძერე, რა (გოგი და არკადი მოგრძო ბუშტებს ბერავენ).

დოდო – ქეთი, აქედან დავიწყოთ, „პატარა არის ეს სასახლე“...

ქეთი - „პატარა არის ეს სასახლე და მე არ ვიცი იმ ჩვენს ბებერს და მის ამაღლას როგორ დაიტევს“ (იცინის).

დოდო – რა გაცინებს ქეთი?

ქეთი – რა ვიცი, მეცინება.

დოდო – რუსიკო, გააგრძელე.

რუსიკო – „მისი ბრალია, წეტავ აქეთ რისთვის მორბოდა“ (დოდოს) ამას მამამისზე ამბობს? გადაირევი „რად გამოექცა კმა-საყოფელს ჩემსა სახლ-კარსა? დე, თითონვე თავისთავსა პასუხი გასცეს“ (ტირის).

დოდო – რუსიკო რა გატირებს?

რუსიკო – რა ვიცი, მეტირება.

(გოგის ბუშტი გაუსკდა).

დოდო – გოგი, არკადი, ხელს გვიშლით. რას აკეთებთ?

გოგი – სტუმრები მოდიან. მორთეთ აქაურობაო.

დოდო – ვინ სტუმრები?

ანიკო – ამ სახლს ვინც ყიდულობს.

გოგი – საჩუქრებით მოდიან, კონცერტი იქნებაო.

არკადი – После концерта будет банкет?

(შემოდის შაკო).

შაკო – გამარჯობათ ჩემო ძვირფასებო, დღეს სტუმარი მოდის ჩვენთან, მინდა გა-გახაროთ, გადაწყდა თქვენი გადასვლის საქმე. იმ კვირაში ერთაწმინდაში იქნებით. (პაუზა).

ვანიკო – დოდო! მოვიტანო ბენზინი?

შაკო – რაა? რა უნდა მოიტანო? რად გინდა ბენზინი?

ვანიკო – რა ბენზინი, რის ბენზინი...

შაკო – სადა გაქვს ბენზინი?

ვანიკო – მაქვს!

ქეთი – შაკო, რა ვქნათ, გრიმს არ მოგვიტანენ? კაბებს როდის შეგვიკერავენ?

რუსიკო – „რესნიცები“ არ გვინდა?

ანიკო – (ჩუმად) კაბა არც მე არა მაქვს.

შაკო – გითხარით ჩამოწერეთ-მეთქი? – გითხარით. ჩამოწერეთ? – არა!

ჩამოწერეთ რაც გინდათ და ყველაფერს გამოგიგზავნით.

დოდო – შაკო, ეს ხალხი არსად არ წავა.

შაკო – კარგით რა, ქალბატონო დოდო, არ მოგბეზრდათ ერთი და იგივე –

(აჯავრებს) „ვერ გაგვყრით, არ წავალთ“, კარგით რა?! სირცხვილია. მე თქვენ-
თან არაფერი მაქვს სალაპარაკო, მოვა დღეს ის კაცი და იმას ელაპარაკეთ, ოღონდ,
გირჩევთ, არ გააბრაზოთ, ეგ უნდა დაგეხმაროთ იქ, ერთანმინდაში.

დოდო – ვინ არის ის კაცი?

შაკო – ეგ „ის“ არ არის, ეგ „იმის“ ის არის... მაგრამ მაინც ჭკუით იყავით.

დოდო – სანდრო დაისვენე? გავაგრძელოთ.

სანდრო – ვანიკო, ყურადღებით იყავი, რეპლიკა გახსოვს?

ვანიკო – მახსოვს... რეპლიკა რა არი?

სანდრო – ვიწყებ –

„რა საჭიროა? ნუ ახსენებ საჭიროებას!

გლახა ლატაკასაც მის განწირულ სიღატაკეში

უპოვი ისეთ რასმეს, რაიც მისთვის მეტია,

რაც საჭიროა, მასზე მეტი კაცს რომ არ მისცეთ,

ადამიანი ხომ პირუტყვად გადიქცეოდა.“

შაკო – აი, ეგ სწორია!...

სანდრო – ეე!... კარგით რა!... ეე!...

შაკო – ბოდიში, დიდი ბოდიში, შეგაწყვეტინეთ, მაგრამ ვერ მოვითმინე.

სწორია, ადამიანს საჭიროზე მეტი სჭირდება.

სანდრო – ოღონდ ეგ არი, რო, არავინ არ იცის, რამდენია ეს მეტი.

შაკო - ვისთვის როგორ, ჩემი მეტი, შენს მეტზე მეტია.

კაკო – რატოა მეტი? ჩემი მეტი იცი რამხელაა? ააი! ვაი! უკაცრავად,
ახლავე მოვალ.

(გარბის)

შაკო – მოკლედ, ეგრე. ძალიან გთხოვთ სკანდალის გარეშე, შევხდეთ იმ
კაცს წყნარად, ღიმილით, კარგის მეტს რას გამოვრჩებით.

სანდრო – შაკო, ხელს გვიშლი.

შაკო – (გაოცებული) მეე? მე გიშლით ხელს? პირიქით, ის კი არა

მომენტი კიდეც, წელან... საჭიროზე მეტი... ე.ი. თქვენ ისევ სულიერებას აწვებით,
არა? გლიჯავთ... მე არა, უფრო სწორედ, ვერა... ასე აუწყო. ეგრეა, ერთხელ, რომ მი-
ირთმევ იმას... ქაქს... მერე მორჩა, აღარ გაქვს უფლება, სულიერებაზე ხმა ამოილო.
აბა ეგ არი საქმე? ზოგი, რო ქაქში ზის და იქიდან სულიერებაზე ქადაგებს... ეხ „ჩუუ
ლან და შუი ი ჩან კუნ“.

სანდრო – რა თქვი?

შაკო – „ბამბუკის კალათით წყალს ვერ ამოიღებ“.

სანდრო - რა ენაზე თქვი?

შაკო – (ჩინურად) ჩინურად. თქვენ მე ვინ გვიცვართ? ფილოლოგი ვარ,

ჩინური ანდაზები ვთარგმნე, ვერ დავბეჭდე... ჩინური ვისწავლე, მინდა ეხლა მე
ჩინური? მილიარდიან ერში რამდენიმე ათასმა იცის იეროგლიფები, - მე ვიცი. რა
ჩემ... ფეხებად მინდა... მოვეშვი სულიერებას, რები ვიჩალიჩე... „ბუდკაც“ მქონ-
და, დუბაი და თურქეთი მოვიარე, არაფერი გამომივიდა, ვაკის ოთხოთახიანი ბინა
დიდუბის იროთახიანზე გავცვალე, მთელი ფული პრეზერვატივის ბიზნესში ჩავდე...
მეთქი „სპიდი“ შემოვიდა, აქაც ვენერიული... დავკარგე ფული... არ იყიდება, არ არის
ჩვენში ამის კულტურა. არც „სპიდი“ გვაშინებს ქართველებს, არც ვენერიული. ერთი
ოთახი პრეზერვატივებით მაქვს სავსე, მეორე ნახევრად (პაუზა) ეს ბოლო იმედია, აქ
შეიძლება ნილში ჩამსვან, ოღონდ პასუხისმგებლობა სულ ჩემზეა, ყველა საბუთზე
მარტო მე მანერინებენ ხელს. ახლა, როგორ გვიცვათ, რაკი მიბრძანეს, გაუშვი ეგენი
მაქედანო, მე დაგტოვებთ? არ გაგიშვებთ? ძალიანაც რომ მიყვარდეთ, მეცოდებო-
დეთ, გაგიშვებთ კი არა, კინწისკვრით გაგყრით. მე სულიერს არ ვაწვები. ვაი, (მკ-
ერდზე ხელი დაიდო) კიდევ მიჩვლიტა... ერთხელაც იქნება... რა დროს ჩემი გულია.

სანდრო – კარგი ეხლა არ აგვატირო.

შაკო – რა გვიცვალით მე გული არა მაქვს, თუ მაქვს, მაგრამ არ მტკივა?

სანდრო – გტკივა, როგორ არა... აბა მაჩვენე სად გტკივა. შაკო - (მარცხნივ

დაიდო ხელი) აი, აქ.

სანდრო – მანდ არ არის გული. გული აი აქ არის (მარჯვენა ხელს იდებს
მკერდზე), მეც მანდ მეგონა, ინფარქტი, რომ დამემართა, მაშინ მივხვდი, რო აქ
არი.

შაკო – (გაკვირვებული) აქ როგორ არი? მარცხნივ არ არი გული? რა ვიცი
მე აქ მტკივა. ახლა კი შევწყვიტოთ რეპეტიცია, დღეს სტუმარი მოდის.

კაკო – დღესაც?

შაკო – რა დღესაც, გუშინაც იყო თუ რა?!

სანდრო – დღეს არ ჩაიშლება რეპეტიცია.

შაკო – ჩაიშლება, სტუმარს უარს ვერ ვეტყვი, შემდეგ ბანკეტი იქნება.

არკადი – **Банкет? Когда? Где?**

შაკო – **Аркадий, это тебя не касается.**

არკადი – **Почему это не касается? Амेरიკელი რომ ვიკო ხომ пригласили бы?**

სანდრო – არვადი, რატომ გაქვს ასე მარტივად ტვინი მოწყობილი?

არკადი – **Да, да ახლა ამერიკა გჩირდებატ А они вас покупают, а потом
გადაკლაპავენ, კლაპ!... და მორჩა.**

კაკო – რა გინდა კაცო, 200 წელი ვიძმაკაცეთ? გვეყო.

არკადი – გვეკო, გვეკო, ჩვენ **Дом для престарелых построили, და ახლა აკ ერო-
ტიკული ტეატრი გინდატ გააკეტოტ, დожили. Вот вам Америка.**

სანდრო – (შაკოს) მართლა ეროტიკული თეატრი უნდა გაიხსნას აქ?

შაკო – არ ვიცი, ეგ ჩემი საქმე არ არის. თუნდაც ეგრე იყოს, მერე რა,
ცუდია? შენ რო აღარ გაინტერესებს, ეგრე ხო არ არის...

ახალგაზრდებზე არ უნდა იფიქროთ? ხალხს გართობა არ უნდა?... კავკასიაში
პირველი ეროტიკული თეატრი ჩვენთან იხსნება, უნდა

გიხაროდეთ, რამდენი ხალხი დასაქმდება... რა ვიცი, შეიძლება

კეთილშობილ ქალთა პანსიონატი გავხსნათ ან უნივერსიტეტი.

სანდრო – ეგ სტუმარი ყიდულობს ამ სახლს? ეგ არის „ის“?

შაკო – ეგ არა, ხო გითხარი, ეგ „იმის“ ის არის..

ვანიკო – მოვიდეს, დავხვდებით.

შაკო – დახვდებით? რას აპირებთ? (გოგის) რას აპირებენ?

გოგი – არ ვიცი. (ვანიკოს და კაკოს) რას აპირებთ?

ვანიკო – რა შენი საქმეა.

გოგი – თქვი, რას აპირებ, თქვი!... უნდა გაგიხვრიტოს კაცმა კეფა.

ვანიკო – გოგი, შენა... იქ... გარეთ „პალაჩი“ ხო არ იყავი?

გოგი – რას მიჰქარავ... რა „პალაჩი“, რის ვორკუტა?...

ვანიკო – რა ვი... მა კეფას რათა კაცო?

გოგი – (ყვირის ისტერიულად) რა გინდათ ჩემგან, რა? დაგიშავეთ რამე?

რა გაწყენინეთ, რა? რას ჭორაობთ ჩემზე, საქმე არა გაქვთ?

ბუღალტერი ვიყავი, ბუხ-ჰალ-ტერი!...

კაკო – ვერ გაგვყრით აქედან.

შაკო – კარგით რა, კარგით რა?! არ მოგბეზრდათ ერთი და იგივე?

(აჯავრებს) „ვერ გაგვყრით, არ გავალთ“ კარგით რა... ეეს, ჩემზე რომ იყოს, თქვე-
ნი გამგლების... მართლა გეუბნებით, იცით რატომ? სულიერს რო აწვებით. მე უკვე
ვეღარ ვქაჩავ მაგ დონეზე... მოკლედ ასე, დღეს შეხვედრაა, გამოიყენეთ ეს კაცი,
გაარემონტებინეთ ერთანმინდაში შეხობა.

სანდრო – იცი რა?

შაკო – არ ვიცი!... არ გისმენ... მივდივარ...

(შაკო გადის, მოხუცები მისდევენ, სანდრო და დოდო მარტონი დარჩნენ, პაუზა)

დოდო – სანდრო ინფარქტი როდის გქონდა?

სანდრო – 6 თვის წინ.

დოდო – სერიოზული ინფარქტი იყო?

სანდრო – საკმაოდ (პაუზა) დოდო.

დოდო – რა?

სანდრო - არაფერი...

დოდო – თქვი.

სანდრო – დოდო.

დოდო - ჰო.

სანდრო - ეხლა რო გითხრა... მიყვარხარ-მეთქი, დამიჯერებ?

ბავშვი – დაუჯერე.

დოდო – არ დაგიჯერებ.

სანდრო- მაშ არ გეტყვი (პაუზა) წავიდეთ აქედან.

დოდო – წავიდეთ?

სანდრო – ჰო, წავიდეთ.... ერთად.... ოღონდ სად წავიდეთ?... ბინა

დამაწერეს, დათაშკამ წაიღო ვალებში. (პაუზა) შენთან რო წავიდეთ?

დოდო – (პაუზა) ის ბინა ნიკასია.

სანდრო – სანამ ნიკა ჩამოვა... ხო ჩამოვა?

დოდო – ჩამოვა, აბა რას იზამს. ბინა გაქირავებულია.

სანდრო – ჰომ?

დოდო – ჰო!

ბავშვის ხმა – ნუ ატყუებ.

დოდო – დამაცადე. (პაუზა, მოულოდნელად ძალიან ახლოს აღმოჩნდნენ ერთმანეთთან).

სანდრო – დოდო (დოდოს არყის სუნი ეცა, სილა გააწნა) რას შვრები?

დოდო – რა არის ეს? ამოისუნთქე!... იქით ნუ ისუნთქავ, აქეთ ამოისუნთქე.

დალიე? ვინ გასმევს, ვინ? სად შოულობ სასმელს. წადი აქედან. (პაუზა) წადი

სანდრო... (სანდრო გადის, ბავშვს) ამასთან წავიდე? (შემოდის ანიკო).

ანიკო - დოდო შენთან არიან.

დოდო – ვინ?

ანიკო – ორი ახალგაზრდაა, ძალიან სიმპატიურები, მგონი შენები არიან.

დოდო – სად არიან?

ანიკო – აგე, მოვიდნენ.

დოდო – (ბავშვს) შენ მოიყვანე?

ბავშვი – არა.

(შემოდიან თორნიკე და ლაშა)

თორნიკე – გამარჯობა დედა!

ლაშა – (ნასვამია) გამარჯობა დე!

დოდო – თორნიკე, ლაშა!... გაგიმარჯოთ... როგორ მოიფიქრეთ?

თორნიკე – რა მოფიქრება უნდოდა...

ლაშა – მოგვენატრეთ და...

თორნიკე – როგორა ხარ დედა?

ლაშა – ხო კარგადა ხარ?

დოდო – არა მიშავს, თქვენ როგორ ხართ?

თორნიკე – ვართ რა....

ლაშა – ისე რა...

(პაუზა)

დოდო – სხვა?

თორნიკე – რა სხვა?

ლაშა – სხვა რა?

დოდო – ოჯახში როგორ ხართ, ბავშვები ხო კარგად არიან?

თორნიკე – რა უჭირთ.

ლაშა – არიან...

დოდო - (ლაშას) შენ ცოლს რომ ეყრებოდი, შერიგდით?

ლაშა – შევრიგდით...

დოდო – ე.ი. კარგად ხართ?

ლაშა – ჰო რა? ისე რა... პროსტო ხმას არ ვცემთ ერთმანეთს.
თორნიკე – დედა, მამაჩემი აქ არის?
ლაშა – ხო მართლა, აქ არის მამაჩემი?
დოდო – აქ არის. თქვენ ვინ გითხრათ.
თორნიკე – მითხრეს... სად არი?
ლაშა – როგორ არი?
დოდო – არა უშავს.
თორნიკე – შერიგდით?
ლაშა – შერიგდით!?
დოდო – (ანიკოს) სანდროს დაუძახე რა...
ლაშა – მართლა აქ არი?
დოდო – თქვენ რამე საქმეზე ხართ მოსულები?
ლაშა – გეტყვით რა.
(შემოდის სანდრო).
სანდრო – ეს რა სტუმრები გვყოლია, თორნიკე! ლაშა!... როგორ ხართ
ლომებო?
თორნიკე – ვართ რა...
ლაშა – ისე რა...
სანდრო – ბავშვები როგორ არიან?
თორნიკე – კარგად.
ლაშა – არიან...
სანდრო – სხვა?
თორნიკე – სხვა რა, მოვედით რა, გნახეთ.
ლაშა – მოგვენატრეთ და მოვედით რა...
დოდო – ერთად მოგენატრეთ?
ლაშა – ერთად რატო? თორნიკეს მანქანა ყავს და წამომიყვანა.
სანდრო – როგორ მომენატრეთ... ბავშვები ვერ წამოიყვანეთ?
თორნიკე – სამსახურიდან მოვდივარ...
ლაშა – მეცადინეობდნენ და...
დოდო – საქმეები როგორ გაქვთ? (თორნიკეს) ისევ ბენზინზე მუშაობ?
სანდრო – თორნიკე, მართლა ისეთი დიდი ფული კეთდება ბენზინში,
როგორც ამბობენ?
თორნიკე – დიდი ფული არა... ვწვალობ... ყველა იმას ცდილობს, როგორმე
ჩაგძიროს... რომელიმე პარტიაში უნდა შევიდე, „კრიშა“ მინდა... თორემ ძალიან
მიჭირს.
სანდრო – (ლაშას) შენ რას შვრები, წერ?
ლაშა – (გაოცებული) რაა?... აა... ხო... ისე რა!...
სანდრო – წამიკითხე რა რამე, ახალი... როგორ მომწონდა შენი ლექსები.
ლაშა – კარგი რა, მამი, რა... რა დროს ლექსებია... ვწერ არა... ვეღარ
ვათავსებბიზნესს და ლექსებს. მთელი დრო „ცეხს“ მიაქვს. ხაჭაპურის და „პერაშკე-
ბის“ მეტი არაფერი მაქვს თავში.
სანდრო – გულში?
ლაშა – გულში „პონჩიკები“. (იცინის) კარგი რა, მამი, რა...
სანდრო – „ცეხი“ კარგად მუშაობს?
ლაშა – კარგად არა, ისე რა, ყველამ დაიწყო ხაჭაპურის გამოცხობა, ვეღარ
ვყიდით, ხელფასებს ძლივს ვარიგებ, მუშები შევამცირე...
დოდო – რა გატირებს, აქ ვინმე ფულს კი არ გთხოვს.
ლაშა – რა შუაშია?...
დოდო – ნასვამი ხარ?
ლაშა – რა ნასვამი, ერთი ბოთლი ლუდი დავლიე, რას მიყურებ ეგრე?... რა
გინდა?... წავიდე?...
თორნიკე – დედა, მომისმინე...

დოდო – გისმენ.

თორნიკე – დედა... და შენც მამა. თქვენი ადგილი აქ არ არის, უნდა წავიდეთ აქედან.

ლაშა – ჰო რა, დე რა... რა გინდათ აქ? ვერ გავიგე რა პრინციპია ეგეთი? (შემოდის კლარა).

თორნიკე – ამას რა უნდა?

ლაშა – ყურს გვიგდებს?

სანდრო – არა, ყრუ-მუნჯია... (კლარას) კლარა, გინდა რამე? (კლარა გადის).

თორნიკე – მამი! შენ ის ერთოთახიანი ხო გაქვს?
სანდრო – არა.

თორნიკე – როგორ, არა?... რა უყავი?

სანდრო – შევჭამე.

თორნიკე – გვეკაიფები მამი?

ლაშა – გვეკაიფება აბა რა, ასე უცებ როგორ შეჭამდა.

სანდრო – უცებ არა, დათაშკამ იყიდა ნაწილ-ნაწილ... ვსესხულობდი მისგან და...

ლაშა – სესხულობდი და მასთან ხარჯავდი... ბოლო-ბოლო ვალში ბინა დაიტოვა?...

სანდრო – ჰო.

(პაუზა).

ლაშა – მაგარი ხარ სანდრო.

თორნიკე – რაც არი, არი. უნდა წამოხვიდეთ აქედან.

დოდო – სად უნდა წამოვიდეთ? რომელთან შეიძლება ჩვენი წამოსვლა?

თორნიკე – ორივე ერთად? თქვენ რა შერიგდით? არა ტო!... ორივეს ერთად

ვერ წავიყვან... მოდი ასე ვქნათ, მე ჯერ მამაჩემს წავიყვან, შენ დედაშენი წაიყვანე, მერე გავცვალოთ და ასე...

სანდრო – თუ შევრიგდით?

თორნიკე – თუ შერიგდით? რაღა დროს თქვენი შერიგებაა.

ლაშა – თუ შერიგდით, მაშინ თორნიკესთან წადით, მაგას დიდი ბინა აქვს.

მე რაც შემეძლება დაგეხმარებით.

სანდრო – ვერ გავიგე, რა გინდათ? ვინ გთხოვთ ჩვენ აქედან წაყვანას? აქ ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს.

თორნიკე – კარგი რა, მამი... აქ კარგად როგორ უნდა იგრძნო თავი?

ლაშა – სირცხვილია რა...

(შემოდის შაკო, გოგი და არკადი მოსდევენ).

შაკო – გამარჯობათ, გამარჯობათ, სტუმრები გვეწვივნენ? კარგია, კარგი.

მე ხელს არ შეგიშლით, ჩემგან ხომ არ გინდათ რამე?

თორნიკე – არა მაკო. არაფერი არ გვინდა.

(შაკო და „ამალა“ გადიან)

დოდო – საიდან იცნობ შაკოს?

თორნიკე – ვიცნობ, რა არი რო?

ლაშა – მე არ ვიცნობ.

თორნიკე – რა ვქნათ ახლა, როგორ გადავწყვიტოთ?

სანდრო – კენჭი ყარეთ „არიოლ“ და „რეშკა“, პირველად წაგებულმა

წაგვიყვანოს (ააგდებს ხურდა ფულს და ნახევრად ხუმრობით) „არიოლ“ თუ „რეშკა“?...

ლაშა – „რეშკა“...

თორნიკე – კარგი რა, მამი, დაგავაცადე... დე... აქ რა უსიამოვნება გაქვთ დირექტორთან?

დოდო – შაკომ დაგირეკა?

თორნიკე – არა დე, შაკო ვინ არი, „პეშკა“. სხვა დონის ხალხია ჩარეული.

ლაშა – შაკო ვინ ჩემი ფეხებია, „ცეხს“ მიხურავენ...
დოდო – ძალიან კარგი, გიხურავენ და მიხედავ შენს საქმეს.
ლაშა – მერე?... ჩემს ბავშვებს ვინ აჭმევს, ვინ ჩააცმევს?
თორნიკე – თქვენი აქ ყოფნა ჯერ არ არის გახმაურებული ქალაქში,
გაგვიბაზრებნ, თავს მოგვჭრიან, დაწყნარდით რა... არ გინდათ ეს უაზრო ომი.
ლაშა – დე, უფრო შენზეა ლაპარაკი. შენ დაწყნარდი და ყველა გაჩუმდება.
დოდო – თქვენ იცით აქ რა ხდება?
ლაშა – ვიცით, ვიცით.
თორნიკე – ვიცით. ეს სახლი იყიდა ხალხმა, ამერიკელებმა ფული ჩადეს
და უნდათ, რომ დაცალოთ.
დოდო – იცით რას ხსნიან აქ?
თორნიკე – მგონი რაღაც უნივერსიტეტს, ზუსტად არ ვიცი.
ლაშა – არა ტო, უნივერსიტეტს კი არა, ეროტიულ თეატრს... მერე რა?...
შეიძლება ჯერ ადრეა ჩვენთვის, მაგრამ დასავლეთთან სიახლოვე ხო გვინდა?
ესეც დასავლეთია.
დოდო – იცით, რამდენად იყიდეს?
თორნიკე – აუ, დეე!... კარგი რა... რა შენი საქმეა რამდენად იყიდეს...
ლაშა – მეც ვიყიდე „ცეხი“, ჩავაწყვე და იაფად ვიყიდე, რა უნდა
წამართვათ?
სანდრო – იცით, სად უშვებენ ამ ხალხს?
თორნიკე – ვაა!... საღოლ სანდრო! შენც აგიყვანა არა დოდომ. ცალ
ფეხზე არ გვიდიათ სად უშვებენ?
ლაშა – სად უშვებენ – ბუნების ნიაღში, სუფთა მდინარე, იქვე ეკლესია,
პატას საფლავი და რა ვიცი!
თორნიკე – მორჩა, არ გვინდა ამდენი ბაზარი! დე, მოდიხარ ჩემთან,
ნანკამ თუ რამე გაწყენინა, დედას... ვუტირებ. მამაჩემს ლაშა წაიყვანს.
სანდრო – წამიყვან ლაშა?
ლაშა – წაგიყვან აბა რას ვიზამ. მაღადავებ მამი?
თორნიკე – თუ შერიგდით, რა ვქნა... წამოდით ჩემთან... აბა რა გინდათ აქ,
უპატრონოები ხართ?
ლაშა – სირცევილია რა... რეებს არ ლაპარაკობენ ჩვენზე... ჩაალაგეთ
ბარგი და წავედით.
თორნიკე – ჰა, დროზე რა, როგორც თქვენ გინდათ ისე იყოს, ერთად? –
ერთად. ცალ-ცალკე? – იყოს ეგრე...
შაკო – (საუბარში ერთვება, ალბათ უსმენდა) ქალბატონო დოდო, სანდრო,
რა ჩემი საქმეა, მაგრამ მართალი არიან თქვენი ბავშვები.
თორნიკე – ბიჭო შენ ვინ გეკითხება, და მერე ვინ არის შენი ბავშვი?
ლაშა – აბა დაახვიე ეხლა აქედან (შაკო გადის, პაუზა) მოდიხართ?
თორნიკე – არ მოდიხართ?
დოდო – არა!
სანდრო – ვერა!
თორნიკე – არა?
ლაშა – არა?
დოდო – არა!
სანდრო – ვერა!
თორნიკე – კარგი, წავედით.
ლაშა – დე, მამი, თუ რამე დაგჭირდეთ, დამირეკეთ.
თორნიკე – ახლა თქვენთან საკამათოდ არ მცალია, ორ დღეში
გამოგივლით და მზად იყავით.
დოდო – გაგაცილებთ (გადიან).
სანდრო – (გზადაგზა ლაშას) ე.ი. ახალი არაფერი გაქვს?
ლაშა – ახალი? კი... ნუგა მინდა გამოვუშვა, კარგად უნდა გაიყიდოს.

სანდრო – ლექსებზე გეკითხები.

ლაშა – ააა... ლექსებზე? ვნახოთ. ჯერ ნუგას გამოვუშვებ და მერე ვნახოთ. (შემოდის შაკო, მას კლარა მოყვება, მათ შორის მუნჯური დიალოგი იმართება)

შაკო – კლარა, შენც უნდა წახვიდე აქედან.

კლარა – რატომ?

შაკო – შენთვის აღარ არის ადგილი.

კლარა – ლოგინშიც აღარ არის ჩემი ადგილი?

შაკო – რა ვქნა, კლარა, შტატებს ისინი მიმტკიცებენ, თავისი ხალხი მოყავთ.

კლარა – მერე მე შენი „ხალხი“ არა ვარ?

შაკო – მე არ მეკითხებიან, შენ არ ინერვიულო, რო დაწყნარდება ყველაფერი, ისევ დაგაბრუნებ (კლარა ცდილობს მოეხვიოს) კლარა, არ გინდა, არ არის ახლა ამის დრო, ვინმე დაგვინახავს.

კლარა – შაკო არ გამნირო, გემუდარები... (მუხლებზე ეცემა).

შაკო – არ გინდა, ადექი, შემოვა ვინმე, რა ვქნა ამის დედა ვატირე, შენ

გგონია მე არ მინდა დაგტოვო? მუნჯ საყვარელზე უკეთესი რა უნდა ინატროს კაცმა, მაგრამ რა ვქნა? (კლარა თითქოს დაწყნარდა) ასე, ჩემო კარგო, მოიწმინდე ცრემლები. აბა შენ იცი, გჯეროდეს ჩემი, მალე დაგაბრუნებ (შაკო მიდის).

კლარა (ხმამაღლა) – შაკო! (შაკო შეჩერდა, აქეთ-იქით იხედება, კლარას გარდა არავინაა, გაეცინა, იფიქრა მომეჩვენაო და მიდის) შაკო!... მოდი აქ!

შაკო – (გაოგნებული) შეენ?...

კლარა – ჰო, მეე! მეე!

შაკო – როგორ, რანაირად?

კლარა – არ გამიშვა, შაკო!

შაკო – ენა ამოიდგი?... (უცებ რაღაცას მიხვდა) შენ მუნჯი არა ხარ?

კლარა – მუნჯიც შენა ხარ, ყრუც და იდიოტიც! (კატეგორიულად) შაკო, იცოდე, აქედან არსად არ წავალ.

შაკო – ამდენი ხანი მატყუებდი? შენი გულისთვის მუნჯური ვისწავლე.

კლარა – ეგ ნამდვილი მუნჯური არ არის, ეგეთი მუნჯური მარტო მე და შენ ვიცით.
(პაუზა).

შაკო – კლარა, შენ მე მომატყუე, შენ წახვალ აქედან!

კლარა – არ წავალ!

შაკო – წახვალ!

კლარა – არ წავალ! შაკო იცოდე, თავს მოგჭრი, მარტო ის სისულელები რომ მოვყვე, რასაც ლოგინში მეუბნებოდი... (იცინის, უცებ ძალიან

სერიოზულად) გარდა ამისა, ძალიან ბევრი რამ ვიცი შაკო...

შაკო – რა იცი?!... რა?!... რა უნდა იცოდე? აუ!... შენ ყველაფერი გესმოდა?

კლარა – მესმოდა.

შაკო – შანტაჟისტკა!

კლარა – დურაკ!

(პაუზა).

შაკო – რა ვქნა...

კლარა – დამტოვე და არაფერი არ შეიცვლება.

შაკო – როგორ, რანაირად?... ყველამ იცის, რომ მუნჯი ხარ, ახლა?

კლარა – მერე რა, ვიქნები მუნჯი. მუნჯობა მირჩევნია, რა მაქვს სათქმელი, რა უნდა ვთქვა? გინდა თქვი, გინდა არა, არაფერი არ შეიცვლება (პაუზა, მუნჯურად) შევთანხმდით შაკო?

შაკო – (მუნჯურად) შევთანხმდით, იცოდე შენი ხმა არ გავიგონო!

კლარა – (მუნჯურად) ამაღამ მოხვალ ჩემთან?

(პაუზა).

შაკო – მოვალ.

ვანიკო – (შემოდის, თვალები დასისხლიანებული აქვს, ხელში ჯოხი

უჭირავს და კაცუნით ბრმასავით მოდის, ყვირის) გარს დამიბნელდა და შიშით ვთრთი! საღა ხარ ედმუნდ?

აღანთე შვილო, წყრომის ცეცხლი,

მეშურნეობით ამ ულმობლობის მაგიერი გარდუხადე მათ.

შაკო – ვანიკო, რა მოგივიდა? (კლარას) რა დაემართა? გვიშველეთ!

(შემორბიან მოხუცები) ვანიკო, ვანიკო!

ვანიკო – (იცინის) როგორი იყო? მართლა დაიჯერეთ? კაკოს კიდე არ მოსწონს...

შაკო – თამაშობდი? კინაღამ გული გამისკდა (თვალებზე თითი მოუსვა) საღებავია?

ვანიკო – კარგი იყო?

შაკო – კარგი იყო, კარგი. აბა თქვენ იცით, მოდის ის კაცი... აბა თქვენ იცით, არ გვინდა ისტერიკები, ვასიამოვნოთ იმ კაცს... სხვათა შორის ნორმალური კაცია, თუ დაუკვირდები... აგე, მოვიდნენ

(„ის“, მეუღლის, დაცვის, უურნალისტებისა და ტელეოპერატორების თანხლებით შემოდის. მეუღლე ხმას არ იღებს. მხოლოდ

მომხიბლავად იღიმება. „ის“ შლის ქაღალდებს და კითხულობს)

ის - ჩემო კუდრაჭებო, უკაცრავად, ეს არა... (ცვლის ქაღალდს) აი ეს. ჩემო

ძვირფასო თანამემამულებო! ჩემო დედებო და ჩემო მამებო! მოგესალმებით, ჩემო ღვანლმოსილო ადამიანებო. ჩემი მეუღლე და მე ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე ადამიანების გაჭირვებაზე, ჰოდა აი ახლაც, მეუბნება ჩემი მეუღლე, წადი რა, მოინახულე მოხუცთა თავშესაფარი, მიუტანე მოხუცებს საჩუქრები, ასიამოვნე მათ, ჩვენც ხომ მოვხუცდებით, ჰოდა აი აქ ვართ. ნება მიბოძეთ, მოგართვათ მცირედი საჩუქრები, გთხოვთ!... (ალაგებენ პლუშის და რეზინის გაბერილ სათამაშოებს, თოჯინებს, დათუნიებს, კურდღლებს და ა.შ.) რა არის ეს? ნარდი, დომინო, ჭადრაკი რა უყავით? ბავშვთა სახლში დავტოვეთ? არა უშავს, ეს სათამაშოები თქვენს შვილიშვილებს გადაეცით. ეს რა არის, ტკბილეული? კარგია, მოხუცებს უყვართ ტკბილეული, პირი ჩაიტკბარუნეთ, ყელი ჩაიკოკლოზინეთ.

კორესპონდენტი – (ოპერატორს) იღებ? (ოპერატორი თავს უქნევს) ჩვენ

ვიმყოფებით... მე ვარ კადრში? (ოპერატორი თავს უქნევს) ვერ მითხარი? თავი-დან დავიწყოთ... გამარჯობათ მეგობრებო, ჩვენ ახლა ვიმყოფებით მოხუცთა დედაქალაქის თავშესაფარში... თუ პირიქით, დედაქალაქის მოხუცთა თავშესაფარში? როგორ იქნება უფრო სწორი? (ოპერატორი მხრებს იჩეჩავს) არა უშავს, ამას მერე გადავამონტაჟებ. გამარჯობათ მეგობრებო, ჩვენ ახლა... დღეს აქ მობრძანდა (ოპერატორს) რა გვარია ეს მასტი? (ოპერატორი მხრებს იჩეჩავს) არა უშავს, ტექსტს მერე დავადებ... საჩუქრებიანი მოხუცი გადაიღე.

ის – მეგობრებო, ხე ნაყოფით იცნობაო, ნათქვამია, ესეც ნათქვამია „ხემანრომელ-მან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიჭრას და დაიდვას ცეცხლსა ზედა“, მე თქვენ-გან არათერი არ მინდა... მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვოთ, მინდა მომცეთ საშუალება, გემსახუროთ. მოახლოებული არჩევნების გამო არ მოვსულვარ თქვენთან, სკამი არასოდეს არ შედიოდა ჩემი ინტერსების არეალში, მხოლოდ ერთი რამ მინდა თქვენგან – გამაკეთებინეთ ის, რისი გაკეთებაც მე თქვენთვის და ჩვენი მრავალტან-ჯული მამულისთვის მინდა.

კორესპონდენტი – ვაი... ბოდიში თუ შეიძლება ეს ფრაზა კიდევ გაიმეორეთ.

ის – რომელი ფრაზა?

კორესპონდენტი – აი ის, გამაკეთებინეთ რაც შემიძლიაო, თქვენ უფრო კარგად გამოგივიდათ.

ის – სიამოვნებით (ფართოდ იღიმება). გამაკეთებინეთ ის რაც ჩემი

ტანჯული... არა, თუ შეიძლება თავიდან დავიწყებ... გამაკეთებინეთ

რამე ჩემი ტანჯული მამულისათვის...

ქეთი – (იმას) აბა თქვი აა?
ის – ბატონო?

ქეთი – აბა თქვი აა?
შაკო – არ თქვათ, არ თქვათ!
ის – რატომ, რატომ? ვიტყვი – აა.

ქეთი – ტლაკში ქვაა (იცინის)
ის – რა ბრძანეთ?

ვანიკო – შენა გენც... ერთი ეს გვიბრძანე, ამ სახლს შენ ყიდულობ?

ის – არა, მე არა... მარტო მე არა...

შაკო – შეკითხვები ბოლოს, შეკითხვები მერე...

კაკო – შენ გვყრი აქედან?

შაკო – შეკითხვები ბოლოს.

ის – (ოპერატორს) არ გინდა ამის გადაღება...

კაკო – არ გინდა არა?!... გადაიღე, გადაიღე!

ის – არ გინდა-მეტქი!...

კაკო – გვიპასუხე, შენ გვაგდებ აქედან?

ის – მე აქ მეგობრებმა ჩამაყენეს საქმის კურსში, ვერ ვხვდები, რატომ არ გინდათ იქ გადასვლა, იქ ისეთი სუფთა ჰაერია, იქ ყველაფრით

დაგეხმარებით.

კაკო – თუ არ გადავედით?

ის – თუ არ გადახვედით... არ შეიძლება.

ვანიკო – არ გადავალთ.

ყველანი - არ გა-და-ვალთ, არ გა-და-ვალთ!.

ის – დაწყნარდით, დამშვიდდით... ნუ იღებ რა?!... (ხელს აფარებს კამერას)

მომისმინეთ მეგობრებო, ათიოდე მოხუცისათვის ამხელა შენობის

ასეთ ადგილზე არავინ მოაცდენს.

ყველანი – არა! არა!

შაკო – (ყვირის) ჩუმად! ჩუუ-მად!... თქვენი... ხმა ჩამინყდა, ჩუუ... ვინა ხართ?

რა ხალხი ხართ? კარგს და ცუდს ვერ არჩევთ.

სანდრო – რატომ ვერ ვარჩევთ? – შენ კარგი ხარ და ცუდი გვგონიხარ?

შაკო – ეს ეგრეა რა – „შცია ძი დენ ბაი ფეილა“ ბრმას სანთელიც, რომ

დაუნთო, მაინც ვერ დაინახავს. მადლობის მაგიერია, გადაყოლილი ვიყავი თქვენზე.

სანდრო – მადლობა რითი გადაგიხადოთ, გავიდეთ ქუჩაში?

შაკო – ქუჩაში რატო? რატო ქუჩაში? ერთაწმინდაში, ბუნების წიაღში...

დოდო – აქეთ მდინარე, იქით სასაფლაო... სანდრო თქვი რამე, სანდრო!...

სანდრო – რა ვთქვა? რა?

დოდო – რამე, ხმა ამოიღე, თქვი რამე!...

სანდრო - თუ არ წავალთ?

შაკო – წახვალთ!

სანდრო - არ წავალთ!

შაკო – არ წახვალთ და წაგიყვანთ.

ვანიკო – სანდრო! მოვიტანო კანისტრა?

სანდრო – (დოდოს გადახედა) მოიტანე.

ის – რაა? რა კანისტრა?

კაკო – წახავთ, ცოტა მოითმინეთ.

ის – რას აპირებთ?...

კორესპოდენტი - მოემზადე.

ვანიკო – (შემოაქვს კანისტრა, აწოდებს სანდროს) აჲა სანდრო, მიდი!

ის – (შაკოს) რას შვრება?

შაკო – სანდრო, არა ხარ შენ მაგის გამკეთებელი, დადე კანისტრა.

სანდრო – არავინ გაბედოს ახლოს მოსკვლა.

კორესპოდენტი – იღებ? (ოპერატორი თავს უქნევს).

ის – რას სჩადით მეგობრებო! ტელევიზია გილებთ, (ოპერატორს) ნუ იღებ, შე დებილო!... სირცხვილია, დადეთ ავზი! (შაკოს) უთხარი რამე.

შაკო – გმირობა გინდა ჩაიდინო არა? ცოლყოფილს აწონებ თავს? მიდი, რატომ ჭიმავ დროს! მიდი, დაისხი.

ბავშვის ხმა – არ შეიძლება სანდრო, არ შეიძლება! არ გესმის? რატომ არ გესმით, რატომ?!...

(სანდრო ბენზინს ისხამს).

შაკო – ეგრე!... კარგია!...

დოდო – (ყვირის) სანდრო!!! არ გინდა სანდრო!...

სანდრო – ახლა დამაცადე.

ის – გააჩერეთ!... გთხოვთ!

სანდრო – არ მომეკაროთ!

შაკო – არ შეუშალოთ ხელი (სანდროს) დაიცალა კანისტრა?

კორესპოდენტი – (ოპერატორს) იღებ? (ოპერატორი თავს უქნევს) იცოდე ეს მასალაც რომ გაგიფუჭდეს, ვერ გადამირჩები. (მოხუცებს) ძალიან გთხოვთ კამერას ნუ ეფარებით.

შაკო – სულ დაცალე? კარგი, ახლა რა უნდა ქნა?! ასანთი უნდა ამოილო,

რა ვერ პოულობ? იპოვნე? კარგი, აბა მოემზადე, რაო სანდრო,

ხელები გიკანკალებს? შეგეშინდა?

სანდრო – ხელები მაგიტომ არ მიკანკალებს...

შაკო – მიდი აანთე!

კარგადი – დავაი სანდრო! - „И на обломках самовластия напишут наши имена!“

(სანდრო უშედეგოდ ცდილობს აანთოს ასანთი).

შაკო – რა მოხდა სანდრო, ასანთი არ ინთება?

კაკო – აგე! ხომ ვამბობდი, დასველდება ასანთი მეთქი – ა? ვანიკო, ხომ ვამბობდი?

ვანიკო – ხო, ამბობდი,

კაკო – ხომ ვყოფილვარ მართალი?

შაკო – მოგცე ასანთი? მოგცე?

სანდრო – მომეცი.

შაკო – მერე მიქელ-გაბრიელს ხომ არ ეტყვი შაკომ მომცა ასანთიო?! აჲა, დაიჭი (ასანთი გადაუგდო) აანთე, (სანდრომ ასანთი აანთო) ეგრე! კარგია, მიიტანე ახლოს!

კორესპოდენტი – (ოპერატორს) იღებ? (ოპერატორი თავს უქნევს) გაიწით გვერდზე,

კამერას ეფარებით.

შაკო – მიდი სანდრო, მიდი, მშვიდობით.

(სანდრომ აანთებული ასანთი მიიტანა ტანსაცმელთან, ასანთი ჩაქრა) რა, არ მოეკიდა? კიდევ სცადე. რა, ახლაც არ მოეკიდა?

სანდრო – ვანიკო, რა არის ეს?

ვანიკო – რა ვი, ბენზინი იყო, ნორმალი.

შაკო – თქვე აფერისტებო!... თქვე შანტაჟისტებო! (იცინის) თქვე

გამოქლიავებულებო (უცებ შენცვიტა სიცილი) შენ რა, მართლა

აპირებდი თავის დაწვას? კიდევ კარგი იმ დღეს ბენზინი დამჭირდა და...

ის – (თავზარდაცემულია) ვერაფერი გავიგე, რა მოხდა, გამეხუმრეთ?

კარგია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება. კარგად

ბრძანდებოდეთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

შაკო – მეგობრებო, მადლობა ვუთხრათ ადამიანს, რომელმაც მიუხედავად მოუცლელობისა გამონახა დრო და გვეწვია. მადლობთ, მადლობთ.

(ყველანი გადიან, რჩებიან დოდო და სანდრო).

დოდო – ეს რა ქენი, წყალი გადაისხი? იცოდი, რომ წყალი იყო?

სანდრო – არა... საიდან უნდა მცოდნოდა? (აცემინებს).

დოდო – გაცივდი? მოიხურე. (ახურავს შალს) ასე, გცივა?

სანდრო – არა, არ მცივა, აღარ მცივა

(პაუზა).

დოდო – მართლა არ იცოდი, რომ წყალი იყო?

სანდრო – არა.

(მობილური ტელეფონის ზარი).

დოდო – გისმენ.

ნიკას ხმა – დე, როგორა ხარ დეე!

დოდო – კარგად, ნიკა, შენ როგორა ხარ?

ნიკას ხმა – არა მიშავს, ნორმალურად (სანდრო და დოდო ყურმილზე თავმიდებულები უსმენენ ნიკას) დე, რაღაც ხმა არ მომწონს შენი, ხო ჯანმრთელად ხარ?

დოდო – კი დედა, კი. კარგად ვარ... ცოტა დავიღალე, მეტი არაფერი.

ნიკას ხმა – მამა როგორ არი?

დოდო – დაგალაპარაკო? (ანვდის ტელეფონს სანდროს).

ნიკას ხმა – შერიგდით?

სანდრო – ჰო, ნიკა, შევრიგდით.

ნიკას ხმა – აუ, დაგლიჯეთ!... როგორ მიყვარხართ ორივე... ახლა ისე აღარ ვინერვიულებ, მიხედავთ ერთმანეთს.

სანდრო – მოგწონს ამერიკა?

ნიკა - ამერიკა? რა ვიცი, აბა? ისე რა... საათივით აქვთ აწყობილი ყველაფერი. ნეტა განახათ, რას გულაობს ხალხი.

სანდრო - შენ? შენ გულაობ?

ნიკა – მეე? მე არა... არ მცალია, ფულია საჭირო, ისე ვინ გაგულავებს, უფულოდ აქ ნოლი ხარ, ფული აქ ყველაფერია.

სანდრო – აქაც.

ნიკა – არა, მანდ ჯერ არა, მანდ კიდევ არის სხვა რამეც. აქ სხვა ხალხია... უცხო ვარ...

სანდრო – ისევ იქ მუშაობ?

ნიკა – ჰო, დღეს ცოტა უფრო მაღლა, 72-ე სართულზე, დოდოს არ უთხრა, შენც არ ინერვიულო... ფრთხილად ვარ. მაგრა მომენატრეთ თქვენ, თბილისიც. ამას წინათ ერთი თბილისელი ნაძირალა შემხვდა, აქ რომ დავინახე გავგიუდი, ისე გამიხარდა. 5 წუთი ჩახუტებულები ვტიროდით, თბილისი მაინც სხვაა.

სანდრო – მერე რა გინდა მანდ? ჩამოდი.

ნიკა – ჩამოვალ, მალე ჩამოვალ, თორემ თუ არ ჩამოვედი, ვატყობ სხვა

კაცი ვხვდები... აბა მაგრად იყავით, ცოტაც მოითმინეთ, ჩამოვალ, მალე ჩამოვალ...

(პაუზა).

სანდრო – კარგია ამ ჭკუაზე როა, მართლა ჩამოვა.

დოდო – კარგია, რომ ახლა დარეკა.

სანდრო – ცოტა მოვითმინოთ და... დოდო... იცი რა... ისა... არ გეწყინოს!...

დოდო – რატომ არ გამაგებინე ინფარქტის ამბავი? ვინ გივლიდა, ამბობენ

ინფარქტმა შიში იცისო, გეშინოდა? რა მითხარი წელან? არ გეწყინოსო?! რა არ უნდა მეწყინოს? სანდრო!... (სანდრო ხმას არ იღებს, მოკვდა...) სანდრო!... საანდრო!... მიშველეთ!...

(პაუზა)

(სცენაზე მარტო ანიკოა, ხელში გაბერილი იხვი უჭირავს, მიდის ტელეფონთან, კრეფს ნომერს)

ქალის ხმა – ალო?!

კაცის ხმა – მომეცი... ალო, გისმენ! დედა, შენა ხარ! ვიცი, რომ შენა

ხარ... დე, ბოდიშს გიხდი, ჩემი ბრალია ყველაფერი, ვირი ვარ, ვირი!... დედი!...
მითხარი სადა ხარ და მოვდივარ, ახლავე მოვდივარ დედი... სადა ხარ დედი?...

(ანიკო ყურმილს დებს, შემოდიან მოხუცები ჩემოდნებით და ამას წინათ ნაჩუქარი
თოჯინებით, უკრავს ორკესტრი, რომელიც ამ შემთხვევისათვის მოიწვია შაკომ,
რათა გამოთხოვება ნაკლებად პესიმისტური ყოფილიყო).

შაკო – (ყელი ბინტით აქვს შეხვეული, ხმაჩახლეჩილია) მეგობრებო...

(ჩაახველა) დადგა დრო... (რა უცნაურიც არ უნდა იყოს, შაკო

ღელავს) დადგა დრო, როდესაც უნდა დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ძალიან მი-
ჭირს ლაპარაკი (მგონი გულწრფელია, იქნებ სინდისი ქენჯინის) ჩვენი ურთიერთობა
საკმაოდ რთული იყო, ხშირად ვკამათობდით, მაგრამ სიძულვილამდე არ მისულა
საქმე... ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო იქნება თქვენი გახსენება, დამიჯერეთ,
გემშვიდობებით და გული მეწურება (მჯერა) ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს
უახლოეს მომავალში, პრემიერაზე, ერთაწმინდაში (არ მჯერა) ან არა და იქ, საიქიო-
ში, თუ სხვადასხვა განყოფილებებში არ მოვხვდით (პაუზა) გამოსათხოვარი ვალსი!...
გთხოვთ!... (ცეკვავენ) აბა ნახვამდის, ავტობუსი გელოდებათ (მოხუცები გადიან, ის-
მის ძრავის ამუშავების ხმა, ავტობუსი დაიძრა) ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ე პ ი ლ ო გ ი

(ბნელა, ის რაც ახლა ხდება სცენაზე, რეალურსა და ირეალურს შორისაა, მოხ-
უცები ლანდებივით მოჩანან, თეთრებში არიან გამოწყობილნი, ხელში გამჭვირვალე
ჩემოდნები უჭირავთ, ჩუმად, ჩურჩულით ლაპარაკობენ).

გოგი – დავინყო?

დოდო – დაინყე.

გოგი – თვალთ მიბნელდება, მე მგონია, რომ შენ კენტი ხარ.

კაკო – კენტი გახლავართ, თქვენი ყმა და მოსამსახურე,

განა არ გახსოვთ, ხელმწიფეო, თქვენი კაიუს.

გოგი – კარგი ყმა იყო, მტრის დახვედრა კარგად იცოდა... იგი მოკვდა და
შავ მიწაში იხრწნება ახლა.

კაკო – ჯერ არ მომკვდარა ხელმწიფეო... იგი თვით მე ვარ...

(მოხუცთა ლანდები თანდათან ქრება).


(დოდო თავის საძინებელშია, ხელში თოკი უჭირავს, ეძებს რაიმე კაუჭს, რათა
თოკი ჩააბას, ისმის ზარის ხმა. დოდო იღებს ყურმილს)

დოდო – გისმენთ, ალო?!!... (ზარის ხმა გრძელდება, ეტყობა კარზე რეკავენ).

ვინ არის?!... შემოდით, ღიაა!...


ფ ა რ დ ა

სცენიპი საექტაკლიდან „ამიკო“



მერაპ გეგეშპორი — სანდონ. საოცრად მართალი მსახიობი, ჩემი
სულიერი. ძალიან აკლია თეატრს, აღარ მოისურვა მსახიობობა.

მერაპ გეგეშპორი, ვახტანგ ახალაძე,
ცუგზარ ყურავილი.
ცუგზარისთვის ეს როლი ძალიან
მნიშვნელოვანი აღორნება, დიდი გა-
ტაცებით იმუშავა და შედეგიც კარგი
მივიღეთ, ძალიან კმაყოფილი ვარ
მასთან მუშაობით.



სცენები საექტაკლიდან —
„მაფე ლირი თავშესაცარში“
ახელოების თეატრი.

სანდრო — აპაკი ზედაშელი,
დოდო — მაია ზედგინიძე



ჩათუმა — „მაფე ლირი თავშესაცარში“
სასიამოვნოა, როცა შენი პიესა სხვა თეატრში იდგმება, ქალიან
გამეხარღა როცა „მაფე ლირი თავშესაცარში“ ჩათუმას თეატრში
დადგა ენცერ ჩაიძეა. საინტერესო წარმოდგენა იყო. მსახიობები
დიდი გატაცებით თამაშობდნენ.



ლიტერატურული თეატრი



სცენა სპექტაკლიდან „მამა-შვილობა“.
მამა — კომი მზავია, შვილი — ნიკა კვანტალიანი



სცენა სპექტაკლიდან „გრაგნილი“.
ნაირა გელაძე, ვაკო მანძულაშვილი, ნათია სამანიშვილი

აცხატელის თეატრი.

სცენა საექტაპლიდან „ზურბი“.

ფოლკლორის აგებული საექტაპლი. დიდი სიამოვნებით ვიმუშავთ ამ ორ
საექტაპლის.



ჩემთვის აღმოჩენა იყო ან მატუამვილი, ასე ნამდერი საექტაპლიში არ მომისხვინა...

აცხატელის თეატრი.

სცენა საექტაპლიდან „ვეზა“.

ვეზა — გია ჯაფარიძე.

ვეზას შემოძრევება

ამოუწურავია, მცოლოდ მცირე

ცალილს შევეხე... ესეც დიდი

ჰელიორებაა...



გია ჯაფარიძემ ამ როლში
პრემია მიიღო, გილოცავ გია!

პურლიკაცია სპეციალური „ზურში“

თემა გაგულისაბოლოება

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପ୍ରକାଶନ କମିଶନ ପ୍ରକାଶକାଳୀନ



საფრენი არაერთია ცნობილია მისი დაწყებულება **თეატრი**



“ այ առ եցողաւք, մարտզյեառնալութե
մա տաշուծ էին.

ଦୟାରୀ, ଶାତ୍ରିଣୀ ଗ୍ରାମ ପ୍ଲଟ୍‌କାର୍ଡିଙ୍ କ୍ଷେତ୍ର
ପ୍ରକାଶିତ ଶ୍ରେଣୀରେ ଏହାରୁଲୋ ଶ୍ରେଣୀରୁଲୋ
ରୂପ ଉଚ୍ଚାନ୍ତବିଳକ୍ତ ମ୍ୟାଜିକଲ୍ ଶ୍ରେଣୀରୁଲୋ
“ଶ୍ରେଣୀରୁଲୋକ୍ତ ଶ୍ରେଣୀ ଅଶ୍ଵମ ପଢ଼ିବାରେ କ୍ଷେତ୍ର
କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷେତ୍ରରେ ମ୍ୟାଜିକଲ୍ ଶ୍ରେଣୀରୁଲୋ



କୁଳ ମୂରିଲାଗ୍ନିରୁ ଦେଖି କାହାରୁ ନାହିଁ
କୁଳପତ୍ର ଦେଖିଲାଗ୍ନିରୁ ଦେଖି କାହାରୁ ନାହିଁ
କୁଳ କୁଳରୁ ଦେଖିଲାଗ୍ନିରୁ ଦେଖି କାହାରୁ ନାହିଁ
କୁଳକୁଳରୁ ଦେଖିଲାଗ୍ନିରୁ ଦେଖି କାହାରୁ ନାହିଁ

ნდის-ნამუსა". — მისეული ქართველი
აკომედი მან

ପ୍ରତିକ୍ରିୟା ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର ଅନ୍ତରୁ
ପ୍ରତିକ୍ରିୟା କଣ୍ଠ ପାଇଁ ପାଇଁଥାରୁ ଶ୍ରୀନାଥ
ମୋହନ୍ ମହାପାତ୍ର ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର ଗ୍ରହଣ
ଦ୍ୱାରା ପରିବର୍ତ୍ତନ ମୂର୍ଖ ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର
ଅନ୍ତରୁ ପାଇଁଥାରୁ ଶ୍ରୀନାଥ
ମୋହନ୍ ମହାପାତ୍ର ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର
ମୃତ୍ୟୁରେ ପାଇଁ ଶ୍ରୀ ପାତ୍ର ମୁହଁରୀ ପାଇଁ
ଏହାର ପାଇଁ ପାଇଁଥାରୁ ଶ୍ରୀନାଥ
ମୋହନ୍ ମହାପାତ୍ର ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର
ମୃତ୍ୟୁରେ ପାଇଁ ଶ୍ରୀ ପାତ୍ର ମୁହଁରୀ ପାଇଁ
ଏହାର ପାଇଁ ପାଇଁଥାରୁ ଶ୍ରୀନାଥ
ମୋହନ୍ ମହାପାତ୍ର ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର
ମୃତ୍ୟୁରେ ପାଇଁ ଶ୍ରୀ ପାତ୍ର ମୁହଁରୀ ପାଇଁ
ଏହାର ପାଇଁ ପାଇଁଥାରୁ ଶ୍ରୀନାଥ
ମୋହନ୍ ମହାପାତ୍ର ହେଲାମାତ୍ରା ଏହାର
ମୃତ୍ୟୁରେ ପାଇଁ ଶ୍ରୀ ପାତ୍ର ମୁହଁରୀ ପାଇଁ

აივენო ჭელიძის
ესპიზი მოზარდ
მაყურებელთა
თეატრისთვის
ვაჟას „სათაგური“,
ჩემთვის ქალიან
საყვარელი
სპეციალი
— იუმორით
და სიკათით
გაფლენილი.



„სათაგური“ — თელავის თეატრში. მიზვარს თელავის თეატრი, მისი
შესანიშნავი მსახიობები და ქალიან კარგი მაყურებელი.

აივენგო ჯელიძის ესპიზი პატუხის თეატრის საექიპისათვის
„მეფე ლილი თავშესაჭარბი“



დავით კლდიაშვილი „ირინეს პედიორება“ — ქუთაისი.
ეკა — იამზე ჩხეიძე, ვიქტორი — სულან გოგორიშვილი

სცენიკი საექტაპლიდან - „ავი ღომისგან დღეს ვინ გადაარჩევს ფუნე?!”
მოზარდ მაყურებელთა თეატრი.



პრემიერის შემდეგ




პატარა გეჟემონი — ნინო გურულიშვილი,
პატარა მაიმუნი — ანი მღებრიშვილი

ლომი — გიორგი მიქაელაძე,
პატარა ბაჟემონი — ნინო გურულიშვილი,
პატარა მაიმუნი — ანი მდებრიშვილი

მიშიკოს და ვიკას,
თეონას და გიკას,

ბაგშვებს ვერც ერთს რადგან
ვერ უპოვით ნაკლს
ყოველ მათგანს ჩვენ
ვუძღვნით ამ სპექტაკლს“

კ. ყუბანეიშვილი



გურდლელი — თამუნა ქოთილაძე, ლომი — ვახო ახალაძე

სოენები საეძტაკლიდან — „თოლია“.

თეატრალური უნივერსიტეტი



აგუზარი მცოლოდ გიგანტი მყავლა... გოგოებს „ვსესეულობდი“





არქაზინა — ნინო კასრაძე, ტრევლევი — პატა სულუაშვილი

მოგონებანი მომავალზე, ანუ გადაშენდნენ თუ არა დინოზავრები? (მოზარდში — „ამიკო“) მ. ბარბაქაძე. გაზეთი „კვირის ფოსტა“ -V-976. სპექტაკლი ეძღვნება მიშიკო ჭავჭავაძის ხსოვნას

„სპექტაკლში „ამიკო“ მისმა ავტორმა და რეჟისორმა ო. ბალათურიამ, თითქმის შეუძლებელი შეძლო: შექმნა სასტიკი და ამავე დროს თბილი, ნაღვლიანი და თან ძალიან სასაცილო წარმოდგენა.

თავდაპირველად ერთი სენსაციური ამბავი უნდა გაცნობოთ: ამ ბოლო წლებში ჩვენთან შექმნილ სპექტაკლებსა თუ ფილმებში ნაჩვენები ნარკომანების, რეკეტიორების, ათასნაირი ქილერებისა და დილერების შემდეგ, სცენაზე, როგორც იქნა, ვიხილეთ მივიწყებული გმირი-დრამატურგი სანდრო, ცხოვრებისგან თავგზაბურდული, აბნეული ახალგაზრდა, ქართველი ინტელიგენტი. პირანდელის ცნობილი პიესისგან განსხვავებით, სანდრო თავად ეძებს პერსონაჟს. „სპექტაკლის ავტორმა ზუსტად მიაგნო დღევანდელობის ერთ-ერთ ყველაზე საგანგაშო სენს — საზოგადოებას, რომელიც ნელ-ნელა მართლაც დიდ აბსურდის თეატრს ემსგავსება. გადახედეთ რამდენია თქვენს გარშემო ასეთი „ვითომ ბიზნესმენი“, „ვითომ ცოლ-ქმარი“, „ვითომ პოლიტიკოსი“ და სხვა. საზოგადოება, რომელიც არაფერს არ ქმნის! ეს არის ამ ოჯახში დატრიალებული უბედურების თავიდათავი, ამან აქცია ის „ვითომ ოჯახად“. მამის მიერ შვილების გულში ჩანერილი იდეალებიც მან გააცამტვერა, ნარმოშვა მტრობა, დაუნდობლობა, შიში“ ... „ბოლოს ხვდები თუ ვინ შეიძლება იყოს „დადებითი პიროვნება“. ეს ხომ თავად სანდროა. ძვირფასო მაყურებელო, „ნუ შეგეშინდება, ნუ აკანკალდები“ — სირანოს მოდგმა ჯერ არ გადაშენებულა, ასეთი ადამიანები ჩვენში ჯერ კიდევ არსებობენ და მათი წყალობით, ეს ქვეყანა „ვითომ ქვეყანად“ არასოდეს გადაიქცევა“.

„კვირის პალიტრა“ 28/II 05 წელი — ლელა ჯიყაშვილი

„...სპექტაკლის შინაარსი ძალიან ჰგავს რეალურ ცხოვრებას, ჩვენს ყოველდღიურ ბრძოლას არსებობისთვის, რომელშიც ვინ იცის, რამდენი „მეფე ტირის“ თავის სიმარტოვესა და უმწეობას.

ამ სპექტაკლით მას შემდეგ დავინტერესდი, რაც ერთმა ნაცნობმა, რამაზ ნიშნიანიძემ მითხრა:

— გერმანიაში ვაპირებდი წასვლას, უკვე ბილეთის ფულიც ჯიბეში მედო, ჩემმა გოგონამ მთხოვა, თეატრში წამიყვანეო. წასვლის წინ უარი ვერ ვუთხარი შვილს, როცა სცენაზე ნუგზარ ხიდურელი გამოჩნდა (მამა, რომელიც შვილმა თავშესაფარში მიიყვანა და დატოვა, თვითონ კი სამუშაოდ უცხოეთში წავიდა) თავი ველარ შევიკავე და ავტირდი. მეც ხომ ღვთის ანაბრად ვტოვებდი მშობლებს. ვერ დამიჯერებ, მაგრამ აღარ მივდივარ...

„მეფე ლირი თავშესაფარში“ რომ ვნახე, დავრწმუნდი, ეს სპექტაკლი მართლა შეაძლებინებდა ადამიანს სულიერი ძალის კონცენტრაციას“.

გიორგი საკარული — „რეჟისორს საზოგადოების გამოფხიზლება სურს“ „ახალი თაობა“, 2004წ. 20/XII.

„მეფე ლირი თავშესაფარში“, რომლის რეჟისორიც და ავტორიც ო. ბალათურია გახლავთ სრული ანშლაგით მიმდინარეობს“...

„...ამ სპექტაკლიდან გამომდინარე, ჩვენ ერთ დასკვნამდე მივდივართ, რომ რეჟისორს საზოგადოების გამოფხიზლება სურს, რადგან ის შეცდომები, რაც რეალურ ცხოვრებაში გვხვდება, გამოვასწოროთ, მაგრამ, ცხადია, რომ დარბაზში მყოფი საზოგადოება აღფრთოვანებას ვერ მაღავდა და მათ თვალებზე ცრემლიც კი შეინიშნებოდა“.

2004 წელი. ახმეტელი — „მეფე ლირი თავშესაფარში“
ავტორი — ნინო ბერძენიშვილი — „თანადგომა“

... „პიესაში მძაფრი ოსტატური ხერხებითა და ღრმა გააზრებული ნიუანსებითაა ნაჩვენები დღევანდელი ყოფის ტრაგიკული სიმწარე“...

„სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევს მიუსაფარი, ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანთა ტრაგიკული ყოფის სიმწარე... „დღეს ეს ჩვენი ცხოვრების სამწუხარო რეალობაა. ამ ხანდაზმულთა ადგილი თავშესაფარშიც კი შეზღუდულია, სადაც მათ უკანასკნელი დღების მშვიდად გატარების იმედსაც კი ართმევენ“. „სპექტაკლში ყოფით პრობლემებთან ერთად მეტად ორიგინალურადა ნაჩვენები საზოგადოების განსხვავებული ფენები“... „სპექტაკლი უნებურად გვახსენებს ჩეხოვის „ალუბლის ბალს“.

გაზეთი — „მეოთხე“ 2004 წ. 17-24 დეკემბერი. ავტორი ეკა ბიბილაშვილი.

„სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში დადგმულ ახალ სპექტაკლს — „მეფე ლირი თავშესაფარში“, რომლის ავტორიცა და რეჟისორიც ბატონი ოთარ ბალათურია გახლავთ. მართლაც რომ შეასრულა მასწავლებლის მისია — თითქოს ცხოვრებისეული გაკვეთილის მოწმენი შევიქმენით: ჩვენი დროის ამსახველი სუნთქვით, მაჯისცემითა და მწვალებელი კითხვებით. სულში დაგუბებული დიდი ტკივილითა და მწუხარებით, შინაგანი ადამიანური სევდითა და ნაღველით“.

„უყურებ ამ სპექტაკლს და ნათლად რწმუნდები, რომ ცხოვრებისეული რეალობის აღქმა-გააზრებისათვის სასკენო ხელოვნებას ლომის წილი მიუძლვის. აქ წარმოჩენილი პერსონაჟთა მოქმედებები, სურვილები, ემოციური კავშირები და ა.შ. აშკარად მიგვანიშნებს დღევანდელობაზე. ბევრისაკუთართავს ამოიცნობს. ბევრსაც შეურიგებლობის გრძნობა დაეუფლება“... „მიუხედავად, მრავალი ცხოვრებისეული მანკიერებისა, დამთრგუნველი და გაუსაძლისი ყოფისა, სპექტაკლი მაინც უხვადაა გაჯერებული იუმორით, ღიმილით, მოხუცებულთა სანდომიანი, გაცისკროვნებული სახეებით, მათი ურთიერთობის, განსაკუთრებულად სათუთი დეტალებით, სიკეთით და რაც მთავარია, იმ შეგრძნებით, რომ ამ მხცოვან პიროვნებებსაც გვერდში დგომა, ზრუნვა და მოფრთხილება სჭირდებათ“.

„რეჟისორის ჩანაფიქრმა შედეგი გამოილო — უნიჭიერესი მსახიობების შემოქმედებითმა ნაღვანმა მართლაც განსაკუთრებული სიტყვა თქვა“.

მაია ზედგინიძე — (დოდოს როლის შემსრულებელი) „ამ როლმა შემძინა ის, რომ უფრო მიმტევებელი გავხდი... თან შინაგანად უფრო ძლიერი გავხდი, ბრძოლის უნარი მომემატა“. „სპექტაკლის ნახვის შემდეგ ადამიანთა რაღაც პროცენტი მაინც უფრო დიდი სითბოთი და სიყვარულით მოქცევა ამ ფენას. იქნებ ამ მცირეოდენით მაინც უშველოს ნაწილობრივ საზოგადოებას.“

გაზეთი „მეოთხე“. 29.04.07. „ამიკოზე“. ავტორი ირმა ჩიტაია.

....ლირებულებათა გადაფასებამ ყოველგვარი ზნეობრივი და ადამიანური მხარეები წამალა. ოჯახის წევრებს შორის გაუცხოებამ იჩინა თავი“ ... „ერთ დროს ლირსების მატარებელი მსახიობის ოჯახი ნადგურდება. გაჩნდა უფსკრული, რომელიც ვერ ივსება. გაცვდა მეგობრობის მცნებაც. მატერიალურ ყოფიერებაზე, ფულზე ფიქრმა პიესის ერთ-ერთ გმირს, ტარიელს სახე დაუკარგა, რომელიც ბოლოს მთავარი გმირივით იღუპება.“

....„პერსონაჟების სახეები — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს გვახსენებს. თუმცა, ეს მსგავსება იქვე ქრება, რადგან მათი ხასიათის თვისებები, დღეს უკვე აღარავის სჭირდება. თანამედროვე პროტოტიპები აშკარად

განსხვავებულები არიან. გაცვდა და წაილეკა ყოველგვარი ღირებული. ამდენად, პრობლემა ზოგადსაკაცობრიოა.“

ფრიდონის როლის შემსრულებელი ზურა ავსაჯანიშვილი — „...უნდა გითხრათ, რომ ბატონ ოთართან ადრეც მიმუშავია და ვიცი, რომ შესანიშნავი პიროვნებაა. მოგეხსენებათ, პიესის ავტორიც თავადაა. საოცრად თბილი პიესაა. ტრაგიკომედიაა, მაგრამ ჭუის სასწავლებელი.“

გიული მახათაძე — ნინოს როლის შემსრულებელი: „...თემატიკა იმდენად მტკიცნეულია, რომ მასზე ხელოვნების ენით რაღაც აუცილებლად უნდა თქმულიყო. ყოფით ცხოვრებაზე აგებული პიესაა, მაყურებელს, ალბათ, ამიტომაც ხვდება გულზე და განიცდის. სამწუხაროდ, დღევანდელი ცხოვრების მწარე სინამდვილეა ეს სპექტაკლი.“

6. ყურაშვილი — ამიკოს როლის შემსრულებელი: „...სპექტაკლში გადმოცემული ამბავი მხოლოდ ერთი გმირის ამიკოს უბედურება არაა. ეს საერთოდ, ქვეყნის და ერის უბედურება გახლავთ. თემა, რომელსაც ოთარ ბალათურია შეეხო, აშკარად გლობალურია.... ...ეს პრობლემა მარტო ჩვენს ქვეყანას არ ანუხებს, ჩვენი მენტალიტეტი ამ გაუცხოებას ვერ აითანს. ჩემი გმირი 50 წლის მამაკაცია, მსახიობი. ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძა და ნახა, რომ არავის სჭირდება და ასეთ გაუცხოებაში იღუპება კიდეც. ამაზე შეტი ტრაგედია რა უნდა იყოს ჩვენი ხალხისთვის.“

კახა გოგიძე — ტარიელის როლის შემსრულებელი: „ისეთ რეჟისორთან, როგორიც ბატონი ოთარ ბალათურიაა, მუშაობა ძალიან სასიამოვნოა. თავისთავად პიესა „ამიკო“ ყველასთვის აქტუალურია და იქნება კიდეც, ნებისმიერ თაობაში.“

სოფო თოდუა — „24 საათი“ 13/XII-2004წ. („მეფე ლირი“)

„ჩაენერება თუ არა ეს სპექტაკლი თეატრის რეპერტუარში? კითხულობს მაყურებელი. პასუხი აქაც ერთია: რა თქმა უნდა, ჩაენერება და ჩვენც გვეცოდინება, რომ ამიერიდან თეატრის აფიშას მხოლოდ ერთი რეჟისორის გვარი აღარ დაამშვენებს.“

„ამიკო“ ანუ ოჯახური პორტრეტი ინტერიერში — ფიქრია ყუშიტაშვილი „ივექსი“ 6-8 მაისი 1997 წელი.
სპექტაკლი ეძლვნება მიშიკო ჭავჭავაძის ხსოვნას

„ავტორისა და პერსონაჟების ურთიერთობების თემა მრავალგზის აპრობირებული და კლასიკის დონემდე დამუშავებულია... ოთარ ბალათურიას პიესაში კი საქმე გაცილებით უფრო ქართულადაა, ბევრად უფრო რთულად და სერიოზულად: ავტორი და მისი პერსონაჟები არა მარტო ცვლიან პიესის შინაარსს, დავობენ, კამათობენ, არამედ ამხნევებენ, თანაუგრძნობენ ერთმანეთს. ფინალში კი ავტორი მთავარი გმირის უპირველეს ჭირისუფლად იქცევა და ამირანის სიკვდილი მასში სულიერ კათარზისა ახდენს. დრამატურგი-რეჟისორი არაერთ საგულისხმო თემას წამოქრის: რაც გვტკივა, რაც გვთრგუნავს, რაც ნელ-ნელა ანგრევს და სპობს ჩვენს საზოგადოებას...“

„...ვფიქრობ, ფინალი-მეტაფორა სპექტაკლის ყველაზე საინტერესო რეჟისორული პასაჟია, რომელიც ლოგიკურსა და იმავდროს ორიგინალურ წერტილს უსვამს მთელს სცენურ ქმედებას, სწორედ აქ ყველაზე მეტად ჩანს რეჟისორი ბალათურია“...

„...ბალათურია-ყურაშვილის ამიკო ნათელი დასტურია რეჟისორ-შემსრულებლის პარმონიული, შეხმატებილებული ტანდემისა, რომელსაც ურთიერთგაგების

აკადემიური ნიშანი აზის“...

„...და ბოლოს, არ შემიძლია არ გამოვთქვა მოკრძალებული სურვილი და ვარაუდი, თუ რა საინტერესო იქნებოდა თავად ოთარ ბალათურია ამიკოს როლში. მით უმეტეს, რომ ბატონი ოთარი ჩინებული მსახიობია, რომლის თამაში მოგვენატრა ყველას, ვისაც დღესაც გვახსოვს მისი სცენური გმირები.“

„შეიძლება თუ არა რაიმეს შეცვლა?“

ეს იმას ნიშნავს, რომ მე მაინც დავრჩი გამარჯვებული.

„რეზონანსი“ 3/XII 2002 წელი. ლელა ოჩიაური

(ფოთში „ამიკო“ — დადგმა ხათუნა ბედელაძის)

„ეს სახლი ჩვენი ფუძეა, ჩვენი ერთად ყოფნის სიმბოლო, სადაც ჩვენი წინაპრების სული ტრიალებს. ეს სახლი ჩვენი სამშობლოა, სადაც ერთად უნდა ვიყოთ, რადგან, როგორც კი ცალ-ცალკე ვიქნებით, ყველაფერი დაინგრევა — ამბობს ამიკო და ეს ასეცაა...“ „საქართველო ხომ გაიყიდა და ახლა მე იმისაც მეშინია, რუსთაველზე რომ გავივლი, ვიღაცამ არ მითხრას, ეს ქუჩაც ჩემიაო.“

„ამიკო“ ფოთის თეატრში — ზაზა სოფრომაძე
„ქართული თეატრის დღე“ 14/I 2003 წელი.

„მამები თავიანთი გადასახედიდან სჯიან, არსებულის შენარჩუნებას, დაცვასა და განმტკიცებას ცდილობენ. შვილებს ცხოვრების სწორედ ისეთი წესი მიაჩნიათ მიუღებლად, როგორსაც მამები სთავაზობენ და აუცილებლად განსხვავებულად აზროვნებენ, ამიტომაც მათ ხშირად ერთმანეთის არ ესმით. დრო კი ულმობლად გადის, ყოველივე წარმაგალია“...

„ადამიანები ბევრს ვერაფერს ცვლიან, ყოველივე მკაცრი, მარადიული კანონზომიერებით მიმდინარეობს. თუმცა, დგება ხოლმე გადამწყვეტი მომენტი, როცა ადამიანმა უნდა განსაზღვროს, აირჩიოს, რაღაცას შეეწინააღმდეგოს, რაღაც კი მიიღოს. ამგვარი პრობლემებია წამოჭრილი ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრის სპექტაკლში „ამიკო“.“

სპექტაკლი სპექტაკლში ანუ „მეფე ლირი თავშესაფარში“
მარინა მითაიშვილი — ბათუმი. „აჭარა“ 28.03.2009 წელი.

„ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო აკადემიური თეატრის არჩევანი დღამატურგ ოთარ ბალათურიას პიესის „მეფე ლირი თავშესაფარში“ დადგმაზე შეჩერდა.

სპექტაკლი ორმაგად წარმატებული გამოდგა. პიესა თავისთავად ძალიან აქტუალურია. ამავე დროს მასში შესაძლებელი გახდა უფროსი თაობის მონატრებულ მსახიობთა ანსამბლის დაკავება. ჩვენი რეალობის თანმდევი ტკივილებით გაჯერებული ეს თბილი, ადამიანური ტრაგიკომედია რეჟისორმა ენვერ ჩაიძემ ბათუმის თეატრის უხუცეს მსახიობებთან ერთად თითქოს ჩვენი ყოველდღიურობიდან ამოჭრილ, ოდნავ გამძაფრებულ, ერთ ცოცხალ სურათად აქცია“... „მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი ოთარ ბალათურია ჩამოვიდა საპრემიერო სპექტაკლზე და მაღალი შეფასება მისცა საკუთარი პიესის ბათუმურ ვარიანტს“.

(12-13 ნოემბერი 1998 წელი „ივერია ექსპრესი“ — დ. მეუნარგია)
„ვცდილობდი თეატრი ხელში არ ჩამკვდომოდა“ — ინტერვიუ

წელს რუსთაველის მე-2 საერთაშორისო ფესტივალზე, თბილისის მოზარ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლმა „ამიკო“ ორი პრიზი დაიმსახურა — საუკეთესო თანამედროვე დრამატურგიული ნაწარმოებისთვის (ოთარ ბალათურია) და ახალგაზრდა მსახიობმა (დათო ხუნჩუკაშვილმა) საუკეთესო ეპიზოდური როლისთვის.

გუშინ 70 წელი შესრულდა, ალექანდრე თაყაიშვილის დადგმული „ფრიც ბაუერიძან“ ამით საფუძველი ჩაუყარეს ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს.

ამ საპატიო ჯილდოებთან და სახელოვან იუბილესთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ თეატრის რეჟისორს, წარსულში ამავე თეატრის ცნობილ მსახიობს ოთარ ბალათურიას.

(გთავაზობთ შემოკლებით)

— ... პირველ რიგში, დიდი მადლობა მოლოცვისთვის. „ამიკო“ თეატრში რეპეტიციების დროს დასრულებული ნაწარმოებია. პიესას ცალკე არ ვწერდი, ვთხზავდი სპექტაკლს და ამ პროცესში გვერდით მთელი დამდგმელი ჯგუფი მედგა. დიდი მადლობა ჩემს კოლეგებს და მეგობრებს მხარში ამოდგომისთვის. არანაირი პრემია და წოდება ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა არასდროს... ეს სპექტაკლი ჩვენი თეატრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დროს დაიდგა... ეს უზარმაზარი სტიმული იყო მთელი თეატრისთვის. ამისთვის დიდი მადლობა ჟიურის.

— არ გაგიჩნდათ სურვილი „ამიკო“ თბილისის სხვა რომელიმე თეატრში დაგედგათ? ეს პიესა ხომ მთლად თქვენი თეატრის „პროფილის“ არ არის?

— მე არ ვთვლი, რომ მოზარდებს არ სჭირდებათ ასეთი პიესები. პირიქით, აუცილებელია ისინი გაერკვნენ ოჯახის, ამ ურთულესი ფენომენის ავ-კარგში და ესეც რომ არ იყოს, აყი გითხარით მე არ ვდრამატურგობდი, მე ვთხზავდი სპექტაკლს... სხვათა შორის გამეხარდა, როცა გავიგე, რომ ზუგდიდში დადგეს, ქუთაისშიც, ჭიათურაშიც. ახლაც ვფიქრობ, ახალ სპექტაკლზე, ვთხზავ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი თეატრისთვის, კონკრეტული მსახიობებისთვის, ამჯერად ჩემი თაობის კოლეგებისათვის და თუ მასაც „ამიკოსავით“ გაუმართლა, მერე კი ბატონო, სადაც უნდათ სხვა რეჟისორებმა იქ დადგან.

— ამ ახალ პიესაში მაინც, ხომ არ წერთ როლს თქვენთვის?

— რა თქმა უნდა, არა.

— გული არ გწყდებათ, როგორც მსახიობს?

— როგორ არა, იმ დღეს კულისებში შემთხვევით მარტო აღმოვჩნდი და უცებ საშინელმა შიშმა ამიტანა, თან ვღელავდი და რაღაც ნოსტალგიური დამემართა... საერთოდ, კარგ სპექტაკლში თამაშს რა სჯობია. მარტო შენ კი არ უნდა იყო კარგი — არა! სპექტაკლი რო შედგება და ბედნიერი ხარ, ამისთვის ღირს თავდადება. გოდუნი „რღვევაში“ იმიტომაც მიყვარს განსაკუთრებით, რომ თვითონ სპექტაკლი წარმატებული იყო. ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო 70-იანი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში.

— ბატონო ოთარ! „ამიკოშიც“, „ავ ლომშიც“ და „ბანკეტშიც“ თქვენ ძირითადად თქვენი ნამონაფარები გყავთ დაკავებული, რომლებიც დღეს ფაქტიურად წარმმართველ ძალად ითვლებიან თეატრში. არ აპირებთ პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელებას ინსტიტუტში?

— მე კი ვაპირებ, მაგრამ... ისე კურიოზი კია, დოცენტი გავხდი და გამომიცხადეს, საათები არა გვაქვსო. რას ვეტყოდი, წამოვედი ინსტიტუტიდან. მე მიყვარდა ეს საქმე, მინდოდა და მგონია, შემეძლო კიდეც... თუ გაიხსნება ჯგუფი სპეციალურად ჩვენი თეატრისთვის და რექტორატსაც თუ გაგვახსენდები, სიამოვნებით ვიმუშავებ. მგონია, რომ ახალგაზრდებსაც წაადგებათ და თეატრსაც.

— ბატონო ოთარ, თქვენზე ამბობენ, რომ სტუდენტებთან ძმაკაცობთ იმ

დონემდე, რომ ჩხუბშიც კი ერთად დადიოდით... ისე ჩხუბი თქვენ ახალგაზრდობაშიც გყვარებიათ თურმე...

— (იცინის) კი მიწვდა ჩხუბი!.. იცით სტუდენტებთან იმიტომ არ ვძმაკაცობ, რომ ამით რაღაც ნდობა მოვიპოვო, არა. უბრალოდ მე სხვაგვარად არ შემიძლია. მე თუ არ ვემეგობრე მსახიობს, თუ არ გავიცანი ბოლომდე, მგონია ვერ ვიმუშავებთ ერთად. მჯერა, რომ დისტანციის სიმოკლე ჩემსა და სტუდენტებს შორის არც ჩემთვის, (როგორც პედაგოგისთვის და პიროვნებისთვის) და არც მათთვის ზიანი არ მოუყენებია.

— პირველი სპექტაკლი თუ გახსოვთ?

— როგორ არა. როზოვის პიესაში „შემაგდეს“ უცებ... თეატრში შესანიშნავი მსახიობები დამხვდნენ უფროსი თაობის — ვ. არეშიძე, გ. დეისაძე, ი. ნინუა, მ. ჯაჯანაშვილი, ი. ელისაშვილი, ა. ფხალაძე... შემდეგ სხვადასხვა თეატრებიდან შემოგვემატნენ — რუსთაველიდან იამზე ტყავაძე, ამ ადამიანმა საოცარი კვალი დატოვა ჩემზე, დღემდე ვერ ვეგუბი მის დაკარგვას, ე. ასლამაზაშვილი, ე. გელოვანი, ფ. სონდულაშვილი, ც. ცაგარეიშვილი...

— ბატონი ოთარ, თქვენ საკმაო პოპულარობას მიაღწიეთ... ხომ არ გიცდიათ სხვა თეატრში გადასვლა?

— თეატრი კონფლიქტური ორგანიზაციაა და ხშირად შეიძლება გაგიჩნდეს „გაქცევის“ სურვილი. ერთხელ სერიოზულადაც ვიფიქრე, მაგრამ ერთმა მეგობარმა მითხრა — სად მიდიხარ, ეს ხომ შენი თეატრია(!) ძალიან მნიშვნელოვანია, როცა გააცნობიერებ, რომ ის შენია. მოზარდი ჩემია... თეატრი ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის მთელი ცხოვრებაა. შალვა განერელიას თეატრიდან წასვლის შემდეგ, როცა თეატრს ძალიან გაუჭირდა ყველანაირად შევეცალე ხელში არ ჩამკვდომოდა, არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი კოლეგები, მეგობრები რ. თავართქილაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ბ. ხაფავა, ნ. მაჭავარიანი, ნ. ცერცვაძე, გ. რევაზიშვილი, ტ. გიორგაძე, ლ. მექვაბიშვილი, ვ. მაზმიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. პაატაშვილი... ამ ხალხმა გადაარჩინა „მოზარდი“ დაღუპვას. ახალგაზრდობა არასოდეს აკლდა თეატრს და არც ახლა აკლია. მათი დიდი იმედი მაქვს...

— თქვენს ოჯახში, გარდა უფროსი ვაჟისა (შოთა ყოფილი წყალბურთელია) ყველა ხელოვნებაში ხართ! როგორ აფასებთ ერთმანეთის ნამუშევრებს?

— ბაჩიმ და ირაკლიმ ჩვენი გზა აირჩიეს. მართალი გითხრათ, საწინააღმდეგო არაფერი მქონია, იცოდნენ, რომ ეკონომიური კეთილდღეობა ამ საქმეში არ არსებობს. მაინც წავიდნენ?! ე.ი. უნდა წასულიყვნენ. ჩემების პრემიერებზე ძალიან ვღელავ... ირაკლი „ცარცის წრეში“ მიშიკო აბაშვილის როლზე რომ შეიყვანეს 3 სპექტაკლი თეატრთან დავდიოდი, მერე გავჭედე იარუსიდან შეხედვა... ასევე ვიყავი ლილის „სამგვარი სიყვარულის“ პრემიერაზე.

— ბაჩი თქვენს სპექტაკლებში ინსტიტუტშიც თამაშობდა, ახლახან „ამიკოშიც“ შეიყვანეთ. მეუღლემ რომ დაგაკავოთ თავის სპექტაკლში, ან პირიქით?

— ო... ო... ო! (იცინის) გამორიცხულია! არც მე ვითამაშებ მასთან და არც ის დამაკავებს!

— ირაკლი?

— ირაკლი პირველ ფილმს რომ იღებდა გადასაღებ მოედანზე არც კი შემიშვა. მეორე ფილმზე ვთანაავტორობდით. თუ არტისტად დავჭირდი... ალბათ დავთანხმდები.

— შვილიშვილებთან როგორი ხართ?

— ეს ჩემი სისუსტეა... მათზე პატარა, თანაც ბევრად! ჯერჯერობით სამი მყავს: მიშიკო, თეონა და ვიკა! სწორედ მათ მივუძღვენი სპექტაკლი „ავი ლომი“.

— ღმერთმა გიმრავლოთ. გისურვებთ თქვენს პროფესიებში — აღმაფრენას. თქვენს საყვარელ თეატრს წარმატებასა და წინსვლას... მუდამ ამ შემართებით ყოფნას, ახალი პიესების ამეტყველებას, ახალ დადგმას, სტუდენტთა ახალ ნაკადს თქვენი ხელმძღვანელობით...

ბლიც ინტერვიუ
1998 წელი
ქალთა ჟურნალი „შარმი“
ასმათ ქურციკიძე

„ბართოსას“ ყველაფერს ვპატიობ (შემოკლებული ვარიანტი)

ოთარ ბალათურია — საუკეთესო დრამატურგის პრიზის მფლობელი თეატრალურ ფესტივალში „ოქროს ნიღაბი“.

მე მგონი, დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების არსებობის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, მსახიობს დაეწეროს პიესა, დაედგას და თეატრალურ ფესტივალზე პრიზიც მიეღოს...

მე, პირადად, ბატონ ოთარს საკმაო ხანია ვიცნობ... მოკლედ გეტყვით — ჩემს თვალში ბატონი ოთარი საკმაოდ ამოუცნობი პიროვნებაა... ჯერ ერთი, გამოიყურება საკმაოდ ახალგაზრდულად და არცთუ ისე ახალგაზრდაა, მეორეც — არის საკმაოდ დინჯი და... ყველაფერს ასწრებს. ხიბლავს ყველას ვისი მოხიბვლაც უნდა და ასე განსაჯეთ — გულისწყვეტაც ღიმილ-ღიმილით იცის...

ბედნიერი დღე

როცა ადამიანი სრულყოფილად გრძნობს თავს, ის დღე არის ბედნიერი. სრულყოფილიდა ბედნიერის სწორედ ის დღეები იყო, როცა შვილებიდა შვილიშვილები მიჩნდებოდნენ. შვილები სულ ბიჭები მყვანან.

მომავლის დღე

მომავლის დღე მომავალში დგება. ვეღოდები, რომ რაღაც კიდევ იქნება კარგი და ბედნიერი. ისე არ მინდა წასვლა, რომ ყველაფერი კარგი წარსულში იყოს.

გადაუდებლად — გაუკეთებელი საქმე

არ ვიცი, ეს სიზარმაცის ბრალია თუ მოჭარბებული პასუხისმგებლობის. ძალიან ბევრი რამე მიფიქრია და არ გამიკეთებია. ამ ყველაფერს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონია.

მაისის თოვლი

პრემია „საუკეთესო დრამატურგიული ნაწარმოებისთვის“ — „ამიკო“-ში

ამას იშვიათად ვიხსენებ

ცუდი შეგრძნებები, რომლებიც ღალატით არის გამოწვეული... არ მსიამოვნებს — იშვიათად ვიხსენებ. ვცდილობ დავივიწყო, ამაზე არც ლაპარაკი მინდა და არც რაიმე ახსნა-განმარტება.

შევხედავ, გავიხსენებ, მოვისმენ — ბედნიერი ვარ

ბავშვობის და ახალგაზრდობის სურათებს რომ ვათვალიერებ ბევრი კარგი მახსენდება, ვმსუბუქდები და სიახლის შეგრძნება მეუფლება... ბედნიერი ვარ, როცა პავაროტის ვუსმენ. თუკი რაიმე უნიკალურად და ფანტასტიკურად ითვლება — ეს პავაროტის სიმღერაა.

ვერაფრით ვეგუები

იმ საქმეს, რომელსაც მე მთელი ცხოვრება მივეცი და არასერიოზულად, უპასუხისმგებლოდ, აგდებით ეკიდებიან — ვერაფრით ვეგუები. კიდევ უფრო

ნერვებს მიშლის ის, რომ ასეთ ხალხს ვერ ვეწინაალმდეგები, საპირისპიროს ვერაფერს ვაკეთებ. ატანა არა მაქვს, როცა კაცი თვალებში გიყურებს, გატყუებს და დებილი გონიხარ.

მას ყველაფერს ვაპატიებ

ჩემს მშვენიერ, უსაყვარლეს „ბართოსას“ ყველაფერს ვაპატიებ. ის ყაზბეგური მეცხვარეა, კავკასიური ლეკვი.

ვინ მამხნევებს მე

შვილიშვილები: მიშიკო, თეონა, ვიკა. როცა მათ ვუყურებ, ის შეგრძნება არა მაქვს, რომ ისინი შვილიშვილები არიან და მე ბაბუა. მე მათი ტოლი ვხდები, ესე იგი — ვმხნევდები.

აი ეს არის სილამაზე

12 წლის ვიყავი, როცა ბახმაროში მზის ამოსავალ გორაზე (ასე მას გურულები ეძახიან) მზის ამოსვლა ვნახე. ეს ფანტასტიკური სილამაზეა...

ეს კანონი ცხოვრებამ მასწავლა

ძალიან მიყვარს სტუმრები, მეგობრები... იყავით ბატონო ჩემთან და რასაც მოახერხებთ — წაიღეთ!

„ყაჩალებისგან“ გაარტისტებული

პატარა ვიყავი, როცა მამაჩემმა წამიყვანა „ყაჩალების“ სანახავად. (ეს ხორავას და ვასაძის ცნობილი „ყაჩალებია“). მახსოვს, ჯადოსნური რაღაც მოხდა, თვითონ სპექტაკლი ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ თეატრის ხიბლი მაშინ ვიგრძენი. შემდეგ თეატრებში ხშირად დავდიოდი. ფარდას რომ პროექტორი მიანათებდა, ჩემთვის აღარაფერი არსებობდა, სრულიად ახალი რამ იწყებოდა. მე-10 კლასში გადავწყვიტე თეატრალურზე ჩამებარებინა.

„მოზარდ მაყურებელის“ არქივიდან

ინსტიტუტისდამთავრებისშემდეგ, მოზარდმაყურებელთათეატრშიგამანაწილეს. ხშირად მიწევდა მგზნებარე შეყვარებულების თამაში. შემდეგ თეატრში მოვიდა თემურ ჩხეიძე, დადგა „დარისპანის გასჭირი“ და იქ ოსიკო ვითამაშე. ტრადიციული „შეყვარებულის“ მაგივრად, ოსიკო სახასიათო — იუმორით შეზავებული როლი იყო... „ჩვენებურები“ — მინაგოს როლისთვის სახელმწიფო პრემია მივიღეთ — შალვა განერელიამ, რეზო თავართქილაძემ და მე. მნიშვნელოვანი სპექტაკლი იყო „რღვევა“. ეს საოცრად თამამი, ახლებურად გაკეთებული წარმოდგენა იყო, იმ დროისთვის ხმამაღალი განცხადებით. ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ, ჩემთან მოვიდა ხანდაზმული ქალი, რომელიც ტიროდა და ისხსენებდა: პეტერბურგში რევოლუციის დროს, ზუსტად ასე თავხედურად გვექცეოდნენ მეზღვაურებიო. თელავის ფესტივალზე ამ როლის შესრულებისთვის პრემია მივიღე „მამაკაცის საუკეთესო როლი“ — ეს არის ნაწყვეტები არქივიდან.

აი ასე ვცუდლუტობდი


ახალგაზრდობაში ცოტა სხვანაირად ვცუდლუტობდი... ერთი-ერთზე ვჩხუბობდი... ახლა ვცდილობ, სიტუაცია პიესაში თუ სცენაზე, ისე მოვიფიქრო, რომ სანახაობრივად საინტერესო გახდეს.

ასეთი გახლავთ ოთარ ბალათურია, კაცი რომელიც ბედს არ უჩივის, რომელმაც მიაღწია წარმატებას არტისტულ-სარეჟისორო-დრამატურგიულ მოღვაწეობაში... კაცს, რომელსაც ძალიან უყვარს ოჯახი, მეგობრები, პროფესია, „ბართოსა“ და პავაროტი.


„БЕЗЕМЕЛНО
ТАЧЕСАЧАРНІІ“
ЛІЧІВІДІАШІ



ვესისის ჭესჭივალზე



ტალის
ლასრანისი,
დაცე ევერსა,
ჭელიძს დურიდ.



რეალიტიაზე
პალიან ნიშიერ
მსახიობთან
დაცე ევერსასთან

მოხეთიალე მუსიკისი
— რუსა ბერგერე

Короткие рецензии в центральной газете „Диена“ - „Яблоки“
(максимальное количество – 5 шт.) 20 января 2010

Сильвия Радзобе

●●●●- 4

„получился один из лучших спектаклей этого сезона в Латвии, позволяющий судить об особом феномене „Валмиерского театра“: слаженный ансамбль актеров разного поколения, знание жизни во всех, наимельчайших радостно-горьких подробностях, уважение к судьбе каждого человека, виртуозное владение труднейшим жанром трагикомедии.

Не смотря на то, что сюжет пьесы боллк чем тяжелый – будни жителей пансионата для престарелых, попытки поставить Короля Лира, второе изгнание, когда пансионат сносят (символ конца жизни) – после спектакля остается светлое ощущение.

Как всегда после встречи с умными, честными, талантливыми людьми, художниками“...

Гуна Зелтыня

●●●●- 4

„Спектакль оставляет глубокое и горькое послевкусие. В свое время мы уже познакомились во время гастролей с актером Тбилисского ТЮЗа Отари Багатурия, сейчас он как режиссер и драматург помог Валмиерским актерам создать историю не только про одиноких стариков и пасынков судьбы, но про нас всех. Про наше недавнее прошлое, которое перевернуто и исковеркано эпохой „дикого капитализма“, про наше шаткое сегодня и еще более шаткое и непредвидимое будущее.

На первый взгляд это свободно выстокный спектакль – притча...

...Интонация спектакля горька и пронзительна, и в нем гораздо больше правды о нашей действительности, чем хотелось признаться. Достойное и нужное произведение театра“.

Хенриета Верхоустинска

●●●●- 4

1959 წლიდან ერთად ვართ. მე და ოთარი ჯერ კურსელები ვიყავით, შემდეგ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მუმუშასთან, ერთად მივედით. ბევრი სპექტაკლი ვითამაშეთ ერთად... ოთარი ძალიან თბილი მსახიობია, მსიამოვნებდა მასთან ერთად სცენაზე თამაში. ძალიან მომწონდა „ქამუშაძის გაჭირვება“-ში. ბოლო სცენა — სადაც ლევანი კვდება ისე თამაშობდა, ისეთი თბილი და მართალი იყო, რომ მეც ძალიან განვიცდიდი და ყოველთვის მსიამოვნებდა ამ სცენაში მისი პარტნიორისა და მასთან თამაში. სპექტაკლებში კი ერთად ვიყავით დაკავებული (ძირითადად მუმუშასთან), მაგრამ უშუალოდ სცენები არ მქონია ოთართან. რეპეტიციაზე კი ყოველთვის ვუყურებდი და შემიძლია ვთქვა — ჩამოყალიბებული მსახიობი იდგა სცენაზე. ერთი ამბავი გამახსენდა: ერთხელ ახალი პალტო ვუყიდე მუმუშას და სადლაც ერთად ექიფათ... ნასვამებს ოთარს და ირაკლი ხიზანიშვილს დაუწყიათ ერთმანეთთან კამათი არა მე უფრო მიყვარს მუმუშა, არა მეო. იმდენი აჯაჯგურეს, რომ პალტოს სახელო მოაგლიჯეს, რომ ვნახე გავგიუდი, ოთარი არ დამენახოს-მეთქი... ასე იყვნენ შეთამაშებულები ერთმანეთთან...

დიდი მადლობა ოთარს, რომ ასე ყურადღებიანი არის მუმუშასადმი და ყოველთვის საშუალება თუ მიეცა იხსენებს ხოლმე და ვერძნობ როგორ პატივს სცენდა ისე განიცდის... როცა იხსენებს — ნერვიულობს... მამაჩემი რომ დაინახავდა ოთარს ისე უხაროდა, ძალიან უყვარდა... ჩვენთან ხშირად იყო ხოლმე ჩვენ ოჯახებით ძალიან ახლობლები ვიყავით.

შოთა ქრისტესაშვილი

მოზარდ მაყურებელთა თეატრის 50 წლის იუბილეზე სხვადასხვა სპექტაკლებიდან ნაწყვეტებს ვთამაშობდით. ბუნებრივია, ვლელავდით სცენებს შორის, დროის სიმცირის გამო კოსტუმებს ძალიან სწრაფად ვიცვლიდით. არასდროს დამავიწყდება თავად მისახედი როგორ მეხმარებოდა, ზრუნავდა ჩემზე — მის კოლეგასა და მეგობარზე. ოთარი დიდი ბუნების ადამიანია, საოცრად თბილი და კეთილი. ნამდვილი პროფესიონალი. მის მიერ შესრულებულ როლებს მრავალი წლის შემდეგაც აღტაცებით იხსენებს მაყურებელი, მაყურებელი, რომლის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ოთარ ბალათურია უშუალო მონაწილეა თეატრის თანამედროვედ გარდაქმნაში. ეს კი, მოგეხსენებათ, იოლი არ იყო. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანია. ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როცა ბოლო წლებში მის მიერ შექმნილ პიესებს დიდი ნარმატება ხვდა წილად. ვერ ვმაღლავდი აღტაცებას, როდესაც ოთარის მიერ დადგმულ სპექტაკლებს ვესწრებოდი, საოცარი სიამაყის განცდა მიპყრობდა, რადგან ამ შემოქმედების ავტორი ჩემი მეგობარი, ნიჭიერი ქართველი არტისტი — ოთარ ბალათურია გახლდათ.

მჯერა, კიდევ ბევრს მოასწრებ ოთარ!

ახალგაზრდა თეატრის არტისტი ყველაზე გვიან ბერდება!

გილოცავ შენი სახელობის ვარსკვლავის გახსნას, ამ დღეს ყველა ერთად ვიქენებით.

ნინო ჩიტაიშვილი

„ცეცხლს მთელი პრერია გადაუწვავს სერ“ — ამ სიტყვებით და კოვბოური ქუდით მახსოვხართ „უთავო მხედრიდან“. ის, რომ პრერიაც ცეცხლს გადაუწვავს, როცა გაგიცანით და ბევრი ვიცინე. თქვენთან როგორც რეჟისორთან ორი სპექტაკლი გავაფორმე და აღმოვაჩინე, რომ სტუდენტებსა და თქვენს კოლეგებს თეატრში ძალიან უყვარსართ.

ახლა თეატრის წინ თქვენი სახელობის ვარსკვლავი იხსნება, მეც ვუერთდები თქვენი ახლობლების სიხარულს და გილოცავთ დიდი სიყვარულით და მომავალი პრემიერების მოლოდინით!



ოფია იოსელიანი,
ლილი ჭურაუთაშვილი,
დათო ტურაშვილი

დათო ტურაშვილი

ვიცი რომ ბატონ ოთარ ბალათურიას ვარსკვლავი უნდა გაუხსნან მშობლიური თეატრის წინ და ისიც ვიცი, რომ ამის გამო, ბატონ ოთარს ელიმება კიდეც, რადგან მან მშვენივრად იცის, რომ ვარსკვლავის ადგილი ცაშია და არა მიწაზე.

ცაზე ვარსკვლავი კი, ალბათ ნებისმიერ ადამიანს აქვს დღიდან მისი დაბადებისა და ვარსკვლავებიც ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ადამიანები. თუმცა ჩემი მოკრძალებული აზრით, ბატონ ოთარ ბალათურიას ვარსკვლავი, ძალიან განსხვავდება ძალიან ბევრი ვარსკვლავისგან, რადგან თვითონ ბატონი ოთარ ბალათურია, მართლა სხვა ადამიანია. ზემოთქმულში ყველა დამეთანხმება, ვინც ბატონ ოთარს პირადად იცნობს და ვინც მას იცნობს, მგონია, რომ ყველას ჩემსავით უყვარს ეს კეთილი და ტკბილი კაცი. ოთარ ბალათურიას, ძალიან ბევრი განსხვავებული როლი აქვს შექმნილი კინოსა და თეატრში, მაგრამ მე ყოველთვის ერთი ძველი ქართული ზღაპრის ყველაზე კეთილ პერსონაჟს მაგონებს ბატონი ოთარი და ვისაც იგი არ უნახავს სცენაზე და ეკრანზე, მისი საოცარი ხმა მაინც

მოუსმენია. ყველაზე უცნაური ის არის, რომ თვითონ ის ძველი ქართული ზღაპარი, უკვე აღარ არსებობს (როგორც ის ტკბილი საქართველო) და იმ ზღაპრიდან, მხოლოდ მისი მთავარი პერსონაჟი შემორჩა, რომელსაც ოთარ ბალათურია ჰქვია...

P.S. სხვათა შორის, გარდა იმისა, რომ ბატონი ოთარი, შესანიშნავი მსახიობი, პედაგოგი და რეჟისორია, შესანიშნავი პიესების ავტორიც არის და ამიტომაც ის იქნება პირველი ქართველი მწერალიც, ვისაც ვარსკვლავს გაუხსნიან...

გიგა ჯაფარიძე

ნიჭიერ კაცთან მუშაობა, ალბათ ყველასთვის სასურველია და მით უმეტეს, მსახიობისთვის.

და თუ ამ ნიჭიერებას თანდაყოლილი ღირსების გრძნობა, შინაგანი თუ გარეგნული ძლიერება, მსახიობის ოსტატობის ზედმინევნით ცოდნა, ღრმა პატივისცემა ჩვენი დიდებული საქმისა (არ მინდა უცხო სიტყვა „პროფესია“ ვიხმარო), თავგადაკლული შრომისმოყვარეობა და რაც ყველაზე მთავარია — შენი გამარჯვებით, შენი სიხარულით გახარების ნიჭიც თან ახლავს, მაშინ ასეთ ადამიანთან მარტო მუშაობა კი არა, ყოველი შეხვედრა ბედნიერებაა.

ოთარ ბალათურიაზე მოგახსენებთ — უკაცრავად — ბატონ ოთარზე, რომელთანაც ორ სპექტაკლში მომინია მუშაობამ და თამამად შემიძლია ვთქვა, ის სიხარული, რასაც მათი თამაშის დროს განვიცდიდი სრულიად განსხვავებულია ჩემს ცხოვრებაში.

სამშობლოს უანგარო სიყვარულის გრძნობით ბომბივით დამუხტული მაგნიტივით იტაცებს მსახიობისგან მონოდებულ ეროვნულ ბგერას, ულამაზეს მუსიკად უბრუნებს მას და აღფრთოვანებულ მაყურებელს ათქმევინებს: „ერთ საათში როგორ ჩატიერ საქართველოს ოთხი ათასწლოვანი ისტორიაო“.

საქართველოს რამდენიმე კუთხეში მოგვინია ბატონი ოთარის სპექტაკლებით მაყურებელთან შეხვედრამ და ტაშის გრიალის, სიხარულის ცრემლის, სამშობლოს სამსახურისთვის გადახდილი უამრავი მადლობის განძით დატვირთულები ვპრუნდებოდით და ვპრუნდებით ყოველთვის შინ.

ეს გახლავთ იდეის ავტორი, მსახიობი, რეჟისორის, მხატვრისა და მუსიკალური ხელმძღვანელის ერთ სულ და ერთ ხორც ყოფნის ულამაზესი მაგალითი.

ულრმესი მადლობა ბატონი ითარ თუნდაც მარტო იმისთვის, რომ ჩვენმა ერთობლივმა ნამუშევარმა, რომელიც ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავს მივუძღვენით გაიმარჯვა და უზარმაზარი სიხარული მოგვიტანა. ალბათ ეს ის განსაკუთრებული სიხარულია, რომელიც ძვირფასი ბეჭედივით ამშვენებს შემოქმედი ადამიანის მიერ განვლილ გზას.

ადამიანი მოკვდავია და არ შეუძლია გადაიხადოს იმ სიხარულის სამაგიერო, რაც თქვენ ქართველი მაყურებლისთვის მიგინიჭებიათ — თუ, რა თქმა უნდა, ღმერთმა არ უშველა.

მადლობა!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ანა მატუაშვილი

ყველაზე უმთავრესი, რაც მინდა რომ გითხრათ, ალბათ, ისაა რომ ძალიან მიყვარხართ.

ყველაფერი დაიწყო მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან. იმ დროიდან, როცა ჯერ არ ვიცოდი საით გადაიხრებოდა ჩემი პროფესიული არჩევანი. „ამიკო“ — ეს იყო სპექტაკლი, რომლითაც შეგიყვარეთ და გაგიცანით, როგორც მაყურებელმა. მართლაც რომ დაუვიწყარი იყო შთაბეჭდილება.

საოცარი იუმორი, რომელიც მის ყველა სპექტაკლს განუმეორებელს ხდის და სიმსუბუქე ყველაზე სევდიანი სიუჟეტის მიუხედავად და ადამიანური შეგრძნებები, რომელმაც ასე მომხიბლა მაშინ, მალე ჩემთვისაც ახლობელი გახდა, რადგან წლების შემდეგ ყოველივე ამის ერთ-ერთი მონაწილე მეც გავხდი.

ჩემო ძვირფასო ბატონო ოთარ, მაღლობელი ვარ იმ ბედნიერი და სასიხარულო, შემოქმედებითი შეხვედრისათვის რასაც სპექტაკლი „ჭურში“ ჰქვა. ყოველთვის მნიშვნელოვნად დარჩება ჩემს შემოქმედებაში თქვენი კვალი და თქვენს სპექტაკლებში განსახიერებული ის როლები, რომელთა არსებობაც არასოდეს მიეცემიან ჩემში დავიწყებას.

მინდა გისურვოთ, კიდევ, მრავალი შემოქმედებითი წარმატება, რომლის მოზიარეც მუდამ ვიქნები.

გილოცავთ ამ დიდ ბედნიერებას, რასაც ხალხის სიყვარული ჰქვია.

ნაირა გელაძე

დღეს არაჩვეულებრივი დღეა და „შევთანხმდეთ“, რომ ჩვენ ყველანი ძალიან ნიჭიერები ვართ. ამ სიტყვებით იწყებს ბატონი ოთარი რეპეტიციას. „ნიჭიერი“ — ეს სიტყვა სწორედ მას ესადაგება.

მსახიობი? — მაყურებელმა ის კარგა ხნის წინ ალიარა.

დრამატურგი? — მასზე ალბათ კიდევ ბევრს დაწერენ კრიტიკოსები.

რეჟისორი — მიყვარს მასთან მუშაობა, თან ძალიან ვლელავ. მან იცის თავისი საქმე და მენდობა, არც მე მინდა რაიმე შემაშალოს.

ბატონ ოთარს პირველად მაშინ შევხვდი, როცა „დარისპანის გასაჭირს“ დგამდა მოზარდ მაყურებელთა თეატრში (მაშინ ასე ერქვა ჩვენს თეატრს), პელაგია უნდა მეთამაშა. ძალიან ვლელავდი, ეს ჩემთვის პირველი სერიოზული როლი იყო. ხმის ამოღების მეშინოდა, მაგრამ რას ვიზამდი, პიესა მართასა და პელაგიას სცენით იწყება. ასე დაიწყო რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობა.

შემდეგ... შემდეგ ქართული სიტყვა. ბატონი ოთარი თვითონაც ხომ ქართული სულით არის გაულენთილი. მისი ყველა ნამუშევარი: პიესა, ინსცენირება თუ სპექტაკლი მაყურებელში ეროვნული ლირსების და თვითშეგნების, ქვეყნის სიყვარულსა და პატრიოტიზმს უდავოდ შეუცვლელ მაგალითს იძლევა. ის ეძებს და პოულობს, პოულობს იმას, რაც შეიძლება სხვისთვის მანამდე უმნიშვნელო იყო, მისგან ნათქვამი კი სხვა ღირებასა და მნიშვნელობას იძენს. თითქოსდა უმნიშვნელო იყო, მოკრძალებული „ლიტერატურული თეატრი“, მაგრამ ბატონი ოთარისთვის უმნიშვნელო არაფერია, როდესაც ის ქართულ სიტყვას ეხება. „იავნანამ რა ჰქმნა?“ პირველი სპექტაკლი. ბატონი ოთარი ჩვენთან ერთად თხზავდა ინსცენირებას პირდაპირ რეპეტიციებზე. ამბავი ამ გენიალური ნაწარმოებისა დრამატულია, მაგრამ ბატონი ოთარის იუმორისა და ფანტაზიის წყალობით ისეთი გატაცებით ვმუშაობდით, რომ უდავოდ კარგი სპექტაკლი გამოვიდა. შვიდი წლის წინ დადგმული სპექტაკლი დღესაც დიდი ნარმატებით აცინებს და ატირებს მაყურებელს.

რეჟისორი, რომელსაც უყვარს მსახიობი, აი კიდევ ერთი მისი ღირსება. თვითონაც ხომ კარგი მსახიობი იყო.

ერთ-ერთი რეპეტიციის დროს გადაღებულ ფოტოებს ვათვალიერებ და გაოცებული ვარ — ჩვენ სცენაზე, ის კი პარტერში თამაშობს ჩვენთან ერთად.

„ლიტერატურული თეატრი“ საბავშვო თეატრია. ბატონ ოთარს ძალიან უყვარს ბავშვები და მისი ყოველი სპექტაკლი სწორედ მათთვისაა: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „მამაშვილობა“, „გრაგნილი“. ეს ჩამონათვალიც კი საკმარისია რიგითი მოკვდავისთვის სახელის დასატოვებლად. მხოლოდ ქართული ნაწარმოებები. სწორედ ესაა „ლიტერატურული თეატრის“ ხიბლი.

ბატონ ოთართან მუშაობა ერთგვარი ფეიერვერკია, ნიუანსებით აგებს სპექტაკლს. არასდროს გზღუდავს. ისე გაძლევს ამოცანას და ისე გაკეთებინებს, რომ გგონია,

ეს შენ მოიფიქრე, შენ შეთხზე. ჩვენ შორის ხშირად ასეთი დიალოგი იმართება: მე გამოვდივარ სცენაზე თავჩაღუნული და დაბალი ხმით:

- ბატონი ოთარ...
- რა გინდა, არ მესმის რას ბუტბუტებ.
- იცით, იქნებ აქ... — არ მამთავრებინებს..
- გააკეთე, რა გინდა, მაჩვენე.

მე ვაჩვენებ და მერე... მერე... მისი ფანტაზიით და იუმორით გიმატებს და გაშენებინებს როლს ისე, რომ გგონია, ეს შენ მოიფიქრე.

ამთავრებ რეპეტიციას და ხვდები, რომ ტყუილად არ დაიხარჯე, ხვდები, რომ შენს ნაფიქს პატივს სცემენ, გრძნობ, რომ დიდი სითბო წამოიღე, სითბო შემოქმედებისა, რომელიც შენს შემოქმედებაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფურცლად იქცევა, ფურცლის თანაავტორი კი ბატონი ოთარ ბალათურიაა.

მე ვიცი, რომ ბატონი ოთარი კიდევ დიდხანს გაგვანებივრებს თავისი შემოქმედებით. მე ვიცი, რომ ჩვენ ბევრჯერ მოგვიწევს ერთად მუშაობა და კვლავ გაჟღერდება მისგან მოფერებული ქართული სიტყვა.

გუბაზ მეგრელიძე

ოთარ ბალათურია მოზარდ მაყურებელთა თეატრის გამორჩეული მსახიობია. იგი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე ამ თეატრის ერთგული დარჩა და დიდ შემოქმედებით წარმატებებსაც მიაღწია. მისთვის მთავარი როლის შინაგანი სამყაროს გახსნა და გმირის სრულყოფილად წარმოჩენაა, რომ მაყურებელს თავისი სათქმელი უთხრას, რაც მისი პირველული თვისებებიდან გამომდინარეობს. იგი ყოველ როლზე დიდი პასუხისმგებლობითა და თავდადებით მუშაობს, რაც მაღალმხატვრული სახე-ების შექმნაში გამოიხატება. ამიტომაც მაყურებლის ყურადღებასა და სიყვარულს იმსახურებს.

მის მიერ შექმნილ სხვადასხვა ჟანრის სახეებში: უფლისნული („კონკია“), გურამი („სადა ხარ სოფიკო!“), ლევანი („ქამუშაძის გაჭირვება“), ლიონელი („ორლეანელი ქალული“), დუდნიკოვი („კიკვიძე“), ქალაქის მერი („სიმონა მაშარის სიზმრები“), მინაგო („ჩვენებურები“) და კიდევ უამრავ როლშიჩანს მსახიობის პროფესიონალიზმი, პერსონაჟისარამარტოგანსახიერების, არამედ მისი ცხოვრების ეულიდანიშნულების ამოცნობის სურვილი. ამას ემატება მსახიობის პლასტიკა, გამომსახველობის მრავალფეროვანი საშუალებები, ემოციურობა, ტემპერამენტი და დახვეწილი მეტყველება, რაც მის ინდივიდუალობას განუმეორებელს ხდის.

ოთარ ბალათურია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეულ როლს იქნება ეს მთავარი თუეპიზოდური სახეები, რომლებშიც აქსოვს მთელ თავის შესაძლებლობებს და ავლენს მათ დრამატულ თუ კომედიულ, ანდა ლირიკულ არსს, წარმოსახავს გმირთა განცდებსა და ტკივილებს, რომლებიც ბუნებრივად ცხოვრობენ სცენაზე და თავის დამოკიდებულებებს ავლენენ სხვა პერსონაჟებისა და გარესამყაროსადმი, რითაც მსახიობი გმირებს განზოგადებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომაც, არც ერთი პერსონაჟი ერთმანეთს არ ჰგავს და ყოველთვის სიახლით, მოულოდნელი გადაწყვეტითა და მუდმივი ძიებებით ხასიათდება.

ოთარ ბალათურია არა მარტო როლის შემსრულებელი, არამედ რეჟისორის თანამოაზრეცაა და ზუსტად გადმოსცემს სპექტაკლის ჩანაფიქრსა და გამოკვეთს დამდგმელის ხელწერას. ამის მაგალითია გოდუნის სახე შ. განერელიას სპექტაკლში „რღვევა“, სადაც ეს სახე სრულიად ახლებურად იქნა გააზრებული. თუ ბ. ლავრენიოვის პიესაში იგი მორიდებული ადამიანი და კეთილშობილი რევოლუციონერია, სპექტაკლში მსახიობი ქმნიდა გმირის მოურიდებელ, უხეშ და დაუნდობელ თვისებებს. მისი მეტყველების ტონი თავიდანვე მომთხოვნი და მკვახე იყო, იგრძნობოდა, რომ იგი ბერსენევების ოჯახში ძალიან თავისუფლად

გრძნობდა თავს. გამომწვევად იქცეოდა და არაფრის არ ერიდებოდა. თუ პიესაში გოდუნი პატივისცემით ეპყრობა კაპიტანს, სპექტაკლში პირიქით ხდებოდა — იგი ჭკუის დამრიგებელი ტონით მიმართავდა ბერსენევსა და მის გარშემომყოფთ. იგი გრძნობს რევოლუციით მოახლოვებულ უპირატესობას და ძალის დემონსტრირებას მაქსიმალურად ცდილობს. პიესაში გოდუნი რიგით მეზღვაურებთან გულისხმიერი ადამიანი და მეგობარია, სპექტაკლში იგი მომთხოვნ და მკაცრ პიროვნებად ნარმოგვიდგება, რომლისთვისაც შენყალებისა და სენტიმენტალური გრძნობები უცხოა. ამიტომაც აღიქმებოდა გოდუნი მომავალი 30-იანი წლების რეპრესიების ერთ-ერთ ერთგულ ჯალათად და მსახიობი მთელი ძალით ნარმოაჩენდა რევოლუციის ტრაგიკული შედეგის პერსპექტივას.

მსახიობიყოველებისგარეშენარმოადგენდამურტალოსნ. დუმბაძის პიესაში „კუკარაჩა“. მისი ცხოვრებისეული კრედო კარგად ჩანდა დაუნდობელ ხასიათში, რასაც ოდნავ ირონიული ტონი უფრო ამძაფრებდა. ერთი შეხედვით, ამაყი და შეუდრევები მურტალო, კუკარაჩას მოულოდნელი სტუმრობისას უმწეო ქურდად იქცეოდა, საკუთარ ლირსებაზე აღარ ფიქრობდა და თავის გადასარჩენად მოწყალედ უნვდიდა ბორკილიან ხელებს მისთვის საძულველ მილიციელს. ო ბალათურიას გმირი კარგად ერკვეოდა შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში და მიზნის მისაღწევად არავითარ საქციელს არ ერიდებოდა. სამაგიეროდ, შეუვალი ხდებოდა კუკარაჩასათვის სამაგიეროს გადახდის სცენაში, რომლისთვისაც დიდი ხანია ემზადებოდა და თავის შანსს ხელიდან აღარ უშვებდა.

ოთარ ბალათურიას შემოქმედებითი დიაპაზონი მხოლოდ მსახიობობით არ ამოიწურება. მან რეჟისორიც სცადა ბედი და სპექტაკლ „კუკარაჩაში“ შ. განერელიასთან ერთად მუშაობდა. ახლახანს კი, ეს სპექტაკლი აღადგინა და დამდგმელი რეჟისორის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა. მანვე დადგა ახმეტელის თეატრში თავისავე პიესა „მეფე ლირი თავშესაფარში“, რომლის მოქმედებაც თანამედროვე საქართველოში მოხუცთა თავშესაფარში მიმდინარეობს. სპექტაკლმა, თავისი აქტუალობით, საინტერესო რეჟისურითა და სამსახიობო მიღწევების გამო, თეატრალური საზოგადოების პრემია დაიმსახურა. ასეთივე აღიარება მოუტანა ავტორს პიესამ „ამიკო“. აღსანიშნავია, რომ ორივე პიესა საქართველოს რამდენიმე თეატრში ნარმატებით განხორციელდა.

რეჟისორმა ო. ბალათურიამ ქართულ ფოლკლორზე დაყრდნობით, პატრიოტულ თემაზე აგებული კომპოზიცია „ჭურში“, საინტერესო სპექტაკლად აქცია. მასში ერთმანეთს ენაცვლება სიმღერა, ლექსი და ცეკვა. მოქმედება თანადროულობიდან ისტორიულ წარსულში გადადის და უკანვე ბრუნდება, რასაც აერთიანებს ქართველი ერის გმირული წარსულის, პატრიოტული სულისკვეთების ჩვენება და სადღეისოდ ამ ეროვნული სულის დაკინინების პროცესი. აქ ერთმანეთს ენაცვლება ქართველი კაცის ადათ-წესებისადმი და ტრადიციებისადმი პატივისცემა, დალბინებისა და შეჭირვების უამს ქედეუბრელობა და მომავლის რწმენა.

ოთარ ბალათურიამ თავისი შემოქმედებით მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა, რაც ყველაზე დიდი ჯილდოა მსახიობისთვის და არც საზოგადოებრივი აღიარება დაკლებია. იგი არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, არაერთხელ გამხდარა წლის საუკეთესო მსახიობი, რასაც მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავის გახსნაც ემატება და სრულიად დამსახურებულად არის ამ კოლექტივის ისტორიის განუყოფელი ნაწილი, ერთ-ერთი ლიდერი ხელოვანი და გამორჩეული პიროვნება.

აივენგო შელიძე

ოთარ ბალათურია - მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი... (კიდევ კარგი მხატვრობა არ ეხერხება, თორემ დავრჩებოდი უმუშევარი.) მე ხომ მასთან 12 სპექტაკლზე ვიმუშავე და შემიძლია თავი მის მუდმივ მხატვრად ნარმოვიდგინო.

ჩვენი პირველი შემოქმედებითი კონტაქტი 1991 წელს შედგა, როდესაც შალვა

გაწერელია დგამდა ირაკლი სამსონაძის შესანიშნავ პიესას „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“, სადაც ოთარი გიორგის - ცხოვრებაში ხელმოცარული კაცის როლს ასრულებდა. სპექტაკლში ბრწყინვალე მსახიობები მონაწილეობდნენ და ოთარი ერთ -ერთი საუკეთესო იყო. დანამდვილებით ვერ ვიტყვი რამ აიძულა ოთარი უარი ეთქვა მსახიობპაზე (იქნებთავის სათქმელს ბოლომდე ვერ ამბობდა ან შალვა გაწერელიას თეატრიდან წასვლის მერე ურეუსოროდ დარჩა) და რეჟისორობა დაეწყო.

ჩვენი ერთობლივი ნამუშევარი იყო დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. შემდეგ მას მოჰყვა ათარის მიერვე ინსცენირებული ტენდრიაკოვის „ბანკეტი“. მისი სარეჟისორო დებიუტი წარმატებული გამოდგა, თუმცა იგი ამით არ დაკმაყოფილდა და თავი ახლა დრამატურგიაში სცადა. მალე მისი პირველი პიესა „ამიკო“ იხილა მაყურებელმა. სპექტაკლი არავის ტოვებდა გულგრილს, იყო გაჯერებული იუმორით, თუმცა საერთო ატმოსფერო ტრაგიკული იყო. განსაკუთრებით მთამბეჭდავი იყო ფინალი, როდესაც ოჯახი იშლებოდა, ამიკო კვდებოდა და მამაპაპისეული სახლი მტვრად იქცეოდა.

ამიკოს მოჰყვა „მეფე ლირი თავშესაფარში“, რომელიც რამდენიმე თეატრში დავდგით. პიესაში ცხოვრებისგან გარიყული ადამიანების ბედია ასახული. თუმცა ოთარს აქაც არ ღალატობს იუმორი.

წარმოდგა ათარის მოლვანეობა ახმეტელის თეატრში, სადაც მან განახორციელა ქართულ ფოლკლორზე შექმნილი სპექტაკლი „ჭურში“ და „ვაჟა-ვაჟა ფშაველას ცხოვრების ახლებურად გააზრების წარმატებული ცდა. ვაჟა ფშაველას მოთხოვნის მიხედვით შექმნილი სათაგური დღემდე იდგმება მოზარდ მაყურებელთა თეატრში და პატარა მაყურებლის სიყვარულით სარგებლობს.

იმედი მაქვს, რომ კიდევ ბევრჯერ მომიწევს ოთართან თანამშრომლობა. განსაკუთრებით ველოდები მის ახალ პიესებს.

ზურაბ ლომიძე

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ვაჟკაცობით, კაცურკაცობით, ქართველობით, ცხოვრების წესით, პროფესიონალიზმით სხვებისთვის სამაგალითონი არიან. ჩემთვის ასეთთა რიგშია ჭეშმარიტად გამორჩეული ხელოვანი, მსახიობი და რეჟისორი ბატონი ოთარ ბალათურია, რომელმაც საკუთარი პიროვნული და შემოქმედებითი ხელწერით სრულიად დამოუკიდებელი ხელი გაავლო ქართული თეატრის ნაყოფიერ ნიადაგში.


ზუსტად არ მახსოვს, როდის გავიცანი ბატონი ოთარი, ალბათ როცა 80-იან წლებში მისმა მეუღლემ ქალბატონმა ლილი ბურბუთაშვილმა თელავის თეატრში ოტია იოსელიანის „ცეცხლთან თამაში“ დადგა, სადაც მე წილად მხვდა ჯიბოს როლი მეთამაშა. ოთარ ბალათურიამ მაშინათვე დამამახსოვრა თავი საკუთარი ინტელიგენტური, მოკრძალებული და პროფესიული დამოკიდებულებით და ისე შეაფასა ჩემი ნათამაშები როლი და იმგვარი სასარგებლო რჩევები მომცა არც ერთი წამით არ უგრძნობინებია, რომ ის გამოცდილი ოსტატი იყო და მე ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელი მსახიობი.

მას მერე ბევრმა დრომ განვლო და ორი წლის წინ ბატონი ოთარი როგორც უკვე დამდგმელი რეჟისორი, ისე მოევლინა ჩვენს თეატრს და ვაჟა-ფშაველას საახალწლო ზღაპარი „სათაგური“ დადგა. აქ პაპა ესტატე ვითამაშე, რადგან წლებმა თავისი მოიტანა და მეც პაპის ასაკს შევეთამაშე. დღეს მე და ბატონი ოთარ ბალათურია უკვე მეგობრები ვართ და მეამაყება, რომ მისი თანამედროვე მქინა, რომ მაქვს ბედნიერება დღესასწაული მივულოცო და ვოცნებობ კვლავ არა ერთხელ შევხვდეთ სათეატრო სცენაზე, სადაც ის როგორც შემოქმედი საკუთარ ფანტაზიას, ცოდნასა და ნიჭს გულუხვად თესავს. გილოცავთ, ბატონო ოთარ! იხარეთ, იმრავლეთ, დიდხანს ჯანმრთელად გვიმყოფოს თქვენი თავი ქართული თეატრის დიდ ოჯახს, თქვენს ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებშიც მეც მეგულება ჩემი პატარა მოკრძალებული ადგილი.

ეს ცალწერა თემურ ჩხეიძემ გააკეთა მის მიერ დადგმულ „შვიდფერა ყვავილის“ პრემიერის შემდეგ.

აცლა რატომ „ცისპარაულების გულევ“...

მე და ჩხეიძე მოვდივართ რუსთაველზე, მოსხავლე გოგონებია დაგვინახეს და ჩურჩულებები: „ცისპარაულების გუდე... ცისპარაულების გუდე...“ — სპეცტაკლი იყო ასეთი, საღაც მთავარ როლს ვთავაშოგდი... ეს ის პერიოდია „გეროი“ ლუპოვნიკიებს რომ ვთავაშოგდი... ამ სპეცტაკლში კი ვიწოდი მერქვა, 5 ცლის ჰავვას ვთავაშოგდი... ხო კაია?..



თემურ ჩხეიძე

ჩვენ პრაქტიკულად ინსტიტუტში გავიცანით ერთმანეთი. ასე ვთქვათ, ურთიერთსიმპატია უფრო ადრე გაგვიჩნდა, ვიდრე შევხვდით მუშაობაში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სამი წელი დავყავი. ყველაზე მეტად ამ პერიოდში ვიგრძენი რამოდენიმე ადამიანის და განსაკუთრებით ოთარის დამოკიდებულება — რომ აი რა როლი უნდა მიმეცა, რა მცირე თუ დიდი ყოფილიყო ერთნაირი მონდომებით, მობილიზებით, გულისყურით ეკიდებოდა ახალგაზრდობაშიც და შემდგომ საერთოდ ცხოვრებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. როდესაც გრძნობა, რომ ნიჭიერი მსახიობი ყოველმხრივ მობილიზებულია, ზედმეტი სიტყვის გარეშე, ზედმეტი ხაზგასმის გარეშე გრძნობა, რომ ეს კაცი ის კი არაა, რომ შენი მსახიობია, ამას ნუ დავიჩიებთ ნურც ერთი (ჩემი, შენი — არ არსებობს). ის, რომ გეგულება, კაცი და შეგიძლია არ მოიხედო იმ მხრივ, რომ აის რაც შეუძლია იმის მაქსიმუმს გააკეთებს. ეს ძალიან კარგი გრძნობაა და აუცილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამოდის არაფერი. რეპეტიციაზე რომ შედიხარ რამოდენიმე ასეთი კაცი რომ გეგულება, ისეთ ძალას გმატებს, ფასდაუდებელი გრძნობაა.

დღევანდელი გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, ჩვენ ერთდროულად ვიყავით ერთმანეთის მონაფებიც და მასწავლებლებიც. ჩვენ ხომ ფაქტობრივად ერთმანეთისგან ვსწავლობდით. ეს საინტერესო მდგომარეობაა მონაფე-მასწავლებლური, როდესაც ორივე თვისება ერთ პიროვნებაშია. საერთოდ, ჩვენ თაობას ეს ასეც ჰქონდა. მოზარდიდან წამოსული ვიყავი ოთარს „მარადისობის კანონში“ ბულიკას როლი რომ შევთავაზე. ერთი შეხედვით, ეს სახასიათო როლი იყო. ვატყობდი, გაკვირვებულნი იყვნენ — რა შეუძია ბალათურია? მაგრამ მე პირადად, კმაყოფილი დავრჩი მასთან მუშაობით, იმ პროცესს, რისთვისაც ავიყვანე არაჩვეულებრივად გაართვა თავი.

ოთარი ასე ჩუმად, თავჩალუნულად, თავჩაქინდრულად აკეთებდა და აკეთებს ჯიუტად საქმეს. ჯერ შალვა განერელიას ასისტენტი იყო, ნელ-ნელა თავისი სპექტაკლები დადგა, ბოლოს — დრამატურგობა დაიწყო. ვფიქრობ, შეგიძლება მეშლება და მაპატიოს მაშინ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს. სულ რაღაცის ამოთქმა უნდა. როგორც ჩანს, გამოსდის, მისმა ორმა პიესამ პრიზებიც მიიღო. მე მგონი, სანამ ეს აზარტი და უინი აქვს არ დაბერდება, ეს გაუხანგრძლივებს ცხოვრებას.

შალვას და ოთარის ურთიერთობა გაცილებით პროდუქტიული იყო. შალვასგან მეტი რამ მიიღო როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად, ვიდრე ჩემგან. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ ეს შალვაა...

ოთარი უჩემოდ ჩამოყალიბდა, გაიზარდა და მე მოხარული ვარ. იმ წლებს, რაღაცა ისეთს სათუთა ჩვენ ჩვენს თავში ვუფრთხილებით. თითქოს მეშინია, რომ არ დავაფრთხოთ ის რაღაცა გრძნობა.

ოთარს კიდევ ერთი თვისება აქვს. მე მესმის, რომ ძალიან ბევრი იტყვის მასზე — გამორჩეულად სანდო პიროვნებაა. ბრმად შეგიძლია ენდო ყველაფერში და არცთუ ისე უსაფუძვლოდ.

ჩემდა სამწუხაროდ, მთელი რიგი როლებისა არ მინახავს. ძალიან მომწონდა შალვასთან „რღვევაში“, „მოკვეთილში“, „კუკარაჩაში“. მიუხედავად იმისა, რომ მე დავდგი და სხვანაირად, მაგრამ მე ეს არ მიშლის ხელს.

ოთარს ვუსურვებ ჯანმრთელობას. მე ვიცი, იმდენი გეგმა ექნება, იმდენი ჩანაფიქრი, რომ ხინჯად არ დარჩება გულში და განახორციელებს. დანარჩენი ჩვენს ხელთ არის. არც ეს არ არის ჩვენს ხელთ — ჯანმრთელობა, მე იმედი მაქვს, რომ ჯანმრთელობაც ექნება და ენერგიაც ეყოფა.

არეს-კლუბის პილები აცეურში



არეს-კლუბის პილები: ფიქრია ჩიხრაძე, ბაია გრიგალაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი, ნანა ბოჭჩავა, თემო ისაკაძე, ლელა ჯაფარიძე (დედა მარიამი)...

ჩვენი ბატონი ოთარი – ჩვენი ოთარი!

ერთ მშვენიერ დღეს გავიცანით და, შეიძლება ითქვას, გაცნობის წამიდან დავმეგორდით. ჩვენ ვიყავით ძალიან პატარები, ისინი – ჩვენზე უფროსები, მაგრამ ახალგაზრდები (იმ ასაკში, რომელშიც დღეს ჩვენ ვართ). მათი წყალობით, ჩვენ მჭიდროდ დავუკავშირდით ქართულ თეატრს. ჩვენი წყალობით და ჩვენთან ერთად ისინი აღმოჩნდნენ უახლესი ქართული ისტორიის უკლებლივ ყველა ქარტეხილში – ლილი და ოთარი...

ოთარ ბალათურია 70 წლის ხდება. ამ პატარა წერილს მისი საიუბილეო წიგნისთვის ვწერთ. ჩვენი გაცნობა მათი ინიციატივით მოხდა. ჩვენ უკვე სტუდენტური მოძრაობის ავანგარდი ვიყავით – უნივერსიტეტის პრეს-კლუბი. ისინი ჩვენი მოძრაობის გულშემატკივრები. დაგვირეკეს და შეხვედრა ითხოვეს. პირველ შეხვედრას მალევე მეორე მოჰყვა. მერე მათთან სახლში სუფრასთან რობიკო სტურუას შევხვდით. მერე ისინი ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც ჩვენ ვიყავით. ჩვენც უკვე სულ, სულ მათთან ყოფნა ვინდოდა. ჩვენ ძალიან ბევრი უფროსი მეგობარი გვყავდა, ვისთან ურთიერთობაც ძალიან გვეძვირფასებოდა და ლილი და ოთარი მათ შორისაც გამორჩეულები იყვნენ. იმ რთულ დროს მათ ზუსტად ესმოდათ რა გვინდოდა ჩვენ და ყოველთვის ჩვენს მხარეს და ჩვენს გვერდით იდგნენ.

ოთარი ძალიან დიდბუნებოვანი, მაგრამ უაღრესად მოკრძალებული ადამიანია. ცნობილი ტყავის კეპით უნივერსიტეტის ეზოში მოსიარულე ჩვეული მორიდებით, მაგრამ ძალიან დიდი ყურადღებით რომ ისმენდა ჩვენი შეკრებების დროს ჯგუფურ საუბრებს, მოყურადებაც კი მოჩვენებიათ იქ მყოფ ადამიანებს და ამაზე ოთარი თავისი საოცარი იუმორით ძალიან ბევრს ხუმრობდა.

ჩვენც ძალიან ჩართული ვიყავით მის თეატრალურ საქმიანობაში. თავიდან თუ მისი გამორჩეული ტემბრის ხმა და ბავშვობის გმირები გვიყვარდა, მერე და მერე ჩვენ ვიყავით მისი ახალი დადგმების იდეის გამზიარებლები, მისი პიესების პირველი წამკითხველები და მისი ძალიან ადამიანური სპექტაკლების გულშემატკივარი მაყურებლები.

მთელი ეროვნული მოძრაობის განმავლობაში ოთარის „ნივით“ დავატარებდით ყველანაირ აკრძალულ ლიტერატურას – პროკლამაციებსა თუ დაქსეროქსებულ წიგნებს. ოთარის მანქანით ვმოძრაობდით სახიფათო დროსა და სახიფათო ადგილებში კომენდანტის საათის დროს. ოთარის მანქანით დავდიოდით 9 აპრილის შემდგომ პერიოდში უცნაურ მისამართებზე თითქოსდა გაუჩინარებული ადამიანების საძებნელად. ოთარის მანქანით ვაცილებდით აფხაზეთის ომში მიმავალ ჩვენს ჯარისკაცებს. ოთარის მანქანა გველოდებოდა ყველგან, ყველანაირი კრიტიკული სიტუაციის დროს... ლილისთან და ოთართან თითქმის გადავსახლდით, როცა საქართველოში ყველაზე მძიმე პერიოდი იყო – როცა აღარც ტრანსპორტი დადიოდა, აღარც საჭმელი იშოვებოდა და აღარც გათბობის შესაძლებლობა იყო. საირმის ქუჩაზე მათს სამზარეულოში შეყუჟულები ვსვამდით ჩაის, მივირთმევდით „შემწვარ გოჭს“ – ასე ეძახდა ოთარი საგულდაგულოდ მოხალულ მზესუმზირას და ვმსჯელობდით, ვმსჯელობდით დაუსრულებლად. ალბათ ეს იყო ყველაზე გულითადი და მტკივნეული საუბრები ჩვენი სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე...

თითქოს ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობაც აღარ არსებობდა... თავიდან ქალბატონო-ბატონოთი მივმართავდით. მერე შიგადაშიგ – დეიდა-ბიძიათი. ბოლოს კი სახელებით... და დღემდე ასეა. კიდევ და კიდევ მრავალ წელს მისთვის დამახასიათებელი ჩუმი ლირსებით, სიმართლითა და დიდი ადამიანობით ემოლვანოს და ეკეთებინოს საზოგადოების სულისა და გულის გამათბობელი საქმე.

ჩვენ გვეამაყება მასთან მეგობრობა! ჩვენი ბატონი ოთარი, ჩვენი ოთარი.

„ბალათურიას პიჭები“

1992 წლის სიმღერის ჩათვლას კონცერტი მოჰყვა თეატრალურის სასწავლო თეატრში...

სამსახიობო ფაკულტეტის სხვადასხვა კურსის ჯგუფები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ამღერებამდე თავთავიანთი კურსებისა და ჯგუფების აღმნიშვნელ რიცხვებს ამცნობდნენ გადაჭედილ დარბაზს... ეს დადგენილი წესი იყო და არც იმ წელს გადაუხვევია ვინმეს, თუმცა...

კონცერტის ბოლოსკენ სცენაზე მხოლოდ ვაჟებისგან შემდგარი ჯგუფი გამოვიდა. მათ სოლისტი, კოტე ლეკიშვილი გამოეყო ნამით და როგორც კი, მისალმების ტაში შეწყდა მშვიდი, თბილი ხმით წარმოთქავა: „მღერიან ბალათურიას ბიჭები“...

არც ფაკულტეტი, არც კურსი, არც ჯგუფი... უბრალოდ და გასაგებად: მღერიან ბალათურიას ბიჭები...

იმ დღეს შესრულებულ არც ერთ სიმღერას არ მოუწყვეტია იმხელა ტაში, რამხელაც კოტე ლეკიშვილის, ახლა უკვე წმ. ნინოს სახელობის ტაძრის წინამდღვრის, დეკანზ კონსტანტინეს ფრაზამ დაიმსახურა მაშინ. თავიანთი ვინაობაც, ხარისხიც და ოსტატის მიმართ დამოკიდებულებაც საუცხოოდ ამცნეს იქ მყოფთ რეჟისორ ოთარ ბალათურიას სტუდენტებმა...

„მღერიან ბალათურიას ბიჭები“ - ამ წინასწარ შეთანხმებული ფრაზის გაუღერებით ჩემმა ჯგუფელებმა ის თქვეს, რომ ვამაყობდით ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორით, ღვთისგან არაერთი სიკეთით დაჯილდოებული ქართველი კაცით, რომლის შნო და თავმდაბლობაც საოცრად იხდენდნენ ერთურთს...

იმ დღიდან ისე გავიდა 20 წელი, ჩემი და ჩემი რეჟისორის გზები შემოქმედებით ასპარეზზე არ გადაკვეთილან და აგერ, სულ რამოდენიმე თვის წინ ბედის ირონიამ როლები შეგვიცვალა... მე, რეჟისორი გადასაღებ მოედანზე მსახიობ ბალა-

თურიას „გადავეყარე“...

უამრავი მკვეთრად განსხვავებული პერსონაჟი განასახიერა ბატონმა ოთარმა ამ ნაუცბათევად დაბადებულ ფილმში და მისი ოსტატობის შემყურენი ყველანი ერთხმად აღიარებდნენ: ის ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა...

მან კი „მოზარდი“ არჩია. სადაც შედგა ფეხი, როგორც მსახიობმა, იქ უერთგულა თავის ხალხსა და თავის საყვარელ საქმეს!

რატომ?

ამ კითხვის პასუხი „მხოლოდ“ ჩვენ ვიცით - „ბალათურიას ბიჭებმა“.

„ბალათურიას ბიჭები“: კახა სულუაშვილი, კოტე ლეკიშვილი (მამა კონსტანტინე), მერაბ გეგეჭკორი, გოჩა ჭრელაშვილი, ერეკლე ფანიაშვილი, რაჟდენ კერვალიშვილი, ვახო ახალაძე, დათო ბერიძე, ლაშა ოყრეშიძე.

ნონა ხუმარაშვილი

ბატონი ოთარ, უზომოდ მენატრება თქვენთან შეხვედრა და მუშაობა. თქვენ ხომ ის ბრძანდებით, ვინც საოცარი ადამიანური სითბოთი ავსებს გარშემოყოფთ. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ჩვენი თეატრის ხმის პერატორმა აღფრთოვანებულმა თქვა „ბატონი ოთარი ის პიროვნებაა, რომელსაც არასოდეს არ დავზარდები შუალამესაც კი რომ გამალვიძოს და რეპეტიციაზე გამომიძახოს.“ დღეს, სამწუხა-როდ, ძალიან განვიცდით ისეთ პირზიტიურ რესურს, რომლის მატარებელიც თქვენ ბრძანდებით, როგორც პიროვნება და როგორც შემოქმედი. სწორედ ამიტომ არის, რომ თქვენი უახლოესი მეგობარი ბატონი ალეკო მახარობლიშვილი „სიკეთით სავსე კასრს გიწოდებთ“, ეს ასეა ნამდვილად.

ბოლოს კი მინდა დიდი მადლობა გითხრათ იმ დაუვიწყარი შემოქმედებითი პროცესისათვის, რომელიც კვლავაც მინდა გაგრძელდეს და ასევე უღრმესი და უმორჩილესი მადლობა იმ საოცარი და სასწაული მასპინძლობისთვის, რომელიც თქვენმა ოჯახმა გამოიჩინა ჩემი მეგობრებისა და ჩემთვის.

გილოცავთ ჭეშმარიტად ლირსეულ დაფასებას!

**დათო როინიშვილი, გოჩა ხელსიცვერიძე, ანა კოხლეიძე,
დალი გასილაძე, ზაზა კილასონია, მანანა პერიძე, აბელ ბაძრაძე,
სულხან გოგოლეშვილი, მარინა კურთანიძე, გურამ გოგოლეძე,
მაღონა კვესელაძე, ხათუნა მახათაძე**

„სტუდენტობა საუკეთესო ხანაა ადამიანის ცხოვრებაში“... ჩვენი სტუდენტობა კი ერთიორად საუკეთესო და გამორჩეული იყო... ნამდვილად გვაქვს ამის თქმის უფლება და ამბიცია ადამიანებს „ვისაც წილად გვხვდა ბედნიერება, პროფესიული და ადამიანური თვისებები ბატონ ოთარ ბალათურიასგან შეგვეძინა.“

თეატრალური ინსტიტუტის მოლოდინით სავსე ცხოვრების კამერტონი, აღმზრდელი, პედაგოგი, ახლობელი და მეგობარი გახდა ოთარ ბალათურია პირველი შეხვედრიდან ძალიან მალე, ჯგუფის ხელმძღვანელის, მუმუშა განერელიას სიმკაცრითა და შეუვალობით დამფრთხელებს ბატონი ოთარი ნამდვილ მხსნელ ანგელოზად გვევლინებოდა ხოლმე. მან მართლაც თამაშ-თამაშით, თანადგომითა და თანამოაზრეობით გაგვატარა სამსახიობო ხელოვნების დაუფლების ყველა რთული საფეხური. შესძლო, თითოეული რეპეტიცია ზეიმად, თითოეული ახალი ნიუანსი აღმოჩენა და სრულიად ჩვენი პროფესიის სიღრმე და არსი, თეატრის შეგრძნება - სრულ საოცრებად ექცია. ერთია, იყო კარგი არტისტი და მეორე - კარგი არტისტი და პედაგოგი. გადაუხდელი ვალი გვაქვს ბატონი ოთარის, რადგან მან პროფესიული პრიორიტეტების სწორად გადარჩევა და მთავარის „ჩავლება“ გვასწავლა. ეს ის

ოქროს შუალედია, რომელმაც ჩვენ, ყველანი, არტისტებად ჩამოგვაყალიბა... ოთარ ბალათურიას წყალობით, ჯერ კიდევ სტუდენტები, ჩამოყალიბებულ არტისტებად ვგრძნობდით თავს მის მშობლიურ მოზარდ მაყურებელთა თეატრში. პროფესიული ლირსების სამაგალითოდ მატარებელი, ჩვენც გვინერგავდა განსაკუთრებულ მოწინებასა და პასუხისმგებლობას პროფესიის მიმართ. ... ასევე, ის იყო ჩვენი რენომეს განმსაზღვრელი თეატრალურ ინსტიტუტში... ჩვენი წარმატებების განმაპირობებელი... კარგად გვახსოვს „მთელი ინსტიტუტი მოდიოდა ხოლმე მოზარდ მაყურებელთა თეატრში ჩვენი ჯგუფის ეტიუდების ჩაპარებაზე. გვახსოვს აღფრთოვანებული კოლეგები, სტუდენტები... თავად მკაცრი მუმუშა განერელიას კმაყოფილების გამომხატველი უესტი თუ მიმიკა....

ოთარ ბალათურია ადამიანის საუკეთესოდ შემცნობი ადამიანია. შეუცდომლად იცოდა თითოეული ჩვენგანის ხასიათი, შესაძლებლობები, იუმორის თუ სიცელქის ხარისხი.

მეგობრობდა ჩვენთან, ცხოვრობდა ჩვენთან ერთად, ყოფილა შემთხვევა, სტუდენტურ გარჩევებში „ძმაკაცურად“ დაგვდგომია გვერდით...

ასეთი ადამიანი, ბუნებრივია, იმ მაღალი პედესტალიდან, რომელსაც სცენა ჰქვია, მხოლოდ სიკეთის მღალადებლად თუ გამოდგება... ასეთია მისი სპექტაკლები, მისი დრამატურგია, ქართული ტკივილით, ხასიათით, სულით გაჯერებული მისი პიესები, რომელთაგან ორი - „ამიკო“ და „მეფე ლირი თავშესაფარში“, წარმატებით დაიდგა მესხიშვილის თეატრის სცენაზე...

მასთან მუშაობა ბედნიერებაა, ბედნიერებაა მასთან, უბრალოდ, ურთიერთობა - განათლებული, ერუდირებული, საინტერესო მოსაუბრე, კეთილშობილებით სავსე...

ძალიან გვიხარია დღევანდელი დღე, ბატონო ოთარ, დარწმუნებული იყავით, ეს მხოლოდ ფორმალური გამოხატულებაა იმისა, რასაც დიდი ხანია თქვენ მიმართ გრძნობს მადლიერი მაყურებელი, სრულიად ქართული თეატრი... გვინდა, კიდევ მრავალი წარმატება, შემოქმედებითი მიღწევები, მართლაც ვარსკვლავური სიცოცხლე გისურვოთ დიდხანს, ძალიან დიდხანს.

ზურა ავსაჯანიშვილი

ბევრი რამ შეიძლება დაწერო ითარ ბალათურიაზე, მის შემოქმედებაზე, პროფესიონალიზმზე, საქმისადმი სიყვარულზე და საერთოდ მის ადამიანურ ურთიერთობებზე. გარდა იმისა, რომ ოთართან თეატრში მისვლის დღიდან მაქვს შემოქმედებითი ურთიერთობა, ჩემთვის უფროსი მეგობარია, ძმაკაცია ჩემი, კაცი, რომელსაც ვენდობი სცენაზე და თეატრის გარეთ.

მე და ოთარ ბალათურიამ რამდენიმე სპექტაკლზე ერთად ვიმუშავეთ, ყოველთვის საინტერესოა მისეული ხედვა, ვერ აგისხნით იმას თუ რა საინტერესოა როდესაც სპექტაკლის შექმნის დროს რეპეტიციაზე ოთარი, მე ან რომელიმე მსახიობს უხსნის ამა თუ იმ ნიუანსს, რომელიც სჭირდება მას სცენისთვის, მაშინ ჩაირთვება მასში მსახიობი ოთარ ბალათურია და ერთი სიამოვნებაა მისი ყურება, ის ხომ დიდი არტისტია, არა, ძალიან მაგარი არტისტია. ყოველთვის ვამბობ ამ ადამიანზე — გემოვნებიანი ხელოვანია.

რეჟისორი ოთარ ბალათურია ის შემთხვევაა მსახიობისთვის, რომელიც ყველაფერს გიადვილებს, გაძლევს თავისუფლებას, გრძნობ იმას, რომ ძალიან უყვარს მსახიობი და ესმის მისი. თუ მუშაობის დროს გეტყვის — „აბა რაა“, ე.ი. საქმე კარგად მიდის. რაღაც ჯადოებიც იცის, ისე გესაუბრება, რომ თითქოს ეს როლი, რომელსაც თამაშობ, შენზე, შენთვის დაწერეს და შენც სტიმული გიორმაგდება, ყველაფერი გიმარტივდება. მერწმუნეთ, ეს ჩემი უფროსი მეგობარი სცენის შამანია, გრძეულია, ჯადოქარია...

ოთარს, ალბათ, ვერ გადავუხდი იმ ამაგს, რომელიც ჩემზე აქვს. ის მინდა ვთქვა, რომ ჩემი პედაგოგის შალვა (მუმუშა) განერელიას გარდა თუ ვინმემ მასწავლა რამე,

ერთ-ერთი ოთარია და ამ ორ ადამიანში რაღაც საერთოს ყოველთვის ვგრძნობ.

მინდა გითხრათ მის თავისებურ იუმორზე და ალბათ ამისათვის არ გამიბრაზდება. როდესაც იწყებს რაიმე სასაცილო ამბის მოყოლას, ერთი ფრაზის შემდეგ, თვითონ იწყებს სიცილს და ისე სასაცილოდ იცინის, რომ ყველა მის სიცილზე ვხარხარებთ და მონათხრობის შინაარსს ვერ ვიგებთ. მას კი ჰგონია მაგრად მოვყევიო, მაგრამ მერწმუნეთ, უფრო მაგრად იცინის, ვიდრე ყვება.

ახლა, როდესაც ვწერ, ჩემი შვილი, მათე, რომელიც 8 წლისაა, მეკითხება რას წერო, გაიგო ოთარზე რომ ვწერდი, თვალები გაუნათდა და წამოიყვირა — „ჩემი ოთარი ბაბუ მაგარია ყველაზეო“. ეს არის ის, რაზეც ვერ დავწერ, უბრალოდ გეტყვით, რომ ამ კაცს, ოთარ ბალათურიას რაღაცნაირი სითბო და სიყვარული შეუძლია, ყველასთან თანატოლი ხდება. თუ საჭირო გახდა — ჩვენთვის იმ დაუმარცხებელ მარჯვენასაც გაიქნევს, რომელსაც გამუდმებით აქებს. დამიჯერეთ არა უსაფუძვლოდ, ის ხომ ყოველთვის საუკეთესო ფორმაში იმყოფება და ბევრ ახალგაზრდას ტოლს არ დაუდებს, თუ არ დაჯაბნის.

ვფიქრობ, რამდენი კარგი რამის დაწერა შეიძლება ჩემს ოთარზე, მაგრამ ვიცი მეტყვის, როდესაც ამას წაიკითხავს — „რა გაპრანჭულად დაგიწერიაო“. ამიტომ მოკლედ ვიტყვი, ასეთი დიდი ხელოვანი იშვიათობაა, ასეთი ადამიანი იშვიათია, ასეთი ძმაკაცი საამაყოა.

ოთარ ბალათურია ხომ ჩემი თაობისთვის ცოცხალი ლეგენდაა.

ოთარ ბალატურის ჩეზისონილი ნამუშევრები

მოზარდ მაყურებელთა თეატრი

1981

კ. ხოინსკი — „ლამის ამბავი“

1995

ვ. ტენდრიაკოვი — „ბანკეტი“. ინსცენირება: ე. ახვლედიანი, ო. ბალათურია.

1997

ო. ბალათურია — „ამიკო“

1998

ი. სტელმახი — „ავი ლომისგან დღეს, ვინ გადაარჩენს ტყეს?“ ინსცენირება — ო. ბალათურია.

2000

დ. კლდიაშვილი — „დარისპანის გასაჭირი“.

2008

ვაჟა-ფშაველა — „სათაგური“. ინსცენირება — ო. ბალათურია.

ლიტერატურულ თეატრში დაზიანები

2007 წ. იაკობ გოგებაშვილი „იავნანამ რა ჰქმნა?“
ინსცენირების ავტორი ოთარ ბალათურია.

დამდგმელი რეჟისორი ოთარ ბალათურია.

2008 წ. ვაჟა-ფშაველა „შვლის ნუკრის ნაამბობი“
ინსცენირების ავტორი, დამდგმელი რეჟისორი ოთარ ბალათურია.

2008 წ. სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“.

ინსცენირების ავტორი, დამდგმელი რეჟისორი ოთარ ბალათურია.

2009 წ. ვაჟა-ფშაველა „ჩხიკვთა ქორწილი“.

ინსცენირების ავტორი, დამდგმელი რეჟისორი ოთარ ბალათურია.

2010 წ. ო. ჩხეიძე „მამაშვილობა“.

ინსცენირების ავტორი, დამდგმელი რეჟისორი ოთარ ბალათურია.

2011 წ. ო. ჩხეიძე „გრაგნილი“.

ინსცენირების ავტორი, დამდგმელი რეჟისორი ოთარ ბალათურია.

თეატრალური უნივერსიტეტი

- დ. კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“ — 1984წ. 1989წ.
ვ. ტენდრიაკოვი „გამოსაშვები საღამოს შემდეგ“ — 1988წ.
დ. კლდიაშვილი „ქამუშაძის გაჭირვება“ — 1989წ.
ა. ჩეხოვი „თოლია“ — 1992წ.
ა. ჩეხოვი „სამი და“ — დადგმა ლ. იოსელიანი (პედაგოგი — ო. ბალათურია) — 1988წ.

საცდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრი

- ო. ბალათურია — „ზღაპარი იყო“ 2004
ო. ბალათურია — „ამიკო“ 2007
ო. ბალათურია — „მეფე ლირი თავშესაფარში“ 2004
— „ჭურმი“ (ინსცენირების ავტორი) 1911
ვ. ფშაველა — „ვაჟა“ (ინსცენირების ავტორი) 1912

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი

- დ. კლდიაშვილი — „ირინეს ბედნიერება“ — 1992წ.
ვაჟა-ფშაველა — „სათაგური“ — 2010წ.

ახალციხის თეატრი

- „მეფე ლირი თავშესაფარში“ — 2004წ.

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრი
ვაჟა-ფშაველა — „სათაგური“ — 2011წ.

ოთარ გალათურიას პიესები

- ზუგდიდი — „ამიკო“ — რეჟისორი დ. ხვთისიაშვილი — 1996წ.
ოზურგეთი — „ამიკო“ — რეჟისორი ს. ნემსაძე — 1998წ.
ახალციხე — „ამიკო“ — რეჟისორი ნ. კონსტანტინოვი — 1998წ.
ქუთაისი — „ამიკო“ — რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე — 1998წ.
ფოთი — „ამიკო“ — რეჟისორი ხათუნა ბედელაძე — 2002წ.

ქუთაისი — „მეფე ლირი თავშესაფარში — რაც მოგივა თავითაო“ — რეჟისორი
ა. სახამბერიძე — 2005წ.

გორი — „მეფე ლირი თავშესაფარში“ — რეჟისორი ა. გვაძაბია — 2008წ.

ბათუმი — „მეფე ლირი თავშესაფარში“ — ე. ჩაიძე

ოზურგეთი — „მეფე ლირი თავშესაფარში“ — ო. თალაკვაძე — 2012წ.

კინო — ტელევიზია — როლები

- „მდგმურები“, „სანერგე“, „ვერსათრიელა“ — რეჟისორი დ. ჯანელიძე
„ცივა“ — გია ბარაბაძე
სატელევიზიო დადგმები: მ. ჯაფარიძე „ჩვენებურები“ — ხეიბარი, რეჟისორი
შ. განრელია.
ნ. დუმბაძე „მარადისობის კანონი“ — ბულიკა, რეჟისორი
თ. ჩხეიძე.

განსახიერებული სცენური სახეები

1964

თამაზი. ვ. როზოვი — „მისი მეგობრები“, რეჟისორი — შ. განერელია.
სეპასტიანი. უ. შექსპირი — „მეთორმეტე ღამე“. რეჟისორი — ს. ჭელიძე.
ტორიჩელი. ი. პერსონოვი, დ. დობჟინსკი — „გალილეო გალილეი“. რეჟისორი — შ. განერელია.

1966

მამუკა. რ. მამულაშვილი — „ძია ელიოზი“. რეჟისორი — შ. განრელია.
ანდრეი. აქსიონოვი, ი. სტაბავოი — „კოლეგები“. რეჟისორი — შ. განერელია.

1967

ირჟი. ოტჩენაშეკი — „რომეო და ჯულიეტა წყვდიადში“. რეჟისორი — თ. ჩხეიძე
კრიმგიერი. ა. ალლაძე — „თერგის ჩქერებზე“. რეჟისორი — თ. მალალაშვილი.

1968

უფლისწული. ქ. ქუჩუკაშვილი — „კონკია“. რეჟისორი — თ. მალალაშვილი.
პავლია, ოსიკო. დ. კლდიაშვილი — „დარისპანის გასაჭირი, უბედურება“. რეჟისორი — თ. ჩხეიძე.

1969

კაპიტანი. ფ. დიუმა, ა. დენერი „დონ სეზარ დე ბაზანი“. რეჟისორი — თ. ჩხეიძე

1970

ლეანდრი. მოლიერი — „სკაპენის ოინები“. რეჟისორი — თ. მალალაშვილი.
დუდნიკოვი. ვ. დარასელი — „დივიზია №16“. რეჟისორი — თ. ჩხეიძე.
ილუზიონისტი. გ. ჭიჭინაძე — „უცნაური ბიჭები“. რეჟისორი — თ. ჩხეიძე.

1971

ლევანი. ლ. ქიაჩელი — „ტარიელ გოლუა“. რეჟისორი — თ. მალალაშვილი.
ანდუყაფარი. ვ. კანდელაკი — „მაია წყნეთელი“. რეჟისორი — დ. კობახიძე.

1972

გურამი. თ მალალაშვილი — „სადა ხარ, სოფიკო!“. რეჟისორი — თ. მალალაშვილი.

1973

ჩონთა. ვაჟა-ფშაველა — „მოკვეთილი“. რეჟისორი — შ. განერილია.

1974

ლევანი. დ. კლდიაშვილი — „ქამუშაძის გაჭირვება“. რეჟისორი — შ. განერელია.

1976

კასიუს კოლჟაუნი. მაინ რიდი — „ლეგენდა უთავო მხედარზე“. რეჟისორი — ქ. ხარშილაძე.

1977

ქალაქის მერი. ბ. ბრეხტი — „სიმონა მაშარის სიზმრები“. რეჟისორი — შ. განერელია.

1980

უურნალისტი. ა. აგრანოვსკი — „შეაჩერეთ მალახოვი“. რეჟისორი — ქ. ხარშილაძე.

გოდუნი. ბ. ლავრენევი — „რღვევა“. რეჟისორი — შ. განერელია.

1986

მურტალო. ნ. დუმბაძე — „კუკარაჩა“. რეჟისორები — შ. განერელია, ო. ბალათურია.

1989

გიორგი. ი. სამსონაძე — „ბედნიერი ბილეთი“. რეჟისორი — შ. განერელია.

1991

გიორგი. ი. სამსონაძე — „ალდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“. რეჟისორი — შ. განერელია.

„ჩვენებურები“ — მინაგო

მინაგო. მ. ჯაფარიძე — „ჩვენებურები“. რეჟისორი — შ. განერელია.

დათიკო. ნ. დუმბაძე — „მე ვხედავ მზეს“. რეჟისორი — შ. განერელია.

Otar Baghaturia – actor, director and playwright: he is very much alike the genius artist Eduardo De Filippo with this aggregated diversities. Scenic characters performed by him in the earlier stage of his creative life in the Adult Theatre are distinguished for their genre diversity and transformation skills, his stage works were famous with their thoroughly imaginary (the focus was made on an actor).

Otar Baghaturia is fond of introduction of folklore and folk poetry samples by stage strokes; the success of his plays is conditioned by the modernity and up-to-dateness of the issues emphasized in the plays.

The analogue of such diversity is seldom met in Georgian theatre.

These words are the preamble of the editor and they are not intended to make thorough and deep analysis of the creative works of Otar Baghaturia but imply the content and structure of the book only.

The collection is dedicated to the famous Georgian theatre figure Otar Baghaturia; the release of the book coincides with the event of opening his star in front of the Nodar Dumbadze Adult Theatre.

The scopes and ranges of his creative area is very diversified; after mastering in stage director art he showed his interest to the author performances: 'Amiko~ and 'King Lear in Shelter". His plays and spectacles are performed in Tbilisi Akhmeteli Theatre, Georgian Adult Theatre, also in the theatres of Kutaisi, Batumi, Gori, Zugdidi, Ozurgeti, Telavi, Chatura, Poti, Meskheti. These plays were also staged in Latvia, San Francisco, Slovakia.

The collection highlights the scenic history of these performances as well; the reader can get familiarized with the opinions by his colleagues, friends; the biography of Otar Baghaturia is narrated by the author himself.

The idea of publication of the book was suggested by me. It was then grasped by the management of Nodar Dumbadze Adult Theatre and implemented.

Kote Ninikashvili



9 789941 055997

